

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ენის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ნათო ახალაია

გვარის გრამატიკული კატეგორია მეგრულ-ლაზურში

ფილოლოგიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი მერაბ ჩუხუა

თბილისი

2021

აბსტრაქტი

1. სადისერტაციო თემის აქტუალობა, კვლევის სიახლე და ინოვაციურობა. ზმნის გვარი აქტუალურია არა მხოლოდ ქართველური, არამედ ზოგადლინგვისტური თვალსაზრისითაც. იგი არაერთგვაროვნად არის განხილული როგორც ევროპულ, ისე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, ქართულში გვარი მიჩნეულია ლექსიკურ-გრამატიკულ, მორფოლოგიურ, სინტაქსურ-მორფოლოგიურ თუ სემანტიკურ კატეგორიად. ასევე წინააღმდეგობრივი და დღემდე აქტუალურია გვარის კატეგორიაში ოპოზიციური სისტემების გამოყოფის საკითხი.

ზმნის გვართან დაკავშირებული ამგვარი გადაუჭრელი პრობლემები ითხოვს მოცემული კატეგორიის ახლებურ გააზრებასა და მიდგომებს საკვლევი ენის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მეგრულ-ლაზურში გვარს განვიხილავთ როგორც გრამატიკულ კატეგორიას და საერთო მორფოსინტაქსური ნიშნების მიხედვით გამოვყოფთ მის ორ სახეს: მოქმედებითსა და ვნებითს.

მოქმედებითი/აქტივი

(სტრუქტურა: (ო)-R-ATM-ს

კონსტრ.: ლაზ. ERG-ERG-ERG-ERG

მეგრ. NOM-ERG-DAT-NOM)

1. R-ATM-ს ჯგუფი

ა) პირველადი აქტივი

ბ) რელატიური აქტივი

2. ო-R-(atm)-ATM-ს ჯგუფი

ა) მარტივფუძიანი კაუზაქტივი

ბ) რთულფუძიანი კაუზაქტივი

3. R-AUX აღწერითი აქტივი

ვნებითი/პასივი

(სტრუქტურა: (ი)-R-PTM-ფ

კონსტრ.: ლაზ. NOM-NOM-NOM-NOM

მეგრ. NOM-ERG-NOM-NOM)

1. R-უ-ნ დამოუკიდებელი ჯგუფი

ა) პირველადი ვნებითი

ბ) ადიექტიური ვნებითი

2. ი-R-(უ)-(atm)-უ/ე-ნ კონვერსიული ჯგუფი

ა) ვნებით-პოტენციალისი

ბ) პრეფიქსული ვნებითი

გ) კაუზაციური ვნებითი

წარმოდგენილი კლასიფიკაცია ეფუძნება ჩვენ მიერ შექმნილ ზმნურ ფორმათა სტრუქტურირებულ ბაზას, რომელიც აერთიანებს 10 000-მდე ერთეულს. რანჟირებულ ბაზაში ერთად ჯგუფდება აქტიური სემანტიკის პირდაპირგარდამავალი, ირიბგარდამავალი და გარდაუვალი ფორმები (ლაზ.: ო-ხვეწ-აფ-ს „ეხვეწება“, მეგრ.: უ-ფერ-უ-ან-ს „ეფერება“, ზან.: ღარღალ-აფ-ს/რაგად-ან-ს „ლაპარაკობს“):

ოხორჯა-ქ ქიმოლი ო-ხვეწ-აფ-ს
ქალ-ERG ქმარი.NOM ACT-ხვეწ-ATM-PRS.S3.SG
„ქალმა კაცი ეხვეწება (= ქალი კაცს ეხვეწება)“

აღნიშნულის გამო, მკაცრად გავმიჯნეთ გვარი და გარდამავლობა. ასევე გვარის კატეგორიისაგან განვაცალკევეთ უფრო არქაული ფორმაციის რეფლექსივები (ი-გურგინ-უნ „გრგინავს“, ი-ტყობ-უნ „იმალება“), რომლებიც ხშირად იწვევდნენ „გაუმართლებელ აღრევას“.

2. კვლევის მიზანი/მიზნები და ამოცანები ასე განისაზღვრა:

ა) სასრული რაოდენობის ზმნურ ფორმათა მორფოლოგიური და სინტაქსური ანალიზის საფუძველზე, ინდუქციის მეთოდით, უნდა გამოგვეტანა შესაბამისი ლოგიკური დასკვნები. ამ ამოცანის განსახორციელებლად შეიქმნა აღნიშნული ბაზა, რომელიც ეყრდნობა დღემდე გამოცემულ ლაზურ და მეგრულ ლექსიკონებს, ასევე საველე პირობებში ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალას.

ბ) მოგვეპოვებინა და გავცნობოდით ნაშრომთან დაკავშირებულ უახლეს უცხოურ ლიტერატურასა და ინოვაციური კვლევის მეთოდებს, რაც საშუალებას მოგვცემდა ახლებურად მივდგომოდით საკითხს. სამეცნიერო-კვლევითი ვიზიტებისას გერმანიასა (ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტი) და თურქეთში (დუზჯეს უნივერსიტეტი) გავეცანით თანამედროვე კვლევის ხერხებსა და დავამუშავეთ შესაბამისი სამეცნიერო ლიტერატურა, რაც სათანადოდაა ასახული წინამდებარე ნაშრომში.

გ) სწორად შეგვერჩია ტერმინოლოგია. სინტაქსური ფუნქციის გამოსახატავად უპირატესობა მივანიჭეთ ქართულში დამკვიდრებულ ტერმინებს: ქვემდებარე, ზმნა-შემასმენელი, პირდაპირი, ირიბი და უბრალო დამატება. ამასთან, შემოვიტანეთ ახალი ცნებებიც, რაც მარკირებას უკეთებს ზმნურ ფორმათა წარმომავლობას ან მათი ჩამოყალიბების ქრონოლოგიას.

3. სამეცნიერო ნაშრომის სტრუქტურა და კვლევის მეთოდოლოგია. სამეცნიერო ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ხუთი თავის, დასკვნითი დებულებებისა და ძირითადი ლიტერატურის სიისაგან. ჩვენი სამუშაო დაიყო სამ ეტაპად: ა) ემპირიული

მასალის მოპოვება/შეკრება, ბ) მათი აღწერით-სტატისტიკური ანალიზი, გ) ლინგვისტური ანალიზი.

ა) ლაზურისა და მეგრულის ემპირიული მასალის მოსაპოვებლად გამოვიყენეთ სავსე ლინგვისტიკისა და ელიციტირების მეთოდები.

ბ) სავსე პირობებში და სათანადო წყაროებიდან მოპოვებული მასალა დავამუშავეთ და განვათავსეთ MS Excel-ის ფაილში. სასრული რაოდენობის ზმნურ ფორმათა აღწერითი სტატისტიკის მეთოდით ანალიზმა გამოავლინა პირველადი ჰომოგენური ჯგუფები.

გ) ზმნურ ფორმათა ლინგვისტური (გრამატიკული) ანალიზისათვის გამოვიყენეთ შინაგანი რეკონსტრუქციისა და აღწერით-შედარებითი კვლევის მეთოდები. ზანურში რიგი საკითხების ახსნა ძველი ქართულის, ქართული ენის აღმოსავლეთ მთისა და მესხურ-ჯავახური დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით ხდება შესაძლებელი.

დ) საბოლოოდ, ინდუქციურ მეთოდზე დაყრდნობით მივედით მთავარ დასკვნამდე: ზანურში გვარის კატეგორიის ფორმირება დამოუკიდებლად წარიმართა და მეგრულ-ლაზურში იგი ფუნქციონირებს როგორც გრამატიკული კატეგორია.

4. კვლევის შედეგების სამეცნიერო ღირებულება და პოტენციური პრაქტიკული მნიშვნელობა. ჩვენი კვლევა მოემსახურება საერთოქართველური ზმნის გვარის სისტემის სრულფასოვნად წარმოჩენასა და ჩართვას იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტიკურ და ტიპოლოგიურ კვლევებში. ნაშრომში მკვეთრად გამიჯნული მოქმედებითი და ვნებითი გვარის მორფოლოგიურად სტაბილური ფორმები და მათი შესაბამისი კონსტრუქციები გააადვილებს რელევანტური ალგორითმის შექმნას ქართველური ზმნის კომპიუტერული დამუშავებისათვის. გარდა ამისა, მეგრულ-ლაზური ზმნის გვარის ახლებური კლასიფიკაცია და კვალიფიკაცია უფრო მარტივს ხდის ამ ენათა რთული გრამატიკის სისტემურობას.

Abstract

1. **Topicality of the dissertation them, novelty and research innovation.** The voice of verb is topical not only from the Kartvelian, but from the general linguistic viewpoint, as well. It is discussed differently in both European and Georgian linguistic literature. E.g. in Georgian, a voice is considered as a lexical-grammatical, morphological, syntactic-morphological or semantic category. The issue of separating opposition systems in the voice category is also controversial and still urgent.

Such unresolved problems related to the verb voice require new understanding of the given category and approaches taking into account the specifics of the research language.

In Megrelian-Laz a voice is considered as a grammatical category and according to the common morphosyntactic characters two voices are detached:

ACTIVE	PASSIVE
(structure: (CV) - R - ATM	(structure: (CV) - R - PTM
constr.: Laz - ERG-ERG-ERG-ERG	constr.: Laz - NOM-NOM-NOM-NOM
Megr.-NOM-ERG-DAT-NOM)	Megr.-NOM-ERG-NOM-NOM)
1. R-ATM	1. R-PTM (independent)
a) primary active	a) primary passive
b) relative active	b) adjective passive
2. CV-R-(atm) –ATM	2. CV-R-(atm)-(atm)-PTM (conversive)
a) causative with a simple stem	a) passive-potential
b) causative with a compound stem	b) prefixal passive
3. R-AUX - descriptive active	c) causative passive

The presented classification is based on a structured database of verb forms created by the author, comprising up to 10 000 entries. Directly transitive, indirectly transitive, and intransitive forms of active semantics are grouped together in the ranked database (Laz: **o-xvec'-ap-s** "begs", Meg.: **u-per-u-an-s** "is affectionate to sb/sth", Zan: **gargal-ap-s / ragad-an-s** "speaks"):

oxorža-k kimoli o-xvec'-ap-s
wife-ERG husband.NOM ACT-beg-ATM-PRS.S3.SG
"Wife begs to man"

That is why the author strictly delimited voice and transitivity. From the voice category the author separated reflexives of more archaic information (**i-gurgin-u-n** "It thunders", **i-rdgabal-u-n** "talks a lot of rubbish") which often caused unjustified confusion.

2. Research goal/goals, objectives were defined as follows:

A) Based on the morphological and syntactic analysis of finite number of verb forms, using the method of induction, the author had to draw the appropriate logical conclusions. To accomplish this task, a structured database of verb forms was created;

B) The author had to obtain and get acquainted with the latest foreign literature and technical research methods related to the work, which would allow the author to approach the issue in a new way. During the scientific research visits to Germany (Goethe University, Frankfurt) and Turkey (Düzce University), the author got acquainted with modern research methods and developed relevant scientific literature, which is appropriately reflected in the present study;

C) The author had to choose the terminology correctly. In order to express the syntactic function, the author preferred the terms established in Georgian: subject, verb-predicate, direct, indirect and simple object. In addition, the author introduced new concepts that mark the origin of verb forms or the chronology of their formation.

3. Structure of the scientific work and research methodology. The scientific work consists of an introductory part, five chapters, concluding propositions and a list of used literature. The author's labor was divided into three stages: a) to obtain / to collect empirical material, b) to carry out their descriptive-statistical analysis, c) to carry out linguistic analysis.

A) to obtain the Laz and Megrelian empirical material the author used methods of **field linguistics**;

B) the author processed the material obtained from the field as well as from the appropriate sources and placed it in the MS Exel file. Using the method of **descriptive statistics** of finite number of verb forms the analysis revealed primary homogeneous groups;

C) For the linguistic (grammatical) analysis of verb forms, the author used the methods of **internal reconstruction** and **descriptive-comparative** research. It is possible to explain a number of issues in Zan by taking into account the data of Old Georgian, eastern mountainous dialects of the Georgian language and Meskhetian-Javakhetian dialects.

D) Finally, based on the **inductive** method, the author came to the key conclusion: in Zan the formation of the voice category took place independently and in Megrelian-Laz it functions as a grammatical category.

4. Scientific value and potential practical significance of the research outcomes. The present research will fully present the system of common Kartvelian verb voice and its involve in the typological studies of the mountainous Caucasian languages. The work demarcates the morphologically stable forms of the active and passive voices and their corresponding constructions, which will make it easier to create a relevant algorithm for the computer processing of a verb. In addition, the new classification and qualification of the Megrelian-Laz verb voice makes it easier to understand this complex system.

შინაარსი

აბსტრაქტი.....	II
Abstract	V
ძირითადი აბრევიატურა.....	XI
შესავალი	1
0.1. ტერმინი გვარის წარმოქმნისა და ზმნათა გვარებად დაყოფის ისტორია.....	1
0.2. გვარის კატეგორიის მეცნიერული შესწავლა და მისი გამოყოფის საფუძვლები.....	11
03. გვარისა და დიათეზისის ურთიერთმიმართებისათვის.....	14
0.4. გვარის შესწავლის ისტორიისათვის მეგრულ-ლაზურში.....	17
0.5. კვლევის სირთულე - მთავარი ამოცანები და განხორციელების გზები.....	19
0.6. წყაროები და კვლევის მეთოდოლოგია.....	23
0.7. კვლევის შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება.....	25
0.8. ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა.....	26
თავი I. გვარის გრამატიკული კატეგორიის ფორმირებისათვის მეგრულ-ლაზურში	27
1. პირველადი წარმოების ზმნური ფორმები.....	27
1.1. რეკონსტრუირებული *უვ სუფიქსის ამოსავალი ფუნქციისათვის.....	29
1.1.1. R-უ-ნ სტრუქტურის ინაქტიური ფორმები	29
1.1.2. R-უნ-ს სტრუქტურის აქტიური ფორმები	31
2. რეფლექსიური წარმოების ზმნური ფორმები მეგრულ-ლაზურში.....	36
2.1. ი- პრეფიქსის რეფლექსიური ბუნებისათვის.....	36
2.2. ი- პრეფიქსიანი რეფლექსივები	41
2.3. რეფლექსიურობის დამოუკიდებელი კატეგორიისათვის.....	45
3. გვარი და გარდამავლობა მეგრულ-ლაზურში	46
4. გვარი და ნასახელარი ზმნები მეგრულ-ლაზურში	50
4.1. ნასახელარ ზმნათა გამოყოფის საფუძველი	50
4.2. ნასახელარ ზმნათა ყალიბები	54
5. I თავის დასკვნა	56

თავი II. მოქმედებითი გვარი მეგრულ-ლაზურში	58
1. სინტაქსური კონსტრუქციები.....	59
1.1. ერგატიული კონსტრუქცია (ERG-ERG-ERG-ERG)	59
1.2. ცვლადი კონსტრუქცია (NOM-ERG-DAT-NOM)	65
2. მორფოლოგიური სტრუქტურა	65
2.1. თემის ნიშნები	65
2.2. S3 პირის -ს ნიშანი	74
2.3. ო- ხმოვანპრეფიქსი	75
3. მოქმედებითი გვარის მორფოსინტაქსური ჯგუფები	77
3.1. R-ATM-ს სტრუქტურის აქტივები	77
3.1.1. პირველადი აქტივები	77
3.1.2. რელატიური კონსტრუქციის აქტივები	86
3.2. CV-R-(უ)-ATM-ს სტრუქტურის კაუზაქტივები	99
3.2.1. მარტივფუძიანი კაუზაქტივები.....	101
3.2.2. რთულფუძიანი კაუზაქტივები	104
3.3. MSD+ AUX სტრუქტურის აღწერითი აქტივები	110
3.3.1. -ობა/-lik სუფიქსები	111
4. მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნები	114
4.1. სახელური ფუძის სტრუქტურა.....	114
4.1.1. მარტივი	115
4.1.2. მასდარული	117
4.1.3. რთული	119
4.1.4. ატრიბუტული ფუძეები ა-/ო-R-COMP-ATM	120
4.1.4.1. R-არ/ორ სტრუქტურის აქტივები მეგრულში	120
4.1.4.2. R-ან სტრუქტურის აქტივები ლაზურში	125
5. II თავის დასკვნა	131
თავი III. ვნებითი გვარი მეგრულ-ლაზურში	133
1. დამოუკიდებელი და კონვერსიული ვნებითი	133

1.1. სინტაქსური კონსტრუქციები	134
1.1.1. ერგატიული კონსტრუქცია	134
1.1.2. ნომინატიური კონსტრუქცია	135
2. ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება.....	136
2.1. საყრდენი ფუძე	136
2.2. მაწარმოებელი აფიქსები	139
2.2.1. -უ/-ე სუფიქსთა წარმომავლობისა და კვალიფიკაციისათვის	139
2.2.2. ი- პრეფიქსის წარმომავლობისა და კვალიფიკაციისათვის	147
2.3. S3 პირის -ნ სუფიქსი	148
3. ვნებითი გვარის მორფოსინტაქსური ჯგუფები	150
3.1. დამოუკიდებელი ვნებითები	153
3.1.1. R-უ-ნ სტრუქტურის პირველადი ვნებითები	153
3.1.2. R-დ-უ-ნ სტრუქტურის ადიექტიური ვნებითები	158
3.1.2.1. -დ სუფიქსის წარმომავლობისა და კვალიფიკაციისათვის.....	159
3.2. კონვერსიული ვნებითები	168
3.2.1. ი-R-ე-ნ სტრუქტურის ვნებით-პოტენციალისები	168
3.2.2. ი-R-atm-უ/ე-ნ სტრუქტურის პრეფიქსული ვნებითები	171
3.2.3. ი-R-atm-atm-უ-ნ სტრუქტურის კაუზაციური ვნებითები	178
4. ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნები.....	180
4.1. წარმოქმნილი ფუძეები.....	180
4.1.1. R-ონ-დ სტრუქტურის ფუძეები	182
4.2. მარტივი სახელური ფუძეები	184
5. III თავის დასკვნა	185
თავი IV. ფსევდოპასივები მეგრულ-ლაზურში.....	188
1. ქართული ი-R-ებ-ი სტრუქტურის შესატყვისისათვის ზანურში	188
1.1. ი-R-აფ-უ-ნ სტრუქტურის დეპონენსები.....	189
1.2. ი-R-უ/ე-ნ სტრუქტურის რეფლექსივები	192
1.3. სუფიქსური და კაუზაციური აქტივები	194

2. ქართული ე-R-ებ-ი სტრუქტურის შესატყვისისათვის ზანურში.....	195
2.1. სუფიქსური და კაუზაციური აქტივები	195
2.2. ო-R-უ-ნ სტრუქტურის სტატიკურები	199
2.3. ა-R-უ-ნ ნარევი სტრუქტურის დეპონენსები.....	201
3. ლაბილური სემანტიკის ახსნის გზები	204
3.1. ანტიპასივი და ანტიკაუზატივი	204
3.2. რეციპროკი	206
4. IV თავის დასკვნა.....	207
თავი V. ზმნურ ფორმათა გრამატიკული კლასიფიკაციისათვის	209
1. ლექსიკურ-გრამატიკული გვარი.....	209
2. მორფოსინტაქსური დიათეზა	210
3. მორფოსინტაქსური გვარი	211
4. V თავის დასკვნა.....	216
ძირითადი დასკვნები.....	217
ძირითადი ლიტერატურა	222

ძირითადი აბრევიატურა¹:

ACT – Active Voice – მოქმედებითი გვარი	NOM – Nominative Case – სახელობითი ბრუნვა
ADJ – Adjective – ზედსართავი სახელი	O – Object – ობიექტი
ADV – Adverbe – ზმნიზედა	O3 – Object person 3 – III ობიექტური პირი
ANTIP – Antipassive voice – ანტიპასივი	OV – Objective Version – სასხვისო ქცევა
ANTIC – Anticausative – ანტიკაუზატივი	PASS – Passive Voice – ვნებითი გვარი
AOR – Aorist – წყვეტილი	POT – პოტენციალისი
ATM – Active Voice Thematic Marker – მოქმედებითი გვარის თემის ნიშანი	PP – Postposition – თანდებული
atm – Active Thematic Marker – მოქმ. გვარის დევალვირებული თემის ნიშანი	PRV – Preverb – ზმნისწინი
AUX – Auxilary Verb – დამხმარე ზმნა	PTCP – Participle – მიმღობა
CAUSA – Caus. Active – კაუზაც. წარმოების აქტივი	PTM – Passive Thematic Marker – ვნებითი გვარის თემის ნიშანი
COMP – Comparative – შედარებითი ხარისხი	PRS – Presens – აწმყო
CV – Caracter Vauel – მახასიათებელი ხმოვანი	PRV – Preverb – ზმნისწინი
DAT – Dative Case – მიცემითი ბრუნვა	R – Radix – ძირი
DEP – Deponent Verb – დეპონენსური ზმნა	REZ I – შედეგობითი (პირველი თურმეობითი)
DNV – Denominale Verb – ნასახელარი ზმნა	RFLV – Reflexive Verb – რეფლექსიური ზმნა
DO – Direct Object – პირდაპირი დამატება	S – Subject – სუბიექტი
ERG – Ergative Case – მოთხრობითი ბრუნვა	S3 – Subject person 3 – III სუბიექტური პირი
FUT – Future – მყოფადი	SG – Singular – მხოლობითი რიცხვი
IO – Indirect Object – ირიბი დამატება	SV – Subjective Version – სათავისო ქცევა
MSD1 – Primary Masdar – პირველადი მასდარი	ST – State – სტატიკური
N – Noun – სახელი	THM – Thematic Marker – თემის ნიშანი
	V – Verb – ზმნა
	VST – Verb State – სტატიკური ზმნა

¹ აბრევიატურის ჩანაწერი გაკეთებულია საერთაშორისო სტანდარტის – ლაიფციგის გლოსირების წესების (LGR) მიხედვით; მეგრულ-ლაზურის სპეციფიკური გრამატიკული მოცემულობებისათვის ასევე გამოყენებულია თეორიული ნაშრომი (იხ. ლომია, გერსამია 2014) და სხვა რელევანტური აბრევიატურა.

შესავალი

0.1. ტერმინი „გვარის“ წარმოქმნისა და ზმნათა გვარებად დაყოფის ისტორია. ზმნის გვარი ძველბერძნული გრამატიკული ტრადიციიდან მომდინარეობს, სადაც მას *διάθεσις* (დიათეზისი) ეწოდება. კერძოდ, ტერმინი გამოყენებულია დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებაში“ ორი განსხვავებული უღლების მქონე ფორმათა - „ენერგეიასა“ (*ἐνέργεια*) და „პათოსის“ (*πάθος*) გასამიჯნად (I ს. ძვ. წ.).

თავის დროზე ლათინელმა ფილოლოგებმა გადაიღეს დიათეზისის ცნება რამდენიმე მნიშვნელოვანი მოდიფიკაციით. კერძოდ, ზმნათა ოპოზიციურ ფორმებს აქტივი (*activum*) და პასივი (*passivum*) უწოდეს. ორივე დიათეზა კი გააერთიანეს ზმნის კლასის (*genus verbi*) მორფოლოგიურ კატეგორიაში (იხ. ანდერსენი 1994; კულიკოვი 2011).

აღნიშნულმა ფაქტმა განსაზღვრა გვართან დაკავშირებული ლათინური ტერმინოლოგიის გავრცელება და დამკვიდრება ევროპულ, ამ უკანასკნელის გავლენით კი – ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში; ანუ დიონისე თრაკიელის ბერძნული დიათეზისი და თანამედროვე, ევროპული/ქართული გვარი ერთმანეთისაგან მხოლოდ ტერმინებით განსხვავდება.

ლათინურში გვარი ასევე აღინიშნებოდა ტერმინით *-vox* „ხმა“, საიდანაც მიღებულია ფრანგული *voix* და ინგლისური *voice*. „ხმის“ გამოყენების შემთხვევები დასტურდება ქართულის ადრინდელ გრამატიკაშიც (ს. დოდაშვილი 1830); ასევე გვხვდება „სქესი“ (ზ. შანშოვანი 1737), „დარგი“ (მ. ჯანაშვილი 1906) და „ნათესავი“ (ზ. შანშოვანი 1737; ანტონ პირველი 1885; გაიოზ რექტორი 1970).

ა. შანიძე იყენებს ტერმინ გვარს მეცნიერი შენიშნავს: „ტერმინი „გვარი“ უდრის ლათ. *genus-ს* (*genus verbi*) და მნიშვნელობით იგივეა, რაც ბერძნ. დიათესი (*διάθεσις*), რუს. *залог*“ (შანიძე 1980:281).

ენათმეცნიერების ევოლუციამ და მისი დარგების (*resp*: სინტაქსის) განვითარებამ აღნიშნული მორფოლოგიური კატეგორიის კვლევის მიმართულება კიდევ უფრო გამოკვეთა და დააზუსტა. კერძოდ, გვარის მორფოლოგია განიხილა არა უშუალოდ სინტაქსის, არამედ პოსტსინტაქსური მოვლენების ფონზე. წარიმართა კვლევები

სინტაქსისა და მორფოლოგიის ურთიერთქმედების მიმართულებით, ანუ გვარი წარმოჩნდა როგორც სინტაქსურ-სემანტიკური, ისე მორფოსინტაქსური ურთიერთ-ზემოქმედების მთლიანობაში და არა კონკრეტულად რომელიმე მორფოლოგიური მახასიათებლის ამსახველი (იხ. ემბიკი 1997; ჰალე, მარანცი 1993, ალექსიადი 2014, ალექსიადი, დორონი 2012).

სინტაქსურ მიმდინარეობებს შორის აღსანიშნავია „სტრუქტურული სინტაქსის“ თეორია, რომელიც ზმნა-შემასმენლის მიერ წინადადების სხვა წევრების მართვის მოდელს ემყარება. ლინგვისტების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სინტაქსური სახეცვლილებები განისაზღვრება ზმნის გვარის მორფოლოგიით (იხ. ჩომსკი 1981; მარანცი 1984; ბეიკერი 1988; ჰალე, მარანცი 1993). აღნიშნულია, რომ წინადადების ცენტრში მოქცეული ზმნის მნიშვნელობითაა განპირობებული მასთან პოტენციურად დაკავშირებული სახელების მნიშვნელობები, ანუ აქტანტები ასრულებენ იმ როლებს, რასაც ზმნით გამოხატული მოქმედება კარნახობს (ჰელიდეი 1967). ასევე გამოთქმულია საპირისპირო თვალსაზრისებიც, რომ მორფოლოგიური კატეგორიები სინტაქსურად არის განსაზღვრული, ანუ გვარი არის სემანტიკური და სინტაქსური ურთიერთშესაბამისობის (დიათეზის) კოდირება ვერბალური (ზმნური) მორფოლოგიით (მელჩუკი, ხოლოდოვიჩი 1970; მელჩუკი 1993; კულიკოვი 2011).

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში თავის დროზე აღინიშნა, რომ ზმნა-შემასმენელი არის ძირითადი კოორდინატი, რომელიც განსაზღვრავს აქტანტთა ურთიერთობას წინადადებაში. ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურის თავისებურება კი იწვევს წინადადების თავისებურებას (ჩიქობავა 1968:09). ადრინდელ გრამატიკებშიც იყო შენიშნული, რომ ორივე სახელი – „უფალი“ (ქვემდებარე) და „ძიება“ (დამატება) ანგარიშს უწევენ ზმნას, ანუ ორივე იმ ბრუნვაშია, რომელსაც კონკრეტულად მოითხოვს ზმნა (ანტონ I, 1885).

გვარის ფუნდამენტურად კვლევის შემდგომ გამოითქვა საპირისპირო მოსაზრებაც, რომ „გვარებად დაყოფისათვის ამოსავალი, ჩვეულებრივ, წინადადების სემანტიკაა, რომელსაც ექვემდებარება ზმნის სემანტიკაც. წინადადება ქმნის ზმნას და ამიტომაც ზმნაში აბსტრაქტირებულია მთელი კონსტრუქცია“, ანუ „გვარის ფუნქციაა წარმოადგინოს

გარკვეული სინტაქსური ურთიერთობა მორფოლოგიური საშუალებით” (იხ. ჯორბენაძე 1975:17). „ზმნა სიტუაციის ამსახველი მეტყველების ნაწილია. სიტუაციას ქმნიან არსებითი სახელები ან მათი მონაცვლე ნაცვალსახელები – ესენი აქტანტებია“ (უთურგაიძე 2001: 9,18).

არნ. ჩიქობავას შენიშვნით, ინდოევროპული გამოცდილება, ქართველური ზმნის იმანენტური ბუნებიდან გამომდინარე, მისაღები არ არის. ევროპული ენების ზმნის გვარი, ქართულ რთული სინტაქსური მექანიზმის მქონე ზმნებთან შედარებით, განსხვავებული და მრავალფეროვანია, მისი ზმნური შესიტყვების სტრუქტურა კი – გაცილებით მარტივი (ჩიქობავა 1968:138).

ჩვენ ვიზიარებთ აღნიშნულ თვალსაზრისს და, უფრო მეტიც, ვფიქრობთ, საერთო-ქართველური სისტემის წარმოსაჩენად გვარის გრამატიკული კატეგორია უნდა იქნეს გაანალიზებული თითოეული ქართველური ენის სპეციფიკურობის, მოდიფიკაციისა თუ შემონახული არქაული ვითარების გათვალისწინებით.

ქართულში ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლასა და მისი სახეებად დაყოფის მცდელობას ოთხსაუკუნოვანი ისტორია აქვს, რაშიც დიდი წვლილი XVIII ს-ის ავტორებს მიუძღვით. მათი ღვაწლი სათანადოდ არის შესწავლილი და დაფასებული ქართველი მეცნიერების მიერ¹. ჩვენ კი ყურადღებას გავამახვილებთ კონკრეტული ავტორების ისეთ დებულებებზე, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს ქართველური ზმნის გვარის შექმნის ისტორიას, მისი რაოდენობის განსაზღვრასა და, საერთოდ, გვარის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებას; ასევე - რიგ პრობლემურ საკითხზე, რომლებიც დღესაც არ კარგავს აქტუალობას ლინგვისტურ ქართველოლოგიაში.

ძველ ავტორებთან, ხშირ შემთხვევაში, ზმნისა და გვარის დეფინიცია გაიგივებულია. თ. უთურგაიძის შენიშვნით, გვარის ასეთი გაგება საყოველთაოდ იყო მიღებული სხვადასხვა ენის სახელმძღვანელოებში, რადგან ამოსავალ დიონისე

¹ ძველი გრამატიკები ძირითადად განხილულია შემდეგ წყაროებზე დაყრდნობით: ი. აბულაძე, ქართული გრამატიკული ლიტერატურის ადრინდელი ძეგლები, I, ზურაბ შანშოვანი. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, x-B, თბ., 1940; ალ. ლლონტი, ნიკო ჩუბინაშვილის ქართული ლექსიკონი. - წიგნი: ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961; ე. ბაბუნაშვილი, ანტონ პირველი და მისი ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970; გაიოზ რექტორი, ქართული ღრამატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ელენე ნიკოლაიშვილმა, თბ., 1970; ალ. ფოცხიშვილი, ქართული გრამატიკული აზრის ისტორიიდან, თბ., 1979; გრ. იმნაიშვილი, ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან (დასაწყისიდან მეოცე საუკუნის ათიან წლებამდე), იკე, ტ. XXIX, 1990; თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბ., 1999.

თრაკიელის გრამატიკაში გვარი განმარტებულია თვით ზმნის განმარტებასთან კავშირში: ზმნა არის მოქმედებისა და ვნების გამომხატველი მეტყველების ნაწილი (უთურგაიძე 1999:202). ცხადია, ქართველი ავტორები ეყრდნობოდნენ ევროპულ, შესაბამისად, ლათინურ გრამატიკებს, ცდილობდნენ ქართული ზმნის კლასიფიკაცია ევროპული ზმნის მსგავსად მოეხდინათ, რის გამოც ქართული ზმნები ევროპულ ზმნათა საკლასიფიკაციო ჩარჩოს მიღმა რჩებოდა. თუმცა, რიგ შემთხვევაში ითვალისწინებდნენ ქართული ენის შინაგან ბუნებასა და მის თავისებურებებსაც (არნ. ჩიქობავა).

ზმნის გვარი, ანუ სახე, ფორმა გამოყოფილია ზ. შანშოვანის პირველ ქართულ გრამატიკაში, რომელიც დაწერილია ქართულად (1737 წ.) და გამოცემულია ალ. ცაგარლის მიერ პეტერბურგში (1881 წ.). საინტერესოა აქ მოცემული ზმნის დეფინიცია, სადაც ზმნა განმარტებულია გვარისათვის დამახასიათებელი ნიშნების მიხედვით: „ზმნა არს ლექსი სასრბოლო, რომელ მყოფასა რადმეს, ანუ ქმნასა ანუ ვნებასა დანიშნავს ჟამითურთ და პირითურთ“ (შანშოვანი 1881:20). აქვეა გამოყოფილი კატეგორიები, რომლებიც ზმნას „დასდევენ“, მათ შორის „ნათესავნი ოთხნი“ (ოთხი გვარი): „სამოქმედო (განვადო), სავნებო (განვილო), საშუალო (დავემკვიდრო) და ზიარი (ვშვა)“; ავტორი ცდილობს გვარების ტიპებს, გარდა ფუნქციისა, განმასხვავებელი მორფოლოგიური ნიშნებიც მოუძებნოს და იძლევა მოქმედებითისა და ვნებითის „სრული“ და „მარადის სრული“ (ანუ მწკრივების) ფორმებით დაპირისპირებულ პარადიგმებს: მაგ., მოქმედებითი – წყვეტილი: ქნა, I თურმეობითი: უქნია; ვნებითი – წყვეტილი: იქნა, I თურმეობითი: ქნილა (იხ. უთურგაიძე 1999:138). ზმნათა უღლების ტიპებად კლასიფიკაციისას (აწმყოში ზმნათა დაბოლოებული ხმოვნების მიხედვით) ავტორი გამოყოფს „სავნებო სქესის“ ი ხმოვანს, რომელიც ზმნას უღლების ყველა ფორმაში გადაჰყვება. ზმნურ პარადიგმებში ვიბან ფორმა, ვჰბან ფორმასთან შეპირისპირებით, კვალიფიცირებულია როგორც ვნებითი გვარი (იქვე, 141). უღლების პარადიგმებში, არნ. ჩიქობავას აზრით, ყველაზე ფასეულია ის, რომ ავტორს ქართული ზმნის თავისებურებაც აქვს გათვალისწინებული, კერძოდ, ე.წ. ობიექტური უღლება, სადაც „მანი ვინის ალაგს არს“, მაშინ, როდესაც მისთვის სანიმუშოდ აღებულ ევროპულ გრამატიკებში უღვლილება სუბიექტის ცვლის მიხედვით იყო მოცემული (ჩიქობავა 1979:85-86).

ზ. შანშოვანთან ასევე განხილულია ზმნის გვარის მიმღობები და მათი სახეები (შანშოვანი 1881:23).

მოცემულ გრამატიკასთან ერთად, აღსანიშნავია ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა“, რომელიც ბეჭდურად გამოიცა 1885 წელს თბილისში. ანტონ პირველის კონცეფცია საფუძვლად უდევს შემდგომ შექმნილ ძველ ქართულ გრამატიკებსა თუ პრაქტიკულ სახელმძღვანელოებს. ზმნის რვა „მდევარ“ კატეგორიათაგან განსაკუთრებით ყურადსაღებია „ნათესავთან“ (გვართან) დაკავშირებული თვალსაზრისები, რომლებსაც ჩვენ გვარის ცალკეულ ფორმათა ანალიზისას მოვიხმობთ, აქ კი მხოლოდ რამდენიმე საკითხით შემოვიფარგლებით. ანტონი ზმნის „ნათესავს“ (გვარს) განიხილავს შინაარსიდან ამოსვლით და გრამატიკის პირველ რედაქციაში (1753) გამოყოფს მის ოთხ „ნათესავს“: „შემოქმედებითი“, „ვნებითი“, „უმეშუებითი“ (საშუალი) და „საზოგადოდ“, ანუ „ზოგებითი“. ეს უკანასკნელი მისი გრამატიკის მეორე რედაქციაში (1767) აღარ არის შეტანილი. საინტერესოა გვარის ტიპების მისეული განმარტება: ავტორი აღნიშნავს, რომ მოქმედებითი გვარის ზმნაში გამოხატული ცვლილება ხდება ქვემდებარის მოქმედებით (ფარნავაზ ჰსწყლავს), ხოლო ვნებითში ადგილი აქვს ქვემდებარის ცვლილებას (ვნებას) მისგან დამოუკიდებელი მიზეზით (იაზონ იწყლჟის), საშუალი გვარის ზმნაში კი გამოხატულია არსების მყოფობა (ვარ, ხარ, არის) ან ისეთი მოქმედება, რომელსაც არ ახლავს ვნება (ჰსუფევს, უბნობს), ან კიდევ – სულიერი განცდა სხვისი მოქმედების გარეშე (ჰსწყუბ) და სხვ. (იმ-ნაიშვილი 1979:25-28). ანტონი „უმეშუებით“ (საშუალი) გვარს ყოფს ორად: „ხატმემოქმედებითად“ და „ხატვნებითად“ (ანტონ I, 1885:159).

ანტონ პირველი ცდილობს მორფოლოგიურადაც განასხვავოს აქტიური და პასიური ზმნები ერთმანეთისაგან. იგი ახდენს გვარების დიფერენციაციას მაულღებელი ხმოვანი ნიშნების შესაბამისად. ამის მიხედვით, „შემოქმედებით“ გვარში რვა ტიპის უღლებაა გამოყოფილი. ვნებით გვართან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „პირველსა შინა პირსა საზღურებითისა აწმყოფსასა ი-ს მიერ ივნებითდებიან. ხოლო პირველსა შინა პირსა იქმნების ვნებითი. მაგალითებრ: ვიესუები, ვირწმუნები, განვიხდები, ვიქმნები...“. აქვე მოცემულია ოპოზიციური მოქმედებითი გვარისა და ინიანი ვნებითების უღლების პარადიგმები (ანტონ I, 1885:23). თ. უთურგაიძის დაკვირვებით, ანტონი ასხვავებს ვნებითი

გვარის ი- პრეფიქსს ე.წ. მედიაოქტივთა და მოქმედებითი გვარის ფორმათა ი-პრეფიქსისაგან (უთურგაიძე 1999:205). ანტონის აზრით, ვნებითი გვარის ზმნა, ი- ნიშნის გარდა, ვ სუფიქსითაც იცნობა (ვიდგმვი). იგი გამოყოფს ვ ნიშნით დაპირისპირებულ მოქმედებითი და ვნებითი გვარის საწყისებსაც კი, მაგ., ჭამა : ჭამვა, წერა : წერვა. -ოდი სუფიქსსაც ანტონი ვნებითი გვარის განმასხვავებელ ერთ-ერთ ნიშნად მიიჩნევს (ანტონ I, 1885:169-177; უთურგაიძე 1999:205). ავტორი ცდილობს სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე ფორმას განმასხვავებელი ნიშანიც მოუძებნოს.

ანტონს „ნათესავის“ მორფოლოგიურ საკითხებთან ერთად, სინტაქსურიც არ დარჩენია ყურადღების მიღმა. იგი მიუთითებს თუ რომელ ბრუნვას ითხოვს სახელისაგან (ქვემდებარისაგან, დამატებისაგან) ამა თუ იმ გვარის ზმნა-შემასმენელი: ანტონი აღნიშნავს, რომ ზმნისაგან მართული სახელი შეიძლება იყოს სახელობითსა და მიცემით ბრუნვებში. როცა ზმნა „შემოქმედებითია“ იგი „სამიებად“ ითხოვს წრფელობითს (=სახელობითს): „მოვიძულე ბოროტი, შეიწყნარა ჭემმარიტება“... მაგრამ სხვა ზმნები - მიცემითს: „ვესევდ ღმერთსა“ (ანტონ I, 1885:231-245; ფოცხიშვილი 1979:143-146; კიზირია 1997:14).

XVIII ს-ის ავტორებიდან გვერდს ვერ ავუვლით გაიოზ რექტორს, მიუხედავად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული თვალსაზრისისა, რომ იგი ძირითადად ანტონის დებულებებს ეყრდნობა – კონკრეტულად, ანტონ პირველის გრამატიკის მეორე რედაქციასა და მასში გამოყენებულ ტერმინოლოგიას. რექტორი ზმნის განმარტებისას ამოდის გვარის დეფინიციიდან და გამოყოფს სამ „ნათესავს“ (გვარს) და „უმუშეობითის“ (საშუალი გვარის) ორ სახეს. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გაიოზიც ზმნის ა- პრეფიქსს უკავშირებს მოქმედებით გვარს, ხოლო ვნებითი გვარის მაწარმოებლად გამოყოფს ი ხმოვანს თავში და ბოლოშიც. მისი აზრით, მოქმედებითი გვარის ზმნა გარდაიქმნება ვნებითად თუ ა- ხმოვანს შევცვლით ი- ხმოვნით და „განვუკიდურებთ ი-სავე“ (გაიოზ რექტორი 1970:76; იმნაიშვილი 1990:155).

ზმნის გვარის ფორმალიზაციის საკითხები ანალოგიურად არის განხილული არქიეპისკოპოს ვარლამ ერისთავის, დავით ბაგრატიონის, იოანე ბაგრატიონისა და სხვათა გამოცემებში, რომლებიც დაწერილია ანტონის გრამატიკის კონცეფციის საფუძველზე.

ძველი გრამატიკა-სახელმძღვანელოებისათვის ამოსავალი ლათინური გრამატიკებია, XIX ს-ის გრამატიკები კი XVIII ს-ის პერიოდის გრამატიკების საფუძველზეა შედგენილი, რაც თავისთავად მოიაზრებს ევროპულსაც. თუმცა მათში შემუშავებულია ახალი თვალსაზრისებიც. ამ პერიოდის გრამატიკებიდან ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე ავტორზე.

იოანე ქართველიშვილი ქართული ენის გრამატიკაში (1809) ცდილობს ზმნის „სახე“, ანუ გვარი დააკავშიროს კაუზატივთან. იგი გამოყოფს პირველ სახეს, სხმი-გარდასვლითსა და მრჩობლსხმი-გარდასვლითს. აქვე აღნიშნულია, რომ პირველისაგან იწარმოება მეორე, მეორისგან კი – მესამე. როდესაც საშუალო გვარი იქცევა სხმი-გარდასვლითად (კაუზატივად), იქნება შემოქმედებითი; ხოლო ამ ნაწარმოები შემოქმედებითი (მოქმედებითი) გვარისაგან კვლავ იწარმოება გვარი (ვნებითი). (ქართველიშვილი 1809:57-59). აქვე გახილულია ის ფონეტიკური პროცესებიც, რომლებიც გვარიდან გვარში გადაყვანას თან ახლავს. მაგ., მოქმედებითი გვარის ზმნების ბოლოკიდური თანხმოვნის წინა ა ხმოვანი იკარგება ი-ს დართვის შემთხვევაში და ვლებულობთ შეკუმშულფუძიან ვნებითს: შევჰკრავ – შევიკრვი. ი-ზე დასრულებული აწმყო დროის მოქმედებითი გვარის ზმნები ვნებითად გადაქცევის დროს ამ ხმოვანს კარგავენ -ები მარცვლის დართვის გამო: დავჰსჯი-დავიჰსჯები. გამოყოფილია სავრცობები და სხვა ნიშნები. ავტორს შემჩნეული აქვს, რომ შესაძლებელია აორისტსა და მყოფადში მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები დაემთხვეს ერთმანეთს. ამ დროს გარჩევა შესაძლებელია სუბიექტითა და ობიექტით (სინტაქსური კონსტრუქციით): „შევიყუარე მე ღმერთი“ – „შევიყუარე მე მოყუასთა ჩემთაგან“ (ქართველიშვილი 1809:115). ზმნის გვარის ანალიზისას ავტორი მის სინტაქსურ მხარესაც ეხება. ახსნილი და ნაჩვენებია, ამა თუ იმ გვარის ზმნა-შემასმენელს თუ რომელ ბრუნვაში უნდა შეეწყოს სახელი – ქვემდებარე, დამატება და ა. შ. (იხ. ფოცხიშვილი 1979:287-289, 302-304).

ნიკო ჩუბინაშვილი თავისი „ქართული ლექსიკონის“ შესავალში ზმნის გვარიდან გვარში მოქცევაზე, ანუ კონვერსიის საკითხზე ამახვილებს ყურადღებას და გამოყოფს „შემოქმედებითი“ გვარის ზმნებს, შესაბამისი ვნებითებითურთ. ავტორს შემჩნეული აქვს და ცალკე აჯგუფებს ისეთი ტიპის ნიმუშებსაც, რომლებსაც ვნებითში გადაყვანის

შემდეგაც შენარჩუნებული აქვთ თავიანთი აქტიური ბუნება (ვილოცები, ვიგინები...). ავტორი ვნებითი გვარის კიდევ ერთ ქვესახეს, „თუთვნებითს“ ასახელებს. „ზმნა თუთვნებითი არს, რაჟამს მოქმედი თუთვე ივნებდეს“ (ჩუბინაშვილი 1961:116). ნ. ჩუბინაშვილის აზრით, ვნებითია: „მიშენდების“, „ვიმზადები“, „ვიბმი“, ხოლო თვით-ვნებითია „ვებმი“, „ვემზადები“. როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, ტერმინი შექმნილია რუსული უკუქცევითი ზმნების გავლენით. საყურადღებოა, რომ ავტორი, გვარის ფორმაზე მინიშნებების გარეშე, ინიანის გვერდით აჯგუფებს ენიან და დონიან ნიმუშებს. ავტორი ასევე ყურადღებას ამახვილებს „მიჩემების“ (სათავისო) გამომხატველ ვერსიაზე (ჩუბინაშვილი 1961:115-118).

გვარის მიხედვით უღლების ტიპები ნათლად არის გამოკვეთილი სოლომონ დოდაშვილის „შემოკლებულ ქართულ დრამატიკაში“ (1830). ავტორი აწმყოში, პირველი პირის ნიშნის მიხედვით, ასახელებს ზმნათა უღლების ორ ტიპს: „უღვლილებანი ზმნისანი არიან ორნი“. მას ცალ-ცალკე აქვს ნაუღლები მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები, რომლებშიც გამოყოფილია ვინიანი და მანიანი ფორმები (დოდაშვილი 1961:115). აღსანიშნავია, რომ ს. დოდაშვილს შენიშნული ჰქონდა ქართული ზმნის მოქმედებითი გვარის ერგატიულობაც. გამოყოფილია, ერთი მხრივ, ვიცი, ვუწყი და, მეორე მხრივ, სძინავს, ეშინის, უყვარს ზმნათა თავისებურებები. პირველნი „აწმყოსა და ნამყოსა უსრულსა დროთა შინა მიიღებენ უფლად ბრუნვასა მოთხრობითსა და ძიებად შემასმენლობითსა“, ხოლო მეორენი „მიიღებენ მარადის უფლად მიცემითსა ბრუნვასა, ხოლო ძიებად სხვადასხვა ბრუნვათა“ (იქვე, 144). „უფალი“ ქვემდებარეა, ხოლო „ძიება“ – დამატება.

ანგარიშგასაწევია მარი ბროსეს გრამატიკა (1834), რომელშიც ა- პრეფიქსი (ზმნებში) დაკავშირებულია მოქმედებით გვართან და დაპირისპირებულია ვნებითის ი- და ე- პრეფიქსებთან (იხ. არნ. ჩიქობავა 1965:137).

ანტონის და, ზოგადად, ადრინდელ გრამატიკებში ზმნის გვართან დაკავშირებულ ძირითად თვალსაზრისებს (უმნიშვნელო მოდიფიკაციით) იმეორებენ შემდეგ გამოცემული გრამატიკის ავტორები: პლ. იოსელიანი (1840); დ. ჩუბინაშვილი (1855); უცნობი ავტორი (ქ. მონთობანში გამოცემული გრამატიკა, 1877); დ. ყიფიანი (1882); პ.

კვიცარიძე (1888); ა. ქუთათელაძე (1897); თ. ჟორდანიას (1889); მ. ჯანაშვილი (1906); ს. ხუნდაძე (1907).

ძველ ქართულ გრამატიკებში (XVIII-XIX სს.) ზმნის გვართან დაკავშირებული საკითხის შესწავლა-ანალიზისას გამოიკვეთა, რომ მათში გამოთქმული კონკრეტული დებულებები და თვალსაზრისები დღესაც საკმაოდ აქტუალური და ანგარიშგასაწევია ქართველური ზმნის რთული ბუნების კვლევისას. კერძოდ:

1. გვარის დეფინიცია: გრამატიკული გვარის ტიპები წარმოდგენილია ზმნის შინაარსიდან ამოსვლით. ფაქტობრივად, ზმნის განმარტებით მოცემულია გვარის განმარტება: ზმნა არის „ქმნისა“ და „ვნების“ გამომხატველი სიტყვა. „ქმნისა“ და „ვნების“ შინაარსის გამოხატვისთვის დაძებნილია შესაბამისი ფორმები;

2. გვარებად დაყოფა: გვარის ფორმებად არის მიჩნეული კაუზატივი და ვერსიაც. მათი გათვალისწინებით გამოყოფილია შემდეგი სახეები: მოქმედებითი, თვითმოქმედებითი, სხმით-გარდასვლითი, მრჩობლსხმით-გარდასვლითი, ვნებითი, თვითვნებითი, ვნებით-დაწყებითი, „ვნებითმაგვარი“ (დეპონენსები), ურთიერთობითი, საშუალო, ხატ-შემოქმედებითი, ხატვნებითი, არსებითი, უკუქცევითი, კუთვნილებითი...

3. აქტივობა-პასივობის საიდენტიფიკაციო მარკერი:

ა) შინაარსი (ქმნა, ვნება, არსობა)

ბ) ფორმა, მოდელი (ა და ი ხმოვნების დაპირისპირება გვარების მიხედვით; ვნებითში -ები-ს გამოყოფა)

გ) კონსტრუქცია (სხვადასხვა გვარის ზმნა-შემასმენელთან ქვემდებარე-დამატება შესაბამისი ბრუნვის ფორმებით);

4. კონვერსიის პრინციპი: „ყოველნი მოქმედებითნი გადაკეთდებიან ვნებით ზმნებად“ და „მოქმედებითი დარგის ზმნის ვნებითად გარდაქცევისას ქვემდებარე სახელობით და მიცემით ბრუნვიდან გადადის ნათესაობითის ბრუნვაზე და ემატება თანდებული -გან, -მიერ“ (მ. ჯანაშვილი);

5. დეპონენსები: „ვნებითმაგვარი“ ზმნები, რომლებსაც სახე აქვთ ვნებითი ზმნის, ხოლო მნიშვნელობა მოქმედებითის („ვილოცები სხვების მიერ“, „ვილოცები თვითონ“) (მ.

ჯანაშვილი); ზმნები, რომლებიც ვნებითად გაფორმების შემდეგაც ინარჩუნებენ მოქმედებითის შინაარს - ვიწერინები წიგნს, მოვიწერე წიგნი (ნ. ჩუბინაშვილი);

6. თვითვნებითი: „ზმნა თვითვნებითი არს, რაჟამს მოქმედი თვითვე ივნებდეს“ (ნ. ჩუბინაშვილი); ვებმი, ვეწერები, ველაპარაკები, ვიწერები (ნ. ჩუბინაშვილი, დ. ჩუბინაშვილი);

7. საშუალი გვარი: (თვითმოქმედებითი - თ. ჟორდანია, უმუშვეობითი - ძვ. ავტ.) გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც ერთი საგნიდან მეორეზე კი არ გადადის, არამედ თვით მასში (ქვემდებარეში) რჩება (ვიბრძვი, ვიცინი, ვკიდივარ) (პ. კვიციანი);

8. ურთიერთობითი: ანუ ორთა შუა მოქმედების აღმნიშვნელი თვითმოქმედებითი ზმნები - „ვეჭიდები“, „ვედავები“, „მეწებება“, „ვეხები“ (თ. ჟორდანია);

9. უკუქცევითი: ზმნები „ვეწერები“, „ვეძმები“, „ვეჩაგვრინები“, „ვეყმები“ მართალია, ვნებითს ჰგავს, მაგრამ ვნებითი არ არის, უკუქცევითი ფორმებია (მ. კელენჯერიძე). „წითლდება“, „ნათლდება“ - ასეთი ფორმები არის ზმნის „უკუქცევითი სახე“, რომელიც განსხვავდება ვნებითისაგან („გაინათლება“). ვნებითი ასახავს ძალდატანებულ მოქმედებას, უკუქცევითი - ძალდაუტანებელს, ორივე შემთხვევაში ქვემდებარე უმოქმედოა (ჟორდანია 1889:50-51);

10. კუთვნილებითი: („მიჩემებითი“ ფორმები) ასეთი ტიპის ზმნები იწარმოება მოქმედებითი (ვიწერ, მიშენებს) და უმუშვეობითი (მიყეფს) ზმნებისაგან. იგი შეიძლება ჰქონდეს ვნებითეზსაც (ვიწერინები, ამიტირდება, ველაპარაკები);

11. კაუზაცია: ვნებითსაც და თვითვნებითსაც აქვთ თავიანთი განკერძოებული ფორმები - „სხმითგარდმოსვლითი“ (ვიჭრეინები, ვეჭრეინები) და „ორსხმითგარდმოსვლითი“ (ვიჭრეინებინები, ვეჭრეინებინები) (პ. კვიციანი).

დ. ყიფიანი შენიშნავს, „რა ცვლილებაც უნდა მიეცეს ზმნასა, რა სახელიც უნდა დაერქვას, „ვნებითი“, „უკუქცევითი“, „უმუშვეობითი“ თუ „ურთიერთობითი“ - მაინც ან მოქმედებითი იქნება ან მდგომარეობითი. ამ ორ ბანაკს ვერცერთი ხმა ვერ წაუვა“ (ყიფიანი 1882:69).

0.2. გვარის კატეგორიის მეცნიერული შესწავლა და მისი გამოყოფის საფუძვლები. ქართული ზმნის გვარის კატეგორიის მეცნიერული შესწავლა აკაკი შანიძის სახელთან არის დაკავშირებული. ვნებითსა და მოქმედებით გვარს მეცნიერი ეხება 1920 წ. ზმნის პრეფიქსების შესახებ გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომში ², ხოლო მეცნიერულად შესწავლილი და განხილული აქვს „ქართული გრამატიკის საფუძველებში“ (1953).

გვარის კატეგორიის შესახებ მსჯელობა ასევე მოცემულია ნ. მარის, ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ქ. ლომთათიძის, ჰ. შუხარდტის, გ. დეეტერსის, თ. გამყრელიძის, გ. მაჭავარიანის, ფ. ერთელიშვილის, გ. იმნაიშვილის, ი. იმნაიშვილის, ი. ქავთარაძის, ლ. ნოზაძის, დ. მაჭავარიანის, ჰ. ფოგტის, ბ. ჯორბენაძის, მ. სუხიშვილის, დ. მელიქიშვილის, გ. გოგოლაშვილის, თ. ღვინაძის, კ. დანელიას, დ. მელიქიშვილის, რ. ასათიანის, მ. მარგველაშვილის, რ. შეროზიას, გ. ნებიერიძის, ა. ონიანის, ა. ჰარისის, დ. ჰოლისკის მ. ჩუხუას და სხვათა ნაშრომებში.

გვარის კატეგორიის სხვადასხვაგვარი განსაზღვრება და ტიპოლოგიური დეფინიცია არსებობს. ჩვენ აქ განვიხილავთ ოთხ ძირითად თვალსაზრისსა და კრიტერიუმს, რომელთა მიხედვითაც ქართულში გვარი არის გამოყოფილი.

ა) **ლექსიკურ-გრამატიკული:** ტრადიციულ ქართულ გრამატიკაში ზმნის გვარი განმარტებულია, როგორც „ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს ურთიერთობას გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის: გამომდინარეობს მოქმედება სუბიექტური პირისაგან და სხვა პირზეა პირდაპირ დამართებული, განიცდის ამ მოქმედებას, თუ გამომდინარეობს მისგან, მაგრამ ისე, რომ არც სხვა პირზეა დამართებული და არც განცდილია სხვისი ზემოქმედებით“ (შანიძე 1980:267). შესაბამისად, გამოყოფილია ზმნის სამი გვარი: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალო (იქვე, 267).

ბ) **მორფოლოგიური:** არნ. ჩიქობავას მიხედვით, ზმნის გვარში საგანგებო თავსართ-ბოლოსართით ანუ ფორმით „მოქმედება წარმოიდგინება მოქმედის თვალსაზრისით (სუბიექტიდან ამოსვლით) თუ მოქმედების ობიექტის თვალსაზრისით (სუბიექტისაგან განყენებით) ე. ი. ზმნას შეუძლია აჩვენოს გვარები – მოქმედებითი და ვნებითი“ (ჩიქობავა 1950:050).

² ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში, ტფილისი, 1920.

გ) სინტაქსურ-მორფოლოგიური: „...გვარი ქართულში არის სინტაქსურ-მორფოლოგიური, გრამატიკული კატეგორია, ზმნა-შემასმენლის კატეგორია, რომელიც ზმნის გარკვეული ფორმით (მოდელით) აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით“, ანუ „გვარის ფუნქციაა წარმოადგინოს გარკვეული სინტაქსური ურთიერთობა მორფოლოგიური საშუალებებით“ (ჯორბენაძე 1975: 9, 18).

დ) სემანტიკური: დ. მელიქიშვილის ახალი ლინგვისტური თეორიის მიხედვით, „გვარი არის დიათეზის ქვეკატეგორია სემანტიკური ნიშნით გამოყოფილი“ (მელიქიშვილი 2014:72).

ზმნის გვარებად კლასიფიკაციისას აღსანიშნავია დ. კარიჭაშვილის „ქართული ენის გრამატიკა“ (1929 წ.), რომელშიც ზმნის გვარი განსხვავებული კლასიფიკაციით არის წარმოდგენილი. ავტორი სამ გვარს გამოყოფს: მოქმედებითს, ვნებითსა და ყოფა-მდგომარეობითს. დ. კარიჭაშვილი ამ უკანასკნელში სტატიკურ ზმნებს აერთიანებს, მაგ.: ვარ, ვწევარ, ვზივარ... ხოლო ასეთ ფორმებს, როგორცაა – ვცოცავ, ვიბრძვი, ვშფოთავ, ვღელავ, ვბრუნავ – მოქმედებითი გვარისად მიიჩნევს, რადგან ისინი „აღნიშნავენ საგნის მოქმედებას, საქმიანობას“. დ. კარიჭაშვილი ზმნებს – ვდნები, ვკვდები, ვხტები – ვნებითების კვალიფიკაციას ანიჭებს, რადგან, ავტორის აზრით, ისინი გამოხატავენ „იმ მდგომარეობას, რომელშიაც იგია ჩაყენებული გარეშე მიზეზით ან იმ მოქმედებას, რომელსაც ის განიცდის“ (იხ. კარიჭაშვილი 1929:52).

გვარის კატეგორიის შესწავლისას ქართველ მეცნიერებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ ის სირთულეებიც, რომლებიც გვარის გრამატიკული კატეგორიის გამოყოფას უკავშირდებოდა. მაგალითად, ვნებით გვარში ფორმისა და ფუნქციის შეუთავსებლობის პრობლემა. მოცემული ფაქტი არაერთი მეცნიერის მიერ აღნიშნულა შესაბამის ლიტერატურაში (შანიძე 1981:196; ლომთათიძე 1953:77; ჯორბენაძე 1983:136-141; მელიქიშვილი 2001:65, 2014; ტუიტი 2002; ასათიანი 2009:39; სუხიშვილი 2016 და სხვ.). აღნიშნული საკითხი ასევე შემჩნეულია მეგრულ-ლაზურშიც (იხ. მარი 1910:057, ყიფშიძე 1994:122, დანელია 1976).

ამგვარ პრობლემებს სათანადო ყურადღებას უთმობს ბ. ჯორბენაძე გვართან დაკავშირებულ სპეციალურ ნაშრომში. მეცნიერი აღნიშნავს, რომ ვნებითი გვარის ფორმა, რომელიც გულისხმობს პასიურობის მორფოლოგიურ გამოხატვას, ხშირად აქტიურ შინაარსაც გადმოსცემს და ხშირ შემთხვევაში შინაარსი და ფორმა შეუთავსებელია (ჯორბენაძე 1975).

ა. შანიძე ამ საკითხს „დეპონენსების“ შემოტანით წყვეტს³. მეცნიერი განიხილავს დეპონენსთა სხვადასხვა ფორმას, კონსტრუქციას, მის ორბუნებოვნებას (რიგ შემთხვევებში) და უხვად მოჰყავს მაგალითები ძველი, საშუალო და ახალი სალიტერატურო ქართულიდან (შანიძე 1980:281-284). აქვე მითითებულია, რომ მედიალურ ფორმათა რელატიურად ხმარებისას გამოიყენება ვნებითი (resp. დეპონენსი): საუბრობს – ესაუბრება, ხუმრობს – ეხუმრება და სხვ. (იქვე 290). თუმცა ავტორი პირიან ფორმათა ანალიზისას აღნიშნავს, რომ ფორმისა და ფუნქციის სადავო საკითხების გადაწყვეტისას უპირატესობა ფუნქციას უნდა მიენიჭოს: „სადაც ფუნქციას აღარ შეეფერება ის გრამატიკული სამოსი, რომელსაც ის ატარებს, გამოსავალია ფუნქცია და სიტყვის გრამატიკული კვალიფიკაცია ახალი შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს“ (შანიძე 1980:186).

აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ა. ჰარისი აღწერითი ვნებითებისათვის, რომლებიც უფრო ადეკვატურად გამოხატავენ ვნებითობის ცნებას, გვთავაზობს ტერმინს – პასივი, ხოლო პასივის სინთეზური ფორმებისათვის, ტრადიციული გრამატიკის მიხედვით – ვნებითს (ჰარისი 1981).

ბ. ჯორბენაძე გვარის კატეგორიის განხილვისას ასევე ვრცლად მსჯელობს სხვა იმ ხარვეზზე, რომლებიც გვარის დეფინიციასთან და ე.წ. საშუალო გვარის გამოყოფასთან არის დაკავშირებული:

ა) საშუალო გვარის გამოყოფა, რომელიც მხოლოდ ფუნქციურია და ემყარება, ერთი მხრივ, სტატიკურობას, მეორე მხრივ, თავისებურ უღლებას, ავტორის აზრით, სპეციალური თვალსაზრისის შემუშავებასა და უფრო მეტ დასაბუთებას მოითხოვს (ჯორბენაძე 1975:11).

³ დეპონენსები ცალკე გვარის ფორმებად პირველად მოსე ჯანაშვილმა გამოყო, შესაბამისად, ტერმინიც მან გამოიყენა პირველად ქართველ გრამატიკოსებს შორის (იხ. კაკაჩია, და სხვ. 2013:206).

ბ) მეცნიერს გვარის განმარტებაში მოქმედების პირდაპირ ობიექტზე მიმართვა გაუმართლებლად მიაჩნია, რადგან, მისი აზრით, გარდამავლობასა და გვარს შორის ზღვარი იშლება და ეს შეუძლებელია იმიტომ, რომ არსებობენ ენები, რომლებშიც გარდამავლობა-გარდაუვლობა გარჩეულია, გვარი კი არ არის დღემდე ჩამოყალიბებული (ჯორბენაძე 1975:11).

გ) მეცნიერი ასევე ეხება უკუქცევითობის პრობლემას. მისი აზრით, უკუქცევითობა და გვარი სხვადასხვა ენობრივი ცნებებია და მათი გაუმიჯნაობა გაუმართლებელი აღრევის მიზეზი შეიძლება გახდეს (ჯორბენაძე 1975:18-19).

ბ. ჯორბენაძე, მიუხედავად აღნიშნული წინააღმდეგობრივი საკითხებისა, ზმნის გვარს განიხილავს როგორც გრამატიკულ, მორფოსინტაქსურ კატეგორიას და მას სისტემურად ჩამოყალიბებულად მიიჩნევს ქართველურ ენებში.

ზმნის გვარის კატეგორიის საკითხი ქართულში გამოწვლილვით არის განხილული და შესწავლილი „თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის“ აკადემიურ გამოცემასა (იხ. გოგოლაშვილი, არაბული, სუხიშვილი და სხვ. 2011) და „ახალი ქართული ენის“ მე-2 წიგნში (გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით, 2016). სახელმძღვანელოებში, სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად, გამოკვეთილია ის წინააღმდეგობებიც, რომლებიც ზმნის გვართან არის დაკავშირებული. „მიუხედავად გარკვეული არათანმიმდევრულობისა, გვარი ერთ-ერთ წარმმართველ“ კატეგორიად არის მიჩნეული (ახალი ქართული ენა 2016:181-243).

ზმნის გვარის პრობლემებს თავის ნაშრომებში დიდ ყურადღებას უთმობს დ. მელიქიშვილი (იხ. მელიქიშვილი 2001; 2014). მეცნიერი გვარის ფორმალიზაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს გრამატიკული დიათეზის კატეგორიის შემოტანით წყვეტს, რომლის ფარგლებში გვარი კაუზატივთან, რეფლექსივთან და ვერსიასთან ერთად ერთ-ერთ კერძო (გრამატიკულად არამარკირებულ) გამოვლინებად არის მიჩნეული (იხ. მელიქიშვილი 2014:81).

0.3. გვარისა და დიათეზისის ურთიერთმიმართებისათვის. ზოგადად, სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი დიათეზისის, რომლის თარგმანს წარმოადგენს გვარი,

მრავალგვარი განმარტება და ტიპოლოგიური კლასიფიკაცია არსებობს. ლინგვისტურ ლიტერატურაში იგი გამოყენებულია შემდეგი ძირითადი მნიშვნელობებით:

1) დიონისე თრაკიელის ტრადიციული ბერძნული დიათეზისი (διάθεσις) და თანამედროვე, ევროპული / ქართული გრამატიკული გვარი (voice) სრულად ფარავს ერთმანეთს, ანუ დიათეზა იგივეა, რაც გვარი.

2) არისტოტელესთან დიათეზისი (διάθεσις = სიტყვასიტყვით მიმო-დადება) განმარტებულია, როგორც მთელის ნაწილთა გარკვეული მიმდევრობა, ანუ რიგი, განლაგება – ἰάξις, რომელიც ცვალებადია (ცვალებადობას ემორჩილება, შეიძლება შეიცვალოს), განსხვავებით ἕξις-ისაგან, რომელიც თავისი ბუნებით სტაბილურია, უცვლელია, მუდმივია. „არისტოტელეს ზოგადი კონცეფციიდან გამომდინარე, დიათეზის გრამატიკული კატეგორია არის ზმნური შესიტყვების სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ორგანიზაციისა და ზმნური აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა, რომელიც განსხვავებულია სხვადასხვა ენაში“ (იხ. მელიქიშვილი 2014:79; 94).

3) სანქტ-პეტერბურგის ტიპოლოგიაში მომუშავე ჯგუფის მიერ გამოყენებული ტერმინი დიათეზა განსხვავდება ბერძნული და ევროპული (1) დიათეზისაგან. აქ დიათეზა განისაზღვრება სემანტიკური მონაცემებისათვის გრამატიკული ფუნქციის მინიჭებით: პირველი, ლოგიკურ-სემანტიკური დონე მოიცავს სემანტიკურ როლებს, როგორცაა – Agent აგენსი/მოქმედი, Patient (პაციენსი/სამოქმედო), Dative (ადრესატი / ის ვისთვისაც მოქმედება არის განკუთვნილი), Experiencer (ექსპერიენსერი/ რაღაცის აღმქმელი ან განმცდელი პირი), ხოლო მეორე დონე მოიცავს გრამატიკულ ურთიერთმიმართებებს სემანტიკურ როლებსა და სინტაქსური ფუნქციების აქტანტებს შორის, როგორცაა: Subject [S] (სუბიექტი), Direct Object[DO] (პირდაპირი ობიექტი), Indirect Object [IO] (ირიბი ობიექტი) და Oblique Object [Obl] (უბრალო ობიექტი)⁴. გვარი კი არის ვერბალურად კოდირებული დიათეზა. თუ აგენსი მარკირებულია სუბიექტად, ხოლო პაციენსი – პირდაპირ ობიექტად, მაშინ გვაქვს მოქმედებითი დიათეზა/გვარი. თუ პაციენსი მარკირებულია სუბიექტად, ხოლო აგენსი ზმნის არგუმენტული მიმართების

⁴ ეს უკანასკნელი გამოიყენება არამარკირებული შემთხვევების დროს და მას სემანტიკური მნიშვნელობა უფრო აქვს, ვიდრე - სინტაქსური.

მიღმა და გადაქცეულია თანდებულიან გარე არგუმენტად (უბრალო ობიექტად), მაშინ გვაქვს ვნებით დიათეზა/გვარი (იხ. მელჩუკი, ხოლოდოვიჩი 1970; მელჩუკი 2006; კულიკოვი 2011)⁵.

4) ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში დ. მელიქიშვილის მიერ შემოღებული ტერმინი ეყრდნობა არისტოტელეს დიათეზისის კონცეფციას, სადაც „დიათეზის გრამატიკული კატეგორია არის ზმნური შესიტყვების სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ორგანიზაციისა და ზმნური აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა“ (იხ. მელიქიშვილი 2014:94). შესაბამისად, იგი განსხვავდება ტრადიციული და სანქტ-პეტერბურგის სკოლის მიერ გამოყენებული დიათეზისაგან, რომელიც თავისი არსით უფრო ახლოს არის ქართული მორფოსინტაქსური გვარის კატეგორიის გაგებასთან⁶.

დ. მელიქიშვილის აზრით, დიათეზა არის ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია, რომელიც ხასიათდება მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით. იგი ზმნის უღლებადი ფორმების მთავარი საკლასიფიკაციო ნიშანია, რომლის საფუძველზეც გამოიყოფა ქართული ზმნის ფორმაცვალების, უღლების სამი ტიპი, სამი დიათეზა (მელიქიშვილი 2014:79, 82-96).

მეცნიერი მიიჩნევს, რომ გრამატიკული დიათეზა უფრო ადეკვატურად ასახავს და პასუხობს იმ პრობლემურ საკითხებს, რომლებიც ზმნის გვართან დაკავშირებით არის წარმოჩენილი, კერძოდ:

1. ტერმინოლოგიის აღრევა: გვარის გრამატიკული კატეგორიის ანალიზი ლოგიკური ცნება-ტერმინებით, როგორცაა „სუბიექტი“ და „ობიექტი“ საწყისშივე მცდარია, ასეთი მიდგომა გამართლებულია გვარის მხოლოდ სემანტიკური კლასიფიკაციის დროს;

2. კონვერსიის უსაფუძვლობა: ა. შანიძის კონვერსიის განსაზღვრის მიხედვით, სადაც მხოლოდ აქტივი და პასივი იმყოფება ერთმანეთთან კონვერსიულ დამოკიდებულებაში, სისტემის გარეთ არის დარჩენილი ადამიანის სულიერი და ფიზიკური მდგომარეობის გამომხატველი ზმნები;

⁵ ამ დეფინიციას ეყრდნობა 2013 წ. გამოქვეყნებული ზ. ბარათაშვილის ნაშრომი „დიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში“ (იხ. ბარათაშვილი 2013)

⁶ დიათეზისების კვლევისას მნიშვნელოვანია, მითითებული იყოს, თუ რომელ კონცეფციას ეყრდნობა მკვლევარი - ტრადიციულს, სანქტ-პეტერბურგის სკოლას თუ ქართულში დამკვიდრებულ დიათეზას.

3. ფორმისა და შინაარსის შეუთავსებლობა: ვნებიტი გვარი, რომელიც სემანტიკური ნიშნით არის გამოყოფილი და სუბიექტის პასივობას გულისხმობს, ხშირად შეუთავსებლია ფორმასთან. ასეთი ტიპის ზმნები, უმრავლეს შემთხვევაში, აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ (იხ. მელიქიშვილი 2014).

დ. მელიქიშვილის აზრით, დიათეზა „საერთოა ქართველური ზმნური შესიტყვებისათვის, რომელმაც მეგრულსა და ლაზურში გარკვეული ცვლილება განიცადა, რაც მეტყველების ეკონომიურობის ტენდენციითა და ენობრივი მოვლენებისათვის დამახასიათებელი სისტემური ანალოგიის პროცესებით აიხსნება, რაც ერთგვაროვანია ქართველურ ენა-კილოებში“ (მელიქიშვილი 2014:94).

0.4. გვარის შესწავლის ისტორიისათვის მეგრულ-ლაზურში. ზანურში ტერმინი გვარი პირველად მ. აჭარიანის „ლაზური ენის ეტიუდებში“ (1899) არის ნახსენები. ავტორი აღნიშნავს, რომ ლაზურ ენას აქვს მოქმედებითი და ვნებიტი გვარი. ვნებიტის მაწარმოებლად გამოყოფილია ი- პრეფიქსი, აქვე მოხმობილია შესაბამისი ნიმუშებიც: იზადი, დოიზადი, დოიზადამინონ (აჭარიანი 1899:427).

უნდა აღინიშნოს, რომ მეგრულ-ლაზურის მეცნიერული შესწავლა დასაბამს XX ს-დან იღებს და, უპირველესად, იგი ნიკო მარისა და იოსებ ყიფშიძის სახელებს უკავშირდება. თუმცა ნ. მარი 1910 წელს გამოცემულ ჭანური (ლაზური) ენის აღწერითი ხასიათის გრამატიკაში აღნიშნავს, რომ ზმნა და განსაკუთრებით გვარის კატეგორია მას საფუძვლიანად შესწავლილი არა აქვს (მარი 1910:45). სწორედ ამით არის განპირობებული ის, რომ ავტორს, იაფეტურ თეორიაზე დაყრდნობით, გამიჯნული არა აქვს გვარის, ქცევისა და კაუზატივის ფორმები.

მკვლევარი ჭანურში (resp. ლაზურში) ორ გვარს გამოყოფს – მოქმედებითსა და ვნებიტს. იგი მოქმედებით გვარს, ხმოვანპრეფიქსების მიხედვით, ოთხ ტიპად ყოფს:

I ტიპი – ხმოვანპრეფიქსის გარეშე, მაგ., ბჭარუმ „ვწერ“;

II ტიპი – ი- (ათინურში -ინ) ხმოვანპრეფიქსით, მაგ., ბ-ი-ჭარუმ“ვიწერ“;

III ტიპი – ო- ხმოვანპრეფიქსით, მაგ., ვ-ო-გზამ „ვანთებ“;

IV ტიპი – ო- ხმოვანპრეფიქსით და -აფ-ით გავრცობილი, მაგ., ვ-ო-ნჭარ-აფ-ამ „ვაწერინებ“ (მარი 1910:45-46).

ვნებითისთვის ნ. მარი ორ ტიპს ასახელებს. ამასთან, ჭანურში-დ სუფიქსურ წარმოებაზეც ამახვილებს ყურადღებას და გამოთქვამს ვარაუდს, რომ მსგავსი ძირები ქართული წარმოშობისაა. მაგ., გომოჭკონ-დ-უ „დამავიწყდა“, გაბწყენ-დ-ურ „მოვწყინდი“.

ავტორი ბხერ „ვზივარ“ ფორმას ასევე ვნებითი გვარის კვალიფიკაციას ანიჭებს (მარი 1910:57).

ი. ყიფშიძე 1914 წელს პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში – „გრამატიკა მეგრული (იბერიული) ენისა ქრესტომათიითა და ლექსიკონით“, ზმნის გვარს გარკვეულ ყურადღებას უთმობს. იგი მეგრულში ორი ფორმის ზმნებს გამოყოფს – მოქმედებითსა და ვნებითს. ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ზმნები ერთმანეთისაგან უღვლილებით განსხვავდება. საშუალო გვარს საკუთარი ფორმა არა აქვს, იგი უღვლიებისას ხან მოქმედებითის ფორმას მიჰყვება, ხან – ვნებითისას (ყიფშიძე 1994:057). ი. ყიფშიძე, ზოგადად, ნ. მარის თვალსაზრისს იზიარებს. იგი მოქმედებითი გვარისათვის ასევე ასახელებს წარმოების ოთხ ტიპს, თუმცა, მარისაგან განსხვავებით, ვნებითი გვარისათვისაც ოთხი ტიპი აქვს გამოყოფილი (ყიფშიძე 1914:122).

აღნიშნულ გამოცემებში, როგორც აღინიშნა, ასევე ყურადღება ეთმობა შინაარსისა და ფორმის შეუთავსებლობის საკითხსაც (იხ. მარი 1910:57; ყიფშიძე 1994:122). ვნებითმა გვარმა შეიძლება გადმოგვცეს მოქმედებითი გვარის შინაარსი და პირიქით. ზოგჯერ კი შესაძლებელია ერთი ფორმა ორივე გვარის შინაარსით იყოს გამოყენებული: იბჭარუაფუქ „ვიწერები (ვწერ) / ვიწერები (მე, წერილი)“ (ყიფშიძე 1994:122).

არნ. ჩიქობავა მეგრულ-ლაზურში სამ გვარს ასახელებს – მოქმედებითს, ვნებითსა და საშუალოს. „მოქმედებითი გვარისაა ყველა გარდამავალი ზმნა; ვნებით გვარს დადებითი საწარმოებელი ნიშნები გააჩნია; საშუალო გვარისა იქნება ყველა გარადუვალი ზმნა არა ვნებითი გვარისა“ (ჩიქობავა 1936:57). შემდგომ არნ. ჩიქობავამ ორი გვარი გამოყო – მოქმედებითი და ვნებითი. მედიალურ ზმნებს კი უგვარო სტატისკურ ზმნათა კვალიფიკაცია მიანიჭა (ჩიქობავა 1948).

ამავე აზრისაა მ. ჩუხუა. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ზანურში მოქმედებითი და ვნებითი გვარი მკაფიოდ არის გამოკვეთილი, ე.წ. მედიალურები კი გვარგანუვითარებელი

ფორმებია, რაც ნაწილობრივ მათი სემანტიკითა და მნიშვნელოვანწილად სტატიკურობით არის განპირობებული (ჩუხუა 2015:57-58).

მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, ქართველური ენები ამ მხრივ არსებითად ერთნაირ სურათს გვიჩვენებს, კვალიფიკაციაც ამიტომ, ცხადია, ერთნაირ სახეს მიიღებს (ონიანი 1978:225). თუმცა გასათვალისწინებელია რ. ასათიანის მიერ ქართველურ ენებში გვარის კატეგორიის რეინტერპრეტაციისა და რეკონსტრუქციის მცდელობისას გაკეთებული დასკვნა, რასაც მხარს უჭერს ზანურის მასალაც: „ამ [გვარის] კატეგორიის საბოლოო ფორმირება და მორფოსინტაქსურ კატეგორიად ჩამოყალიბება უკვე დამოუკიდებლად ხორციელდება ყოველ ქართველურ ენაში და, ამდენად, გარკვეულ ფუნქციურ-სემანტიკურსა თუ ფორმალურ თავისებურებებსაც ავლენს“ (იხ. ასათიანი 2015:25).

0.5. კვლევის სირთულე – მთავარი ამოცანები და განხორციელების გზები. ზმნის გვარის ასახსნელად/დასაზუსტებლად შექმნილმა არაერთგვაროვანმა ტერმინებმა და მასთან დაკავშირებულმა არაგამჭვირვალე საკითხებმა როგორც ევროპულ, ისე ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კიდევ ერთხელ დაგვანახა გვარის სიღრმისეული სირთულე. მეცნიერები ზმნის გვარს სხვადასხვა კუთხით განიხილავენ იმის მიხედვით, თუ რა არის მათთვის უფრო პრიორიტეტული: სემანტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი თუ შუალედური სისტემები. რადიკალურად განსხვავებულია თვალსაზრისები თვით ერთი კატეგორიის ფარგლებშიც კი, ასევე – ერთი ავტორის მიერ სხვადასხვა დროს გამოცემულ ნაშრომებშიც. ცხადია, იცვლება შეხედულებები, კვლევის მეთოდები და მიდგომები, თუმცა იმავე უცვლელი და გადაუჭრელი პრობლემებით არის წარმოდგენილი გვარის კატეგორია ქართულში, როგორც ეს იყო სამი საუკუნის წინ ძველ ავტორებთან.

აღნიშნულმა და კიდევ სხვა მრავალმა ტექნიკურმა საკითხმა (ნაწილი კვლევის პროცესში გამოიკვეთა) მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანების წინაშე დაგვაყენა, მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ზმნის გვარი მეგრულ-ლაზურში დღემდე სპეციალურად შესწავლილი არ ყოფილა.

ჩვენი კვლევის მთავარი ამოცანა და მიზანი გახდა, ჩაგვეტარებინა სტატისტიკურად აუცილებელი და საკმარისი რაოდენობის ზმნური ფორმების მორფოლოგიური და

სინტაქსური ანალიზი, ამოვსულიყავით ზანურის მხოლოდ ორგანული მასალიდან და ინდუქციის პრინციპით მივსულიყავით ქართულ მონაცემებთან, შეგვედარებინა და მხოლოდ ამის შემდგომ გაგვეკეთებინა შესაბამისი ლოგიკური დასკვნები.

მეგრულ-ლაზურში მთავარ სირთულეს XX ს-ზე ადრინდელი დოკუმენტირებული ტექსტების არქონა ქმნიდა, რაც ზმნურ ფორმათა დიაქრონიული ვითარების გასათვალისწინებლად არასახარბიელო სურათს იძლეოდა. გვარის კატეგორიისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა ახსნა თითქმის შეუძლებელად გვეჩვენებოდა ზმნურ ფუძეთა განვითარების დინამიკის გათვალისწინების გარეშე.

საბოლოოდ, შესასრულებელი ამოცანები ასე განისაზღვრა:

1. უნდა შეგვექმნა სტრუქტურირებულ ზმნური ფორმების მონაცემთა ბაზა, რომელიც დაეყრდნობოდა დღემდე გამოცემულ მეგრულ და ლაზურ ლექსიკონებს, ტექსტებსა და ასევე საველე მუშაობის შედეგად ჩვენ მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალას;

2. უნდა მოგვეპოვებინა და გავცნობოდით კვლევასთან დაკავშირებულ უცხოურ თანამედროვე ლიტერატურასა და ტექნიკური კვლევის უახლეს მეთოდებს;

3. სწორად უნდა შეგვეჩია და განგვესაზღვრა ტერმინოლოგია, რადგან გვექონდა იმის შიშიც, რომ „ქართული ზმნის აღსაწერად გამოყენებული ქართული ტრადიციული ენათმეცნიერებისათვის კარგად ნაცნობი და პოპულარული ტერმინოლოგია ხშირად უცხო იყო საერთაშორისო ლინგვისტური აუდიტორიისათვის“ (იხ. თ. მახარობლიძე 2012). ასევე ა. ჰარისი აღნიშნავს, რომ უცხოურ ლიტერატურაში ქართული ზოგჯერ აღწერილია ტოტალურად თავისებურ ენად, სადაც „სუბიექტის“, „ობიექტისა“ და „ირიბი ობიექტის“ ცნებებს არა აქვთ ცალსახა შესაბამისობა“ (ჰარისი 1981:01).

დასახული ამოცანების განხორციელება დიდ ძალისხმევას მოითხოვდა, თუმცა 2015 წ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების“ კონკურსის ფარგლებში დაფინანსებულმა ჩვენმა პროექტმა (DO/273/1-30/14), რომელიც ითვალისწინებდა სამეცნიერო კვლევისათვის სათანადო პირობების შექმნასა და სადოქტორო კვლევის თანამედროვე საერთაშორისო

სტანდარტთან მიახლოებას, საშუალება მოგვცა ნაწილობრივ დაგვეძლია ზემომოცემული ტექნიკური და ასევე სხვა ტიპის სირთულეებიც.

1. პირველი ამოცანა განვახორციელეთ წარმატებით, ორი წლის განმავლობაში შევექმნით სტრუქტურირებული ზმნური ფორმების ბაზა, რომელიც მოიცავს 10 000-მდე ერთეულს. იგი აერთიანებს დღემდე გამოცემულ მეგრულ და ლაზურ ლექსიკონებს, ელრესურსებს და საველე პირობებში ჩვენ მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალას (ბაზის სტრუქტურა იხ. ქვემოთ).

მონაცემთა ბაზის ლინგვისტური ანალიზისას წარმოჩნდა, რომ სახელური ფუძისაგან წარმოქმნილი ზმნურ ფორმათა ნაწილი, ე.წ. ნასახელარი ზმნები, სტრუქტურულად განსხვავდებოდა პირველადი, მოქმედებითი თუ ვნებითი გვარის ფორმებისაგან, რაც ცალკე სისტემატიზაციასა და შესწავლას საჭიროებდა. ამან კი დამატებით ახალი ამოცანის წინაშე დაგვაყენა. თუმცა მონაცემთა ბაზამ მოგვცა საშუალება, აღგვეწერა და წარმოგვეჩინა ის ნიშან-თვისებები, რომლებიც აერთიანებს და განასხვავებს ნასახელარი გვარის ზმნებს პირველადი ზმნებისაგან; გარდა ამისა, მთელი ეს მასალა შევუდარეთ ქართული ენის სათანადო მონაცემებს და წარმოვაჩინეთ საერთო მახასიათებლები მათ შორის. კვლევის შედეგები ჩვენი სამეცნიერო ხელმძღვანელის, პროფ. მ. ჩუხუას, რედაქტორობით, 6 თავისა და 19 ქვეთავის სახით გამოვეცით ცალკე ნაშრომად – „ნასახელარი ზმნები მეგრულსა და ლაზურში“ 2017 წ. (218 გვ.).

2. მეორე ამოცანის გადასაჭრელად პროექტში დაგვემილი იყო კვლევითი, სამეცნიერო ვიზიტები ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის, ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტში (გერმანია) და დუზუჯეს უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა და ლიტერატურის განყოფილებაზე (თურქეთი). მოგვცა შესაძლებლობა კონსულტაცია გაგვევლო დარგის წამყვან სპეციალისტებთან, გავცნობოდით კვლევის ინოვაციურ მიდგომებსა და უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც შესაბამისად არის გათვალისწინებული და ასახული ჩვენს სადისერტაციო ნაშრომში. გარდა აღნიშნულისა, დოქტორანტის სამეცნიერო პროექტის ფარგლებში, კვლევითი ექსპედიციით ორჯერ (2015, 2017) ვიმყოფებოდით საქართველოსა და თურქეთის ლაზეთში. შემოვლილი გვაქვს ლაზებით დასახლებული რეგიონი (ჩხალა, ხოფა, ვიწე, არქაბე, ათინა, დუზუჯე, ბურსა,

სტამბოლი, სინოპი) და მათი მიმდებარე სოფლები. მოპოვებული და დოკუმენტირებული გვაქვს ტექსტები სამეგრელოს თითქმის ყველა მუნიციპალიტეტიდან. ემპირიული მასალის ციფრულად დოკუმენტირების კვალდაკვალ, ხშირად ვინიშნავდით ახალ ზმნურ ერთეულებს, რომლებიც არ არის ასახული დღემდე გამოცემულ ლაზურისა და მეგრულის არცერთ ლექსიკონში. ასევე მოგვეცა საშუალება ადგილზე, შესაბამისი მეტყველების მატარებელ ინფორმანტებთან გადაგვემოწმებინა ის საექვო ზმნური ფორმებიც, რომლებიც ანალოგიით შექმნილი ხელოვნური ნიმუშების შთაბეჭდილებას ტოვებდა. მოვიძიეთ დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულ ილუსტრაციებთან დაკავშირებით. უფრო დავხვეწეთ და დაზუსტებული ერთეულებით შევავსეთ ზმნური ფორმების მონაცემთა ბაზა.

3. რეპრეზენტაციულმა და კვლევისათვის სასრული რაოდენობის ზმნურ ფორმათა სტრუქტურირებულმა ბაზამ, ჰომოგენურობის პრინციპით, ერთად დააჯგუფა იდენტური ფორმები. აღმოჩნდა, რომ მსგავსი სტრუქტურები შესაბამისობაში იყო ერგატიულ ან ნომინატიურ, მცირე ნაწილი დატიურ კონსტრუქციებთან. ჩავატარეთ პირველადი სტატისტიკური ანალიზი.

4. მკაცრად გავმიჯნეთ ლოგიკურ-სემანტიკური⁷ და გრამატიკული სფეროები ერთმანეთისაგან. სინტაქსური როლის მქონე აქტანტების აღსანიშნად (მის დასახასიათებლად შესიტყვებაში) ვიყენებთ დამკვიდრებულ ტერმინებს: ზმნა / შემასმენელი, ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, ირიბი დამატება, უბრალო დამატება და ა.შ., ხოლო გრამატიკული რიგი საკითხების ასახსნელად, როცა ვიშველიებთ სიღრმისეულ სტრუქტურებს, გამოყენებული გვაქვს შემდეგი ტერმინები: პრედიკატი / ზმნა, სუბიექტი, აგენსი, ობიექტი, პაციენსი, ექსპერიენსერი, დატივი, ფაქტიტივი, ლოკატივი, ბენფაქტივი, ბენეფიციანტი, კომიტატივი, ინსტრუმენტატივი და სხვ.

რაც შეეხება შესიტყვების სტრუქტურა-მექანიზმის არსობრივად ყველაზე ზუსტად ამსახველ, არნ. ჩიქობავას მიერ დამკვიდრებულ ტერმინებს – კოორდინაცია, დიდი კოორდინატი, მცირე კოორდინატი და ა.შ., არ ვიყენებთ, რადგან კოორდინაციის (მართვა-

⁷ ზმნა-პრედიკატების სემანტიკური კლასების ყველაზე სრული დახასიათებისათვის იხ. უ. ჩეიფი 1975;

შეთანხმების) პრინციპი ლაზურში არ ფუნქციონირებს, ანუ ზმნა ვერ მართავს სახელს მოქმედებითსა და ვნებით გვარში სერიების მიხედვით.

0.6. ძირითადი წყაროები და კვლევის მეთოდოლოგია. კვლევა ეყრდნობა, ძირითადად საქართველოში, დღემდე გამოცემულ მეგრულ და ლაზურ ლექსიკონებს:

1. ი. ასათიანი, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2012;
2. ი. ბუჯაკლიძი, ჰ. უზუნჰასანოღლუ, ი. ალექსივა, დიდი ნენაფუნა, სტამბოლი, 2007;
3. ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013;
4. ნ. მარი, ჭანურ-რუსული ლექსიკონი, სანქტ-პეტერბურგი, 1910;
5. ო. ქაჯაია, მეგრული ლექსიკონი, I- III, თბილისი 2001-2004 (ელვერსია, მაინის ფრანკფურტი, 6.10.2005);
6. ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.
7. ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე, თბილისი, 1982;

ასევე სავსე პირობებში ჩვენ მიერ მოპოვებულ ემპირიულ მასალას:

1. მეგრული ტექსტები, სამეგრელოს ორივე არეალი (2007-2018);
2. ლაზური ტექსტები, (საქართველო 2011-2018, თურქეთი 2012-2015, აშშ 2012., საბერძნეთი 2018);

კვლევის მეთოდოლოგია. ჩვენი სამუშაო დაიყო სამ ეტაპად: 1) ემპირიული მასალის მოპოვება/შეკრება, 2) მათი აღწერით-სტატისტიკური ანალიზი, 3) ლინგვისტური ანალიზი.

1) დღეს საკმაოდ რელევანტურია ზეპირმეტყველების ენათა შესწავლა-დამუშავება თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და ტექნიკის გამოყენებით.

კვლევით ექსპედიციებში ლაზურისა და მეგრულის ემპირიული მასალის მოსაპოვებლად გამოვიყენეთ სავსე ლინგვისტიკის მეთოდი. ჩვენ ვიმყოფებოდით ბუნებრივ გარემოში, სადაც მოცემული ენა-ობიექტი კომუნიკაციის მთავარი საშუალება იყო. საჭირო ნიმუშების მისაღებად კი ხშირად მივმართავდით ელიციტირების მეთოდს – ვიყენებდით წინასწარ მომზადებულ კითხვარებს, გრამატიკულ ყალიბებს, ანალოგიებს. ამ მეთოდით ვამოწ-

მებდით და ვაზუსტებდით ჩვენთვის საინტერესო ნიმუშებს, ინფორმანტები ლაზეთსა და სამეგრელოში იხსენებდნენ მივიწყებულ ზმნურ ფორმებს. ამგვარად დაგეგმილი კითხვა-პასუხი რელევანტური იყო ჩვენი კვლევისათვის.

გარდა ამისა, საექსპედიციო ჩანაწერებში დასტურდება თავისუფალი სტილის ნარატივებიც, რომლებიც მოპოვებულია განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფებისა და სხვადასხვა სოციალური ფენისა თუ კილოს მატარებელი ინფორმატორებისაგან. ცოცხალ მეტყველებაზე დაკვირვებამ – ობსერვაციის მეთოდმა – მოგვცა ჩვენი კვლევისთვის საჭირო მასალის ფიქსირების საშუალება.

2) აღწერთი სტატისტიკისთვის, რაც გულისხმობს ემპირიული მასალის შეგროვებას, ორგანიზებას, კლასიფიკაციასა და პირველად დამუშავებას, მოცემული ლექსიკონებიდან და ჩვენ მიერ მოპოვებული ახალი ტექსტებიდან ამოვიწერეთ ყველა ზმნური ერთეული ზმნისწინისა და ვერსიის გათვალისწინების გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ისინი ქმნიდნენ ახალ ლექსიკურ ფუძეს. მეგრული და ლაზური მასალა განვათავსეთ MS Excel-ის ელცხრილში ცალ-ცალკე ფაილებად. ზმნური ფორმები წარმოდგენილია აწმყოს ფუძით S3 პირში. გასწვრივ მოცემულია შესაბამისი ქართული შესატყვისი, ამოსავალი ფუძის განმსაზღვრელი სტანდარტული აბრევიატურით (N – არს. სახელი, ADJ – ზედსართავი სახელი, V – ზმნა...). შემდეგ განთავსებულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის სტრუქტურირებული ფორმები, ყველა ერთეულში გამოყოფილია ძირი R (Radix) და მაწარმოებელი აფიქსები განლაგებულია მის გარშემო. აქვეა მითითებული პირის მაჩვენებლის ინდექსი: (S. Odir. Oind.). სპეციფიკური წარმოების გათვალისწინებით, ცალკე გვაქვს გამოყოფილი ნასახელარი ფორმები. ლაზურის შემთხვევაში ასევე ცალკეა გამოტანილი აღწერთი კონსტრუქციები. ბოლოს წარმოდგენილია პოტენციალისისა და სტატიკურ ზმნურ ფორმათა ნიმუშები.

ბაზამ მოგვცა მონაცემთა რანჟირების საშუალება; კერძოდ, გამოგვეყო: ჰომოგენური ჯგუფები, რაოდენობრივი მონაცემები, ერთგვარი ელემენტები, განსხვავებული სტრუქტურები, ყალიბები და ა.შ.

საბოლოოდ, ინდუქციის მეთოდით მივედით შესაბამის ლოგიკურ დასკვნებამდე და რიგი თეორიის მართებულობამდე.

3) ზეპირმეტყველების ენებში რთულია ძველი ვითარების წარმოჩენა, ამ დროს ეს აუცილებელია სინქრონიულად კონკრეტული გრამატიკული ფაქტების ასახვად. ამ შემთხვევაში ჩვენ მივმართავდით აპრობირებულ შინაგანი რეკონსტრუქციისა და ისტორიულ-შედარებით მეთოდებს. მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რომ მეგრულ-ლაზური ემპირიული მასალიდან ამოსვლით მივედით შესაბამის ქართულ მონაცემამდე, ზანურის ფაქტებით წარმოვადგინეთ განსხვავებული თვალსაზრისები. მეგრულ-ლაზურში რიგი საკითხების ახსნა კი ძველი ქართულის, ქართული ენის აღმოსავლეთ მთისა და მესხურ-ჯავახური დიალექტების მონაცემების გათვალისწინებით გახდა შესაძლებელი.

0.7. კვლევის შედეგების სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. ქართველური ენების კომპლექსური შესწავლისათვის, მათი შედარებითი გრამატიკის შექმნისათვის განსაკუთრებული ღირებულება აქვს ზეპირმეტყველების ენათა გრამატიკული კვლევის შედეგებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენი კვლევა მოემსახურება საერთოქართველური გვარეობრივი სისტემის სრულფასოვნად წარმოჩენასა და მის ჩართვას იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტიკურ და ტიპოლოგიურ კვლევებში.

რეპრეზენტაციულ მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით გამოვლენილი ჰომოგენური ჯგუფები სისტემურად გაანალიზდა მორფოსინტაქსური თვალსაზრისით, გაიმიჯნა გრამატიკული და ლოგიკურ-სემანტიკური სფეროები, რის შემდგომდაც, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ინდუქციური მეთოდის პრინციპით, განისაზღვრა მათი კვალიფიკაცია. საჭიროებისამებრ შეიქმნა რელევანტური ახალი ტერმინოლოგიაც. კვლევის ძირითადი შედეგები წარმოდგენილია ნაშრომის ბოლოს.

პრაქტიკული ღირებულება. თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში XX ს-ის მე-2 ნახევარში ჩასახული კომპიუტერული მოდელირება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა ენებისათვის. ქართველურ ენებში მთავარ სირთულეს ზმნის პოლიპერსონალურობა და მდიდარი მორფოლოგიური კატეგორიები წარმოადგენს. მისი სრულფასოვანი ანალიზ-ზატორის შექმნა კი აუცილებელი წინაპირობაა ენის მოდელირებისათვის.

მეგრულ-ლაზურში, წინამდებარე ნაშრომით გათვალისწინებული კვლევა, რომელშიც ზმნის გვარის საკლასიფიკაციო ერთეულად აღებულია გრამატიკული კრიტერიუმი და რომლის მიხედვითაც, მკვეთრადაა გამიჯნული მოქმედებითი და

ვნებითი გვარის მორფოლოგიურად სტაბილური ფორმები და მათი შესაბამისი კონსტრუქციები, გააადვილებს რელევანტური ალგორითმის შექმნას ზმნის კომპიუტერული დამუშავებისათვის. ჩვენს სქემაში გრამატიკული გვარის მქონე ზმნური ფორმები სისტემატიზებულია ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე, თითოეულ ფუნქციას თავისი გრამატიკული ყალიბი აქვს მორგებული.

გარდა ამისა, მეგრულ-ლაზური ზმნის გვარის ახლებური კლასიფიკაცია და კვალიფიკაცია უფრო მარტივს ხდის ამ რთული კატეგორიის სისტემურობას.

0.8. ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა. სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი შედგება 237 ნაბეჭდი გვერდისაგან. იგი მოიცავს შესავალს, ხუთ თავს (18 ქვეთავი) და დასკვნით დებულებებს. ნაშრომს ერთვის დამოწმებული ლიტერატურის სია. წინ უძღვის: თავფურცელი, აბსტრაქტი ქართულ-ინგლისურ ენებზე, შინაარსი და ძირითადი აბრევიატურების ჩამონათვალი თავისი განმარტებებით.

თავი I

გვარის გრამატიკული კატეგორიის ფორმირებისათვის

მეგრულ-ლაზურში

1. პირველადი წარმოების ზმნური ფორმები

მეგრულ-ლაზური ზმნის მორფოლოგია მარტივი პრედიკატული კონსტრუქციის R-უ-ნ სტრუქტურით იწყება. ამგვარი ზმნური ფორმა გამოხატავდა საგნისათვის დამახასიათებელ თვისებას, უნარს, ჩვევას⁸, მდგომარეობას. მდგომარეობის გამომხატველი ზმნები დროში უცვლელი სემანტიკით ახლოს იდგნენ თვისების ზმნებთან, ამიტომაც მათ ერთი და იგივე საწარმოებელი ნიშანი და ნომინატიური ან დატიური კონსტრუქცია ჰქონდათ. მაგ.: კოჩი გ-უ-ნ „კაცი ჰგავს“, ცუდე დგ-უ-ნ „სახლი დგას“, მჟორა ჩხატ-უ-ნ „მზე ბრწყინავს“, კვინჩი ფუთხ-უ-ნ „ჩიტი ფრთხის“, ჯაზი სხაპ-უ-ნ „ემშაკი ხტის“, ხონცინი ხონც-უ-ნ „ქუხილი ქუხს“, კოჩი ღურ-უ-ნ „კაცი კვდება“, კო-ს ჩოდ-უ-ნ „კაცს სცალია“, კო-ს ჯოგ-უ-ნ „კაცს სძულს“, ანუ მათი დაპირისპირება იყო მხოლოდ ლექსიკური. ამგვარი ნიმუშები საკმაოდ შეზღუდული იყვნენ ფორმათა წარმოების თვალსაზრისით.

მეგრულ-ლაზურის R-უ-ნ სტრუქტურას თანამედროვე ქართულში, ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, საშუალი და ვნებითი გვარის ზმნები შეესატყვისება, მის -უ-ფორმანტს კი, უმრავლეს შემთხვევაში, -ი სუფიქსი, რომელიც დიურატივის / II ხოლმეობითის ნიშნად არის კვალიფიცირებული (ჩიქობავა 2014:24). წკარ-უ-ნ „აწყვი-ი-ა“, ბ-უ-ნ „აბ-ი-ა“, რჩ-უ-ნ „აგ-ი-ა“ ჭარ-უ-ნ „წერ-ი-ა“, თხორ-უ-ნ „მარხ-ი-ა“, თას-უ-ნ „თეს-ი-ა“, კირ-უ-ნ „აკრ-ი-ა“, რძ-უ-ნ „ანთ-ი-ა“, რაგ-უ-ნ „გდ-ი-ა“, შქ-უ-ნ „ასვ-ი-ა“, პონ-უ-ნ „ყუდ-ი-ა“ და ა.შ.

⁸ ამგვარი ზმნები სემანტიკურად დაკავშირებულია პროცესთან, პროცესუალობა კი-ასპექტის კატეგორიასთან, რომელიც უფრო წინარე კატეგორიად არის მიჩნეული, ვიდრე გვარი. პროცესუალურ ზმნებს პერმანსივებადაც მოიხსენიებენ. ტერმინი პერმანსივი მომდინარეობს ლათინურიდან –Permanent (რაც „გრძელდება“, „არა წყდება“). არნ. ჩიქობავა მის „ბადლად“ იყენებს „ხოლმეობითს“, სათანადო აქცენტით – „რაც ჩვეულებრივ ხდება“ (იხ. ჩიქობავა 2014:20). ამავე მნიშვნელობით ქართულში ასევე გვხვდება: „დიურატივი“, „განგრძობითი“, „უწყვეტელი“... ჩვენ მეგრულ-ლაზურის პირველადი ზმნური ფორმების აღსაწერად უფრო რელევანტური ჰ. შუხარდტის მიერ გამოყენებულ ტერმინი –„მუდმივი“, „სამარადისო“ (ლათ. Perpetuum).

-უ-ს შესატყვისად -ი აქვს გამოყოფილი არნ. ჩიქობავას: ლურ-უ-ნ „კვდება“ ძვ. ქართ.: კუდებ-ი-ს, სქიდ-უ-ნ „რჩება“ ძვ. ქართ.: რჩებ-ი-ს ტიპის ფორმებში (ჩიქობავა 2008:122). აქ წარმოჩენილია პროცესი „რაც ჩვეულებრივ ხდება“. გ. მაჭავარიანი ვარაუდობს, რომ „-უ-ქართ. -ი- სუფიქსის მორფოლოგიური ეკვივალენტია, ე.ი. წარმოშობით განგრძობითი ასპექტის მაწარმოებელს წარმოადგენს. მართლაც, -უ- სუფიქსი ჩვეულებრივ იქა გვაქვს, სადაც ქართ. -ი- სუფიქსის მორფოლოგიურ შესატყვისს მოველით“ (მაჭავარიანი 1965:119). ი- ნიშნის მორფოფონეტიკურ შესატყვისად არნ. ჩიქობავა ზანურში -ე-ს ასახელებს. ცნობილია, რომ „ზანური -ე სუფიქსი ქართული ხოლმეობითის -ი სუფიქსის ფონეტიკური ეკვივალენტია“ (ჩიქობავა 1937:102).

ცხადია, ქართულში არ იძებნება -უ-ს მორფოფონეტიკური შესატყვისი, რომლის ადგილი უჭირავს ამავე ფუნქციის ი- სუფიქსს.

ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა გ. მაჭავარიანის მიერ ქართულში დიურატიულობის ორი ნიშნის გამოყოფა. მეცნიერის აზრით, „ხოლმეობითის (resp. განგრძობითი ასპექტის) ორი მაწარმოებელი გვქონდა: -ი (= ზან. -ე) და -ა (=ზან.*-ო > უ). -ა სუფიქსი უკვე ძველ სალიტერატურო ქართულში სრულიად განდევნილი იყო -ი-ს მიერ (შემოგვრჩა დგ-ა-ს ზმნაში!), სვანურსა და ზანურში (ამ უკანასკნელში -ა > ო > უ) იგი დღესაც ცოცხალია და სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენება“ (მაჭავარიანი 1952:59). თავის დროზე არნ. ჩიქობავამ მიუთითა: „-უ ტიპი ვარაუდობს ქართულში -ა ტიპის არსებობას, მაგრამ ასეთი ვნებითი ქართულში ნაშთების სახით თუა შემონახული, ისიც ფუნქციის ცვლით: ვგულისხმობთ დგ-ა-ს ზმნას და ზოგ სხვას, რომელსაც -ა მრავლობითში უჩნდება: წვ-ა-ნ-ან, გვ-ა-ნ-ან... ეს ზმნები საშუალო გვარისადაა მიჩნეული, მაგრამ საშუალო და ვნებითი გვარის გამიჯვნა ახლაც ყოველთვის არ ხერხდება, მით უფრო ძნელი იქნებოდა ეს წინა პერიოდისათვის; სათანადო ზმნებიდან კი მეგრულში ზოგს -უ აქვს: გ-უ-ნ „ჰგავს“, დგ-უ-ნ „დგას“ (ჩიქობავა 1936:115).

ჩვენ დავინტერესდით ა-ს შესატყვისი -უ ნიშნით და მისი „სხვადასხვა ფუნქციით“ გამოყენების შემთხვევებით, რადგან -უ სუფიქსი მთავარ როლს თამაშობს ზანურის, განსაკუთრებით მეგრული ზმნის, გვარის ფორმირებაში.

1.1 რეკონსტრუირებული *-უვ სუფიქსის ამოსავალი ფუნქციისათვის. საენათ-მეცნიერო ლიტერატურაში -უ ნიშნის გენეზისის შესახებ გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისები (იხ. გვ.139). მისი წარმომავლობა დაკავშირებულია საერთოქართველურ *-აჟ ფორმანტთან: *-აჟ > ოჟ > უჟ > უ (მაჭავარიანი 1958:265-276). *აჟ ამოსავლად ნავარაუდევია ქართულის *კრთ-აჟ, *კუდ-აჟ, *თრთ-აჟ, *ძრწ-აჟ ტიპის ფორმებში (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:274:275; 58).

კ. დანელია *კვდ-ავ-ნ ტიპის შესატყვისად ზანურის ღურ-უ-ნ „კვდება“ ფორმას ასახელებს (*კუდ-ავ-ნ, შდრ. „მო-კუდ-ავ-ი“). მეცნიერი ღურ-უ-ნ ფორმას შემდეგ ფონეტიკურ ტრანსფორმაციებთან აკავშირებს: ღურ-უ-ნ < ღურ-უვ-ნ < ღურ-ოვ-ნ (დანელია 1976:169-172).

ჩვენ ვიზიარებთ -უ სუფიქსის მიღების ტრანსფორმაციულ გზას და მიგვაჩნია, რომ ყველა R-უ-ნ სტრუქტურული ფორმა ზანურში ამოსავლად ვარაუდობს *R-უჟ კომბინატორულ ტიპს, რომელსაც ქართულში R-აჟ შეესატყვისება⁹. ამ დასკვნამდე მიგვიყვანა იმ ფონეტიკურმა პროცესებმა, რაც სავარაუდო ფუძეზე S3 პირის -ნ და -ს ნიშნების დართვამ გამოიწვია, ასევე იმ არქაულმა ფორმებმა, რომლებიც დასტურდება ძველ ქართულსა და ქართული ენის აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში. ამოსავალი ზმნური ფორმების (სტატიკური, ე.წ. უნიშნო ვნებითი, ე.წ. საშუალო გვარი) ანალიზმა დაგვანახა, რომ მესამე სუბიექტური პირის არქაული -ნ და -ს ნიშნები ერთმანეთთან ოპოზიციურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან ინაქტიურობა : აქტიურობის თვალსაზრისით.

პირველ რიგში განვიხილავთ *R-უჟ ფუძეზე ინაქტიური S3 პირის -ნ სუფიქსის დართვის შემთხვევებს.

1.1.1. R-უ-ნ სტრუქტურის ინაქტიური ფორმები. *R-უვ ფუძეზე -ნ ფორმანტის დართვით იქმნება ზანურისათვის არაკანონიკურ თანხმობანთა კომპლექსი -ვნ, რომელიც

⁹ ზანურის სტატიკური ზმნების R-ე-ნ სტრუქტურა, მაგ. ხ-ე-ნ ტიპის -ე, ჩვენი აზრით, -აჟ სუფიქსის - ეჟ ფონეტიკური ვარიანტია (და არა ქართ. ი : ზან. -ე შესატყვისობა), რომელსაც -ნ-ს დართვის შედეგად თანხმობანი ნაწილი დაკარგული აქვს, თუმცა ფუძეთა რეკონსტრუქციისას -ვ თანხმობანი წარმოჩენილია. შდრ. ხ-ე-ნ „ზის“ და ი-ხ-ვ-ენ-უ-ავ-უ-ნ „დამჯდარი იქნება“. იგივე პროცესი გვაქვს ავ > -ან ფორმებთანაც: ჩ-ან-ს „აღმოცენებულია (მცენარე)“ და ი-ჩ-ვ-ენ-უ-ავ-უ-ნ „აღმოცენებული იქნება“; ჯ-ან-ს „წევს“ > ი-ჯ-ვ-ენ-უ-ავ-უ-ნ „დაწოლილი იქნება“.

ვ ელემენტის რედუქციითაა დაძლეული: *R-უგ-ნ > R-უ-ნ. მაგ.. *წკარ-უ[წ]-ნ > წკარ-უ-ნ „წყვავნ/აწყვია“; *ბ-უ[ბ]-ნ > ბ-უ-ნ „ღბავნ/ბია“; *გ-უ[გ]-ნ > გ-უ-ნ „ღგავ/ ჰგია“; *ორტყ-უ[ტ]-ნ > ორტყ-უ-ნ „არტყავნ/არტყია“; *მიკობ-უ[მ]-ნ > მიკობ-უ-ნ „ხკიდავ/ჰკიდა“; *თხორ-უ[თ]-ნ > თხორ-უ-ნ „ღმარხავ/მარხია“; *უსხუნ-უ[ს]-ნ > უსხუნ-უ-ნ „ურჩევნავ/ურჩევნია“, *ჯოგ-უ[ჯ]-ნ > ჯოგ-უ-ნ „სძულავ/სძულს“, *გ-უ[გ]-ნ > გ-უ-ნ „ჰგავნ/ჰგავს“, *ფუთხ-უ[ფ]-ნ > ფუთხ-უ-ნ „ფრთხის“, *ვალ-უ[ვ]-ნ > ვალ-უ-ნ „ელავს“, და მისთ¹⁰.

ვნ > ნ ფონეტიკური გადასვლა დადასტურებულია სახელებშიც, მაგ., ქართ. ვნ-„ვნება“ : ზან. ნ- „ნება“.

(1) ცოდა უნებელი, მარდი ურგებელი ვარენია (სახოკია 1989: 266)

„ცოდვა უვნებელი, მადლი ურგებელი არ არისო“.

(2) მა გებდირთუქგ უნელო (ქხს I 1975: 120)

„მე ავდგები უვნებლად“.

მ. ჩუხუამ თავის დროზე გამოთქვა ვარაუდი ამავე ტიპის ფონეტიკური მოვლენის შესახებ ზმნურ ფორმებშიც (ჩუხუა 2000-2003:26). რთულია R-უგ სუფიქსიანთა რეკონსტრუქცია, რადგან ისინი საკმაოდ შეზღუდულნი არიან ფორმათა წარმოების თვალსაზრისით. იმ ევიდენციალურ მწკრივშიც (III თურმ.), რომელიც მათ ეწარმოებათ, ჭირს კონსონანტური ელემენტის წარმოჩენა, რადგან ევიდენციალურობის მაწარმოებელი ნო –ე აფიქსაციის დართვით აუსლაუტში ვ ელემენტს ექმნება ინტერვოკალური გარემო, რაც ხელს უწყობს მის რედუქციას: მაგ. ნო-თხორ-უ[ვ]-ე „თურმე მარხია“, ნო-გ-უ[ვ]-ე“ თურმე ჰგავს/ნამსგავსება“ და მისთ.

-უგ :-ავ შესატყვისობაზე მიუთითებს ზან. ჩუგ- და ქართ. ცავ- ძირები. „ქართ. (ი)ცავ-ს ფორმის შესატყვისად მეგრულში ჩუ-ან-ს (<ჩუგ-ან-ს) გვაქვს... ჩუვანი ეტიმოლოგიურად იხსნება, როგორც საცავი, საჭმლის შესანახი ჭურჭელი, ქვაბი“ (იხ. ქირია და სხვ., 2015:419-420). მეგრულ-ლაზური გრამატიკის ავტორები აღნიშნულ ვ-ს, ობიექტურად, ძირეული მასალის გამოვლინებით ხსნიან (იქვე). ასევე ძვ. ქართ. ჰ-გავ-ნ და

¹⁰ ზოგადად, ავნი თანმიმდევრობა არაპროდუქტიულია ქართულშიც. ქართული ენის ეროვნული კორპუსში მსგავსი თანმიმდევრობის სულ რამდენიმე ზმნური ფუძე დასტურდება და თანაც მათი უმრავლესობა ვნება ფუძისაგან არის მიღებული. (იხ. gnc.gov.ge);

ზან. გუნ (შდრ. ნო-გუგ-ენ „ნამსაგავსება“). ამოსავლ ფორმებში *-უგ-ზე S3 პირის -ს ნიშნის დართვის შედეგად ზანურში ვიღებთ პოზიციურ -უნ ალომორფს¹¹. შდრ. ლაზ.: ნ-უმგ-უნ-ს/ნუმგ-უმ-ს „ჩანს, ჰგავს“ ფუძეები (მარი 1910 :133);

მეგრულ-ლაზური მასალის მიხედვით, ვფიქრობთ, უძველესი -ნ სუფიქსის ძველის-ძველი ფუნქცია ინაქტიურობის ჩვენება უნდა ყოფილიყო. ამ ნიშნით წარმოდგენილი საწყისი ზმნური მოვლენის გამომხატველი R-უნ ყალიბის სუბიექტი თავისი შინაარსით განმცდელი (ტიბ-უნ „თბება“, ჯოგ-უნ სძულს), მფლობელი (ულ-უნ „აქვს“, უჩქ-უნ „იცის“) და მწირ შემთხვევაში აგენსური (აქტიური თვისებისა) უნდა ყოფილიყო (ფუთხ-უნ „ფრინავს“). სხვადასხვა სემანტიკის მქონე სუბიექტმა საფუძველი ჩაუყარა პირველი თურმეობითების, ვნებითი გვარისა და პირველადი აქტივების ფორმათა წარმოებას.

დროთა განმავლობაში, ალბათ ხანგრძლივი და რთული მორფონოლოგიური პროცესების შედეგად, ზანური -უ სუფიქსი დამოუკიდებელ მორფემად ჩამოყალიბდა (არაბული 2001:205).

1.1.2. R-უნ-ს სტრუქტურის აქტიური ფორმები. როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, *R-უგ სტრუქტურის ზმნები გამოხატავდნენ საგნის მდგომარეობას, თვისებას, უნარს, ჩვევას, რომელიც არ იყო შემოსაზღვრული დროის თვალსაზრისით. ამგვარ ფუძეზე ინაქტიური სუბიექტის -ნ სუფიქსის დართვის შედეგად წარმოიქმნა R-უნ ყალიბისა და ნომინატიური კონსტრუქციის ინაქტიური სემანტიკის მქონე გრამატიკული ფორმა.

დროთა განმავლობაში შესაბამისი თვისების მქონე აგენსური ზმნები, რომელთა შინაარსი უტოლდებოდა მოვლენას, სავარაუდოდ, სუბიექტის აქტიურობაში გადაიზარდა. აქტიურმა სუბიექტმა/ერგატივმა კი ზმნურ ფორმაში თავისი -ს ნიშანი გააჩინა და დაუპირისპირდა -ნ ნიშნიან ინაქტიურ ფორმას.

ჩვენი აზრით, აღნიშნულმა ცვლილებებმა რიგი ფონეტიკური პროცესები გამოიწვია. კერძოდ, *R-უგ ფუძეზე -ს დართვით *-უგ-ი ვ > ნ ფონეტიკური გარდაქმნით, -

¹¹ ცნობილია, რომ „მეგრული ფონოტაქტიკით ს, ქ, თ თანხმოვანთა წინ ბაგისმიერი ბგერები (მ, ზ, ფ) გარდაქმნიებიან ნ-დ... ქართული -ეგ თემის ნიშანი (აძლ-ეგ-ს, არბ-ეგ-ს და მისთ.) მეგრულში შეთვისებულია -ენ ფორმის სახით მომდევნო თანხმოვნის მეზობლობაში არაკანონიკური ვ+C> ნ+C გარდაქმნის შედეგად“ (გუდავა, გამყრელიძე 2000:164-166). მ. ჩუხუა შენიშნავს, რომ ლაზურის სტატიკურ ზმნათა -უ ნიშნიან ფუძეზე -ს-ს დართვით ვიღებთ -უნ ნიშნიან ფორმას (ჩუხუა 2015). აღნიშნულ საკითხზე ვრცელი მსჯელობა წარმოდგენილია ქვემოთ.

უნ სუფიქსად ტრანსფორმირდა: *R-უგ-ს > R-უნ-ს (შდრ. ძვ. ქართ. რის-უგ-ა > რის-უგ-ს და ზან. რის-უ-არის-უნ-ს „კბეჩა > კბეჩს“)¹², ხოლო R-უნ ყალიბის ფუძეებს, სადაც -უგ-ი რედუცირებული იყო S3 -ნ-ს გავლენით, -ს ნიშნის დართვით მიეცა საშუალება საწყისი ფორმით აღდგენილიყო, თუმცა მორფემათა საზღვარზე, აქაც ვ > ნ ფონეტიკური მონაცვლეობით -უნ გვაქვს: R-უნ > *R-უგ-ს > R-უნ-ს (კვინჩი ფუთხ-უნ > *კვინჩიქ *ფუთხ-უგ-ს > კვინჩიქ ფუთხ-უნ-ს „ჩიტი ფრთხიალებს“)¹³.

ქართველურ ენებში სახელურ ფუძეთა მაგალითზე ცნობილია ვ > // ნ სუბსტიტუცია, რომელიც ამოსავლად ხშირად უმარცვლო ჭ-ს ვარაუდობს. მ. ჩუხუა გამოთქვამს ვარაუდს, რომ იგივე ვ > ნ ხომ არ უნდა გვეგულისხმა ზანურ ზმნებში. მეცნიერის აზრით, საკითხი დამატებით შესწავლას საჭიროებს (ჩუხუა 2000-2003: 26). შემდგომმა კვლევებმა წარმოაჩინა, რომ ქართული -ევ თემის ნიშანი (აძლ-ევ-ს, არბ-ევ-ს და მისთ.) მეგრულში შეთვისებულია -ენ ფორმის სახით მომდევნო თანხმოვნის მეზობლობაში არაკანონიკური ვ+C > ნ+C გარდაქმნის შედეგად“ (გუდავა, გამყრელიძე 2000:164-166). ლ. ნოზაძე -უნ-ს -ავ სუფიქსის (და არა მხოლოდ -ამ-ის) კანონზომიერ შესატყვისად მიიჩნევს (იხ. ნოზაძე, 2000:195). ჭ. ქირია აღნიშნავს, რომ სუფიქსური წარმოების ზმნურ ფორმებში გამოვლენილი -ან სუფიქსი, უმრავლეს შემთხვევაში, ქართულიდან შეთვისებული და ფონეტიკურად სახეცვლილი -ავ თემის ნიშანია (ქირია და სხვ. 2015:424), ანუ ზმნურ ფორმებში ვ > ნ ფონეტიკური გადასვლა, რასაც ჩვენ ვვარაუდობთ ამოსავალ სტრუქტურაში, მიღებული და გაზიარებულია სპეციალურ ლიტერატურაში. ყოველივე აღნიშნული გვაკარაუდებინებს, რომ მეგრულში გავრცელებული -უნ (<-*უგ) სახეობა უფრო არქაულია, ვიდრე ლაზურის ამავე ფუნქციის -უფ (*<-*უგ) და -უმ სუფიქსებიანი წარმოება.

(3) ზან. სხაპ-უ[*ვ]-ნ > *სხაპ-უგ-ს > მეგრ. სხაპ-უნ-ს / ლაზ. სხაპ-უფ/უმ-ს

„ხტის (თვისება) > ხტის (მოქმედება)“

¹² რის-ვ-ა<რის -უგ-ა დადასტურებულია ძველი აღთქმის უძველეს ტექტებში სხვადასხვა ზმნური და სახელზმნური ფორმით და დარგობრივი ლექსიკის (მეცხვარეობის) უძველესი ტერმინი ჩანს: რის უვა „კრეჭა“, განრის (უ) ვა, მორისვა „გაკრეჭა“, მრისუველი „მპარსველი, მკრეჭელი“, ნარისუავი, ნარისუალი, ნარისუევი „ნაპარსი“, ურისუველი „გაუკრეჭელი, გაუპარსველი“ (აბულაძე 1973; ვიმოწმებთ სუბიშვილი 2018:132). ქართულ-სვანურში მ. ჩუხუა ასევე გამოყოფს რ ი ს უ ვ ფუძეს „რისვა“ „დოღნა, კრეჭა“ (ჩუხუა 2000-2003 : 30)

¹³ ნ სახეობიანი წარმოება დასტურდება ლაზურის არქაულ ფორმებში: ზოპ-ონ-ს „ლაპარაკობს“, მპ-ონ-ს „ჰყვავის“, ოჩხ-უნ-ამს „აცხელებს“, იმჭით-ან-ენ „წითლდება“ და ა.შ.

(4) ზან. ფუთხ-უ[*ვ]-ნ > *ფუთხ-უვ-ს > ლაზ. ფუთხ-უნ-ს

„ფრთხიალებს (თვისება) > ფრთხიალებს (მოქმედება)“

(5) ზან. თას-უ[*ვ]-ნ > *თას-უვ-ს > მეგრ. თას-უნ-ს / ლაზ. თას-უფ/უმ-ს

„თესია(მდგომარეობა) > თესავს (მოქმედება)“

(6) ზან. ჭარ-უ[*ვ]-ნ > *ჭარ-უვ-ს > მეგრ. ჭარ-უნ-ს / ლაზ. ჭარ-უფ/უმ-ს

„წერია (მდგომარეობა) > წერს (მოქმედება)“

(7) ზან. კირ-უ[*ვ]-ნ > *კირ-უვ-ს > მეგრ. კირ-უნ-ს / ლაზ.კირ-უფ/უმ-ს

„აკრია (მდგომარეობა) > აკრავს (მოქმედება)“

მ. ჩუხუამ ზანურში ზმნურ ფორმათა ანალიზისას შენიშნა, რომ ლაზურში „-უ

სუფიქსიანი სტატიკური ზმნა ფუთხ-უნ „ხტის, ფრინდება“, ითქმის: კვინჩი ფუთხ-უნ „ჩიტი ხტის“, ანუ, როგორც მოსალოდნელი იყო, სტატიკური ზმნის სუბიექტი სახე-ლობითში დგას, მაგრამ ამავე ზმნისგან S3 პირის -ს ნიშნის დამატებით, რასაც თან ახლავს ზმნის გრამატიკული შინაარსის გააქტიურება, ვიღებთ ლაზურისათვის თითქოს უჩვეულო ფორმას (-უნ თემისნიშნიან ზმნას), რომელიც დინამიკური ხდება და აწმყოში სუბიექტიც ერგატივში შეეწყობა, როგორც ყველა სხვა გარდამავალ ზმნას: კვინჩი-ქ ფუთხ-უნ-ს „ჩიტმა ფრთხება“ (იხ. ჩუხუა 2015:61-62). მეცნიერი იმავე პროცესს წარმოაჩენს ლაზურის ოკოწ-უ-ბლ-უნ „წინ უყრია“ > ლაზ. ქოკოწ-უ-ბლ-უნ-ს „წინ უყრის“ ფორმებში (იხ. ქირია და სხვ. 2015:597).

აღნიშნული ფაქტები ადასტურებენ ჩვენი შეხედულების მართებულობას. ამოსავალი ფუთხ-უნ „ხტის, ფრინავს, ფრთხიალებს“ გამოხატავს ფრინველისათვის დამახასიათებელ თვისებას (ისევე როგორც ჩხატ-უნ „ბრწყინავს“, ხონცქ-უნ „ქუხს“ და ა. შ.), ამიტომაც მისი კონსტრუქცია ნომინატიურია, ხოლო ფუთხ-უნ-ს ფორმაში -ს ნიშნის ძალით რეინტერპრეტირებული ფუძე სუბიექტის აქტიურობას გამოხატავს, ამიტომაც მისი კონსტრუქცია ერგატიულია. ორივე ფორმა, რომლებიც დღეს სხვადასხვა კატეგორიის (სტატიკა და ე.წ. მედიაქტივი) კუთვნილებაა, ინარჩუნებს საერთო, დროის თვალსაზრისით განუსაზღვრავ ფუნქციას.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამოსავალ ზანურ -უჲ სუფიქსიან ფუძეზე -ს ნიშნის

დართვით მიღებული -უნ/-უფ/-უმ თემატური სუფიქსები ყველაზე მაღალ ხარისხს გვიჩვენებენ გავრცელებულობის თვალსაზრისით. მათ ქართულში, ძირითადად, -ავ და -ო თემის ნიშნები შეესატყვისებათ. ამგვარი წარმოების მარტივი პრედიკატული კონსტრუქციის ფორმები ქართულის ტრადიციულ გრამატიკაში მედიაქტივებად არის კვალიფიცირებულები, ჩვენ მათ სინქრონიულ დონეზე, ქრონოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, პირველად აქტივებად მოვიხსენიებთ.

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის მიხედვით, ქართულ -ო თემატურ სუფიქსთან შედარებით, -ავ-ის უწინარესობა იკვეთება. ქართულში ხმიანობის გამომხატველ პირველად აქტივებს, როგორცაა: კივ-ო-ს, წივ-ო-ს, ყივ-ო-ს ტიპი, ზანურში მათ -ან/-ავ/-ამ სუფიქსები შეესატყვისება: მეგრ. რკი-ან-ს ლაზ. კი-ავ/ამ-ს, მეგრ. წი-ან-სლაზ. წი-ავ/ამ-ს, მეგრ. ყი-ან-ს ლაზ. ყი-ავ/ამ-ს...ქართულის ფორმებში მეცნიერთა ნაწილი მასდარისა და მიმღეობის ჩვენებათა გათვალისწინებით შესაძლებლად მიიჩნევს უძველესი -ან თემის ნიშნის აღდგენას: *კივ-ან-ს შდრ. მკივ-ან-ი... აჭარულის მყოფადში დამოწმებულია ი-კივ-ან-ებ-ს ფორმა. ვარაუდობენ, რომ *კივ-ან-ს ფორმისგან უნდა იყოს მიღებული დიალექტური ფორმა კივ-ა... ამავე რიგისაა: ჩივ-ა, ჩხავ-ა... (იხ. ჯორბენაძე 2013:41, 49).

ზანურის მასალა მხარს უჭერს გამოთქმულ მოსაზრებას. აღნიშნულს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ ამოსავალი ვითარება მეგრულშია დაცული.

ასევე შესაძლებელია გვევარაუდა, რომ ზანურის ამგვარ ფუძეებში თემატური სუფიქსი გაჩნდა მას შემდეგ, როდესაც ქართულში ი- სუფიქსიან ფორმათა ნაწილმა, მაგ., ბორგ-ო-ს > ბორგ-ავ-ს ტიპმა, -ო დაკარგა და ახალ ქართულში -ავ თემის ნიშანი დაირთო (იხ. ჯორბენაძე 1975:202), ხოლო უნიფიკაციის საფუძველზე სხვა ფორმებმაც, მარტივფუძიანებმაც და ფუძედრეკადებმაც, თემის ნიშანი დაირთეს. მაგ., თიბ-ავ-ს, ლეწ-ავ-ს, დრიკ-ავ-ს (იხ. შანიძე 1953:152-153). მაგრამ, როგორც ზმნურ ფუძეთა რეკონსტრუირებული ანალიზი გვიჩვენებს, ზანურში აგლუტინაციური ფორმები უფრო არქაულ ვითარებას ასახავენ, კერძოდ, იმ დროინდელს, სანამ ძველ სალიტერატურო ქართულში დიურატიულობის -ა მარკერის ნაცვლად-ი (ზან. -ე) დამკვიდრდებოდა და ჩამოყალიბდებოდა მოქმედებითი გვარის აწმყო. ჩვენ ვეთანხმებით ივ. ქავთარაძის მიერ ნავარაუდევ -ავ > ან ფონეტიკურ გადასვლას *დგანს ფორმაში (იხ. ქავთარაძე 1954:153).

შდრ. ქართ. *დგ-ავ-ნ > *დგ-ა-ნ// *დგ-ან-ს > დგ-ა-ს და ზან. *დგ-უვ-ნ > დგ-უნ-ნ // *დგ-უვ-ს > დგ-უნ-ს). არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ „გასარკვევია -ავ-, -ან- და -ი სუფიქსიან ზმნათა ურთიერთობა. აწმყოს ფუძის ჩამოყალიბების პროცესს ვერ გავარკვევთ, თუ ეს ცვლილებები არ აღინუსხა. ეს ეხება გარდაუვალ ზმნებსაც და გარდამავალთაც და სპეციალურ შესწავლას საჭიროებს“ (ჩიქობავა 2014:145).

რთულია მეგრულ-ლაზურში, დიაქრონიულად დოკუმენტირებული ტექსტების არქონის გამო, რამის გადაჭრით მტკიცება, თუმცა ნათელია, რომ დიურატიულობის -ი ნიშნის კვალი ზანურის აქტიურ ფორმებშია ჩანს. სავარაუდოდ, წი-ან-ს, რკი-ან-ს ტიპის -ან სუფიქსისათვის ამოსავალი საერთოქართველური *-აჟ უნდა ყოფილიყო. რომელიც ქართულ-ზანურის ერთიანობის ხანაში (*-აჟ >)*-ან-ით იყო წარმოდგენილი, ხოლო დამოუკიდებლად განვითარებულ ლაზურში (-*აჟ >) -ავ > -ამ ფონეტიკური გადასვლებით.

მეგრულ-ლაზურში გაანალიზებულ ზმნურ ფორმათა მიხედვით, ქართულში -ავ > -ი ფონეტიკური გადასვლა იკვეთება და, სავარაუდოდ, ეს S3 პირის -ს ნიშნის გაჩენასთან უნდა იყოს დაკავშირებული.¹⁴

ჩვენ ვიზიარებთ ქართველურ ენებში გვარის კატეგორიის რეინტერპრეტაციისა და რეკონსტრუქციის მცდელობისას რ. ასათიანის მიერ გაკეთებულ დასკვნას იმის შესახებ, რომ ყოველ ქართველურ ენაში გვარის კატეგორიის გრამატიკალიზაციის პროცესი დამოუკიდებლად განხორციელდა (იხ. ასათიანი 2015:25). მეგრულ-ლაზური ამოსავალშივე ქართულისაგან განსხვავებული გზით წავიდა. ჩვენ პროცესი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

R-აჟ-ნ (-> / R-ა-ნ)->*R-ეჟ-ნ (->/R-ე-ნ) -> *R-იჟ-ნ (-> R-ი-ნ)

*R-ოჟ-ნ (->/ R-ო-ნ)-> *R-უჟ-ნ (->R-უნ-ნ)

*R- აჟ -ს-> R- ეჟ -ს-> *R-იჟ -ს-> R-ი-ს

-> R- ოჟ -ს (->/*R-ონ-ს)-> *R-უვ-ს (->R-უნ-ს)

¹⁴ ათინურ კილოკავში -ამ, -ემ, -უმ, -ომ სუფიქსებით ნაწარმოებ -ს ნიშნიან ზმნურ ფორმებში დაკარგულია მოცემული სუფიქსების თანხმონითი კომპონენტი, ხმოვანთან უშუალო დარჩენილი ს იოტიზებულია: ცხენი ხირხინ-ამ-ს // ხირხინ-ა-მ „ცხენი ხვიხინებს“, ფუჯი მღორ-ამ-ს // მღორ-ა-მ „ფური ბღავის“, შურონი პეტელ-ამ-ს // პეტელ-ა-მ „თხა კიკინებს“, ლაჭი ლალ-ომ-ს // ლალ-ო-მ „ლეკვი ყფეს“, კატუ კრი-ამ-ს // კრი-ა-მ „კატა კნავის“ (ჩიქ. II, 114-26-29) (იხ. ქირია და სხვ. 2015:266). ათინურ კილოკავში მსგავსი ტენდენცია უმეტესად ზმნურ ფორმებში იჩენს თავს (ქუთელია 2005:26-27).

-აჭ- (+ S3 -ნ/-ს) სუფიქსის ფონეტიკური განვითარების, პირობითად ევ-იანი და ოვ-იანი ტრანსფორმაციული გზიდან ზანური, ძირითადად, ირჩევს მეორეს, ქართული კი - პირველს, თუმცა ამოსავალ ფორმებში უნდა გვქონოდა შერეული სტრუქტურებიც (მაგ.: ქართ. ძოვს, წოვს... ზან. ხ-ე-ნ ზის. შდრ. ხ-უნ-ა „ჯდომა“...).

სხვადასხვა გზით წასული ქართულისა და ზანურის ტრანსფორმირებული საფეხურები მორფოლოგიურად ურთიერთშესაბამისობაშია. განვითარების ბოლო საფეხურზე ქართულ -ი-ს ამავე საფეხურზე მდგომი ზანური -უ და -უნ სუფიქსები შეესატყვისება (შდრ. ქართ. ეშინ-ი-ნ და ზან. ოშქურ-უ-ნ; ქართ. თლ-ი-ს და ზან. თოლ-უნ/უფ-ს). აღსანიშნავია, რომ ვ. თოფურია სვანურისა და მეგრულ-ჭანურის მონაცემების შედარების საფუძველზე ადგენს, რომ ქართულში სტატიკური, ტრადიციული ტერმინით, „მედო-პასივი ზმნები ძირში მუდამ -ე ბგერას შეიცავენ“ (თოფურია 1930:300). ვ-დეფ, ვ-წევ... მეცნიერმა -ე ვნებითი გვარის წარმოებასთან დააკავშირა (თოფურია 1942:968-969).

ჩვენი აზრით, ამოსავალში სტატიკურ ზმნებთან გამოვლენილი *-უფ და *-ევ-ის რედუცირებული -უ და -ე ელემენტები ინაქტიურ სუბიექტზე მიუთითებენ. მეგრულ-ლაზურში თემისნიშნის ფუძე უნიფიკაციის საფუძველზე წარმოქმნილი დიალექტური ინოვაციის შედეგი არუნდა იყოს, ვფიქრობთ, *-უ[ვ] ; *-ე[ვ], *- ი[ვ] საერთო -აჭ ნიშნიდან მომდინარე ფორმანტებია.

მართალია, ამოსავლად ქართველურ ენებსა და მის დიალექტებში უთემისნიშნო ფუძე მიიჩნევა, მაგრამ, როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, ეს დებულება „მანც გარკვეულ დაზუსტებას საჭიროებს“ (ჯორბენაძე 1995:366).

თემისნიშნისა ოპოზიციურმა ინაქტიურობისა (R-უ-ნ/R-ე-ნ) და აქტიურობის (R-უნ/უფ-ს) ყალიბებმა გამოკვეთა ზმნის გრამატიკული გვარის ფორმა მეგრულ-ლაზურში, თუმცა მის ჩამოყალიბებას წინ უძღოდა რეფლექსივიზაციის პროცესი.

2. რეფლექსიური წარმოების ზმნური ფორმები მეგრულ-ლაზურში

2.1. ი- პრეფიქსის რეფლექსიური ბუნებისათვის. ზანურში ამოსავალი R-უ-ნ სტრუქტურის სულიერი სუბიექტის მქონე ზმნათა გარკვეული ნაწილი დაირთავს ი-

პრეფიქსს (ი-R-უ-ნ), რომელიც მას ინტროვერტულობის¹⁵ სემანტიკას ანიჭებს. მაგ., ჩოქ-უ-ნ „დაჩოქილია“ > ი-ჩოქ-უ-ნ „იჩოქება“; ცუც-უ-ნ „ჩაცუცქულია“ > ი-ცუც-უ-ნ „ფეხმორთხმით ჯდება“, სვანჯ-უ-ნ „ასვენია“ > ი-სვანჯ-უ-ნ „ისვენებს“, ტყობ-უ-ნ „დამალულია“ > ი-ტყობ-უ-ნ „იმალება“ და სხვ.¹⁶ ამავე გზით უნდა იყოს მეგრულში ფართოდ გავრცელებული რეფლექციები, რომლებიც აღნიშნავენ ბუნების მოვლენებს, ყოველგვარ ხმასა და ხმიანობას: ი-ვალ-უ/გ-ნ < *ვალ-უ-ნ „იელვება“, ი-გურგინ-უ/გ-ნ < გურგინ-უ-ნ „იგრგინება“, ი-ტყვაც-უ/გ-ნ < *ტყვაც-უ-ნ „იჭექება“, ი-ლალ-უ/-ნ < *ლალ-უ-ნ „იყეფება“ და ა.შ.

ი- პრეფიქსის წარმომავლობასა და მის ფუნქციურ-სემანტიკურ ანალიზს სამეცნიერო ლიტერატურაში სათანადო ყურადღება ეთმობა. გამოთქმულია სხვადასხვაგვარი ანგარიშგასაწევი მოსაზრება (შუხარდტი 1950:73; მარი 1925:136-137,176; თოფურია 1947:457; შანიძე 1953; როგავა 1942:208-211; ქავთარაძე 1954:265; ჩიქობავა 1967:47; ჯორბენაძე 1975:92, 1983:107; ნებიერიძე 1976:133; ნოზაძე 1974; ლომთათიძე 1976; მაჭავარიანი გ. 1965:103-105; მაჭავარიანი მ. 1980, 1987; ასათიანი 1987:192-196,2003:21-29, 2016:78; მელიქიშვილი 2001:84-85; ონიანი 2003:135; ჯორბენაძე ნ. 2009:285; ქარქაშაძე 2010, 2005; სუხიშვილი 1999, 2011:512; მახარობლიძე 2012; ჭკადუა 2015:255 და სხვ.).

ნ. მარის აზრით, ი- წარმომავლობით უკუქცევით თუ კუთვნილებით ნაცვალსახელოვან ელემენტს უკავშირდება, ამიტომაც იგი ზმნურ ფორმებში აძლიერებს უკუქცევითობის „სუბიექტურ აღქმას“ (მარი 1925:216). ამავე მოსაზრებისაა ი. ქავთარაძე. მეცნიერი მიიჩნევს, რომ ი- პრეფიქსს თავდაპირველად დეიქტური ფუნქცია ჰქონდა, შემდეგ კი რეფლექსიური, უკუქცევითი მნიშვნელობა შეიძინა (ქავთარაძე 1954:274). ი- პრეფიქსის პირველად ფუნქციად რეფლექსიურობას მიიჩნევენ: ჰ. შუხარდტი (1950:73), არნ. ჩიქობავა (1967:47), გ. როგავა (1942:209, 211), გ. მაჭავარიანი (1965:105) და სხვ. თუმცა გ. მაჭავარიანს ი- პრეფიქსის კუთვნილებით ნაცვალსახელთან დაკავშირება გაუმართლებლად მიაჩნია, რადგან ი კუთვნილებითი ნაცვალსახელი ქართველურ ენებში არ გვაქვს (იხ. მაჭავარიანი 1965:104).

¹⁵ სუბიექტის მიერ ისევ სუბიექტისთვის შესრულებული მოქმედება არის ინტროვერტული სემანტიკის კატეგორიის ფორმა (მაჭავარიანი მ. 1987:124).

¹⁶ ამგვარი წარმოების ზმნები განსხვავდება კონვერსიული პასივებისაგან, რომლებსაც აუსლაუტში ორი უახასიათებთ, შდრ. ი-R-უ-ნ და ი-R-უ-უ-ნ

აღნიშნულ საკითხს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა ბ. ჯორბენაძემ: „ი-პრეფიქსი და უკუქცევითობის კატეგორია ქართულში“ (ჯორბენაძე 1983:106). მეცნიერი აღნიშნავს, რომ, ზოგადად, „თავისი წარმოშობით უკუქცევითი ფორმები ანალიზურია: წარმოადგენენ ზმნისა და უკუქცევითი ნაცვალსახელის შეერთებას. ზოგ ენაში (მაგ., რუსულში) ნაცვალსახელი მიუხორცდა ზმნის ფუძეს და ფაქტიურად ფორმანტად იქცა, ზოგში კი (მაგ., ბულგარულში) – არა“ (ჯორბენაძე 1975:18). ბ. ჯორბენაძის აზრით, ი-პრეფიქსის ამოსავალი ფუნქცია უკუქცევითობაა, რომელიც შედარებით ახალწარმოქმნილ კატეგორიებში სათავისო ქცევისა და ვნებითი გვარის ნიშნად გადანაწილდა, ხოლო საკუთრივ უკუქცევითობის ფუნქცია კი ზმნათა ერთ ნაწილს შემორჩა (ჯორბენაძე 1975:92). ასეთივე ვითარება გვაქვს დანარჩენ ქართველურ ენებშიც (ჯორბენაძე 1983:108).

მიღებული თვალსაზრისით, ი-პრეფიქსიანი რეფლექსიური ნიმუშები (ე.წ. მედიოაქტივები) ქართულში უწინარესად არის მიჩნეული, ვიდრე სუფიქსიანი. ი. ქავთარაძის აზრით, იცინის, ინანის, ივაჭრის ტიპის ფორმებში ი-პრეფიქსი ორგანულია. მისი ვარაუდით, როდესაც პრეფიქსული წარმოება სუფიქსურზე გადავიდა, ი-პრეფიქსიანი ფორმების გვერდით ჩამოყალიბდა უპრეფიქსო მღერის, ნანობს, ბორგავს ტიპის ვარიანტები. იგი ფიქრობს, რომ ი-შესაძლებელია დაკარგული იყოს თვით ისეთი ტიპის ზმნებშიც კი, რომლებიც ჩვენთვის მხოლოდ უპრეფიქსო წარმოებით არის ცნობილი. მისი აღდგენა მკვლევარს შესაძლებლად მიაჩნია დუმს (შდრ. ი-დუმ-ალ), შურს, დულს, წუხს ფორმებშიც (იხ. ქავთარაძე 1954:274).

ამავე მოსაზრებისაა ლ. ნოზაძეც. მეცნიერმა რეფლექსიური ჯგუფი საფუძვლიანად შეისწავლა ქართველურ ენებში და გამოყო სამი ტიპის პარადიგმა: ა) იცინის – იცინა ტიპი: ი-პრეფიქსი ზმნას აქვს როგორც პირველ, ისე მეორე სერიის ფორმებში, ბ) რუდუნებს – რუდუნა ტიპი: ი-პრეფიქსი ზმნას არა აქვს საერთოდ არც პირველ და არც მეორე სერიაში, გ) მეფობს – იმეფა ტიპი: ი-პრეფიქსი არ არის აწმყოს მწკრივებში, მაგრამ დაჩნდება მყოფადსა და მეორე სერიაში (იხ. ნოზაძე 1974:34-39, 2008:91:92). ამგვარი კლასიფიკაციითაა წარმოდგენილი მეგრულ-ლაზურისა და სვანური ენების ზმნური ფორმებიც. ემპირიული მასალის ანალიზის საფუძველზე მკვლევარმა დაასკვნა: „უძველეს ქართულში პრეფიქსული წარმოება დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ამ ტიპის

ზმნებისათვის... მედიაოქტივ ზმნათა უპრეფიქსო ფორმები აწმყოში მეორეული ჩანს, მიღებული ი- პრეფიქსიანი ფორმებისგან ხმოვნის დაკარგვის შედეგად“ (ნოზაძე 1974:34-39; 2008:91,93). ლ. ნოზაძე ორგანული პრეფიქსის დაკარგვას ფონეტიკური პროცესით, კერძოდ VC სტრუქტურის თემის ნიშნების ჩამოყალიბებით ხსნის (იქვე, 123). დ. მელიქიშვილი აღნიშნულ ფონეტიკურ პროცესს მყოფადის ჩამოყალიბებასთან აკავშირებს და აღნიშნავს, რომ ეს მანამ უნდა მომხდარიყო, ვიდრე დინამიკურ ზმნათა ზმნისწინიანი ფორმები ჩამოყალიბდებოდა (მელიქიშვილი 2014).

ი. მელიქიშვილის აზრით კი, „არავითარი ფონეტიკური პირობა, რომელიც ი-პრეფიქსს აწმყოში წყვეტილისაგან რადიკალურ ვითარებას შეუქმნიდა, არ არსებობს“ (იხ. მელიქიშვილი ი. 2002:129).

აღნიშნულ თვალსაზრისში ასევე წინააღმდეგობას ხედავს ნ. ჯორბენაძე. მისთვის არადამაჯერებელია უპრეფიქსო ფორმათა მეორეულობის ახსნა მაშინ, როდესაც თემატური სუფიქსი არ იწვევს რედუქციას მყოფადის წრის მწკრივებში (ი-მღერ-ებ-ს) და ასევე, ძველ ქართულში გავრცელებულია ორივე:ი- პრეფიქსისა და თემატური ნიშნის მქონე ფორმები (ი-ლოც-ავ-ს). მკვლევრის აზრით, ი- პრეფიქსი თავიდან კი არ ჰქონდა ამ ტიპის ზმნებს აწმყო-წყვეტილში და შემდეგ კი არ დაიკარგა, არამედ იგი შემდგომ გაჩნდა: აწმყოში – ფორმების განსასხვავებლად, ხოლო წყვეტილსა და მყოფადში – მწკრივების საწარმოებლად (იხ. ჯორბენაძე ნ. 2009:288-290).

ტრადიციული ქართული ენის გრამატიკა (ბ) ტიპს უჭერს მხარს. ა. შანიძე ამოსავალ უპრეფიქსო წარმოებას (ქადაგებს – ქადაგა, მეფობს – ჰმეფა) ასპექტის ახალ სისტემასთან აკავშირებს: „მე-10 ს-დან, როდესაც იწყება ასპექტის ახალი სისტემის ჩამოყალიბება, ჩნდება ქცევით მონაცვლე მედიაოქტიური ფორმები: ყივის - იყივლა, ფილოსოფოსობს – იფოლოსოფოსა და ა.შ.“ (შანიძე 1973:484).

მეგრულ-ლაზურში, სტატისტიკური მასალის მიხედვით, რეალიზებულია (ა) და (ბ) ტიპები. (გ) ტიპით (მეფობს–იმეფებს) წარმოდგენილია ქართული ნასესხობები და ანალოგიით შექმნილი რამდენიმე ორგანული ფუძე, რომლებიც მეორეული წარმონაქმნია. ჩვენ ვიზიარებთ ლ. ნოზაძის მოსაზრების იმ ნაწილს, სადაც მკვლევარი ი- პრეფიქსს არა ნასესხებ, არამედ ორგანულად მიიჩნევს (ნოზაძე 2008:123). ჩვენი აზრით, ი- პრეფიქსიანი

ნიმუშები (თანამედროვე ქართულის ვითარებისგან განსხვავებით) მეგრულ-ლაზურში პირველადი R-უ-ნ სუფიქსიან ფორმათა რეფლექსივიზაციის შედეგია (შემდგომ განზოგადებული სუფიქსურ ფორმებზეც) და არა პარადიგმის შემავსებელი ნასესხები სტრუქტურები.

ცხადია, ამგვარმა ფორმებმა ქართულში განვითარება ვერ ჰპოვა. ბ. ჯორბენაძის შენიშვნით, ი- პრეფიქსი ე.წ. მედიაოქტივებს მხოლოდ უღვლილების პარადიგმებში თუ გამოუჩნდება (იხ. ჯორბენაძე 1975:79). ქართულში, ი- პრეფიქსის ორგანულობის გათვალისწინების შემთხვევაშიც, აწმყო მიუთითებს იმაზე, რომ აქ რეფლექსიურობის ამოსავალი სისტემა მოშლილია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ი- პრეფიქსი სათავისო ქცევისა და ვნებითი გვარის ნიშნად გადანაწილდა, ანუ ვნებითობა გარდაუვალ და სასუბიექტო ქცევა გარდამავალ ზმნაში მეორეულია (მაჭავარიანი 1965:105).

სათავისო ქცევისა და ი-ნიანი ვნებითი გვარის ურთიერთობას საგანგებოდ შეეხო ა. შანიძე. მეცნიერი მათ ფორმოზრივ იდენტობას ი-ნიანი ვნებითის სათავისო ქცევიდან წარმოშობის ფაქტით ხსნის (შანიძე 1980:355). ამავეს აღნიშნავს ვ. თოფურია. მისი აზრით, მოცემულ ფორმანტს თავდაპირველად არ ჰქონდა ვნებითის წარმოების ფუნქცია და იგი ზმნის სხვა მოდელში სათავისო ქცევას გამოხატავდა (თოფურია 1947:457).

მეგრულ-ლაზური მასალის მიხედვით, გასაზიარებელი ჩანს გ. მაჭავარიანის თვალსაზრისი: „ნიანი ვნებითი კი არ განვითარდა სასუბიექტო ქცევისაგან, არამედ ქცევა და ვნებითი საერთო საფუძველზე აღმოცენდა” (მაჭავარიანი 1965:105).

ი-ს, როგორც ქცევის მაწარმოებელ ხმოვანპრეფიქსს, გ. როგავა ყველაზე ვრცლად შეეხო (იხ. როგავა 1942). მეცნიერის აზრით ი- პრეფიქსი, კუთვნილებითი ნაცვალსახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც მხოლოდ კუთვნილებას გამოხატავდა პირთა მიმართების გარეშე (როგავა 1942:209)¹⁷.

გ. მაჭავარიანი მართებულად მიიჩნევს ი- პრეფიქსის გენეზისის კვლევა სხვა ხმოვანპრეფიქსებთან უ-, ე-, ა- მიმართებით, რომლებიც ქცევისა და ისტორიულად ამ კატეგორიასთან დაკავშირებული კატეგორიების, მათ შორის ვნებითი გვარისა და პოტენციალისის მაწარმოებლებს წარმოადგენენ (მაჭავარიანი 1965 :103).

¹⁷ ლაზურში სასუბიექტო ქცევის მაწარმოებელ ი- პრეფიქსს მხოლოდ კუთვნილებითი ფუნქცია გააჩნია. არნ. ჩიქობავა ამ მოვლენას ამოსავლად მიიჩნევს ქართველური ენებისათვის.

ა. შანიძე ხმოვანპრეფიქსებს მაქცევარს უწოდებს, რომელიც ობიექტის სუბიექტისადმი ან ობიექტებს შორის სხვადასხვა ურთიერთობასა და დამოკიდებულებას აღნიშნავს და სუბიექტ-ობიექტურ პრეფიქსებს ზმნასთან აერთებს (შანიძე 1926:316); გ. მაჭავარიანის აზრით, მაქცევრები ძირითადად პოლიპერსონალიზმს უკავშირდება, მათი ფუნქციები თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო მკვეთრად გამიჯნული. ავტორი მათ ირიბი ობიექტის არსებობასთან აკავშირებს (მაჭავარიანი 2002). ასევე ა-, ე-, უ- ხმოვნებს ზმნაში ირიბი ობიექტური პირის პოვნის პრეფიქსებს უწოდებს ბ. ჯორბენაძე (ჯორბენაძე 1983:209).

ხმოვანპრეფიქსები ზმნურ ფორმანტთა რანგობრივ სტრუქტურაში პირის ნიშნის შემდეგ იკავებენ ადგილს და, როგორც თ. მახარობლიძე მიუთითებს, ხშირად ამ პირის ნიშნებთან ერთად კომბინაციაში გადმოსცემენ ვერსიის ამა თუ იმ კონკრეტული ოპოზიციური ფორმის შინაარს (მახარობლიძე 2012:58). ი- პრეფიქსს პირის ნიშნის თანმხლებ, საკორელაციო ფორმანტად მიიჩნევს დ. მელიქიშვილი. მეცნიერის აზრით, ა-, ე-, უ- ხმოვანპრეფიქსების ძირითადი ფუნქცია, ზოგადად, ზმნის პირთა კორელაციის გამოხატვაა, ზმნაში ობიექტური პირის არსებობაზე მიუთითება (მელიქიშვილი 2014:129).

რ. ასათიანის ვარაუდით, „ქართველურ ენებში ზმნური ხმოვანი პრეფიქსების ძირითადი ფუნქცია არის „ადგილიანობასთან“ მიმართებით „ვალენტობის“ მატება-კლების თანმხლები ცვლილებების გრამატიკული მარკირება, რაც ვლინდება ქცევის, კაუზაციის, სიტუაციის, კონტაქტისა და გვარის მორფოსინტაქსურ კატეგორიებთან თანაკვეთებში. ამდენად ამ კატეგორიების ფორმალიზება აღნიშნული ხმოვნების მხოლოდ თანაფუნქციაა“ (ასათიანი 2018:119).

2.2. ი-პრეფიქსიანი რეფლექსივები. როგორც აღინიშნა, მეგრულ-ლაზურში ამოსავალი R-უ-ნ სტრუქტისაგან მიიღება უკუქცევითი ფორმები.

ი- პრეფიქსიანი რეფლექსივები, ქართულისაგან განსხვავებით, ზანურში სისტემურადაა წარმოდგენილი. მათი მოქმედება თვით სუბიექტშია კონცენტრირებული, არ გადადის სხვა საგანზე, ანუ სუბიექტი და ობიექტი ერთი და იგივეა. ამგვარი ფორმები რეალიზებულია ორი მოდელით: მეგრულში: ი-R-უ-ნდალაზურში: ი-R-ს.

ა) ი-R-უ/გ-ნ: ი-ვალ-გ(ნ) „ელავს“, ი-გურგინ-გ(ნ) „გრგვინავს“, ი-ტყვაც-გ(ნ) „ჭექს“, ი-ბარჩხალ-გ(ნ) „კაშკაშებს“, ი-ბაშქ-გ(ნ) „სკდომის ხმას გამოსცემს“; ი-ბაჩვალ-გ(ნ) „გულუბრყვილოდ საუბრობს“; ი-ბადლ-გ(ნ) „უნიათოდ ფაფხურობს“; ი-ბელ-გ(ნ) „ბაქიაობს, ტრახახობს“; ი-ბიორ-გ(ნ) „ქანაობს“; ი-კერკელ-გ(ნ) „გორაობს“; ი-ბისკონ-გ(ნ) „იპწკინება“; ი-ბობოქ-გ(ნ) „ბობოქრობს, გად. შფოთავს“; ი-ბურდინ-გ(ნ) „სისულელეს რომავს“; ი-ბურჯგონ-გ(ნ) „იბურჯგნება“; ი-ბუჯგოლ-გ(ნ) „უშნოდ აკეთებს“; „გორავს“; ი-გორგოთ-გ(ნ) „ბოლქვ-ბოლქვად ამოსული კვამლი ირევა“, ი-პარპალ-გ(ნ) „პარპალებს“, ი-ქვარქვამ-გ(ნ) „აწრიალებს, ასუფთავებს“, ი-ყურყინ-გ(ნ) „ბუყბუყებს“, ი-ხვარხვალ-გ(ნ) „ტრიალებს“, ი-ტკარჩალ-გ(ნ), „ტკრციალებს“, ი-პოტიკ-გ(ნ) „ჩხირკედელაობს“, ი-ჩოქ-უ-ნ „იჩოქება“, ი-ყუც-უ-ნ „იკუზება“, ი-ტყობ-უ-ნ „იმალება“, ი-ხვარხვალ-უ-ნ „ხვარხვალებს; ალექხვარხვალ-უ-ნ¹⁸ „მიგნით ტრიალებს“, ი-კვანწ-უ-ნ „კოპწიაობს“, გილეკვანწ-უ-ნ¹⁹ „დაკოპწიაობს, დანარნარებს“ და სხვ.

ბ) ი-R-ს: ი-ნქორ-ს „ამთქნარებს“, ი-გზალ-ს „მგზავრობს“, ი-დინჭოლ-ს „იდექება“, ი-ხვალ-ს „ახველებს“, ი-ფათქალ-ს „ფართხალებს“, ი-ხვამ-ს „ლოცულობს“, ი-ფურტინ-ს „ფრუტუნებს“, ი-ფუცხოლ-ს „ფოცხავს“, ი-მგარ-ს „ტირის“, ი-ნგორ-ს „გორავს“ ი-მფხორ-ს „ჭამს“, ი-ბურბალ-ს „ტრიალებს“, ი-ნკორ-ს „იციხნება“, ი-ბარ-ს „ქრის“; ი-თოფალ-ს (თურქ.) „კოჭლობს“, ი-კვან-ს „მათხოვრობს“ და სხვ. მეგრული: ი-ბირ-ს „მღერის“, ი-ნგარ-ს „ტირის“, ი-მიც-ან-ს „იციხის“.

ი- პრეფიქსით წარმოდგენილი რეფლექსივები ყველა ერთპირიანია. ისინი აკმაყოფილებენ ამგვარი სემანტიკის ფორმებისათვის წაყენებულ მოთხოვნებს: „უკუქცე-ვითობა ქართულში უნდა განისაზღვროს სუბიექტის მიერ გამოხატული მოქმედების უკუქცევადობით თავის თავზე, როგორც პირდაპირ ობიექტზე. ამასთან, აუცილებელ პირობას წარმოადგენს სუბიექტსა და ამ ობიექტს შორის სრული რეფერენციალური იდენტურობის ჩვენება“ (იხ. ახალი ქართული ენა 2016:216; ხ.გ. – ავტორისა).

მოცემულ ილუსტრაციებში სუბიექტი და ობიექტი გაერთმნიშვნელოვანებულია ანუ ისინი „სრული რეფლექსივიზაციით“ გამოირჩევიან სასუბიექტო სომატურსახელიანი ქცევის ორაქტანტიანი კონსტრუქციისაგან.

¹⁸ ალ-ე < ალ-ა+ი

¹⁹ გილ-ე < გილ-ა+ი

ი- პრეფიქსიან ფორმათა ნაწილში ჭირს ამოსავალი R-უ-ნ მოდელის აღდგენა (ი-ნდ-უ-ნ „იძირება“, ი-რთ-უ-ნ „ბრუნდება“). სავარაუდოდ, გარკვეული ნიმუშები უნიფიკაციით შეუერთდნენ რეფლექსივიზაციის პროცესს.

აღსანიშნავია, რომ ხშირად ერთი და იმავე შინაარსის ზმნები ლაზურში ი-R-ს, მეგრულში კი ი-R-უ-ნ სტრუქტურით არის გამოხატული. მაგ. ლაზ. ი-ბურბალ-ს / მეგრ. ი-ბარბალ-უ-ნ „ტრიალებს“; ლაზ. ი-ფათქალ-ს / მეგრ. ი-ფართხალ-უ-ნ „ფართხალებს“, ლაზ. ი-ფუცხოლ-ს / მეგრ. ი-ფუცხოლ-უ-ნ „ფოცხავს“ და სხვ.

მ. ჩუხუას შენიშვნით, მეგრ. ღირ-უ-ნ ლაზ. ღირ-უ-ნ/ღირ-ს „ღირს“... „ამგვარი ზმნების სტრუქტურა მეგრულში უკეთ არის შემონახული. ლაზურში ადრე ეს მეგრულისებური -უ იყო და მოგვიანებით -უ-ს ადგილი-ი ფონეტიკურმა ვარიანტმა დაიკავა [ძ-უ-ნ/ძ-ი-ნ „ძევს“, დგ-უ-ნ/დგ-ი-ნ „დგას“] ხოლო შემდგომ -Ø სახეობა ჩაენაცვლა [ღირ-უ-ნ/ღირ-ს „ღირს“]“ (ჩუხუა 2015:65). შესაძლებელია გვეფიქრა, რომ რეფლექსიურობის ი- დაერთო ლაზურის -Ø სახეობიან ვარიანტს, მაგრამ ყურადღებას იქცევს S3 პირის -ნ/-ს ნიშანთა მონაცვლეობა. ამოსავალშივე -ს ნიშნიანი სუფიქსური ფორმები გამოკვეთილად, აქტიურობის სემანტიკით, უპირისპირდებიან R-უ-ნ სტრუქტურაზე ინაქტიურ ნიმუშებს. ჩვენი აზრით, მეგრულის -ნ სუფიქსიანი რეფლექსივები უფრო არქაულ ვითარებას ასახავს. სავარაუდოდ, ლაზურში -ს ნიშანი მარკირებას უკეთებს სუბიექტ/ობიექტ გაუმიჯნავ ფორმაში მეტ-ნაკლებად დაწინაურებულ აქტიურობის სემანტიკას, ხოლო -ნ სუფიქსი უფრო განმცდელობის სემანტიკას აღნიშნავს, სადაც სუბიექტი თავისავე მოქმედების განმცდელო ობიექტია, ინტროვერტულია. ჩვენი აზრით, ამგვარ ფორმებში არის მცდელობა შინაგანი სუბიექტ-ობიექტის ფორმალური გამოყოფისა (ივალუნ ვალი ვალს „იელვება ელვა ელვას“).

შენიშვნა: აღნიშნული გვაძლევს იმ ვარაუდის დაშვების საშუალებასაც, რომ ზანურში უკუქცევითი სუბიექტ/ობიექტ გაუმიჯნავი ი-R-უ-ნ ყალიბის ი-ნიან ვნებითებს ერგატიული კონსტრუქციაც (ნამყო ძირითადადში) ამ გაუდიფერენცირებელი ფორმებისა შემორჩათ.

ი-R-უ-ნ/ი-R-ს სტრუქტურისა და ერგატიული კონსტრუქციის რეფლექსივები გრამატიკულად განსხვავდებიან ნომინატიური კონსტრუქციის ი-R-უ-უ-ნ სტრუქტურის პასიური ფორმებისაგან²⁰, შდრ.

²⁰ შესაძლებლად მივიჩნევთ ი-R-უ სტრუქტურის ინტროვერტული ნიმუშების გვარის სისტემაში განხილვას, „თვითვნებითების“ კვალიფიკაციით, რადგან -უ სუფიქსი ხაზს უსვამს სუბიექტის განმცდელობით სემანტიკას, რომლის გამომწვევიც თვით სუბიექტია. „ზმნა თვითვნებითი არს, რაჟამს მოქმედი თვითვე ივნებდეს“ (ნ. ჩუბინაშვილი);

PASS (NOM-ERG-NOM)	RFL (NOM-ERG-DAT)	
PRS: ი-ტყობ-უ-უ-ნ ბაღანა	ი-ტყობ-უ-ნ ბაღანა	„იმალება ბავშვი“
AOR: დიტყობ-უ ბაღანა-ქ	დიტყობ-უ ბაღანა-ქ	„დაიმალა ბავშვი“
REZ1: დოტყობინ-ელ-ე ბაღანა	დო-უ-ტყობინ-უ ბაღანა-ს	„დამალულა ბავშვი“

მ. ჯღარკავა მეგრულში ამგვარი სტრუქტურის მეტყველების აღმნიშვნელ ათეულობით ზმნურ ფორმას გამოყოფს: ი-ბობოქ-უ-(ნ) „ხმამალა ლაპარაკობს, ბობოქრობს“; ი-დურდინ-უ-(ნ) „დუდუნებს“, ი-ბურჭულ-უ-(ნ) „ლაყბობს“... მკვლევარი მათ „დეკონენსებად“ მიიჩნევს და, რაც აღსანიშნავია, ამგვარი ფორმები მკვლევარს ერთი უ-თი აქვს წარმოდგენილი (იხ. კაკაჩია და სხვ. 2013:213-220).

ზანურში რეფლექსივთა უმრავლესობა თვითმყოფადი უღლების სისტემით გამოირჩევა, ისინი არ საჭიროებენ ფორმათა სესხებას სასუბიექტო ქცევის მოქმედებითი გვარისაგან. ამოსავალი ი- პრეფიქსი ყოველთვის არის წარმოდგენილი დრო-კილოთა ყველა ჯგუფში, ანუ აწმყოს ფუძე განსაზღვრავს I და II სერიის ფორმებს:

PRS: ი-ბურბალ-ს	ი-ბარბალ-გ(ნ)	„ტრიალებს“
FUT: ქ-ი-ბურბალ-ს ²¹	ქ-ი-ბარბალ-გ(ნ)	„იტრიალებს“
AOR: ქ-ი-ბურბალ-უ	ქ-ი-ბარბალ-უ	„იტრიალა“
REZ 1: ქ-უ-ბურბალ-უ-ნ	ქ-უ-ბარბალ-უ-(ნ)	„უტრიალია“
EVID1: -	ნო-ბარბალ-უ-ე-ნ	„ტრიალებდა თურმე“

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ ი- პრეფიქსის ამოსავალი ფუნქცია უკუქცევითობაა. ამ სემანტიკით ისინი ძალიან ახლოს დგანან ე.წ. მედიაოქტივებთან, შდრ. ვარვალ-ან-ს „ელვარებს“ და ი-ვარვალ-გ(ნ)“ იელვარება“, ტვანგალ-ან-ს „როშავს“ და ი-ტვანგალ-გ(ნ) „იროშება“, გურგინ-უნ-ს „გრგვინავს“ და ი-გურგინ-გ(ნ)“იგრგვინება“ და მისთ. ე.წ. მედიაოქტივები მიუთითებენ შინაგან მოქმედებას, რომელიც გარეთ არის გამოსული, თუმცა არარელაციურია, გარდაუვალია, ხოლო უკუქცევითების მოქმედება კონცენტრირებულია თავად საგანში, უკუგარდამავალია. ეს მცირედ განმასხვავებელი ნიუანსი ზანურში ყოველთვის აწმყოშივე ი- პრეფიქსით არის გამოხატული.

²¹ ქ-ი- < ქიი- < ქო+ი; ქ-უ- < ქუუ- < -ქო-უ-

2.3. რეფლექსიურობის დამოუკიდებელი კატეგორიისათვის. ბ. ჯორბენაძე უკუქცევითობას დამოუკიდებელ კატეგორიად მიიჩნევს. მისი აზრით, უკუქცევითობა გვარის კატეგორიის გარეშე მდგარი ენობრივი წარმონაქმნია – ცალკე, დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორიაა. იგი არ ემთხვევა არც გვარს, არც გარდამავლობა-გარდაუვალობას და არც დინამიკურობა-სტატიკურობას. ეს სულ სხვადასხვა ენობრივი ცნებებია და მათი გაუმიჯნაობა გაუმართლებელი აღრევის მიზეზი შეიძლება გახდეს. უკუქცევითი ფორმები შეიძლება მივიჩნიოთ ცალკე გრამატიკული, უკუქცევითობის კატეგორიის, კუთვნილებად, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ზმნის გვართან (ჯორბენაძე 1975:18-19; 73, 91-92).

ტრადიციულ გრამატიკაში იგი გვარის კატეგორიაშია წარმოდგენილი. ქ. ლომთათიძე და მ. მაჭავარიანი კი მას ქცევის კატეგორიაში განიხილავენ (ლომთათიძე 1976; მაჭავარიანი მ. 1980), დ. მელიქიშვილი კი – დიათეზის კატეგორიაში (მელიქიშვილი 2014).

ჩვენ ვიზიარებთ ბ. ჯორბენაძის მიერ ზემოთ მოხმობილ თვალსაზრისს და ვფიქრობთ, რომ მეგრულ-ლაზურის ზმნურ ფორმათა უკუქცევითობის მორფოლოგიური მარკირება, განსხვავებით ქართულისაგან, იძლევა მისი დამოუკიდებელ კატეგორიად გამოყოფის საშუალებას. რეფლექსიურობა, ისევე როგორც პოტენციალისი მეგრულში, გვართან უმჭიდროესად დაკავშირებული კატეგორიაა.

ზანურში უკუქცევითობის ი-პრეფიქსმა მუდმივობის R-უ-ნ და R-ე-ნ ყალიბებთან ერთად საბოლოოდ განსაზღვრა ვნებითი გვარის ფორმები ზანურში: ი-R-უ-ნ / ი-R-ე-ნ. ამოსავალი ფორმებისაგან მიღებული უკუქცევითობა იმაზე მეტყველებს, რომ ქცევა და ვნებითი, ასევე ვნებით-პოტენციალისი საერთო საფუძველზე არის აღმოცენებული (შდრ. გ. მაჭავარიანი 1965:105,109-110).

დროთა განმავლობაში უკუქცევითობის ყალიბზე აღმოცენებული ვნებით-პოტენციალისი დაუპირისპირდა ამავე ფუძის პირველად აქტივებს:

ACT: წკუმინ-უნ-ს „წკმუტუნებს“	: PASS: ი-წკუმინ-ე-ნ	„წკმუტუნი შესაძლებელია“
ACT: ლალ-უნ/უფ-ს „ყეფს“	: PASS: ი-ლალ-ე-ნ	„ყეფა შესაძლებელია“
ACT: კანკ-უნ/კანკ-უფ-ს „კენკავს“	: PASS: ი-კანკ-ე-ნ	„კენკვა შესაძლებელია“

გარდამავლობის ჩამოყალიბების შემდგომ კი აქტიურ ფორმებს კონვერსიული ი-R-უ-ნ სტრუქტურის პასიური ფორმები დაუპირისპირდა (დერივაციაშეზღუდული ლაზური კი ვერ ვითარდება).

3. გვარი და გარდამავლობა მეგრულ-ლაზურში

ქართულსა და ქართველურ ენებში გარდამავლობასთან არის დაკავშირებული ზმნის გვარის საკითხი (იხ. ჩიქობავა 1981:9). გარდამავალი ზმნა, ა. შანიძის გრამატიკის მიხედვით, ზმნის აქტანტურ კონსტრუქციაში აუცილებლად გულისხმობს პირდაპირი დამატების ჩართულობას. აქედან გამომდინარე, იგი ემთხვევა მოქმედებითი გვარის ტრადიციულ გაგებას, სადაც „გამომდინარეობს მოქმედება სუბიექტური პირისაგან და სხვა პირზე პირდაპირ დამართებული“ (შანიძე 1980:267). შესაბამისად, ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნა გარდამავლად არის მიჩნეული, ხოლო ვნებითი და საშუალი გვარის ფორმები – გარდაუვლად.

ბ. ჯორბენაძეს გვარის განმარტებაში მოქმედების პირდაპირ ობიექტზე მიმართების შეტანა მიზანშეუწონლად მიაჩნია. მეცნიერის აზრით, „მაშინ იგივეობის ნიშანი უნდა დაგვესვა გვარსა და გარდამავლობას შორის, ეს კი შეუძლებელია, რადგან, სხვა რომ არა იყოს რა, ზოგიერთ ენაში (და ამის მაგალითები საკმაოა) შესაძლებელია გამოიყოფოდეს გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები, მაგრამ გვარის კატეგორია კი არ იყოს ჩამოყალიბებული“ (ჯორბენაძე 1975:11).

გარდა აღნიშნულისა, დ. მელიქიშვილი მიიჩნევს, რომ „ტერმინი გარდამავალი / გარდაუვალი სემანტიკური თვალსაზრისითაც დეზინფორმაციულია და მოხერხებული არ არის, რადგანაც მოქმედება არა მარტო „პირდაპირ ობიექტზე“, არამედ ბრუნვაუცვლელ „ირიბ ობიექტზეც“ „პირდაპირ“ გადადის: არწივი აცხრება კურდღელს, ეჯახება კლდეს და სხვ.“ (იხ. მელიქიშვილი 2014:130).

გარდამავლობის თვალსაზრისით, ასევე საყურადღებოა დავით კარიჭაშვილის მოსაზრება: „ზმნა, გამომხატველი იმისთანა მოქმედებისა, ვნებულობისა ან ყოფა-მდგომარეობისა, რომელსაც აქვს დამოკიდებულება სხვა საგანთან, გარდამავალ ზმნად იწოდება, ხოლო გამომხატველი იმისთანა მოქმედებისა, ვნებულობისა ან ყოფა-

მდგომარეობისა, რომელსაც არა აქვს სხვა საგანთან არავითარი დამოკიდებულება, გარდაუვალ ზმნად იწოდება“ (კარიჭაშვილი 1929:52). ამიტომ ავტორის აზრით, როგორც მოქმედებითი ისე ვნებითი გვარის ფორმები შეიძლება იყოს გარადამავალიც და გარდაუვალიც. ვჭრი, ვხნავ, ვნატრულობ, ვფიქრობ, ვსტირი გარადამავალი მოქმედებითია; ვბრუნავ, ვღელავ, ვიბრძვი, ვშოთავ, ვცოცავ – გარდაუვალი მოქმედებითი; ვეგზავნები, ვეყრები, ვენატრები, ველაპარაკები, ვეხვეწები – გარადამავალი ვნებითია, ხოლო ვინატრები, ვიგზავნები, ვიყრები, ვკვდები, ვფიქრდები – გარდაუვალი ვნებითი... (იქვე).

გვარისა და გარადამავლობის შესაბამისობა ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის განხილული, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ გარადამავლობა არ გულისხმობს გვარს (ილიში 1971:115).

მეგრულ-ლაზურში ჩვენ მიერ კლასიფიცირებული გვარის სისტემა გამორიცხავს მის კავშირს აღნიშნულ კატეგორიასთან, რადგან გვარს განვიხილავთ, როგორც მორფოსინტაქსურ კატეგორიას, რომელიც ზმნის გარკვეული ფორმით (მოდელით) აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას ქვემდებარის აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით (იხ. ჯორბენაძე 1975:10). შესაბამისად, მოქმედებით გვარში განვიხილავთ ე.წ. მედიაოქტივებსაც, რომლებსაც ფორმალურ ზედაპირზე არ მოეპოვებათ პირდაპირი დამატება.

ზოგადად, ქვემდებარის აქტიურობას არ ვსაზღვრავთ მხოლოდ პირდაპირ დამატებაზე „დამართებული მოქმედებით“. აქტიურობა შესაძლებელია იყოს როგორც პირდაპირი ($S > DO$), ისე ირიბი დამატებისკენ მიმართული ($S > ID$), ასევე – პირ-მიუმართავი (ნეიტრალური $S > \dots$) ან – უკუმიმართებისა (უკუქცევითი $S < S$).

ყველა ტიპის აქტიური ზმნა ზანურში ერგატიული/ცვლადი კონსტრუქციისაა. მათ შორის არქაული ფორმაციის ე.წ. მედიაოქტიური – ბუნების მოვლენების, ყოველგვარი ხმის, ხმიანობის, ხმაურის... გამომხატველი ფონოსემანტიკური ფუძეები, რომელთათვის მხოლოდ პრედიკატული სინტაგმაა (ქვემდებარე-შემასმენელი) დამახასიათებელი. მათ აქტანტურ კონსტრუქციაში, ლ. ნოზაძის თვალსაზრისის მიხედვით, ისტორიულადაც კი არ ივარაუდებოდა პირდაპირი ობიექტი (იხ. ნოზაძე 1974), ანუ ერგატიულობა არ უდრის გარადამავლობას, ის უდრის აქტიურობას, და ასეთი ტიპის პირველადი აქტივები, როგორც წინა პარაგრაფში ვნახეთ, უპირისპირდებიან შესაძლებლობის ვნებითებს.

აღნიშნული გვადლევს იმ ვარაუდის დაშვების უფლებას, რომ ზანურში დაპირისპირება უნდა ყოფილიყო არა გარდამავლობა/გარდაუვალობის, არამედ აქტიურობა/ინაქტიურობის მიხედვით; შესაბამისად, მეგრულ-ლაზურში გვარი ჩამოყალიბებულია ინაქტიური /აქტიური და ასევე რეფლექსიური ზმნების ბაზაზე.

ხოლო მას შემდეგ, როდესაც სუბიექტი და შინაგანი ობიექტი მატერიალურად საბოლოოდ გამოეყვნენ ერთმანეთს, რასაც უკავშირდება გარდამავლობის კატეგორიის წარმოქმნა, აქტიურ ზმნათა პრედიკატულ კონსტრუქციაში გაჩნდა პირდაპირი დამატება, ანუ გარდამავალი ზმნა გაუტოლდა მოქმედებით გვარს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ზმნის გარდამავლობა არქაულ, გვარისთვის ამოსავალ კატეგორიად არის მიჩნეული და ამის დამამტკიცებელ საბუთად მოხმობილია ის ფაქტი, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა დიდ ნაწილში გვაქვს გარდამავლობა, რომელიც გვარებს ვერ განარჩევს (ჩიქობავა 1961:121). ბ. ჯორბენაძის შეფასებით, ვითარება ქართველურ ენებშიც კავკასიური ენების მსგავსი უნდა ყოფილიყო. მოიპოვებოდა გარდამავალი და გარდაუვალი ზმნა, მაგრამ არ გაირჩეოდა მოქმედებითი და ვნებითი გვარი (ჯორბენაძე 1975:12).

უახლესმა კვლევებმა წარმოაჩინა, რომ ლეზგიურ ენებში, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ოპოზიცია გარდამავლობა/გარდაუვალობის მიხედვით და ზოგჯერ ეს ოპოზიცია სპეციალური აფიქსებითაც კი არის გამოხატული, მრავალი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ ეს მოვლენა მეორეულია. ავტორები ამოსავლად მიიჩნევენ ოპოზიციას აქტიურობა/ინაქტიურობის მიხედვით. მათი აზრით, საერთოლეზგიური ენობრივი რეკონსტრუქცია „უეჭველად განსაზღვრავს ამ ენის ერგატიულ ტიპს“ (იხ. აზმაიფარაშვილი და სხვ. 2016:87-88), ანუ კავკასიურ ენებშიც დაპირისპირება აქტიურობა/ინაქტიურობის მიხედვით უფრო წინარე მოვლენაა, ვიდრე გარდამავლობა.


ზანურშიც აღნიშნული დაპირისპირების საფუძველზე ხდება ზმნის გრამატიკული გვარის ჩამოყალიბება. ერგატიული და პრედიკატული კონსტრუქციის პირველადი აქტივები ოპოზიციას ქმნიან მათგან წარმოქმნილი ნომინატიური კონსტრუქციის შესაძლებლობის ვნებითებთან.

მეგრულ-ლაზურში კონსტრუქციები ნაწილდება არა ზმნის გარდამავლობა/გარდაუვალობის, არამედ ქვემდებარის აქტიურობისა და ინაქტიურობის მიხედვით.

შესაბამისად, მოქმედებითი გვარის ყველა ტიპის აქტიურ ზმნებთან გვაქვს ერგატიული კონსტრუქცია, ხოლო ინაქტიურ ზმნათა ვნებით გვარში – ნომინატიური.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ გვარის ჩასახვისა და განვითარების სქემას მეგრულსა და ლაზურში:

სქემა N 1



4. გვარი და ნასახელარი ზმნები მეგრულ-ლაზურში

4.1. ნასახელარ ზმნათა გამოყოფის საფუძველი. მეგრულ-ლაზურში გვარის კატეგორიის გენეზისმა ფუძეთქმნადობის პრობლემამდე მიგვიყვანა. ემპირიული მასალის სტატისტიკურმა ანალიზმა დაგვანახა, რომ ზანურის მორფოლოგია არასახელური წარმოშობის *R-ზე ფუძიდან იწყება, რომელზედაც S3 პირის -ნ სუფიქსის დართვის შედეგად წარმოქმნილია R-ზე სტრუქტურის მდგომარეობისა და თვისების (პროცესუალობის) გამომხატველი ზმნური ფორმები (დგ-ზე-ნ „დაგას“, რჩ-ზე-ნ „აფენია“, ხონცქ-ზე-ნ „ქუხს“, კვინჩი ფუთხ-ზე-ნ „ჩიტი ფრთხიალებს“, მჟორა ჩხატ-ზე-ნ“ მზე ბრწყინვს“ და ა.შ.). წარმოების ამავე ყალიბს ირგებენ სახელური ფუძისგან წარმოქმნილი „უძველესი ფორმაციის დინამიკური“ ე.წ. უნიშნო ვნებითები და ასევე, არქაული დონიანი ვნებითები, მაგ., ხომ-ზე-ნ „ხმება“, ღურ-ზე-ნ „კვდება“, ტიბ-ზე-ნ „თბება“ და ჭითონ-დ-ზე-ნ „წითლდება“, ბირგონ-დ-ზე-ნ „ხევდება“, ღვიჟონ-დ-ზე-ნ „უფერულდება“ და მისთ.

ამავე დროს ზმნურ ფორმათა მორფემებად სტრუქტურირებულ ბაზაში ფიქსირდება, შედარებით ახალი წარმონაქმნი, ატრიბუტული სახელებისაგან მიღებული ფუძეები, რომლებიც განსხვავებული ელემენტებით გამოირჩევიან. მაგ.: უჩა „შავი“ > ა-უჩ-არ/ორ-ენ-ს „აშავებს“ : ი-უჩ-არ/ორ-ებ-ზე-ნ „შავდება“, მ/ჭითა „წითელი“ > ი-მჭით-ან-ენ და ჭით-ონ-დ-ზე-ნ „წითლდება“. წარმოჩენილი -არ/-ორ, -ან/-ონ ფორმანტები (მათ შორის -დ სუფიქსიც) ჩვენ არქაული, საერთოქართველური მორფოლოგიის გადმონაშთი უფრო გვგვონია, ვიდრე ზანურის შემდეგდროინდელი მოდიფიკაციები.

აღნიშნულმა გარემოებამ გვიკარნახა ატრიბუტული სახელების, რომლებიც იცავდნენ ძველისძველ ვითარებას და დიდ როლს თამაშობდნენ გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებაში, ცალკე სისტემატიზაციისა და უფრო სიღრმისეული შესწავლის აუცილებლობა, რათა არ გაგვჭირვებოდა გვართან დაკავშირებული რიგი კონკრეტული საკითხების სწორი მორფოლოგიური ახსნა და შესაბამისი კვალიფიკაცია²².

მოკლედ მიმოვიხილათ ნასახელარ ზმნათა შესწავლის ისტორიას.

²² პროფ. მ. ჩუხუას ხელმძღვანელობით ჩვენ აღნიშნული საკითხი მონოგრაფიულად შევისწავლეთ და მისავე რედაქტორობით, ნაშრომის სახით გამოვეცით 2017 წ: „ნასახელარი ზმნები მეგრულსა და ლაზურში“, თუმცა გვარის კატეგორიის სრულფასოვანმა ანალიზმა სხვა არსებითი სიახლეც გამოკვეთა და რიგი საკითხები, ზმნის მორფოსინტაქსური ანალიზის ფონზე, კიდევ უფრო დააზუსტა. სადისერტაციო ნაშრომში ნასახელარი ზმნები გამოყოფილია ცალკე ქვეთავებად, შესაბამის მოქმედებით და ვნებით გვარში (იხ. გვ. 113, 180). აქ წარმოდგენილი ზოგადი მსჯელობა მხოლოდ მიმოხილვითია.

სახელური ფუძისგან მიღებული მეორეული წარმოების (verbe secondaire) ზმნური ფორმები, საენათმეცნიერო ლიტერატურაში ნასახელარი ზმნების (verbe denominale/-denominative = DNV) სახელითაა ცნობილი (იხ. ახალაია 2017).

ქართულში ნასახელარ ზმნათა შესწავლის ისტორია იწყება 1919 წ. „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში“ გამოქვეყნებული ა. შანიძის ნაშრომით „ნასახელარი ზმნები ქართულში“, რომელიც დღემდე არ კარგავს აქტუალობას (ასევე, იხ. შანიძე 1957; 1981).

ნასახელარ ფორმათა წარმოქმნისა თუ მის ფუნქციურ-სემანტიკურ საკითხებს შემდგომაც არაერთი სამეცნიერო კვლევა მიეძღვნა (კიკნაძე 1946, ჯორბენაძე 1975, 1995, გოგოლაშვილი 1977, მუზაშვილი 1981, 1984, 1993, 2016, ჟღენტი დ. 1987, 1988, 1989, შენგელია 1989, კობიაშვილი 1998, ლოლაძე 1998, ჭიკაძე 2008, ფეიქრიშვილი 2009, ტუსკია 2014, ზეჯალაშვილი, კიკნაძე 2015...). აღსანიშნავია, ნ. მუზაშვილის საკანდიდატო დისერტაცია ძველ ქართულში, რომელშიც ნასახელარი ზმნები გამოწვლილვით არის შესწავლილი (იხ. მუზაშვილი 1993).

ქართული, ზმნურ ფუძეთა დერივაციის თვალსაზრისით, საკმაოდ პროდუქტიული ენაა. ძველი ქართული სასულიერო თუ საერო ლიტერატურა, მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“, გამორჩევა სახელებისაგან ზმნური ფორმების ხშირი დერივაციით. დ. მელიქიშვილის დაკვირვებით, ნასახელარი ზმნები ყველაზე მეტად გამოიყენება იოანე პეტრიწის ენაში, სადაც ახალი ზმნური ფორმები თითქმის ყველა მეტყველების ნაწილისაგან არის შექმნილი²³ (მელიქიშვილი 1975:132-140).

თანამედროვე ქართულში მრავალფეროვანი სიტყვათქმნადობით გიორგი ლეონიძის ნაშრომებია გამორჩეული (ჭიკაძე 1973:137).

რაც შეეხება ზანური ჯგუფის ენებს, აქ მაღალი სიხშირის დერივაციით, თვით ქართულთან შედარებითაც კი, მეგრული აშკარად გამორჩევა, ხოლო ლაზური – პირიქით, საკმაოდ შეზღუდულია ყველა ტიპის წარმოების თვალსაზრისით, რაც, ჩვენი აზრით, მრავალი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური ფაქტორით არის გამოწვეული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ნასახელარ ზმნებში გამოვყოფთ ორ

²³ იხ. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, 1975:132-140;

სპეციფიკურ ჯგუფს, რომლებიც ფორმისა და კონსტრუქციის მიხედვით თავსდება შესაბამისი მოქმედებითი და ვნებითი გვარის საერთო სტრუქტურებში ისე, რომ არ იწვევენ მათ დესტრუქტურიზაციას.

1) R-უ-ნ ჯგუფი. ცნობილია, რომ „სტატიკური ზმნები განვითარების ძველის-ძველ საფეხურს წარმოგვიდგენს, სახელდობრ, იმ საფეხურს, როცა ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სახელისაგან... ზმნა მდგომარეობას აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა, თვისების მსგავსად, უცვლელი იყო დროში“ (ჩიქობავა 1950:051). ზანურში ემპირიული მასალის მიხედვით გაირკვა, რომ მდგომარეობა და თვისებაამოსავალი R-უ-ნ მოდელით იყო წარმოდგენილი. თვისება კი თავისი შინაარსით ახლოს იდგა მოვლენასთან, პროცესუალობასთან. ზმნურ ფორმათა ჩამოყალიბების მეორე ეტაპზე ნიშან-თვისების გამომხატველი სახელური ფუძეები ზანურში ირგებენ R-უ-ნ მოდელს (R= გაუდიფ. ძირი //წარმოქმნილი სახელი), ანუ ამოსავალი ძირი წარმოდგენილია როგორც ატრიბუტული, ნიშან-თვისების მქონე, სახელის, ისე ამავე ნიშან-თვისების გამომხატველი მოვლენის სახით მაგ., ADJ: ხომ-უ[*ლა] ჯა „ხმელი ძელი (=ხე)“ // > DNV: ხომ-უ-ნ ჯა „ხმება ხე“; ADJ: ტუბ-უ/ტიბ-უ „თბილი წყარი“ // > DNV: ტუბ-უ-ნ/ტიბ-უ-ნ „თბება წყარი“. ამგვარი თვისების / ზოგადი მოვლენის გამომხატველი ზმნურ ფორმა ნომინატიური კონსტრუქციისა როგორც მეგრულში, ისე ლაზურში.

ასევე პროცესუალური სემანტიკისაა R-უ-ნ სტრუქტურით წარმოდგენილი ატრიბუტული ფუძეები: ADJ: ჭითა „წითელი“ > *ჭით-ონ-დ > DNV: ჭითონდ-უ-ნ „წითლდება“, ADJ: სქვიჭა „პატარა, მკვრივი, სხარტი“ > *სქვიჭ-ონ-დ > DNV: სქვიჭონდ-უ-ნ „მკვრივდება, პატარავდება“, ADJ: ტვინგა „უტვინო, განტვინული“ > *ტვინგ-ონ-დ > DNV: ტვინგონდ-უ-ნ „გად. სულელდება“, ADJ: ძიკა „ბლენძია, ამპარტავანი“ > *ძიკ-ონ-დ > DNV: ძიკონდ-უ-ნ „იბლინძება“, ADJ: ღვიჟა „უფერული“ > *ღვიჟ-ონ-დ > DNV: ღვიჟონდ-უ-ნ „უფერულდება“²⁴ და ა.შ.

²⁴ სვანური ატბიდე „ათბობს“ ნასახელარ ზმნად მიიჩნევა, ამოსავალია ტებ-დი // ტებ-ედ-ი „თბილი“ (ჯორბენაძე 1995:309).

სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი არქაული სტრუქტურის პროცესუალური შინაარსის ზმნები „უნიშნო ვნებითებად“ და „დონიან ვნებითებად“ არის კვალიფიცირებული. ჩვენ ვიზიარებთ თვალსაზრისს, რომ ე. წ. უნიშნო ვნებითები არქაული ფორმაციის დინამიკური ზმნებია (ლომთათიძე 1953:77), ხოლო დონიანი ფორმები ფართოდ გავრცელებული უძველესი წარმოების გადმონაშთი (დანელია 1976:107-108).

ე.წ. უნიშნო და დონიანი ფორმები ზანურში, გვარის ჩამოყალიბების შემდეგ, საერთო მორფოლოგიური სტრუქტურისა და კონსტრუქციის მიხედვით შეურთდნენ ვნებითი გვარის ფორმებს (ვრცელი მსჯელობისათვის იხ. გვ. 153-168).

2) R-არ/ორ; R-ან/ონ ჯგუფი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნასახელარ ზმნათა ატრიბუტულ ფუძეებში მეგრულში წარმოჩენილია -არ/ორ (ACT: აუჩ-არ/ორ-ენ-ს > PASS: იუჩ-არ/ორ-ებუნ „აშავებს : შავდება“, ACT: აჭიჭ-არ/ორ-ენს > PASS: იჭიჭ-არ/ორ-ებუნ „აპატარავებს : პატარავდება“), ხოლო ლაზურში -ან (ACT: ომჭით-ან-ეფს : PASS: იმჭით-ან-ენ „აწითლებს : წითლდება“) ელემენტები. მეგრულში ასევე -ონ სუფიქსი უგამონაკლისოდ გვხვდება დ- ნიშნის წინ ე.წ. დონიან ვნებითებში (PASS: ჭით-ონ-დ-უნ „წითლდება“),

-არ/-ორ სუფიქსები მიჩნეული იყო -ალ/-ელ- ნიშნების მორფოფონეტიკურ ეკვივალენტებად (არნ. ჩიქობავა, კ. დანელია), მ. ჩუხუამ კი ისინი ზედსართავი სახელის ხარისხის წარმოებასთან დააკავშირა. მეცნიერის აზრით, -ორ სუფიქსი წარმოშობით ოდნაობითი ხარისხის -ორ-ა სუფიქსის ნაშთი უნდა იყოს (ლაზ. მო-/დო-მჭით-ორ-ა „მოწითალო“), რომლის სემანტიკა თვალნათლივ ცხადდება მეგრულის გინგმი-ჭით-ორ-უ-ან-ს „წაიწითლებს“ ტიპის დერივაციაში და არაფერი აქვს საერთო ქართულის -ელ სუფიქსთან (წით-ელ), შდრ. სვანურის -არა: წგრნი-არა „მოწითალო“ (იხ. ჩუხუა 2015:72). ზანურის ემპირიული მასალა მხარს უჭერს აღნიშნულ თვალსაზრისს, თუმცა მოცემულ და ასევე -ან/-ონ ელემენტებს ჩვენ უფროობით ხარისხთან ვაკავშირებთ, რომელიც მორფოლოგიურად იწარმოებოდა მეგრულ-ლაზურში. მეგრ. *მხუ-არ/ორ-ი „უფრო მსხვილი“ > ACT: ა-მხუ-არ/ორ-ენ-ს „უფრო ამსხვილებს“, მეგრ. ჭიფ-ან-ა „უფრო წვრილი“ > ლაზ. ACT: ომჭიფ-ან-ეფ-ს „აწვრილებს“ > PASS: იმჭიფ-ან-ენ „წვრილდება“, ლაზ. ჭით-ონ-ი „მოწითალო“ > მეგრ. PASS: ჭით-ონ-დ-უნ „წითლდება“.

ამგვარი ფორმები ვრცლად განხილული გვაქვს მოქმედებითი და ვნებითი გვარის შესაბამის თავებში (იხ. გვ. 113, 181).

ნასახელარ ზმნათა ისტორიის ზოგადი მიმოხილვისას, აქვე უნდა აღინიშნოს ის სახელური ფორმებიც, რომლებსაც იყენებს ლაზური მოქმედებითი გვარის აღწერითი წარმოებისას:

(1) თურქ. *avcilik* > ლაზ. ავჯობა/აბჯობა // ავჯილული „ნადირობა“

ავჯობა // ავჯილული იქიფს/იქუმს/იქომს

„ნადირობას აკეთებს (=ნადირობს)“

(2) თურქ. *topallik* > ლაზ. თოფალობა//თოფალული „კოჭლობა“

თოფალობა//თოფალული იქიფს/ იქუმს/იქომს

„კოჭლობას აკეთებს (=კოჭლობს)“

ამგვარი კონსტრუქცია თურქული ენის გავლენის შედეგია და მას არაფერი აქვს საერთო ძველი ქართულის აღწერით წარმოებასთან, რომელიც, კონვერსიულ სისტემასთან შედარებით, ამოსავლად არის მიჩნეული (იხ. მუზაშვილი 1993). ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ამგვარი კონსტრუქციები არ გვხვდება მეგრულში (ვრცელი ანალიზისათვის იხ. გვ. 110).

4.2. ნასახელარ ზმნათა ყალიბები. მეგრულ-ლაზურში წარმოქმნილი სახელური ფუძეები (ასევე მარტივი ფუძეებიც), გაზმნავებისას ირგებენ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებისათვის დამახასიათებელ ყალიბებს, ანუ სახელი ექცევა შესაბამის ზმნურ მოდელში. სწორედ ამიტომაც, ბ. ჯორბენაძე სახელური ფუძისაგან მომდინარე გვარის ფორმებს ასე განსაზღვრავს: „მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნები“ (1975:109), „ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნები“ (1975:138) და არა პირიქით, ნასახელარი ზმნების მოქმედებითი ან ვნებითი გვარი.

ნასახელარი ზმნის გვართან დაკავშირებით აქტუალურია შემდეგი საკითხი: ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნა შესაბამისი მოქმედებითის ფუძეს გულისხმობს ამოსავლად თუ დამოუკიდებლად იწარმოება სახელისაგან.

ა) ნასახელარ ზმნებს გვარის ფორმები სახელის ფუძისაგან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ეწარმოებათ - ცივი: ა-ცივ-ებ-ს, ცივ-დ-ებ-ა, ცივ-ობ-ს (ჯორბენაძე 1975: 128). ხაზგასმულია ისიც, რომ სუფიქსიანი ვნებითი მოქმედებითი გვარის ფუძეს საერთოდ არ ვარაუდობს ამოსავლად... გან-მდიდრ-დ-ა, გან-მდიდრ-დ-ებ-ი-ს წარმოებისათვის ბაზისურია არა მოქმედებითი გვარის ზმნა ა-მდიდრ-ებ-ს, არამედ უშუალოდ სახელურ ფუძე-მდიდარდა ა. შ. (მაჭავარიანი 1973:109).

ბ) ნასახელარი ზმნების ვნებითი გვარის ფორმები ეყრდნობა არა შესაბამის სახელურ, არამედ სათანადო მოქმედებითი გვარის ფუძეს და ნასახელარ ზმნათა ვნებითის ფორმებში დადასტურებული ყველა ფონეტიკური ცვლილება უკვე შესაბამისი მოქმედებითის ფუძეშია მომხდარი (გოგოლაშვილი 1977: 5-9).

ცხადია, უძველესი R-უ-ნ სტრუქტურის სახელური ფუძისაგან დამოუკიდებლად წარმოქმნილი ე.წ. უნიშნო და დონიანი ვნებითები ამოსავლად არ გულისხმობს მოქმედებითი გვარის ფორმებს (ჭით-ონ-დ-უ-ნ „წითლდება“ და ტიბ-უ-ნ „თბება“ ტიპი), სხვა შემთხვევებში კი ზანური მასალის სტატისტიკურმა ანალიზმა ცალსახად წარმოაჩინა, რომ ნასახელარი ზმნების ვნებითი გვარი ეყრდნობა შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფუძეს. ამის დამადასტურებელ ნათელ მაგალითს წარმოადგენს ის ფორმანტები, რომლებიც მხოლოდ გაზმნავებისას (მოქმედებით გვარად ქცევისას) იჩენენ თავს და შესაბამის სახელურ ფუძეებში აღარ გვხვდებიან. აღნიშნული გამორიცხავს ვნებითი გვარის ფორმათა უშუალოდ სახელური ფუძეებისაგან მომდინარეობის საკითხს:

(3) ჭითა „წითელი“ > მეგრ. ACT: ა-ჭით-არ-ენ-ს > PASS: ი-ჭით-არ-ებ-უ-ნ

აწითლებს > * იწითლება (=წითლდება)“

(4) უჩა „შავი“ > მეგრ. ACT: ა-უჩ-არ-ენ-ს > PASS: ი-უჩ-არ-ებ-უ-ნ

„აშავებს > * იშავება (=შავდება)“

(მსგავს ფორმათა ვრცელი ანალიზისათვის იხ. გვ.119, 181)

ამ ქვეთავში წარმოდგენილი თითოეული საკითხი და მასთან დაკავშირებული თვალსაზრისები დეტალურად გვაქვს განხილული მოქმედებითი და ვნებითი გვარის ნასახელარ ფორმათა ანალიზისას. აქ კი, ზოგადად, მხოლოდ ის ვაჩვენეთ, რომ გვარის

კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესში ნასახელარი ზმნები განცალკევებით არ მდგარან, პირიქით, ისინი აქტიურად იყენენ ჩართული და ზმნური ფუძეების კვალდაკვალ ირგებდნენ იმ ყალიბებს (შესაბამისად, კონსტრუქციებს), რაც მოქმედებითი და ვნებითი გვარის პირველადი, არასახელური ფორმებისათვის იყო დამახასიათებელი.

5. I თავის დასკვნა

მეგრულ-ლაზურში გვარის ფორმალიზაციის ანალიზისას გამოიკვეთა, რომ ზანურში გვარის გრამატიკალიზაციის პროცესი დამოუკიდებლად წარიმართა. ზანური მასალის მიხედვით, ამოსავალში დაპირისპირება უნდა ყოფილიყო არა ზმნის გარდამავლობა-გარდაუვალობის, არამედ აქტიურობა/ინაქტიურობის მიხედვით. შემდგომ საფეხურზე, რეფლექსივიზაციის პროცესში, ერგატიული კონსტრუქციის შინაგანად აქტიური დამისგან მომდინარე ნომინატიური კონსტრუქციის უპირო ფორმების (პოტენციალისი) საფუძველზე უნდა იყოს გვარის გრამატიკული კატეგორია ჩამოყალიბებული.

მეგრულ-ლაზურში ამოსავლი სუფიქსური წარმოების ფუძეს ვაკავშირებთ საერთოქართველურ *-უჟ (*-აჟ) ფორმანტთან, რომელიც არქაული S3 პირის ნ-ს დართვის შედეგად კარგავს თანხმოვნით კომპონენტს: *R-უვ-ნ > *R-უ-ნ. -ვნ თანხმოვანთა მიმდევრობა არაკანონიკურია ზანურში. დროთა განმავლობაში -უ დამოუკიდებელ ფორმანტად ჩამოყალიბდა, განზოგადდა და გვარის სისტემაში ოდენ ინაქტიური ქვემდებარის გამოხატვის ფუნქცია შეიძინა.

მარტივი პრედიკატული კონსტრუქციის R-უ-ნ ყალიბის ფორმა, გამოხატავდა საგნის დროში შეუზღუდავ მუდმივ თვისებას, უნარს. მუდმივობა შესაძლებელია ყოფილიყო როგორც მდგომარეობითი (უმოდრაო: ცუდე დგ-უ-ნ „სახლი დგას“, მფლობელობითი: უდ-უ-ნ „აქვს“, უჩქ-უ-ნ „იცის“, ჯოგ-უ-ნ „სძულს“), ისე პროცესუალური (განმცდელობითი: ხონცინი ხონც-უ-ნ „ქუხილი ქუხს“, მჟორაჩხატ-უ-ნ „მზე ბრწყინავს“, კვინჩი ფუთხუ-ნ „ჩიტი ფრინავს“, მეორე საფეხურზე გვხვდება: ხომუ-უ-ნ „ხმება“

ჭითონდ-უნ „წითლდება“). R-უნ ყალიბის კონსტრუქცია იყო ნომინატიური ან დატიური. ზანურში ამოსავალ ფორმათა მწირ ნიმუშებში ასევე გვხვდება R-ენ სტრუქტურის ფორმები. ჩვენი აზრით, -ე-ც საერთოქართველი *-ეჟ (< *-აჟ) ნიშნიდან მომდინარეობს.

ზმნურ ფორმათა განვითარების შემდგომ საფეხურზე, რაც სუბიექტის აქტიურობასთან არის დაკავშირებული ჩნდება S3 პირის -ს ნიშანი: *R-უგ-ს. -ს ფორმანტი ააქტიურებს ზმნის ფუძეს და ვ > ნ, ვ > ფ ფონეტიკური გადასვლებით ქმნის -უნ და -უფ მათივე ალომორფებს მეგრულსა და ლაზურში. იქმნება ოპოზიციური სისტემები საბაზისო ნომინატიური კონსტრუქციის R-უნ ყალიბის სტატიკური ნიმუშებისა და ერგატიული კონსტრუქციის R-უნ/უფ-ს დინამიკური ფორმების სახით (შემდგომ ამათ უერთდება ფონემურად იდენტური -ავ > -ან/ავ/ამ < -ებ ჯგუფები).

თავი II

მოქმედებითი გვარი მეგრულ-ლაზურში

მოქმედებითა გვარი ზანურში, როდესაც გრამატიკულად განსაზღვრული ფორმით წარმოდგენილია უნიფიცირებული სუბიექტისა და ქვემდებარის ყველა ტიპის აქტიური დამოკიდებულება შემასმენელთან.

მეგრულ-ლაზურში სემანტიკურად აქტიური სუბიექტის გრამატიკალიზაცია, ანუ ქვემდებარის როლის მორგება ერგატიულ (> ცვლად) კონსტრუქციას, თემის ნიშნებსა და-სმარკერს (აწმყოს ფუძის S3) უკავშირდება. შესაბამისად, მოქმედებით გვარში განვიხილავთ ყველა იმ ზმნურ ფორმას, რომლებისთვისაც მოცემული გრამატიკული (resp. სინტაქსური და მორფოლოგიური) ყალიბია დამახასიათებელი²⁵. ასეთი შეიძლება იყოს:

ა) პირდაპირგარდამავალი ზმნები

ბაღანა	ხანტ-უნ-ს	დიდა-ს
ბავშვი.NOM	ხატ-ATM-PRS.S3.SG	დედა-DAT
S	V	DO

„ბავშვი ხატავს დედას“

ბ) ირიბგარდამავალი ზმნები

ბაღანა	უ-ფერუ-ან-ს	დიდა-ს
ბავშვი. NOM	SV-ფერებ-ATM-PRS.S3.SG	დედა-DAT
S	V	IO

„ბავშვი ეფერება დედას“

გ) გარდაუვალი ზმნები

ბაღანა	ჯგურო	ხანტ-უნ-ს
ბავშვი. NOM	კარგად	ხატ-ATM-PRS.S3.SG
S	ADV	V

„ბავშვი კარგად ხატავს“

²⁵ გვარის ფორმებს გარდამავლობის მიხედვით არ განარჩევს 1929 წ. გამოცემული „ქართული ენის გრამატიკა, ეტიმოლოგიის“ ავტორი დ. კარიჭაშვილი. იგი მოქმედებით გვარში განიხილავს: ვბრუნავ, ვიბრძვი, ვშფოთავ, ვღელავ., ვლაპარაკობ, ვფიქრობ ტიპის ნიმუშებს. რადგან ისინი „აღნიშნავენ საგნის მოქმედებას, საქმიანობას“ (იხ. კარიჭაშვილი 1929:52)

თანმიმდევრულად განვიხილავთ მეგრულ-ლაზური მოქმედებითი გვარის ზმნის გრამატიკულ ფორმირებაში მონაწილე სინტაქსურ კონსტრუქციებსა და შესაბამის მორფოლოგიურ ყალიბებს.

1. სინტაქსური კონსტრუქციები

ყველა ტიპის აქტიური ქვემდებარე მეგრულის დრო-კილოთა ოთხივე ჯგუფში, მსგავსად სალიტერატურო ქართულისა, ცვლადი კონსტრუქციითაა წარმოდგენილი: NOM – ERG – DAT – NOM; ლაზურში კი – სტაბილურად უცვლელი ერგატიული კონსტრუქციით: ERG – ERG – ERG – ERG.

I სერია: ლაზ. ERG: ოსურ-ქ ჭარ-უფ/უმ-ს ქართალი „ქალმა წერს წერილი“

მეგრ. NOM: ოსურ-ი ჭარ-უნ-ს წერილს „ქალი წერს წერილს“

II სერია: ლაზ. ERG: ოსურ-ქ ჭარუ ქართალი „ქალმა წერა წერილი“

მეგრ. ERG: ოსურ-ქ ჭარუ წერილი „ქალმა წერა წერილი“

III სერია: ლაზ. ERG: ოსურ-ქ ჭარუდორენ ქართალი „ქალმა უწერია წერილი“

მეგრ. DAT: ოსურ-ს უჭარ-უ-ნ წერილი „ქალს უწერია წერილი“

IV სერია: ლაზ. ERG: ოსურ-ქ ნოჭარ-უ-ნ ქართალი „ქალმა წერდა თურმე წერილი“

მეგრ. NOM: ოსურ-ი ნოჭარ-უ-ე-ნ წერილს „ქალი წერდა თურმე წერილს“

სტაბილური ერგატიულობა უღლების მთელ პარადიგმაში გამოარჩევს ლაზურს სხვა ქართველური ენებისაგან. არნ. ჩიქობავა ძველი ქართულის ჩვენებასთან შედარებით მას მეორეულ სიახლედ და ლაზურის თავისებურებად მიიჩნევდა, რომელსაც ლაზურმა ფართო გასაქანი მისცა (ჩიქობავა 2014:162, ხ.გ ავტორისაა). ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია ერგატიული კონსტრუქციის „თავისებურების“ არსში გარკვევა, რადგან იგი პირდაპირ არის დაკავშირებული მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბებასთან.

1.1. ერგატიული კონსტრუქცია. ერგატიული კონსტრუქცია იბერიულ-კავკასიური ენების გარდამავალ ზმნათა უძველეს დანიშნულებლივ კონსტრუქციად არის მიჩნეული (არნ. ჩიქობავა). აღნიშნულია, რომ იგი დამახასიათებელია კავკასიური ჯგუფის 37 ენისათვის (იხ. კეტფორდი 1974). მისი თავისებურების არსის გარკვევას კი მე-19 ს-ის

მეორე ნახევრიდან მე-20 ს-ის პირველ ნახევრამდე ბევრი მეცნიერი ცდილობდა²⁶. მათი ნაწილი გარდამავალი ზმნების პასიურობის თეორიას იცავდა (პ. უსლარი, ჰ. შუხარდტი, ნ. მარი), ნაწილი კი – აქტიურობისას (ს. ბიხოვსკაია, ნ. იაკოვლევი). ასევე ცდილობდნენ შუალედური თვალსაზრისების შემუშავებასაც (ფ. ფინკი, ა. ტრომბეტი, ა. დირი, არნ. ჩიქობავა)²⁷. აღნიშნულ პერიოდში აქტუალური იყო ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის თეორია, რაც გარკვეულწილად გაქარწყლდა მე-20 ს-ის 70-იან წლებში კეტფორდის მიერ წარმოდგენილი საკმაოდ მყარად არგუმენტირებული ნაშრომით (იხ. კეტფორდი 1974). მე-20 ს-ის ბოლოსკენ უკვე აქტიურობის თეორია გახდა პოპულარული (გ. კლიმოვი, ა. ჰარისი, ბ. კომრი და სხვ.).

არნ. ჩიქობავა, ვინც აღნიშნულ საკითხს რამდენიმე ფუნდამენტური კვლევა მიუძღვნა, ერგატიული კონსტრუქციის გარდამავალი ზმნის ფუძეს ქართველურ ენებში ნეიტრალურად, ინდეფინიტურად (პირველსა და მეორე პირში) და გვარის მიმართ ინდიფერენტულად მიიჩნევდა. მეცნიერი ამ ფაქტს ზმნის სახელური ბუნებითაც ხსნიდა: „სახელური ფუძისაგან წარმოქმნილი ზმნა არააქტიურია“ (ჩიქობავა 1948; ხ.გ. ავტორისაა).

ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ავთ. არაბულის ფუნდამენტური ნაშრომი, რომელიც ეხება ფუძეთქმნადობის პრობლემას ქართველურ ენებში. მონოგრაფიაში ცალსახად არის ნაჩვენები, რომ ზმნური ფუძე იმთავითვე ეყრდნობოდა არა სახელს, საგანს, როგორც ინდიფერენტულ ობიექტს, არამედ მოვლენას (იხ. არაბული 2001).

და ეს მოვლენა, რომელიც სემანტიკურად დაკავშირებული იყო სუბიექტის თვისებასთან / უნარ-ჩვევასთან, ზანურში R-უ-ნ სტრუქტურითა და ნომინატიური კონსტრუქციით გადმოიცემოდა, ხოლო ზმნურ ფუძეთა განვითარების მომდევნო საფეხურზე, როდესაც მოვლენა სულიერი სუბიექტის აქტიურობას დაუკავშირდა და თავისი მათემატიკური -ს (S3) ნიშანიც გააჩინა. შეიქმნა R-უნ/უფ-ს ყალიბის თვისება + აქტიურობა სემანტიკის პირველადი აქტივების, ტრადიციული გრამატიკით მედიო-აქტივების, თემატური ფუძე. შდრ.

²⁶ აღსანიშნავია, რომ ერგატიულობის ცნება ყველა ავტორთან ერთნაირი გაგებით არ გამოიყენება

²⁷ იხ: არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, თბილისი, 1961;

ლაზ. ფუთხ-უნ კვინჩი „ფრთხიალებს ჩიტი“ (თვისება)
ფუთხ-უნ-ს კვინჩი-ქ „ფრთხიალებს ჩიტმა“ (თვისება + აქტიურობა)

ლაზ. ტკვაც-უნ ტკვაცი „ჭექს ჭექა“ (თვისება)

მეგრ. ტყვაც-უნ-ს ტყვაცი „ჭექს ჭექა“ (თვისება + აქტიურობა)

ლაზ. *ვალ-უნ ვალი „ელავს ელვა“ (თვისება)

ვალ-უმ/უფ-ს ვალი-ქ „ელავს ელვამ“ (თვისება + აქტიურობა)

ზან. დგ-უნ ოხორი „დგას სახლი“ (თვისება)

ლაზ. დგ-უმ-ს კოჩი-ქ ოხოს „დგამს კაცი სახლს“ (აქტიურობა)

მეგრ. დგ-უნ-ს კოჩი ოხორის „დგამს კაცი სახლს“

ამგვარი სტრუქტურითაა წარმოდგენილი ყოველივე სულიერის: ადამიანის, ცხოველის, ფრინველის ხმის, ხმიანობის, გადაადგილების, ჭამის, ლაპარაკის აღმნიშვნელი ლექსემები, ბუნების მოვლენები და ა.შ. სუბიექტის თვისება+აქტიურობა დროის თვალსაზრისით შემოუსაზღვრავია, იგი გამოხატავს „ზოგად დროს“:

- (1) ERG: კვინჩი-ქ ფუთხ-უნ-ს „ჩიტმა (=ჩიტი) ფრთხება“
- (2) ERG: ჯოლოი-ქ ლალ-უფ/უმ-ს „ძალმა (=ძალი) ყეფს“
- (3) ERG: წყარი-ქ ფ-უმ-ს „წყალმა (=წყალი) დუღს“
- (4) ERG: ოვალუ-ქვალ-უფ/უმ-ს „ელვამ (=ელვა) ელავს“
- (5) ERG: ოხორჯა-ქ რკი-აფ/ამ-ს „ქალმა (=ქალი)კივის“
- (6) ERG: მუმული-ქყი-აფ/ამ-ს „მამალმა (=მამალი) ყივის“
- (7) ERG: თხა-ქ პეტელ-აფ/ამ-ს „თხამ (=თხა) კიკინებს“
- (8) ERG: კოჩი-ქ ძიც-აფ-ს „კაცმა (=კაცი) იცინის“
- (9) ERG: ბადი-ქ ღაღალ-აფ-ს „მოხუცმა (=მოხუცი) ლაპარაკობს“
- (10) ERG: ბერე-ქ ინჩვირ-ს „ბავშვმა (=ბავშვი) ცურავს“

კონსტრუქცია ლაზურში დრო-კილოთა ყველა ნაკვთში სტაბილურად ერგატიულია, ხოლო მეგრულში სისტემა, მსგავსად ქართულისა, ცვალებადია, ანუ ზანური ენის ქვესისტემებში გვაქვს ხლეჩილი ერგატიული (split ergativity) წყობა (კომრი 1978: 350-367; დიქსონი 1994:97-108). გ. კლიმოვი ლაზურის ამგვარ ნიმუშებში ერგატიული კონსტრუქციის გაჩენას ზმნური ფუძეების შინაარსს უკავშირებს. მეცნიერის აზრით,

ამგვარი ფუძეები გამოხატავენ აქტიური დენოტატის – „სულიერის“ მოქმედებას: ო-მიცინ-უ „სიცილი“, ო-ლალ-უ „ყეფა“, ო-პარამით-უ „ლაპარაკი“, ო-პეტელ-უ „კიკინი“, ო-ხვეწინ-უ „ხვეწნა“. გ. კლიმოვი მიიჩნევს, რომ ისტორიულად ლაზურში აქტიური და სტატიკური ზმნები ლექიკურად იყვნენ დაპირისპირებული, რაც განაპირობებდა აქტიურ და ინაქტიურ კონსტრუქციებს, რაც, თავის მხრივ, სისტემურ კოორდინაციას ჰქმნიდა არსებით სახელთა აქტიურ (სულიერ) და ინაქტიურ (უსულო) ჯგუფებთან (იხ. კლიმოვი 1976).

ა. ჰარისის აზრით კი, ამგვარი ტიპის აქტიურ ზმნათა სუბიექტის მოთხოვნილი ბრუნვის განმსაზღვრელი არ არის სუბიექტის ან ზმნის სემანტიკა (ჰარისი 1982:304-305). ლაზურის სრულ ერგატიულ კონსტრუქციას ვერ დავუკავშირებთ ნომინატიური კონსტრუქციის ბერძნულისა და თურქული ენების დიდ გავლენებს, რასაც ადგილი ჰქონდა ისტორიის მანძილზე.

ჩვენ მიერ გაანალიზებული მეგრულ-ლაზურის ემპირიული მასალა მხარს უჭერს პირველ თვალსაზრისს. ზანურში ერგატიული კონსტრუქციის გაჩენა სუბიექტის აქტიურობასთან უნდა იყოს დაკავშირებული და არა აქტანტურ კონსტრუქციაში ფორმალური თუ სირმისეულ სტრუქტურებში ფიქტიური ობიექტის არსებობასთან. აქტიური/ერგატიული კონსტრუქციის ზმნები ოპოზიციას ქმნიდა ჩვევის/თვისების გამომხატველ ნომინატიური კონსტრუქციის ზმნებთან.

ქართულში ე.წ. მედიაქტივები ისტორიულად გარდამავალ ზმნებად არის მიჩნეული და მათი ერგატიულობაც სწორედ ამ ფაქტით არის ახსნილი (იხ. შანიძე 1942; ჩიქობავა 1979:165). აღნიშნულია, რომ ასეთი ტიპის ზმნები სიღრმისეულ სტრუქტურაში შეიცავენ პირდაპირ ობიექტს, მაგრამ თუ პირდაპირ ობიექტსა და ზმნას ერთი და იგივე რეფერენციული მნიშვნელობა აქვს (მან ილოცა ლოცვა), მაშინ პირდაპირი ობიექტი თანამედროვე ქართულში ამოღებულია (ნებიერიძე 1987). ბოედერი თვლის, რომ მედიალურ ზმნებს აქვთ შიდა იმპლიციტური ობიექტი და „მედიალური ზმნები ძირითადად მაინც გარდამავალია, განურჩევლად იმისა, დადასტურებულია თუ არა ისინი ზედაპირული პირდაპირი ობიექტით“ (ბოედერი 1979:463).

ლ. ნოზაძის აზრით, ასეთი ტიპის ზმნებს „გარეგანი ობიექტი“ არც არასდროს გააჩნდათ, ისინი შინაგანად შეიცავდნენ მას (ნოზაძე 2008: 98-99). „საშუალო გვარის“

ზმნები არ გამოხატავს სუბიექტიდან გარე მიმართულ მოქმედებას, ამგვარ ფორმებში სუბიექტი პროცესის შიგნით ივარაუდება (ბენვენისტი 1974: 188).

არნ. ჩიქობავა ამგვარ ფორმებს „გარდაუვალი სტატიკური ზმნების“ კვალიფიკაციას ანიჭებდა. ქართულში ისინი უღლების ნაკლული სისტემით გამოირჩევიან. მათ მოეპოვებათ აწმყო ნაკვეთა წყება (ზოგ ზმნას მხოლოდ აწმყო) და არ ეწარმოებათ ნამყო ძირითადი, რომელიც მოქმედებითი გვარის ზმნებში საბაზისო ფორმად არის მიჩნეული (მათი აწმყო, მიღებული თვალსაზრისით, შემდეგდროინდელი წარმონაქმნია) (არნ. ჩიქობავა). ნამყო ძირითადი ერგატიული კონსტრუქციისა და მისი უწინარესობა, არქაული ძეგლების საფუძველზე, ქართულში დოკუმენტურადაა დადასტურებული: „გარდამავალი ზმნის ფარგლებში ერგატიული კონსტრუქცია განვითარების წინა საფეხურია, ნომინატიური კონსტრუქცია - მომდევნო საფეხური“ (ჩიქობავა 2014:154). არნ. ჩიქობავას აზრით, იგი შექმნილია ქართველურ ენათა განვითარების შინაგანი გზით²⁸, აღნიშნულ თვალსაზრისს იზიარებს გ. როგავა (როგავა 1975:276).

ვფიქრობთ, ერგატიული კონსტრუქცია ასევე უწინარესია ე.წ. მედიოაქტივებთანაც აწმყოს ჯგუფში და მის მიერ განსაზღვრულ სხვა ნაკვეთებშიც, როგორც ეს გვაქვს ლაზურში.

მეგრულ-ლაზურის მასალა მხარს უჭერს ზემოთ გამოთქმულ თვალსაზრისებს, კერძოდ, ამოსავალში ზმნური ფუძე იყო არასახელური (ავთ. არაბული); ამგვარ „სტატიკურ“ ზმნებს იმთავითვე მოეპოვებოდათ აწმყო (არნ. ჩიქობავა); ზანურში მათი უღლების სისტემა არის სრულფასოვანი, შესაბამისად, არ სესხულობენ მოქმედებითი გვარის ფორმებს (ლ. ნოზაძე); ისტორიულად მათ არ მოეპოვებოდა ფორმალური ობიექტი (ე. ბენვენისტი, ლ. ნოზაძე, დ. მელიქიშვილი, თ. უთურგაიძე და სხვ.)²⁹. ისმის კითხვა, რა განსაზღვრავს ამგვარ ფორმათა ერგატიულობას, ფიქტიური ობიექტი, რომელიც სიღრმისეულ სტრუქტურებში ივარაუდება?!

ჩვენი აზრით, ზმნის ერგატიულობას მეგრულ-ლაზურში განსაზღვრავს არა ნომინალური თუ ფორმალური ობიექტი, არამედ სუბიექტის აქტიური სემანტიკა.

²⁸ გ. დეეტერსი, ჰ. ფოგტი და კ. შმიდტი ქართველურ ენათა გარდამავალი ზმნის ნომინატიური კონსტრუქციის შექმნას ინდოევროპული ენების გავლენას მიაწერენ (იხ. როგავა 1975:276).

²⁹ იგი შედგებოდა მხოლოდ ერთი მონაწილისგან, რაც გამორიცხავს ერგატიულობის კავშირს ზმნის პოლიპერსონალიზმთან (განსხვავებული თვალსაზრისისათვის იხ. ჰოლიმერი 2001:13-14).

„სუბიექტი მოთხრობითში იმ გარდაუვალ ზმნებთან დაისმის, რომელნიც აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ“ (იხ. სარჯველაძე 1973:172). აქტიური სემანტიკის მქონე სუბიექტი, შესაძლებელია, მხოლოდ მოვლენასთან ყოფილიყო კავშირში და ეს კოორდინაცია ყოველთვის გამოიხატებოდა ერგატიული კონსტრუქციით, რაც დღემდე სრულად შემოინახა ლაზურმა. მეგრულში კი პირველი სერიანომინატიური კონსტრუქციისაა, მეორეში ერგატიული, ხოლო მესამეში - დატიური. გ. კლიმოვის აზრით, აქტიური წყობის ტრანსფორმაცია ნომინატიურ წყობად (რაც სრულად აისახა მეგრულსა და ნაწილობრივ - ლაზურში ბუნების მოვლენების გამომხატველ ზმნებთან) განაპირობა აქტიური და ინაქტიური ზმნების ოპოზიციის შეცვლამ ტრანზიტულ და ინტრანზიტულ ზმნებად (იხ. კლიმოვი 1976).

ლაზურში დღეს, ე. წ. მედიაექტივების დიდი უმრავლესობა თურქული ენის ფორმაწარმოების ყალიბით არის წარმოდგენილი³⁰, თუმცა მცირე ნაწილმა და გარდამავალმა მოქმედებითმა გვარმა სრულად შეინარჩუნა აქტიურ ზმნათათვის დამახასიათებელი ერგატიული კონსტრუქცია დრო-კილოთა ყველა ჯგუფში.³¹ ანალოგიური ვითარება დასტურდება წოვა-თუშურსა და საერთოლეზგიურშიც. წოვა-თუშურში „გარდამავალი ზმნის ქვემდებარეს ერგატივი გამოხატავს დრო-კილოთა ყველა სერიაში“ (იხ. მიქელაძე 2000:52)³². საერთოლეზგიურში კი ერგატიული ტიპიენობრივი რეკონსტრუქციისას წარმოჩნდა, რასაც მკვლევრები ზმნური ფუძის აქტიურობასთან აკავშირებენ: „რაც უფრო შორს ვიხედებით ლეზგიურ ენათა ისტორიაში, მით უფრო შესამჩნევი ხდება აქტიური სტრუქტურის ელემენტები“ (იხ. აზმაიფარაშვილი და სხვ. 2016:88).

³⁰ საკითხის ვრცელი ანალიზისათვის იხ. გვ. 110.

³¹ არნ. ჩიქობავამ ს. ჯიქიას მიერ ჩაწერილ ტექსტებში შეამჩნია, რომ: 1) ათინურის ნაწილში (ართაშენულ თქმაში) მოთხრობითი მოშლილი იყო და მის ადგილას სახელობითი იჭერდა: ავჯი „მონადირე“ (= ავჯიქ) მთუთი დოილუ „მონადირე(მ) დათვი მოკლა... აღნიშნული პროცესი შეფასდა ლაზურის გრამატიკული სისტემის რღვევის დაწყების მომასწავებლად (ჩიქობავა 1936:63; დანელია 2006:63). 2) არნ. ჩიქობავამ აღნიშნულ ტექსტებში ამავე დროს ისიც შენიშნა, რომ ათინურში ქვემდებარე მოთხრობითი ბრუნვით იყო წარმოდგენილი ინვერსიულ ზმნა-შემასმენელთან (ჩიქობავა 1936: 153, 181).გ. კარტოზიამ მსგავსი კონსტრუქციები სხვა კილოკავებშიც დააფიქსირა (კარტოზია 2005:176). ჩვენ მიერ მოპოვებული ახალი ემპირიული მასალის მიხედვით, ათინურში შერეული კონსტრუქციები დასტურდება, თუმცა ხოფუჩხალურსა და ვიწურ-არქაბულში კონსტრუქცია მყარად ერგატიულია.

³² მიქელაძე, წოვა-თუშური ზმნის პირის კატეგორიის საკითხისათვის, საენათმეცნიერო მიებანი, ტ. X, 2000;

ყოველივე აღნიშნული გვავარაუდებინებს, რომ ლაზური, რომელსაც მთის კავკასიური ენების მსგავსად დაცული აქვს არქაული ვითარება, ნათლად ასახავს ზანურში აქტიური ზმნის ამოსავალ კონსტრუქციას.

1.2. ცვლადი კონსტრუქცია. მეგრულში მოქმედებითი გვარის ზმნა, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, პირველ სერიაში ნომინატიური, მეორე სერიაში – ერგატიული, ხოლო მესამე სერიაში დატიური კონსტრუქციითაა წარმოდგენილი. აქ, ლაზურისაგან განსხვავებით, შესაძლოა, ვისაუბროთ კოორდინაციაზე. ზმნა მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში სერიების მიხედვით, საკუთრივ ქვემდებარე კი მართავს ზმნაშემასმენელს პირების მიხედვით, ანუ გვაქვს საურთიერთო მართვა.

ზანურის მოქმედებითი გვარის კონსტრუქცია, მონაწილე აქტანტების მიხედვით, შეიძლება იყოს ერთაქტანტიანი, ორაქტანტიანი და სამაქტანტიანი, იშვიათად ოთხაქტანტიანიც.

მეგრულის მოქმედებითი გვარის ყველა ზმნა მესამე სერიაში ინვერსიულია. ლაზურში კი გვაქვს ორი წყობა – როგორც ინვერსიული, ისე პირდაპირი. აქ პროდუქტიული ერგატიული კონსტრუქციის პირდაპირი წყობის ზმნებია, რომლებიც ხოფურ-ჩხალურში – ერენ („არის“), ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში კიდორენ („არის“) დამხმარე ზმნებით არის წარმოდგენილი.

2. მორფოლოგიური სტრუქტურა

მოქმედებითი გვარის ამოსავალი სტრუქტურის ამგები აპლიკატორები, როგორც აღინიშნა, თემის ნიშანი (=THM) და აწმყოს S3 პირის -ს სუფიქსია (R-THM-ს) და ასევე, კაუზაციურ წარმოებაში მონაწილე ო- ხმოვანპრეფიქსი.

2.1. თემის ნიშნები. ზმნურ ფორმანტთა რანგობრივ სტრუქტურაში თემის ნიშნები ფუძიდან მარჯვნივ უახლოეს რანგს იკავებენ (R-THM). „თემის ნიშანს აწმყოს თემის წარმოებასთან ერთად გვარის იდენტიფიკაციის ფუნქციაც აქვს“ (მელიქიშვილი ი. 2010:97).

აწმყოს ფუძის სუფიქსები აქტიურობასთან და, ზოგადად, გვარის წარმოებასთან პირველად 3. შუხარდტმა დააკავშირა. მან აღნიშნა, რომ აწმყოში გარდამავალი ზმნის აქტიურობა აწმყოს ფუძის სუფიქსებით იყო გამოწვეული (შუხარდტი 1895, ვიმოწმებთ: ჩიქობავა 1942:233).

არნ. ჩიქობავას მოსაზრებით, ნეიტრალური ფუძე აწმყო დროში გარკვეული მორფოლოგიური საშუალებებით აქტიურდება, ესაა აწმყოს ფუძის აფიქსები. ფაქტობრივად, -ებ, -ამ, -ავ მოქმედებითი გვარის საწარმოებელი სუფიქსებია ქართულ ზმნებში (ჩიქობავა 1942:233).

ი. ყიფშიძე მეგრულში მათემატიკებელ ნიშნებად -ან, -ენ -უნ და -ინ სუფიქსებს ასახელებს (ყიფშიძე 1914:061).

მ. ჩუხუას შენიშვნით, „ფაქტია, რომ -უმ, -ამ, -ემ თემისნიშნიანი ზმნები მხოლოდ მოქმედებითი გვარისა შეიძლება იყოს მეგრულ-ლაზურში“ (ჩუხუა 2015:84).

მოცემული თვალსაზრისებისა და ემპირიული მასალის სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, ზანურში ამგვარ თემატურ ნიშნებს მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის მაწარმოებელ სუფიქსებად მივიჩნევთ და მოქმედებითი გვარის მორფემებად გლოსირებულ ნიმუშებში მათ ATM (Active Thematic Marker) აბრევიატურით გამოვხატავთ (მაგ. ჭარ-უნ-ს „წერს“ R-ATM-ს).

მოქმედებითი გვარის ფუძე ზანურში, ფაქტობრივად, ამ სუფიქსების გარეშე აღარც ფუნქციონირებს. ი. ყიფშიძე რამდენიმე უთემისნიშნო ფუძეს ცალკე გამოყოფს და მათ „რ კლასის“ ზმნებს უწოდებს (ყიფშიძე 1914:061). აღნიშნული კლასის ზმნათა უმრავლესობას, და ზოგადად ათემატურ ფუძეებს, პარალელური თემისნიშნიანი წარმოებაც უდასტურდება:

მეგრული: ბონს/ბონუნს „ბანს“; რცხონს/რცხონუნს „ვარცხნის“ ...

ლაზური: თირთინ-ს/თირთინ-ავ-ს „თრთის“, ბუზალ-ს/ბუზალ-ამ-ს „ბზუის“ ...

ჩვენს ხელთარსებული მასალის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ზანურში მოქმედებითი გვარის ზმნათა აწმყოს ფუძის 65% ოდენ სუფიქსური წარმოებისაა, 35% კი – კონფიქსური. სუფიქსური წარმოების დიდ უმრავლესობას (45%-ზე მეტი) -უნ/-უფ/-უმ/ჯგუფი მოიცავს, 17 %-ს – -ავ/-ამ/-ან ჯგუფი, ხოლო -ეფ/-ემ/-ენ და -ონ/-ოფ/-ომ ნიშნიანთა

ჯგუფი 3 %-ს აღარ აღემატება. განცალკევებით, ქართველურ ენათა სისტემის მიღმა დგანან ლაზურის აღწერითი წარმოების აქტივები.

მეგრულ-ლაზურში ყველაზე პროდუქტიული ქართ. -ავ (/ამ) და -ებ სუფიქსების შესატყვისებია. მათი განსაზღვრული ვარიანტები ერთმანეთს ემთხვევა ფონემური შედგენილობით. მაგალითად, რომელიმე -ან თემის ნიშანი ოგორ-ან-ს „აგინებს“ ფორმაში მორფოლოგიურად არ არის იგივე, რაც -ან თემის ნიშანი მეჩ-ან-ს „მისცემს“ ფორმაში, რამდენადაც პირველს ენაცვლება -ავ ვარიანტი (შდრ. უგორ-ავ-უ „უგინებია“), ხოლო მეორეს – -ამ (მეუჩ-ამ-უ „მიუცია“). ამდენად, ეს ერთეულები სხვადასხვა მორფემის ელემენტებს წარმოადგენენ (იხ. გუდავა, გამყრელიძე 2000:164:166).

ზანურის მრავალფეროვან და ფონემურად იდენტურ სუფიქსებს შორის ყველაზე პროდუქტიული, ჩვენი აზრით, *-უფ (<-ავ)-ისაგან მომდინარე -უნ/-უფ/-უმ და კაუზაციურ წარმოებაში მონაწილე -ებ-ის შესატყვისი -ავ/-ამ/-ან/ ჯგუფია. განვიხილავთ მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის შექმნაში მონაწილე თითოეულ ჯგუფს, მათი გამოყენების მაღალი სიხშირის მიხედვით:

1) -უნ/უფ/უმ ჯგუფი. მოცემული სუფიქსების წარმომავლობასთან დაკავშირებით საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ორი განსხვავებული თვალსაზრისი. მათ მიიჩნევენ ამოსავალში ქართული -ამ (არნ. ჩიქობავა, კ. დანელია, მ. მარგველაშვილი, მ. ჩუხუა და სხვ.) ან -ავ (ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, ნ. ნათაძე, ბ. ჯორბენაძე, ლ. ნოზაძე, ჭ. ქირია და სხვ.) თემატური სუფიქსების კანონზომიერ შესატყვისად:

ა) ქართული -ამ(> -ავ) : ზანური -Vმ

ლაზური (ვიწ.-არქ./ ათინ.-ართ.): -ამ > -ომ > -უმ >

ლაზური (ხოფ.-ჩხალ): -ავ > -ოფ > -უფ // მეგრული: -ან > *-ონ > -უნ

არნ. ჩიქობავას აზრით, ქართული -ამ სუფიქსის კანონიკური შესატყვისი ლაზურის ვიწურ-არქაბულ კილოკავში გავრცელებულ -ამ-ი და მისგან მომდინარე -ომ, -უმ-ია, ხოლომათ ხოფურ ვარიანტებად -ავ, -ოფ, -უფ სუფიქსებს ასახელებს, მეგრულში კი, მ > ნ ფონეტიკური გადასვლის საფუძველზე, -ან, -უნ თემის ნიშნებს გამოყოფს, -უნ სუფიქსს შემდეგი გზა უნდა გაევიდეს: -ამ > -ომ > -უმ > -უნ (ჩიქობავა 1936:133). მ. ჩუხუა -ან, -ავ თემის ნიშნებს, მათ შორის ქართულ -ავ-საც, -ამ-ისაგან მომდინარედ მიიჩნევს. მისი

აზრით, „-ავ დაბოლოება ხოფურის კუთვნილებაა და მ > ფ ფონეტიკურ პროცესს ვარაუდობს, რაც -ს S₃ პირის ნიშნის წინ უნდა მომხდარიყო თავდაპირველად, შემდგომში იგი (ფ-იანი) სახეობა მთელ I სერიაში დამკვიდრდა (ანალოგიით). იგივე საფუძველი ჩანს მ > ნ გარდაქმნა-ნაზალიზაციის პროცესისათვის მეგრულში“ (ჩუხუა 2015:83).

ბ) ქართული -ავ (>-ამ): ზანური -Vფ

ლაზური (ხოფ.-ჩხალ.): -ავ >-ოფ >-უფ >

ლაზური (ვიწ.-არქაბ.): -ამ >-ომ >-უმ > მეგრული: -ან > *-ონ > -უნ

მეორე თვალსაზრისის მიხედვით, ზანურში ამოსავალი ხოფურში დაცული -ფ თანხმოვნის ვარიანტია, რომელიც -ავ თემის ნიშნისგან არის მიღებული. ხმოვნის წინა პოზიციაში -ფ აღდგება (გუდავა, გამყრელიძე 2000:164-166). ბ. ჯორბენაძე ქართველურ ენათა დიალექტების ზმნურ ფუძეთა ანალიზის საფუძველზე -უფ (-უმ/-უნ) ნიშნის შესატყვისად ასევე -ავ-ს (-ავ > *-ოფ > *-ოფ > -უფ) მიიჩნევს (ჯორბენაძე 1995: 372). ჯ. ქირიას აზრით, „მეგრულში ქართული -ავ სუფიქსის მორფო-ფონეტიკური შესატყვისებად -უნ/-უ დასტურდება, ლაზურში – -უმ/-უფ“ (იხ. ქირია და სხვ. 2015:418).

წარმოდგენილი ორივე თეორიის მიხედვით, -უნ-ისა და ზოგადად, -ნ ფონემიან სუფიქსთა წარმოქმნის გზა მეგრულში მეორეულია, რადგან კანონიკური ფონეტიკური პროცესებით, შესაძლებელია, ორივე სუფიქსისაგან მიგვეღო -უნ. მეგრული ფონოტაქტიკით - ს, ქ, თ თანხმოვანთა წინ ბაგისმიერი ბგერები (მ, ზ, ფ) გარდაიქმნებიან კანონიკურ ნ-დ. მაგ. დგ-უმ+ს > დგ-უნ-ს „დგამს“, ვ-დგ-უმ+ქ > ვ-დგ-უნ-ქ „ვდგამ“, ვ-დგ-უმ+თ > ვ-დგ-უნ-თ „ვდგამთ“ (იხ. გუდავა, გამყრელიძე 2000:164-166). ამ ფონოტაქტიკით, ასევე შესაძლებელია, ს თანხმოვნისწინ ფ-ც ტრანსფორმირდეს ნ-დ.

ტ. გუდავა ადრინდელ გამოცემაში აღნიშნავს, რომ -უნ მიიღება -უმ-ისაგან, მაგრამ მისი ამოსავალი ქართული -ავ სუფიქსი უნდა ყოფილიყო. ავტორის აზრით, როცა *ოფ-ს (< -ავ) თანხმოვანი მოსდევს, რაც გვაძლევს -ომ-ს, შემდგომი ფონეტიკური გადასვლებით ვღებულობთ -უნ-ს, სქემატურად შეიძლება ეს ასე გამოვსახოთ: -ავ > -ოფ (+C) > ომ > -უმ > -უნ (*ჰარ-ოფ-ს > ჰარ-ომ-ს > ჰარ-უმ-ს > ჰარ-უნ-ს „წერს“) (იხ. გუდავა 1974:137). გ. მაჭავარიანის აზრით, „მეგრულში შეიძლება ს-ს წინ მ > ნ. ამდენად, -უნ მეორეული უნდა იყოს. ფ-საც შეუძლია ნ მოგვცეს მ-ს გავლენით. ძნელია გადაჭრით იმის თქმა, რომელი

არის ამოსავალი, მაგრამ ერთის თქმა მაინც შეიძლება: მეგრულში -ავ სუფიქსის შესატყვისი -ოვ/-ომ არ გვაქვს. სიძნელეა ის, რომ იგივე შესატყვისები შეეძლო მოეცა -ამ/-ემ სუფიქსსაც... ზანურს უნდა ჰქონოდა ქართული -ავ და -ამ სუფიქსების შესატყვისები, მაგრამ უნიფიკაციის პროცესის შედეგად პირიან ფორმებში -უნ, -უმ, -უფ გაბატონდნენ, მასდარსა და მიმდებარაში - უ” (მაჭავარიანი 2002:116-117).

მეგრულ-ლაზურის -უნ/-უფ/-უმ თემატური სუფიქსების -ამ თუ -ავ ნიშნებიდან მომდინარეობის საკითხს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში სათანადო მტკიცებულებები და მყარი მეცნიერული არგუმენტები გააჩნია.

ნაშრომში კლასიფიცირებული სასრული რაოდენობის ზმნურ ფორმათა დიაქრონიული ანალიზი, რომელიც დაეყრდნო ზმნური ფუძის შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდს (არნ. ჩიქობავა), მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ -უნ/-უფ/-უმ სუფიქსიან ფორმათა აბსოლუტური უმრავლესობა მიღებულია -ავ-ისაგან, მწირი ნაწილი კი-ამ-ისაგან (შდრ. ქირია 2000). თუმცა, ჩვენ მიერ გამოკვეთილი -უნ-ის მიღების ტრანსფორმაციული გზა, განსხვავდება ზემოთ წარმოდგენილი (ა) და (ბ) სქემებისაგან. ჩვენი აზრით, ის მომდინარეობს საერთოქართველური -უჭ-ისაგან, რომელსაც ზანურში -უფ შეესატყვისება. ამოსავალ R-უფ სტრუქტურის ფუძეზე S3 -ს პირის ნიშნის დართვით მეგრულში გვაქვს $g > n^{33}$ სუბსტიტუცია - *-უფ-ს > უნ-ს, ხოლო ლაზურში, *-უფ > -უფ ფონეტიკური გადასვლები. როგორც აღინიშნა -უნ, ზმნურ ფორმათა მცირე ნაწილში, ასევე შესაძლებელია მიღებული იყოს ავ-ის მონაცვლე -ამ-ისაგან, შემდეგი ფონეტიკური ტრანსფორმაციებით: -ამ > -ომ > -უმ > -უნ.

ვფიქრობთ, ეს პროცესი უნდა ემთხვეოდეს მეგრულისა და ლაზურის გათიშვას, რადგან მათი -უნ და -უფ სუფიქსები ცალ-ცალკე ორივე *-უფ-ისგან არის განვითარებული. ზანურის რღვევის პერიოდში $g > n$, შესაძლებელია, შეგვხვდეს ლაზურის არქაულ ნიმუშებშიც (ისევე როგორც მეგრულში $g > n$). ხშირია ზანურში -უფ > -იფ, -უმ > -იმ და -უნ > -ინ ფონეტიკური გადასვლები (ჩიქობავა 1936:131-132-136).

მოცემულ დასკვნამდე მიგვიყვანა ზმნურ ფორმათა შინაგანი რეკონსტრუქციის მეთოდით ანალიზმა, რამაც გამოკვეთა შემდეგი:

³³ ამოსავალ ეტაპზე, მსგავსი მონაცვლეობა, შესაძლებელია შეგვხვდეს ლაზურშიც

ა) თუ ზანურში ამოსავალი სუფიქსი ფონეტიკურად უფრო მდგრადი მ-ნიშნის სახეობისაა, იგი აუცილებლად იჩენს თავს ინტერვოკალურ პირობებში, როგორცაა: კონვერსიული პასივი (=PASS), პირველი თურმეობითი (=REZ1), მიმღეობა (=PTCP) და ნაზმნარი სახელი (=INF).

PRS:	დგ-უნ-ს	მე-ჩ-ან-ს	ნწყ-უნ-ს
	დგ-იფ/იმ-ს	მე-ჩ-აფ/ამ-ს	ნწყ-იმ/იფ-ს
	„დგ-ამ-ს“	„მი-სც-ემ-ს“	„ხსნის“
PASS:	ი-დგ-უმ-უნ	მი-ა-ჩ-ამ-უნ	ი-ნწყ-უმ-უნ
	ი-დგ-ენ	ნი-ჩ-ენ	ი-ნწყ-ენ
	„ი-დგ-მ-ებ-ა“	„მი-ე-ც-ემ-ა“	„იხსნება“
REZ1:	დუ-უ-დგ-უმ-უნ	მე-უ-ჩ-ამ-უნ	გუ-უ-ნწყ-უმ-უნ
	დუ-უ-დგ-იმ-უნ	ნ-უ-ჩ-ამ-უნ	გუ-უ-ნწყ-იმ-უნ
	„და-უ-დგ-ამ-ს“	„მი-უ-ც-ი-ა“	„გაუხსნია“
PTCP:	დო-დგ-იმ-ილ-ი	მე-ჩ-ამ-ილ-ი	გო-ნწყ-იმ-ილ-ი
	დო-დგ-იმ-ერ-ი	მე-ჩ-ამ-ერ-ი	გო-ნწყ-იმ-ერი
	„და-დგ-მ-ულ-ი“	„მი-ც-ემ-ულ-ი“	„გახსნილი“
INF:	დო-დგ-უმ-ა	მე-ჩ-ამ-ა	გო-ნწყ-უმ-ა
	დო-დგ-იმ-უ	მე-ჩ-ამ-უ	გო-წყ-იმ-უ
	„და-დგ-მ-ა“	„მი-ც-ემ-ა“	„გახსნა“

ლაზურის ვიწურ-არქაბულისა თუ ათინურ-ართაშენულის, სადაც -Vმ სახეობაა გავრცელებული, რეკონსტრუირებული ფუძეების აბსოლუტურ უმრავლესობაში -მ არ ჩანს³⁴. -ამ > -Vმ თემატური სუფიქსი გვხვდება მეგრულისა და ლაზურის მხოლოდ საერთო

³⁴ ლაზურის მასდარულ ფორმებში დასტურდება ფონემურად იდენტური სხვა წარმომავლობის -ამ (< - ებ) სუფიქსიც: ო-ძირ-ამ-უ „ნახება“, გზ-ამ-ა/ო-გზ-ამ-უ „დანთება“, ხორ-ამ-ა „დასახლება“, ყორ-ომ-ა „სიყვარული“, გონდ-უმ-ა „გადება“ და ა.შ. ცხადია, მოცემული წარმოება არ უკავშირდება არქაულ -ამ-ს, ამ ფორმებში -Vმ სუფიქსი ზ > ფ >მ/ნ ფონეტიკური გარდაქმნითაა მიღებული(იხ. ჩიქობავა 2008:141-143).

ფუძეთა მცირე ნაწილში (შ-უმ-ს/შ-უფ-ს/შ-უნ-ს „სვამს“, ოლოდ-ამ-ს/ოლოდ-აფ-ს/ლოლ-ან-ს „უზამს“ და სხვ.)³⁵

ბ) თუ ზანურში ამოსავალი სუფიქსი არასტაბილური ვ-ნიშნის სახეობისაა, იგი ინტერვოკალურ პოზიციაში ყოველთვის რედუცირებულია. კერძოდ: მეგრულში დარჩენილია მხოლოდ ხმოვნითი კომპონენტი (მიმღებურ ფორმებში ხმოვნითი ნაწილიც აღარ ჩანს); ლაზურში კი ბოლომდე რედუცირებულია, გარდა პირველი თურმეობითისა, სადაც თემის ნიშნისეული -უ დასტურდება.

PRS:	ჭარ-უნ-ს	ხანტ-უნ-ს	ხაჩე-უნ-ს	შდრ.შ-უნ-ს
	ჭარ-უფ/უმ-ს	ხატ-უფ/უმ-ს	ხაჩე-უფ/უმ-ს	შ-უფ/უმ-ს
	„წერს“	„ხატავ-ს“	„თოხნის“	„სვამს“
PASS:	ი-ჭარ-უ-უნ-ს	ი-ხანტ-უ-უნ-ს	ი-ხაჩე-უ-უნ-ს	ი-შ-უმ-უ-უნ-ს
	ი-ჭარ-ე-ნ	ი-ხატ-ე-ნ	ი-ხაჩე-ე-ნ	ი-შვ-ე-ნ
	„იწერება“	„იხატება“	„ითოხნება“	„ისმევა“
REZ1:	უ-ჭარ-უ-უნ-ს	უ-ხანტ-უ-უნ-ს	უ-ხაჩე-უ-უნ-ს	უ-შ-უმ-უ-უნ-ს
	უ-ჭა[რ]-უ-უნ-ს	უ-ხატ-უ-უნ-ს	უ-ხაჩე-უ-უნ-ს	უ-შ-უმ-უ-უნ-ს
	„უწერია“	„უხატია“	„უთოხნია“	„უსვამს“
PTCP:	ჭარ-ილ-ი	ხანტ-ილ-ი	ხაჩე-ილ-ი	შ-უმ-ილ-ი
	ჭარ-ერ-ი	ხატ-ერ-ი	ხაჩე-ერ-ი	შვ-ერ-ი
	„წერილი“	„დახატული“	„გათოხნილი“	„*სმილი“
INF:	ჭარ-უ[ვ]-ა	ხანტ-უ[ვ]-ა	ხაჩე-უ[ვ]-ა	შ-უმ-ა
	ო-ჭარ-უ	ო-ხატ-უ	ო-ხაჩე-უ	ო-შ-უმ-უ
	ჭარ-უ-ა (ჩხალ.)	ხანტ-უ-ა (ჩხალ.)	ხაჩე-უ-ა (ჩხალ.)	ო-ხაჩე-უ
	„წერა“	„ხატვა“	„თოხნა“	„სმა“

³⁵ აღსანიშნავია, რომ ლაზურის -ამ სუფიქსიანი წარმოება არნ. ჩიქობავას ახსენებს ქართული ენის ჯავახურ კილოს, რომელსაც აწმყოს თითქმის ერთადერთ მაწარმოებლად -ამ სუფიქსი აქვს (ჩიქობავა 1936:132). სამცხე-ჯავახეთი ისტორიული მესხეთის ნაწილი, რომელიც მტკვრის აუზის ზემო ნაწილთან ერთად მოიცავდა ჭოროხის აუზსაც, მათ შორის ლაზეთს მთლიანად, ადვილი მოსალოდნელია, ქართული -უმ სუფიქსის ფონემურად იდენტური თურქული ზმნის 1-ლი პირის -უმ ნიშანს, ხელი შეეწყოს მისი გავრცელებისათვის. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა, რომ ლაზურში -Vგ სახეობა გვხვდება საქართველოს მოსაზღვრე ხოფის ილჩესა და ქართველებით დასახლებულ ბორჩხის ილჩეში, ჩხალაში, ხოლო ათინა-არტაშენისკენ Vმ სახეობაა გავრცელებული...

მეგრულის სხვადასხვა ფორმაში წარმოდგენილი უ ქართული ავ მორფემის ზანური *-უვ შესატყვისის ფონოლოგიურად ტრანსფორმირებული ვარიანტია.*-უვ სრული სახით ზოგჯერ წამოტივტივდება ნაზმნარ სახელებში უ და ახმოვნებს შორის - თას-უ-ვ-ა, ჭარ-უ-ვ-ა. ი. ყიფშიძეს ამგვარ ჭარუ-ვ-ა/ჭარ-უ-ა „წერა“, ნთხორუ-ვ-ა/ნთხორ-უ-ა „თხრა“... ფორმებში -ვ- ნიშანი განვითარებულად მიაჩნია (ყიფშიძე 1914:08).

ზოგადად, მეგრულის -უვ > -უნ და ლაზურის -უვ > -უფ ფონეტიკური გადასვლები არ უნდა ყოფილიყო უცხო როგორც ქართულში, ისე ქართულ-ზანურში. რადგან: -ავ > -ან ფონეტიკურ გადასვლას ადასტურებს ბ. ჯორბენაძე მესხურში: რგ-ავ-ს > რგ-ან-ს; მალ-ავ-ს > მალ-ან-ს (ჯორბენაძე 2013:43); ასევე შემჩნეულია ქართულ-ზანური -ევ : -ენ შესატყვისობა: აძლ-ევ-ს > არძ-ენ-ს, არბ-ევ-ს > არბ-ენ-ს და მისთ. (გუდავა, გამყრელიძე 2000:164-166). თავის დროზე, მ. ჩუხუამ ვ > ნ ფონეტიკურ გადასვლაზე მიუთითა სახელებში და იგივე პროცესი ივარაუდა ზმნურ ფორმებშიც (ჩუხუა 2000-2003:26). ჭ. ქირიამ, ვინც ფუნდამენტურად შეისწავლა კაუზაციის წარმოების საკითხი მეგრულ-ლაზურში, -უნ სუფიქსისათვის ამოსავლად -უვ (< -ავ) მიიჩნია: რგ-უნ-ს < *რგ-უვ-ს „რგავს“, ჭ-უნ-ს < *ჭვ-უვ-ს აქედან კაუზაციის წესითაა მიღებული: ო-რგ-უ-ან-ს < *ო-რგ-უვ-ან-ს „არგავს“; გი-ო-ჭ-უ-ან-ს < *გი-ო-ჭვ-უვ-ან-ს „დაწვავს“ (იხ. ქირია და სხვ. 2015:520).

რაც შეეხება ლაზურის -უვ > -უფ ფონეტიკურ გადასვლას. მეგრულ-ლაზურში კარგად ცნობილია S1 პირის ვ- ნიშნის პოზიციური თანხმოვანთმონაცვლეობა ანლაუტში. კერძოდ, ვ-ს ნაცვლად ფ- ბგერა ვლინდება ფშვინვიერების, ყრუ სპირანტებისა, აფრიკატებისა და უკანაენისმიერთა წინ (იხ. ჩიქობავა 2008:102-103, 110). მაგ., ლაზ. ვსქიდლუთ > ფსქიდლუთ (კარტოზია 1972:267) „ვცხოვრობთ“, „ვრჩებით“; ვთხორარე > ფთხორარე (ჩიქობავა 1936:103³²). ანუ აწმყოს მესამე სუბიექტური პირის ფშვინვიერი -ს ნიშნის წინარე პოზიციაში ზანურში შესაძლებელია გვექონოდა ვ > ფ ფონეტიკური გადასვლა.

ზანურის -უნ/-უფ/-უმ ჯგუფის სუფიქსები, ზმნურ ფორმათა აბსოლუტურ უმრავლესობაში, მიღებულია ქართული -ავ-ის ზანური -უვ შესატყვისისაგან (-უვ-ის პოზიციური ალომორფებია), ხოლო მცირე ნაწილში - უშუალოდ ქართული ამ-ისა და მისი ზანური -უმ (>-იმ) შესატყვისისაგან.

2) -აფ/-ამ/-ან ჯგუფი. ფორმათა აბსოლუტურ უმრავლესობაში მოცემული ჯგუფი ქართული -ებ-ის შესატყვისია. ისინი მიღებულია -ებ > -აფ //-ამ > -ან ფონეტიკური გადასვლებით (ჩიქობავა 1936:132). მაგ. ლაზ. კარკალ-აფ-ს /კარკალ-ამ-ს მეგრ. კარკალ-ან-ს „კაკანებს“, ლაზ. პეტელ-აფ-ს/პეტელ-ამ-ს მეგრ. პეტელ-ან-ს „კიკინებს“, ლაზ. ბანგალ-აფ-ს / ბანგალ-ამ-ს მეგრ. ბანდალ-ან-ს „ბანდალებს“, ლაზ. ორჩ-აფ-ს / ორჩ-ამ-ს მეგრ. ორჩ-ან-ს „აგებს“, ლაზ. ონგორ-აფ-ს / ონგორ-ამ-ს მეგრ. ოგორ-ან-ს „აგინებს“, ლაზ. ოფმ-აფ-ს / ოფმ-ამ-ს მეგრ. ოფმ-ან-ს „ავსებს“, ლაზ. ოძლ-აფ-ს/ოძლ-ამ-ს მეგრ. ორძლ-ან-ს „ანაყრებს“.

3) -ეფ/-ემ/-ენ ჯგუფი. მოცემული ჯგუფის სუფიქსები ქართული ებ-ის პოზიციური ალომორფია. -ებ სუფიქსი ძირითადად ქართულიდან შესულ ზმნებს მოუდის ზანურში, თუმცა არცთუ იშვიათად საკუთრივ მეგრულ ფუძეებთანაც გვხვდება (ჩიქობავა 1936:134; ნათაძე 1959:138-139; მარგველაშვილი 1988:192). მაგ. ომსქვან-ეფ-ს / ომსქვან-ემ-ს მეგრ. ასქვამ-ენ-ს „ალამაზებს“, ლაზ. ოჭიტან-ეფ-ს/ოჭიტან-ემ-ს მეგრ. აჭიჭარ-ენ-ს „აპატარავენს“, ლაზ. ომონკან-ეფ-ს / ომონკან-ემ-ს მეგრ. ამონკ-ენ-ს „ამძიმებს“. მეგრულში -ენ შესაძლებელია ასევე მიღებული იყოს -ევ-ისაგან: აძლ-ევ-ს „არძ-ენ-ს“, არკვ-ენ-ს „არკვევს“, აზღვ-ენ-ს „აზღვ-ევ-ს“ და მისთ.

4) -ონ/-ოფ/-ომ ჯგუფი. გარდამავალი სუფიქსების მქონე ფორმათა წარმოება საკმაოდ არაპროდუქტიულია ზანურში. ჩვენი აზრით, ამოსავალი ქართული -ავ-ია. მოცემული ფორმანტები მიღებულია -ავ > -ოვ > -ონ/ოფ > ომ ფონეტიკური გადასვლებით (განსხვავებული სქემისათვის იხ. ზევით). მაგ., ლაზ. ვძი-ოფ „ვნახავ“, ლაზ. ბზუმ-ომ „ვზომავ“, ლაზ. ვჩით-ომ „ვაპობ“, ლაზ. პ-ონ-ს „ჰყვავის“, ლაზ. ზოპ-ონ-ს „ლაპარაკობს“.

მეგრულ-ლაზურის მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის მაწარმოებელ სუფიქსთა პროდუქტიულობა პროცენტულად ასე ნაწილდება:

ქართ. -ავ > *-უვ: მეგრ. -უნ / ლაზ. -უფ > უმ – 45% (ხანტ-უნ-ს > ხანტ-უფ/უმ-ს ტიპი)

ქართ. -ებ : ლაზ. -აფ > -ამ / მეგრ. -ან – 40% (ო-რძ-აფ-ს > ო-რძ-ამ-ს / ო-რძ-ან-ს;

კარკალ-აფ-ს / კარკალ-ამ-ს / კარკალ-ან-ს ტიპი)

ქართ. -ებ : ლაზ. -ეფ > -ემ/ მეგრ. -ენ – 8 % (ა-კეთ-ეფ-ს > ა-კეთ-ემ-ს/ა-კეთ-ენ-ს)

ქართ. -ავ > მეგრ. -ან > ლაზ. -აფ > -ამ – 2% (ჭ-ან-ს / ჭ-აფ-ს ტიპი)

ქართ. -ავ >* -ევ : მეგრ. -ენ – 1% (ბედ-ენ-ს, არძ-ენ-ს ტიპი)

ქართ. -ამ : ლაზ. -უმ > მეგრ. -უნ – 1% (დგ-უმ-ს/დგ-უნ-ს ტიპი)

და სხვ. – 3%

ფაქტობრივად, ზანურში ოდენ -უნ/-უფ/-უმ და კაუზაციურ წარმოებაში მონაწილე -ავ/-ამ/-ან თემის ნიშნები გავრცელებულობის ერთნაირი მაღალი სიხშირით გამოირჩევიან.

2.2. S3 პირის -ს ნიშანი. ზანურში მოქმედებითი გვარის აწმყო / მყოფადის მწკრივებში მესამე პირის ფორმებს ვნებითი გვარისაგან S3 პირის -ს ნიშანი განასხვავებს, რომელიც ყოველთვის აქტიურ ქვემდებარეზე მიანიშნებს³⁶.

როგორც პირველ თავში აღინიშნა, ზანურში S3 პირის -ს და -ნ ნიშნის მქონე აწმყოს ფორმები ერთმანეთს ამოსვალში ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ აქტიურობა / ინაქტიურობის თვალსაზრისით, დროთა განმავლობაში კი აღნიშნულ მწკრივსა და პირში მოქმედებითი / ვნებითი გვარის ოპოზიციურ მარკერებად ჩამოყალიბდნენ.

ი. მელიქიშვილი ქართულში მესამე სუბიექტური პირის -ს და -ა ალომორფების განაწილებას აქტიურობის იერარქიას უკავშირებს. მეცნიერი აღნიშნავს, რომ -ა სუფიქსი გვხვდება წარსულ დროებთან, სტატიკურ და ვნებითი გვარის ფორმებთან, სადაც აქტიურობის ხარისხი დაბალია (მელიქიშვილი ი. 2013:258-259).

შენიშვნა: აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოებითი რიცხვის აწმყოს პირველსა და მეორე პირში ყველა ტიპის ზმნას მეგრულში -ქ სუფიქსი დაერთვის (ვ/ჭარუნ-ქ „ვ/წერ“; ვ/ჩურუნ-ქ „ვ/ცურავ“; ვ/ტიბუ-ქ „ვ/თბები“...), ლაზურში კი ვნებითსა და რამდენიმე ე.წ. მედიოაქტიურ ზმნასთან -რ სუფიქსი დასტურდება (პტუბ-ურ „ვთბები, ბღურ-ურ „ვკვდები“, ვულ-ურ „მივდივარ“, ვიჭვ-ერ „ვიწვი“...). -ქ და -რ სუფიქსები მთელ რიგ შემთხვევებში ერთიმეორის მორფოლოგიურ კორელატად არის მიჩნეული (ჩიქობავა 1936:112,115,135; 2008:144-145). მათი წარმომავლობისა და კვალიფიკაციის საკითხს არაერთი ლინგვისტი შეეხო (დეეტერსი გ., ყიფშიძე ი., ცაგარელი ა., ჩიქობავა არნ., გუდავა ტ., თოფურია ვ., დანელია კ., მაჭავარიანი გ., კარტოზია გ., ეზუგბაია ლ., ქირია ჭ., მახარობლიძე თ., ასათინი რ. და სხვ.).

³⁶ -ს ნიშანმა სხვადასხვა პოზიციებში შესაძლებელია მოგვეცეს ალომორფები: მეგრულში -ს>-ც : გიცორცე (<გიყორ-ს) „გიყვარს“; ლაზურში (ათინური) ს-ძ: ლალოძ (ლალუმ-ს)“, -ს >-ზ: ტაზა (<ტასია) „იყოსო“ (ქირია და სხვ. 2015:265-267).

აღნიშნულ სუფიქსებს სხვადასხვა კვალიფიკაცია ეძლევა. ქ-ს განიხილავდნენ მეორე სუბიექტური პირის ნიშნად, რომელიც ანალოგიით იყო გადმოსული პირველ პირშიც (ცაგარელი 1872:056; ყიფშიძე 1914:056). იგი მიაჩნდათ აფხაზურსა და ყაზარდოულში მეშველი ზმნის მსგავს სუფიქსად, რომელსაც ეკისრებოდა სტატიკურობის, მდგომარეობის არსებობის აღნიშვნა (ლომთათიძე 1946:134) და ა.შ. ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, ზმნური -ქ სუფიქსი და მოთხრობითი ბრუნვის -ქ მორფემა ერთი და იმავე მორფოლოგიური ფუნქციის მქონედ არის მიჩნეული. იგი კვალიფიცირებულია „ვინ სულიერობის კატეგორიისა“ (მახარობლიძე 2009:93) ან „სუბიექტობის სემანტიკის“ (ეზუგბაია 2010:144) ნიშნად.

2.3. ო- ხმოვანპრეფიქსი. კაუზაციური მოქმედებითი გვარის წარმოება მეგრულ-ლაზურში, პირველ რიგში, ქართული ა-ს მორფო-ფონეტიკურ შესატყვის ო- ხმოვან-პრეფიქსთან არის დაკავშირებული. მოცემული პრეფიქსის მრავალფუნქციურობა არაერთი მეცნიერის დაინტერესების საგანი გამხდარა. ჩატარებულია მისი მორფო-სინტაქსური თუ სემანტიკური ანალიზი, როგორც სინქრონიულ, ისე დიაქრონიულ ჭრილში, მაგრამ მოცემული ხმოვანი დღემდე ცალსახად რომელიმე გრამატიკულ კატეგორიასთან არ არის დაკავშირებული. სამეცნიერო კვლევების მიხედვით, აღნიშნული პრეფიქსით შესაძლოა გამოიხატოს:

1. გარდამავლობა (მარი 1925:139)
2. საარვისო ქცევა (შანიძე 1980:325)
3. მოქმედებითი გვარი (თოფურია 1942:969; ონიანი 1998; ჩიქობავა 1970:18; ჩუხუა, 2015)
4. კაუზაცია (ანტონ I, 1985; გეწაძე 1969:134, დანელია 2006:143; იმნაიშვილი 1970: მაჭავარიანი 1988:9; უთურგაძე 1995:126; სარჯველძე 1997:93)
5. საზედაო სიტუაცია (შანიძე 1980:374; როგავა 1942:50)
6. ობიექტზე მითითების ფუნქცია (ჯორბენაძე 1975:99, 111; მაჭავარიანი მ. 1980: 42; ციხელაშვილი 1999:43)
7. სახელისაგან ზმნის წარმოების ფუნქცია (ჯორბენაძე 1983)
8. სამიმართებო ფუნქცია (დეეტერსი 1930:74)
9. ზმნის ვალენტობის „მატების“ მარკირება (ასათიანი 2016:102)

ჩვენ ო- პრეფიქსს ზანურში, როგორც მოქმედებითი გვარის მაწარმოებელ ნიშანს ცალკე არ გამოვყოფთ. მას, შესაბამის სუფიქსთან ერთად, კაუზაციურ წარმოებაში მონაწილე ელემენტად განვიხილავთ.

მეგრულ-ლაზურში ერგატიული/ცვლადი კონსტრუქცია, ზემოაღნიშნული თემატური სუფიქსებისა და S3 პირის -ს ნიშნის მონაწილეობით ქმნის მოქმედებითი გვარის თვითმყოფად სტრუქტურას აწმყოში R-ATM-ს (კაუზაციური წარმოებისას - ო-R-ATM-ს), რაც გამოარჩევს მას ნომინატიური კონსტრუქციის ასევე სპეციფიკური ვნებითი გვარის ფორმისაგან, რომლისთვისაც სულ სხვა ყალიბი და თემატური სუფიქსებია (-უ, -ე) დამახასიათებელი.

ლაზურის მოქმედებითი გვარის ზმნებთან ერთად განვიხილავთ, შედარებით ახალ, თურქული ენის გავლენით დამკვიდრებულ აღწერით ნიმუშებს, რომელთა კონსტრუქცია შედგება ნაზმნარი სახელისა და დამხმარე ზმნისაგან: MSD – AUX.

მოქმედებითი გვარის ზმნურ ფუძეთა ჩამოყალიბებისა და მისი განვითარების დინამიკის გათვალისწინებით, საერთო კონსტრუქციისა და შესაბამისი ფორმის მიხედვით, მეგრულ-ლაზურის მოქმედებით გვარში გამოვყოფთ სამ მთავარ ჯგუფსა და ხუთ ქვეჯგუფს³⁷

საერთო სტრუქტურა: (CV)-R-(უ)-ATM-(ს)

კონსტრუქცია: NOM-ERG-DAT-NOM (მეგრ.)

ERG –ERG –ERG-ERG (ლაზ.)

1. R-ATM-ს ჯგუფი³⁸ (გარდაუვალი/ირიბგარდაუვალი/პირდაპირგარდამავალი)

ა) პირველადი წარმოების აქტივები

ბ) რელატიური წარმოების აქტივები

³⁷ ცალკე ქვეჯგუფებად არ გამოვყოფთ იმ ფორმებს, რომლებშიც ზმნისწინის ფუნქცია დეველ-ვირებულია, კერძოდ, დაცლილია ასპექტური სემანტიკისაგან, რადგან აქ არ იცვლება ზმნის საერთო სტრუქტურა. მაგ., რაგად-ან-ს „ლაპარაკობს“, ელა-რაგად-ან-ს „ჩაულაპარაკებს“, გითო-რაგად-ან-ს „ქვემოდან ლაპარაკობს“, გილა-რაგად-ან-ს „დადის და ლაპარაკობს“... ერთი და იგივე აქტიური სემანტიკის გამომხატველი ფორმებია. ამავე მიზეზით, ცალკე არ გამოვყოფთ სხვადასხვა თემატური სუფიქსის მქონე ფორმებს. აღსანიშნის უფრო ნათლად გადმოსაცემად გამოყენებული გვაქვს რელევანტური ახალი ტერმინოლოგიაც.

³⁸ ATM-ს თემატური სუფიქსის აღმნიშვნელ აბრევიატურას, ფრჩხილში არ ვსვამთ იმიტომ, რომ ზანურში ათემატური მოქმედებითი გვარის ნიმუშები ძალიან მწირია.

2. CV-R-(უ)-ATM-ს ჯგუფი (პირდაპირგარდამავალი/ირიბგარდამავალი)

- ა) მარტივფუძიანი კაუზაციური წარმოების აქტივები
- ბ) რთულფუძიანი კაუზაციური წარმოების აქტივები

3. MSD+AUX -ს ჯგუფი (გარდამავალი)

აღწერითი წარმოების აქტივები

თანმიმდევრულად განვიხილავთ მოქმედებითი გვარის წარმოების თითოეულ მოდელს, მათი ჯგუფებისა თუ ქვეჯგუფების გამოყოფის საფუძველს, შესაბამისი საილუსტრაციო მასალის დამოწმებით³⁹.

3. მოქმედებითი გვარის მორფოსინტაქსური ჯგუფები

3.1. R-ATM-ს სტრუქტურის აქტივები. მეგრულ-ლაზურში მოქმედებითი გვარის პირველ R-ATM მოდელის აქტანტურ კონსტრუქციაში, გარდამავლობის მიხედვით, გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: გარდაუვალი/ირიბგარდამავალი პირველადი აქტივი და პირდაპირგარდამავალი რელატიური აქტივი. ორივე კონსტრუქციაში ქვემდებარე ერთნაირად ფუნქციონირებს, ლაზურში გამოხატულია ოდენ მოთხრობითი ბრუნვით, ხოლო მეგრულში - სახელობითით, მოთხრობითითა და მიცემითით, სერიების მიხედვით. ქვემდებარის მათქმელებელი განსაზღვრული სუფიქსები ინტეგრირებულია შესაბამის ზმნურ ფორმებში.

3.1.1. პირველადი აქტივები. პირველადი აქტივების, ტრადიციული გრამატიკის მიხედვით, ე.წ მედიოაქტივების, კონსტრუქცია, როგორც აღინიშნა, შედგება მხოლოდ ერთი მოქმედი პარტიციპანტისაგან. ამგვარი ფორმები აქტიურ/ერგატიულ ზმნათა მორფოლოგიის ჩასახვისა და მათი დიაქრონიული განვითარების პირველ ეტაპს ასახავს. სწორედ ამის გამო, მათ ჩვენ პირველად აქტივებად მოვიხსენიებთ.

არქაული წარმოშობის პირველადი აქტივები ძირითადად ფონოსემანტიკური ტიპისაა, ისინი შინაგან მოვლენებს აღნიშნავენ, მაგ., როგორცაა: მოძრაობის, ხმის,

³⁹ საილუსტრაციო ნიმუშები წარმოდგენილია აწმყო დროის ნეიტრალური ქცევის მხ. რიცხვის მესამე პირისფორმით.

ხმაურისა დასინათლის გამოხატვა. მათი აწმყოს ფუძე -უნ/-უფ/-უმ და -ან/-აფ/-ამ სუფიქსებით არის წარმოდგენილი⁴⁰:

მეგრ. ვალუნს	ლაზ. ვალუფს/ვალუმს „ელავს“
მეგრ. ტყვაცუნს	ლაზ. ტყვაცუფს/ ტყვაცუმს „ჭექს“
მეგრ. გურგინუნს	ლაზ. ღურღულაფს/გურგულამს „ქუხს“
მეგრ. გუმინუნს	ლაზ. ხუმინუფს/ხუმინუმს „გმინავს“
მეგრ. ლალუნს	ლაზ. ლალუფს/ ლალომს „ყეფს“
მეგრ. რშვინუნს	ლაზ. სტვინუფს/სტვინუმს „სტვენს“
მეგრ. წიანს	ლაზ. წიაფს/წიამს „წივის“
მეგრ. კარკალანს	ლაზ. კარკალაფს/კარკალამს „კაკანებს“
მეგრ. პეტელანს	ლაზ. პეტელაფს/პეტელამს „კიკინებს“
მეგრ. ბანდალანს	ლაზ. ბანდალაფს/ბანდალამს „ბანდალებს“
მეგრ. ძანძალანს	ლაზ. ძანძალაფს/ძანძალამს „ძაგძაგებს“
მეგრ. ბარჩხალანს	ლაზ. ბარჩხალაფს/ბარჩხალამს „ელვარებს“

ქართულ ტრადიციულ გრამატიკაში ამგვარი ნიმუშები „საშუალ-ვნებითებთან“ ერთად ე.წ. საშუალ გვარშია გაერთიანებული (შანიძე 1980). მათი ცალკე გამოყოფის საფუძვლად კი ა) სტატიკურობა⁴¹, ბ) პირდაპირი ობიექტის უქონლობა და გ) უღლების

⁴⁰ მეგრულში -ენ-ით არის წარმოდგენილი შედარებით ახალი ქართული ნასებობები, რომლებსაც ამოსავალში -ობ სუფიქსი აქვს: ნარღ-ენ-ს „ნადვლობს“, ცხოვრ-ენ-ს „ცხოვრობს“, გრძნ-ენ-ს „გრძნობს“, ხვარ-ენ-ს „ხმარობს“, ფონდიკ-ენ-ს „ცოდვილობს“, ბაკიჩ-ენ-ს „ყბედობს“, ნადირ-ენ-ს „ნადირობს“, მეფ-ენ-ს „მეფობს“, ქეიფ-ენ-ს „ქეიფობს“, ზარმაც-ენ-ს „ზარმაცობს“, დაგ-ენ-ს „დავობს“, შრომ-ენ-ს „შრომობს“, ნერვიულ-ენ-ს „ნერვიულობს“, ჩქარ-ენ-ს „ჩქარობს“, ლოცულ-ენ-ს „ლოცულობს“, მოძრავ-ენ-ს „მოძრაობს“, შრიალ-ენ-ს „შრიალებს“, ციმციმ-ენ-ს „ციმციმებს“, ჭრიალ-ენ-ს „ჭრიალებს“, გუგუნ-ენ-ს „გუგუნებს“ და ა.შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ -ობ სუფიქსი -ებ-ისგან არის მიღებული (ნ. მარი, ვ. თოფურია). „ძველი ქართულის -ებ თემის ნიშანი ახალში -ობ-ით არის შეცვლილი: განაპებს → განაპობს, დამკუებს → დაამხობს“... (იმნაიშვილები 1996:95). ჩვენთვის გასაზიარებელია ლ. ნოზაძის მოსაზრება, რაც თევზაობს ტიპის ფორმებში ამოსავლად -ავ-ს ვარაუდობს: *თევზავს, *ბანავს, *ჭიდავს, *ზურთავს (ნოზაძე 2008:67). ზოგ ფორმაში კი -ენ -ებ > ეფ-ემ-ენ გადასვლით არის მიღებული (ჩიქობავა 1936:133). ორივე შემთხვევაში ამოსავალი ქართული -ებ სუფიქსიწარმოჩენილია მეგრულის თურმეობითში უ-ვაჭრ-ებ-უ-ნ „უვაჭრია“, უ-ნადირ-ებ-უ-ნ „უნადირია“, უ-შრომ-ებ-უ-ნ „უშრომია“, უ-ცხოვრ-ებ-უ-ნ „უცხოვრია“ და ა.შ.

⁴¹ სტატიკის (მდგომარეობის) ცნება პირველად იონე ქართველიშვილმა შემოიტანა. იგი ასხვავებს აქტიურ და პასიურ მდგომარეობას. მისი აზრით, „ხატშემოქმედებითი“ აღნიშნავს „მოქმედებითს მდგომარეობას“, „ხატვნებითი“ – „ვნებითის მდგომარეობას“ (ქართველიშვილი 1809:59).

არასრული სისტემა დასახელებული (ა. შანიძე, არნ. ჩიქოზავა, ბ. ჯორბენაძე). თანმიმდევრულად განვიხილავთ თითოეულ მიზეზს და არგუმენტირებულად წარმოვაჩინოთ მეგრულ-ლაზურში ამგვარ ფორმათა მოქმედებით გვარში განთავსების აუცილებლობას.

ა) სტატიკურობა. არნ. ჩიქოზავამ ზანურში ე.წ. მედიაოქტივები (resp. სამუალო) ჯერ გვარის სისტემაში დამოუკიდებლად განიხილა (ჩიქოზავა 1936; 2008:122-126), შემდგომ კი სისტემის მიღმა მათ უგვარო სტატიკურ ზმნათა კვალიფიკაცია მიანიჭა (ჩიქოზავა 1948:108; 1950).

ე.წ. მედიაოქტივებს სტატიკურებად მიიჩნევდნენ გ. მაჭავარიანი და ბ. ჯორბენაძე, ამგვარი ფორმები „სტატიკური ბუნებისა არიან“ – აღნიშნავს გ. მაჭავარიანი (1974:74,122), ხოლო ბ. ჯორბენაძის აზრით, ისინი სწორედ სტატიკურობის ნიშნით უპირისპირდებიან მოქმედებითი და ვნებითი გვარის დინამიკურ ფორმებს (ჯორბენაძე 1975:177).

დ. მელიქიშვილი ზმნურ ფორმათა ახალ საკლასიფიკაციო სისტემაში მათ ასევე სტატიკურებად მიიჩნევს და ავტოაქტივების (თვითმოქმედებითების) სახელით პირველ დიათეზაში ათავსებს (მელიქიშვილი 2014, იხ. დიათეზების ცხრილი).

მიუხედავად იმისა, რომ ე.წ. მედიაოქტივების სტატიკურ ბუნებაზე მეცნიერთა ერთი ნაწილი ამხვილებს ყურადღებას (ჩიქოზავა 1948, 1950; მაჭავარიანი 1974:122; ნათაძე 1959:130; ჯორბენაძე 1975; სუხიშვილი 1976; ლოლაძე 1995; ჩუხუა 2015 და სხვ.), მეორე ნაწილისთვის მიუღებელია მათი სტატიკურებად წარმოჩენა, რადგან „მედიაოქტიური ზმნები არსებითად აქტიურ მოქმედებას გამოხატავენ და არა მდგომარეობას“ (ლომთათიძე 1946:13). „მედიაოქტიური“ ზმნები არ შეიძლება იყოს სტატიკური, ამას ადასტურებს ამ ფორმათა ისტორია და მათი სემანტიკური ანალიზი. ყვეს, ცურავს, ნადირობს, სადილობს, სწამლობს... დინამიკური აქტიური ზმნებია ისევე, როგორც ხატავს, სთხოვს, წერს... სხვაობა მათ შორის პირდაპირი ობიექტის ქონა-არქონაშია, სტატუსის მიხედვით აღნიშნული ზმნები ერთნაირად უპირისპირდებიან საკუთრივ სტატიკურ ზმნებს – თესია, წერია, ჰგონია და მისთანებს (ნოზაძე 1974:67). „სემანტიკურად ეს ზმნები შეიძლება დახასიათდეს როგორც აქტიური, პროცესუალური, ატელიკური ანუ უმიზნო ზმნები. ამ ზმნებით გამოიხატება აქტიური პროცესი...“ (მელიქიშვილი ი. 2002:123). რ. შეროზიას აზრით, წუხილი, მეფობა, დუმილი... პროცესია, დინამიკაა (შეროზია 1996:186).

ვ. თოფურიას დამოკიდებულება აღნიშნული საკითხისადმი კარგად ჩანს ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის III ტომში, რომლის რედაქტორიც თვითონ იყო. სხვა ტომებისაგან განსხვავებით, სადაც ეს ზმნები სტატიკურებადაა ჩათვლილი, „მედიაოქტიურ“ ზმნებს მიწერილი აქვს – „გრდუვ. დინამ.“ (იხ. ქეგლი 1953).

მკვლევრები ასევე ცდილობენ შუალედური თეორიის („დინამიკა-სტატიკაში“) შემუშავებასაც, რომელიც ეყრდნობა დიფერენცირებული „მდგომარეობის / სტატიკის“ ცნებას.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტერმინ „მდგომარეობას“ პირველად იყენებს იოანე ქართველიშვილი. მისი განმარტებით, მდგომარეობა გამოხატავს „მოქმედებას ანუ მოქმედებითსა მდგომარეობასა პირისასა ანუ ნივთისასა“ (ქართველიშვილი 1809:59). ავტორთან მდგომარეობის ცნება დიფერენცირებულია, იგი გამოხატავს მოქმედებას, ვნებასა და უმოქმედობასაც (იქვე).

ბ. ჯორბენაძე განასხვავებს გრამატიკულ და რეალურ მდგომარეობას. გრამატიკული მდგომარეობაში ავტორი გულისხმობს აბსოლუტურ და შეფარდებით მდგომარეობას. მეცნიერი „მედიაოქტივებს“ შეფარდებითი მდგომარეობის ზმნებად მიიჩნევს, რომელთა მოქმედება არ ვრცელდება, არ გადადის სხვა ობიექტზე. აქ გვაქვს მოქმედების პროცესის სტატიკურად წარმოსახვა (ჯორბენაძე 1975).

თ. უთურგაიძე ასევე გამოყოფს ორი ტიპის მდგომარეობას – უძრაობასა და ვითარებას (სულიერი ან ფიზიკური), რომელთაც გრამატიკულად აერთიანებთ გეზ-მიუმართაობა. ავტორის აზრით, „მედიაოქტივები“ ვითარების მდგომარეობის (იჩქარის, ბარბაცებს) გამომხატველი ფორმებია. ისინი თავიანთი უცვლელი ვითარებით უპირისპირდებიან დინამიკურ – პროცესის გამომხატველ ზმნებს (უთურგაიძე 2001:59, 86).

მ. სუხიშვილის აზრით, ე.წ. მედიაოქტივების ფუძის შინაარსი თითქოს უფრო „დინამიკას“ გამოხატავს, მაგრამ უფრო ზუსტად ესაა „დინამიკა სტატიკაში“ (სუხიშვილი 1976:10).

ჩვენ ვიზიარებთ მეცნიერთა იმ ნაწილის მოსაზრებებს, ვინც ე.წ. მედიაოქტივებს, პირველად აქტივებს დინამიკურ ზმნათა კვალიფიკაციას ანიჭებენ. ზანურში ამგვარი ფორმები თავიანთი მათეტიურებელი თემის ნიშნებით გამოხატავენ აქტიურ მოქმედებას /

პროცესს და შეუფერხებლად აწარმოებენ დრო-კილოთა ყველა მწკრივის ფორმას. არნ. ჩიქობავას თვალსაზრისით, ზმნები თუ დინამიკურია ნაკვთთა მეორე წყება მათ დაუბრკოლებლივ ეწარმოებათ (ჩიქობავა 2014:153).

ზოგადად, ქვემდებარის ყველა ტიპის აქტივობა მეგრულ-ლაზურში შესაბამისი ფორმითა და კონსტრუქციით არის მარკირებული და რეგულარული ფორმაწარმოებისაა. სწორედ იგი ამ გრამატიკული (resp. მორფოსინტაქსური) ყალიბით უპირისპირდება გვარგანუვითარებელ და არასრული უღლების სისტემის მქონე სტატიკურ ნიმუშებს.

ბ) პირდაპირი ობიექტის უქონლობა. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ე.წ. მედიაოქტივები ისტორიულად პირდაპირობიექტ დაკარგულ გარდამავალ ზმნებად არის მიჩნეული (იხ. შანიძე 1942; ჩიქობავა 1979:165 და სხვ.), ამიტომაც მათ ხშირად თანამედროვე კვლევებში „ფსევდოგარდამავალ“, „ლაზილურ-გარდამავალ“, „პოტენციურად გარდამავალ“ ზმნებადაც მოიხსენიებენ (იხ. გოგოლაშვილი, არაბული და სხვ. 2011, მელიქიშვილი 2014, ნიკოლაიშვილი 2012 და სხვ.). თუმცა, მეორე თვალსაზრისის მიხედვით, პირდაპირი ობიექტის უქონლობა „მედიაოქტიურ“ ზმნათათვის დამახასიათებელი ორგანული და ისტორიული თვისებაა, ხოლო „ფორმალური რეალური ობიექტის“ ქონა – მეორეული (იხ. ნოზაძე 2008:99). ლ. ნოზაძის აზრით, ასეთი ტიპის ზმნებს „გარეგანი ობიექტი“ არც არასდროს გააჩნდათ, ისინი შინაგანად შეიცავდნენ მას (იქვე 98-99). ე. ბენვენისტი ამგვარ ფორმებში არსებითად მიიჩნევს მიმართებას სუბიექტსა და პროცესს შორის. მეცნიერი ფიქრობს, რომ „საშუალი გვარის“ ზმნები არ გამოხატავენ სუბიექტიდან გარე მიმართულ მოქმედებას, ამგვარ ფორმებში სუბიექტი პროცესის შიგნით ივარაუდება (ბენვენისტი 1974:188). ჟ. ლაზარის აზრით, „ისინი გამოხატავენ ერთი პარტიციპანტის ქმედებას და ამ მხრივ ემსგავსებიან გარდაუვალ ზმნებს. მაგრამ მათი მორფოსინტაქსი ორაქტანტიანია: ანუ შედგება აგენსისაგან, რომელიც ერთადერთ პარტიციპანტს გამოხატავს და მისი ნომინალური (ფიქტიური) ობიექტისაგან“ (იხ. ლაზარი 2009:294). ფიქტიური ობიექტი გრამატიკულ ზედაპირზე არ ჩანს, რადგან იგი იმავე რეფერენციული მნიშვნელობისაა, როგორც ზმნა (იხ. ნებიერიძე 1987). მოცემული მოსაზრებების მიხედვით, შესაძლებელია, ასეთი ტიპის ზმნები, გარდამავლად ან გარდაუვლად იქნეს გაგებული, ხოლო გარდამავლობის კატეგორიისაგან გამიჯნული

ზანური გვარისათვის მას პრინციპული ღირებულება არა აქვს. რადგან ფორმალურ ზედაპირზე არ ჩანს პირდაპირი დამატება ჩვენ მათ გარდაუვლად განვიხილავთ.

პირველადი აქტივები ლაზურში წარმოდგენილია სტაბილურად ერგატიული, ხოლო მეგრულში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, ცვლადი კონსტრუქციებით.

ლაზური	მეგრული
I ს. ჯოდორი-ქ ლალ-უფ-ს ძაღლ-ERG ყეფ-ATM-PRS.S3.SG „ძაღლმა (=ძაღლი) ყეფს“	ჯოდორ-ი ლალ-უნ-ს ძაღლ-NOM ყეფ-ATM-PRS.S3.SG „ძაღლი ყეფს“
II ს. ჯოდორი-ქ ლალ-უ ძაღლ-ERG იყეფ-AOR.S3.SG „ძაღლმა (=ძაღლი) იყეფა“	ჯოდორი-ქ ლალ-უ ძაღლ-ERG იყეფ-AOR.S3.SG „ძაღლმა (=ძაღლი) იყეფა“
III ს. ჯოდორი-ქ ლალუ-დორენ ძაღლ-ERG ყეფა-AUX „ძაღლმა (=ძაღლს) უყეფია“	ჯოდორი-ს უ-ლალ-უ-უ-ნ ძაღლ-DAT SV-ყეფ-ATM-ST-S3 „ძაღლს უყეფია“

ანალოგიურად იუღლვის მსგავსი ნიმუშები:

ლაზ. მაფა-ქ ძიოფს	მეგრ. მეფე ძირუნს	„მეფე ნახავს“
ლაზ. მამული-ქ ყიაფს	მეგრ. მუმული ყიანს	„მამალი ყივის“
ლაზ. ბერე-ქ ინჩვირს	მეგრ. ბაღანა ჩურუნს	„ბავშვი ცურავს,“
ლაზ. ოვალუ-ქ ვალუფს	მეგრ. ვალი ვალუნს	„ელვა ელავს“
ლაზ. მაფშალე-ქ იბირს	მეგრ. მაფშალია იბირს	„ბულბული გალობს“
ლაზ. ბერე-ქ ხორონაფს	მეგრ. ბაღანა სხაპუნს	„ბავშვი ცეკვავს“
ლაზ. კოჩი-ქ იძიცაფს	მეგრ. კოჩი იძიცანს	„კაც-ი იცინის“
ლაზ. თხა-ქ პეტელაფს	მეგრ. თხა პეტელანს	„თხა კიკინებს“
ლაზ. ჭუჭული-ქ წიაფს	მეგრ. ჭუჭულ-ი წიანს	„წიწილი წივის“

ამგვარი ერგატიულობით ლაზური ცალსახად ემიჯნება ნომინატიური კონსტრუქციის ვნებითი გვარის ფორმებს. „ლაზურში ე. წ. მედიოაქტივების სუბიექტი, ისევე,

როგორც სხვა გარდამავალ ზმნათა სუბიექტი, დგას ერგატივში (მოთხრობით ბრუნვაში) და, ცხადია, ეს გამორიცხავს ამ ზმნათა ვნებითობას, რადგანაც ვნებითი გვარის ზმნათა სუბიექტს ლაზურში ერგატიული ბრუნვა არ ახასიათებს და ეს ამ ენობრივ ქვესისტემაში მკაცრად გატარებული წესია (უგამონაკლისო)” (იხ. ჩუხუა 2015). მეგრულში კი მოქმედებითი გვარის ქვემდებარე მესამე სერიაში ყოველთვის დატიური კონსტრუქციისაა, ეს არის მისი საიდენტიფიკაციო სინტაქსური ნიშანი, რითაც განსხვავდება ვნებითი გვარის ნომინატიური კონსტრუქციისაგან (ახალაია 2004).

დროთა განმავლობაში ქვემდებარის სხვა საგანზე მიმართულმა აქტივობამ ზედაპირზე ფორმალური დამატებაც წარმოაჩინა, რამაც საფუძველი ჩაუყარა გარდამავალი მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბებას ზანურში:

I ს. თინა	სხაპ-უნ-ს	[მთიულურ-ს]
თინა.NOM	ცეკვ-ATM-PRS.S3.SG	[მთიულურ-DAT (=IO)]
„თინა ცეკვავს [მთიულურს]“		
II ს. თინა-ქ	ქო-სხაპ-უ	[მთიულურ-ი]
თინა-ERG	PRV-ცეკვ-AOR.S3.SG	[მთიულური-NOM (=IO)]
„თინამ იცეკვა [მთიულური]“		
III ს. თინა-ს	ქო-უ-სხაპ-უ-უნ	[მთიულურ-ი]
თინა-DAT	PRV-OV-ცეკვ-ATM-ST-S3.SG	[მთიულურ-NOM (=IO)]
„თინას უცეკვია [„მთიულური“]“		
IV ს. თინა	ნო-სხაპ-უ-ენ	[მთიულურ-ს]
თინა.NOM	EVD-ცეკვ-ATM-EVD - S3.SG	[მთიულურ-DAT(=IO)]
„თინა თურმე ცეკვავდა [„მთიულურს“]“		

როგორც დასაწყისში/ზემოთ აღვნიშნეთ, პირდაპირი დამატების ქონა/არ ქონას (resp. გარდამავლობას) მოქმედებითი გვარის განსასაზღვრელად, ჩვენი კვლევის მიხედვით, პრინციპული ღირებულება არა აქვს, რადგან მოქმედებითის კვალიფიკაციას ვანიჭებთ ერთგვარი მორფოლოგიისა და სინტაქსური (resp. ერგატიული) კონსტრუქციის

მქონე აქტიურ ზმნათა ნიმუშებს (იხ. სარჯველაძე 1972, კლიმოვი 1973, ჯორბენაძე 1975 და სხვ.).

გ) უღლების არასრული სისტემა. ქართულში ამგვარი ტიპის ფორმები არარეგულარული უღლებით გამოირჩევიან. კერძოდ, მყოფად-წყვეტილის ნაკლული მწკრივების შესავსებად სესხულობენ მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევის ი-პრეფიქსიან ფორმებს (შანიძე 1973:498-500). სწორედ ამის გამო, ზმნათა უღლების ტიპებად კლასიფიკაციისას მათ ცალკე გამოყოფენ (შანიძე 1980:488-489). „უღვლილების ტიპების ძირითადი განმასხვავებელი ფაქტორი სწორედ ზმნის გვარის ფორმებია“ (ჯორბენაძე 1975:108). ნ. მარი ქართული ზმნის უღვლილების მიხედვით განხილვისას აღნიშნავს, რომ ფორმით გაირჩევა ორი გვარი – მოქმედებითი და ვნებითი. საშუალო გვარის უმრავლესობა იუღვლება მოქმედებითის მიხედვით, ხოლო ნაწილი ვნებითს ემსაგავსება (მარი 1925:134).

ზანურში პირველადი აქტივები უღლების სრული სისტემით არის წარმოდგენილი. ისინი, სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებით, არ საჭიროებენ ფორმათა სესხებას შესაბამისი მოქმედებითი გვარისაგან. ამიტომაც ი. ყიფშიძე მეგრულში მათ უღლებას ცალკე არ გამოყოფდა, რადგან მოქმედებითი და „მედიააქტივებად“ მიჩნეული ზმნები ერთნაირად იუღვლის (ყიფშიძე 1994:057).

PRS: ვალ-უფ/უმ-ს ვალი-ქ	„ელავს ელვამ (=ელვა)“
FUT: გო-ვალ-უფ/უმ-ს ვალი-ქ	„ი-ელვებს ელვამ (=ელვა)“
AOR: გო-ვალ-უ ვალი-ქ	„ი-ელვა ელვამ“
REZ1: ვალ-უ-დორენ ვალი-ქ	„ელვა-ყო (=უელვია) ელვამ (=ელვას) //
უ-ვალ-უ-ნ ვალი-ს	„უელვია ელვას“
PRS: ლალ-უმ/უფ-ს ჯოლორი-ქ	„ყეფს ძაღლმა (=ძაღლი)“
FUT: ქო-ლალ-უნ/უფ-სჯოლორი-ქ	„ი-ყეფებს ძაღლმა (=ძაღლი)“
AOR: ქო-ლალ-უჯოლორი-ქ	„ი-ყეფა ძაღლმა (=ძაღლმა)“
REZ1: ლალ-უ-დორენ ჯოლორი-ქ	„ყეფა-ყო (=უყეფია) ძაღლმა (=ძაღლს)“
უ-ლალ-უ-ნჯოლორი-ს	„უყეფია ძაღლს“

შენიშვნა: -ქო (კონტამინირებული: -ქა, -ქე, -ქი, -ქუ, -ქე) მტკიცებითი ნაწილაკი ზანურში ხშირად გამოყენებულია ზმნისწინის ფუნქციით. იგი განარჩევს აორისტში სრულ ასპექტს უსრულისაგან (იხ. მარგველაშვილი 1980:166, ჭუმბურიძე 1986:143, ქირია და სხვ. 2015:361). მტკიცებითი ნაწილაკის გამოყენება აწმყოსა და მყოფადის ფორმათა გასარჩევად მეგრულის სპეციფიკურ თავისებურებად არის მიჩნეული, რითაც იგი განსხვავდება სხვა ქართველური ენებისაგან (ქირია და სხვ. 2015:466). მსგავსი წარმოება არც ლაზურისათვის არის უცხო. ლაზურში მტკიცებითი ნაწილაკი და ზმნისწინი ფუნქციურად პრაქტიკულად გაიგივებულია და ერთი მეორის ნაცვლად ჩვეულებრივ გამოიყენება (დოთქუ = ქოთქუ „თქვა“... თურმეობითის დორენ = ქორენ...). (იქვე, 467). ამასთან, იგი ამგვარივე მნიშვნელობით არის გამოყენებული რელატიური მოქმედებითი გვარის ფორმაში: PRS: ლოლანს – FUT: ქო-ლოლანს „აკეთებს/გააკეთებს“; PRS: ჩანს – FUT: ქო-ჩანს „აჭმევს – შეაჭმევს“ და სხვ.

მსგავსი რეგულარული წარმოებისაა ზანურში პირველადი აქტივები – PRS/AOR: სხაპ-უნ/უფ-ს - სხაპუ „ცეკვავს - იცეკვა“, ჭვათ-ან/აფ-ს - ჭვათუ „წვეთავს - იწვეთა“, კარკალ-ან/აფ-ს - კარკალუ „კრიახობს - იკრიახა“, რკი-ან/აფ-ს - რკიუ „კივის - იკივლა“, კუს-ან/აფ-ს - კუსუ „კვნესის - იკვნესა“, პეტელ-ან/აფ-ს - პეტელუ „კიკინებს - იკიკინა“, ღვარ-ან-ს/ღორ-აფ-ს - ღვარუ „ბღავის - იბღავლა“, ღუმინ-უნ-ს/ღუმინაფს -ღუმინუ „ღმუის - იღმუვლა“ და სხვ.

ჰიბრიდული – აწმყო ჯგუფში უპრეფიქსო, მყოფადსა და ნამყო ძირითაში კი ი-პრეფიქსიანი წარმოება, ზანურში ძირითადად ქართულ ნასესხობებში გვხვდება:

PRS: ნადირენს „ნადირობს“	ვაჭრენს „ვაჭრობს“	დარდენს „დარდობს“
FUT: ი-ნადირენს „ინადირებს“	ი-ვაჭრენს „ივაჭრებს“	იდარდენს „იდარდებს“
AOR: ი-ნადირუ „ინადირა“	ი-ვაჭრუ „ივაჭრა“	იდარდუ „იდარდა“
PRS: მეფენს „მეფობს“	ცხოვრენს „ცხოვრობს“	წუხენს „წუხს“
FUT: ი-მეფენს „იმეფებს“	ი-ცხოვრენს „იცხოვრებს“	ი-წუხენს „იწუხებს“
AOR: ი-მეფუ „იმეფა“	ი-ცხოვრუ „იცხოვრა“	ი-წუხუ „იწუხა“

ამგვარ ფორმათა ანალოგიით ჰიბრიდული წარმოება აღინიშნება მეგრულის რამდენიმე მკვიდრ ლექსიკაშიც:

PRS: ორჩანენს „ორქოფობს“

ლაფენს „თამაშობს“

FUT: ი-ორჩანენს „იორქოფებს“

ქ(ო)-ი-ლაფენს „ითამაშებს“

AOR: ი-ორჩანუ „იორქოფა“

ქ(ო)-ი-ლაფუ „ითამაშა“

რეგულარული უღლების პირველადი აქტივები, მსგავსად რელატიური მოქმედებითი გვარის ზმნებისა, პერფექტულ ფორმებს ინვერსიულად აწარმოებენ⁴².

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მეგრულ-ლაზურში პირველად აქტივებს („მედიააქტივებს“) დინამიკურებად მივიჩნევთ და მოქმედებითი გვარის ზმნებთან ერთად განვიხილავთ, რადგან ისინი ფორმით – უღლების რეგულარული სისტემითა და ერგატიული კონსტრუქციით – გარდამავალი მოქმედებითი გვარის ზმნებისაგან არ განსხვავდებიან⁴³.

ზანურში წარმოჩენილი სალიტერატურო ქართულისგან განსხვავებული ფუნქციურ-ფორმალური თავისებურებანი და სრულყოფილი უღლების სისტემა ხაზს უსვამს იმას, რომ ზმნის გვარის გრამატიკულად ჩამოყალიბების პროცესი ზანურში დამოუკიდებლად წარიმართა.

3.1.2. რელატიური კონსტრუქციის აქტივები. მოქმედებითი გვარის R-ATM სტრუქტურის მეორე ქვეჯგუფში განვიხილავთ რელატიური კონსტრუქციის როგორც პირდაპირგარდამავალ, ისე ირიბგარდამავალ ზმნურ ფორმებს, ასევე „ლაბილურ-გარდამავალ“ ორპირიან ნიმუშებს.

ზოგადად, მიჩნეულია, რომ „პირდაპირ და ირიბ ობიექტს თანაბარი სინტაქსური უფლებები აქვს და ისინი ერთი და იმავე მარკერებით აღინიშნებიან“ (მელიქიშვილი 2014:132). მეგრულ-ლაზურში მათი განმასხვავებელი -ჰ, -ს S3 პირის მარკერებიც კი დაკარგულია.

ცნობილია, რომ პირდაპირი დამატება ზმნა-შემასმენლის აქტანტურ კონსტრუქციაში უფრო ადრე შემოდის, ვიდრე ირიბი. თ. უთურგაიძის შენიშვნით, „ირიბი ობიექტის

⁴² გ. კარტოზიამ თავისი გამოკვლევებით აჩვენა, რომ „სინამდვილეში, ინვერსიული თურმეობითები ლაზურში ნაშთის სახით კი არ არის შემოჩენილი, არამედ საყოველთაოდ არის გავრცელებული. უფრო მეტიც, მათ გამოყენების არე გაუფართოებიათ და, მეგრულის მსგავსად, ზოგ გარდაუვალ ზმნასაც ეწარმოება“... (კარტოზია 2005: 98).

⁴³ კონსტრუქციაში პირ. დამატების შემოყვანას ჩვენ ვაკავშირებთ მხოლოდ გარდამავლობის კატეგორიასთან, რითაც ვმიჯნავთ მას მოქმედებითი გვარისაგან, რომლის ფუნქცია აქტიური სემანტიკის ფორმათა გრამატიკული პრეზენტირებაა.

– ბენეფაქტიური აქტანტის გაჩენა დაკავშირებულია პირდაპირი ობიექტისა და შედარებით გვიან სუბიექტის განკუთვნებასთან...“ (უთურგაიძე 2002:43).

ორივე შემთხვევაში, რელაციაა გამოხატული თუ დესტინაცია, ეს არ ცვლის მოქმედი აქტანტის კონსტრუქციას, რასაც მოქმედებითი გვარისათვის დამახასიათებელ სინტაქსურ ნიშნად მივიჩნევთ. მეგრულში აქტიური ზმნის ქვემდებარე, მიუხედავად გარდამავლობისა, ცვლადი კონსტრუქციითაა წარმოდგენილი, ხოლო ლაზურში სტაბილურად – ერგატიული:

პირდაპირგარდამავალი ზმნა (მეგრული)

I ს. ბალანა	ჟარ-უნ-ს	წერილ-ს
ბავშვი. NOM	წერ-ATM-PRS.S3.SG	წერილ-DAT
S	V	DO

„ბავშვი წერს წერილს“

II ს. ბალანა-ქ	დო-ჟარ-უ	წერილ-ი
ბავშვ-ERG	PRV-წერ-AOR.S3.SG	წერილ-NOM
S	V	DO

„ბავშვმა დაწერა წერილი“

III ს. ბალანა-ს	დო-უ-ჟარ-უ-უნ	წერილ-ი
ბავშვ-DAT	PRV-SV-წერ-ATM-ST-S3.SG	წერილ-NOM
S	V	DO

„ბავშვს დაუწერია წერილი“

IV ს. ბალანა	ნო-ჟარ-უ-ენ	წერილ-ს
ბავშვ-NOM	EVD-წერ-ATM-EVD-S3.SG	წერილ-DAT
S	V	DO

„ბავშვი *ნაწერავა (=თურმე წერდა) წერილს“

ირიბგარდამავალი ზმნა (მეგრული)

I ს. ჯოღორ-ი	უ-ლალ-უნ-ს	ოსურ-ს
ძალ- NOM	SV-უყევ-ATM-PRS.S3.SG	ქალ- DAT
S	V	DO

„ძალი უყევს ქალს“

II ს. ჯოღორ-ქ	დ(ო)-უ-ლალ-უ	ოსურ-ს
ძალ- ERG	PRV-SV-ყევ-AOR.S3.SG	ქალ- DAT
S	V	DO

„ძალმა დაუყევა ქალს“

III ს. ჯოღორ-ს	უ-ლალ-უ-უნ	ოსურ-მა
ძალ- DAT	SV-ყევ-ATM-ST-S3.SG	ქალ- PP
S	V	DO

„ძალს დაუყევია ქალისთვის“

IV ს. ჯოღორ-ი	ნო-ლალ-უ-ენ	ოსურ-ს
ძალ- NOM	EVD-ყევ-ACT-EVD-S3.SG	ქალ- DAT
S	V	DO

„ძალი *ნაყევავება (=უყევდა თურმე) ქალს“

პირდაპირდამავალი ზმნა (ლაზური)

I ს. ბერე-ქ	ჭარ-უფ-ს	ქარტალ-ი
ბავშვ- ERG	წერ-THM- PRS.S3.SG	წერილ- NOM
S	V	DO

„ბავშვმა (=ბავშვი) წერს წერილი (=წერილს)“

II ს. ბერე-ქ	ჭარ-უ	ქარტალ-ი
ბავშვ-ERG	წერ-THM- AOR.S3.SG	წერილ-NOM
S	V	DO

„ბავშვმა წერა წერილი“

III ს. ბერე-ქ	ჭარე-რენ	ქარტალ-ი
ბავშვ-ERG	წერ-AUX	წერილ-NOM
S	V	DO

„ბავშვმა (=ბავშვს) დაუწერია წერილი“

ირიბგარდამავალი ზმნა (ლაზური)

I ს. ჯოღოჲ-ქ	უ-ლალ-უმ-ს	ოსურ-ს
ძალ-ERG	SV-ყევ-ATM-PRS.S3.SG	ქალ-DAT
S	V	DO

„ძალმა (=ძალი) უყევს ქალს“

II ს. ჯოღოჲ-ქ	დ(ო)-უ-ლალ-უ	ოსურ-ს
ძალ-ERG	PRV-SV-ყევ-AOR.S3.SG	ქალ-DAT
S	V	DO

„ძალმა დაუყევა ქალს“

III ს. ჯოღოჲ-ქ	უ-ლალ-უ-უ-ნ	ოსურ-შა
„ძალ-DAT	SV-ყევ-ATM-ST-S3.SG	ქალის-PP
S	V	DO

„ძალმა (=ძალს) დაუყევია ქალისთვის“

IV ს. ჯოღოჲ-ქ	ნო-ლალ-უ-დორენ	ოსურ-ს
„ძალ-NOM	EVD-ყევ-ATM-AUX	ქალის-DAT
S	V	DO

„ძალი *ნაყევავება (=უყევდა თურმე) ქალს“

ოდენ სუფიქსური წარმოების რელაციური ირიბგარდამავალი ზმნები ლაზურში მწირი რაოდენობით არის წარმოდგენილი: მოყ-უფ-ს „მოჰყვება“, ზდ-იმ-ს/ზდ-იფ-ს „ეზიდება“, ნაკაპ-ემ-ს „მივარდება, ეცემა“, უბირ-ს „უმღერის“ და სხვ. ზოგადად, აქ პირველადი აქტივების ორგანული წარმოება საკმაოდ შეზღუდულია თურქულიდან კალკირებული აღწერითი კონსტრუქციების გავლენითა და სასარგებლოდ.

ზანურში აბსოლუტურ უმრავლესობას ქმნის პირდაპირგარდამავალი აქტივები, რომელთა უმრავლესობის აწმყოს ფუძე -უნ/-უფ/-უმ სუფიქსების დართვით არის მიღებული. მეგრულში ასევე გავრცელებულია ოდენ -აფ/-ამ/-ან და -ეფ/-ემ/-ენ სუფიქსური წარმოების ფორმები, ამ უკანსკნელით, ძირითადად წარმოდგენილია ქართული ფუძეები:

ა) R-უნ/-უფ/-უმ ჯგუფი

მეგრ. კორობ-უნ-ს	ლაზ. კორობ-უფ-ს/კორობ-უმ-ს	S.DO	„კრებს“
მეგრ. კირ-უნ-ს	ლაზ. კირ-უფ-ს/კირ-უმ-ს	S.DO	„კრავს, კონავს“
მეგრ. გორ-უნ-ს	ლაზ. გორ-უფ-ს /გორ-უმ-ს	S.DO	„ეძებს“
მეგრ. ჭარ-უნ-ს	ლაზ. ჭარ-უფ-ს/ჭარ-უმ-ს	S.DO	„წერს“
მეგრ. ჭოფ-უნ-ს	ლაზ. ჭოფ-უფ-ს/ჭოფ-უმ-ს	S.DO	„იჭერს“
მეგრ. კვათ-უნ-ს	ლაზ. კვათ-უფ-ს/კვათ-უმ-ს	S.DO	„ჭრის, კვეთს“
მეგრ. ხორხ-უნ-ს	ლაზ. ხორხ-უფ-ს/ხორხ-უმ-ს	S.DO	„ხერხავს“
მეგრ. ტახ-უნ-ს	ლაზ. ტახ-უფ-ს/ტახ-უმ-ს	S.DO	„ტებს“
მეგრ. ჭკირ-უნ-ს	ლაზ. ჭკირ-უფ-ს/ჭკორ-უმ-ს	S.DO	„ჭრის“
მეგრ. ჭვალ-უნ-ს	ლაზ. ჭვალ-უფ-ს / ჭვალ-უმ-ს	S.DO	„წველის“

-უნ/-უფ/-უმ სუფიქსები ზანურში შეიძლება შეგვხვდეს უ > ი (-უნ > -ინ, -უფ > -იფ, -უმ>-იმ) ფონეტიკური გადასვლებით (ჩიქობავა 1936:131-132-136):

მეგრ. უწ-უნ-ს > უწ-ინ-ს	S.DO	„ეტყვის“
მეგრ. თხ-უნ-ს > თხ-ინ-ს	S.DO	„სთხოვს“
ლაზ. დგ-უმ-ს > დგ-იმ-ს	S.DO	„დგამს“

ლაზ. დგ-უფ-ს > დგ-იფ-ს S.DO „დგამს“
 ლაზ. წკ-უმ-ს > წკ-იმ-ს S.DO „ხსნის“
 ლაზ. წკ-უფ-ს > წკ-იფ-ს S.DO „ხსნის“

ბ) -ან/-აფ/-ამ ჯგუფი (მეგრული)

მეგრ. ჭ-ან-ს S.DO „კერავს“
 მეგრ. ჩოლ-ან-ს S.DO „ცლის“
 მეგრ. ტყაბარ-ან-ს S.DO „ატყავებს“
 მეგრ. ხ-ან-ს S.DO „შობს“
 მეგრ. ღოლ-ან-ს S.DO „უზამს“
 მეგრ. თირ-ან-ს S.DO „ცვლის“
 მეგრ. ზ-ან-ს S.DO „ზელს“
 მეგრ. შაყარ-ან-ს S.DO „კრებს, აგროვებს“

გ) R-ენ/-ეფ/-ემ ჯგუფი (მეგრული)

მეგრ. ხარჯ-ენ-ს S.DO „ხარჯავს“
 მეგრ. ნიშნ-ენ-ს S.DO „ნიშნავს“
 მეგრ. ბედ-ენ-ს S.DO „ბედავს“
 მეგრ. ზოგ-ენ-ს S.DO „ზოგავს“
 მეგრ. ტანჯ-ენ-ს S.DO „ტანჯავს“
 მეგრ. ჩაგრ-ენ-ს S.DO „ჩაგრავს“

მეგრულში -ენ სუფიქსიანი აქტივი ასევე შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ვნებითი გვარის მიმღობის ფუძით, რომელშიც -ილ მორფემა -ულ-ით არის შეცვლილი. ასეთი წარმოება ზანურში ძირითადად ორგანული ლექსიკისათვის არის დამახასიათებელი. მათ პარალელურად ხშირად გამოიყენება უკუქცევითი ზმნური ფორმები:

ჭან-აფ-ულ-ენ-ს (// იჭანუნს) S.DO „იხმობს“
 გინ-აფ-ულ-ენ-ს (// იგინანს) S.DO „გრძნობს, ხვდება“

შქიდ-აფ-ულ-ენ-ს (// იშქიდანს) S.DO „კადრულობს“

ძირ-აფ-ულ-ენ-ს (// იძირუანს) S.DO „ნახულობს“ და ა.შ.

დ) -ოფ/-ომ/-ონ ჯგუფი საკმაოდ არაპროდუქტიულია ზანურში. ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, ონ-იანი ფორმის ორადორი და -ოფ/-ომ-იანის სულრამდენიმე ნიმუშიდასტურდება ლაზურში.

ლაზ. ბგორ-ოფ/ბგორ-ომ	„ვეძებ“
ლაზ. ვუჯღონ-ოფ	„ვუგზავნი“
ლაზ. ვძი-ოფ	„ვნახავ“
ლაზ. ვჩით-ომ	„ვაპობ“
ლაზ. ბზუმ-ომ	„ვზომავ“
ლაზ. ლალ-ომ-ს	„ყეფს“
ლაზ. პ-ონ-ს	„ჰყვავის“
ლაზ. ზოპ-ონ-ს	„ლაპარაკობს“

შუალედური ჯგუფის გავრცელების დაბალი სიხშირე გვავარაუდებინებს, რომ -ო C > -უC ფონეტიკური გადასვლა მეგრულ-ლაზურის დამოუკიდებლად ჩამოყალიბების პერიოდში არ უნდა გვექონოდა. ვფიქრობთ, ეს ამოსავალშივე უნდა მომხდარიყო (შდრ. -აჟ > ოჟ > უჟ (მაჭავარიანი 1958:265-276).

მეგრულ-ლაზურში მოქმედებითი გვარის ზმნათა აორისტი (AOR), საერთოქართველური ყალიბის მიხედვით, გამარტივებულად, თემის ნიშნის გარეშეა წარმოდგენილი. -უნ/-უფ/-უმ და -ენ/-ეფ/-ემ სტრუქტურის ზმნები ნამყო ძირითადის პირველსა და მეორე პირში -ი ნიშანს დაირთავენ, განსხვავებით -ან-იანთაგან, რომელთათვისაც -ე არის დამახასიათებელი. ლაზურში უნიფიკაციაა, ყველა ტიპის ზმნაში, მათ შორის -აფ/-ამ ჯგუფში-ი გვაქვს.

მეგრული:

PRS: ვ/ხაჩქ-უნ-ქ	„ვ/თოხნი“,	ვ/თას-უნ-ქ	„ვ/თესავ“,	ვ/ჭკირ-უნ-ქ	„ვ/ჭრი“
AOR: ვ/ხაჩქ-ი	„ვ/თოხნე“,	ვ/თას-ი	„ვ/თესე“,	ვ/ჭკირ-ი	„ვ/ჭერი“

PRS: ვ/ხარჯ-ენ-ქ „ვ/ხარჯავ“, ვ/დავ-ენ-ქ „ვ/დავობ“, ვ/წვალ-ენ-ქ „ვ/წვალობ“
AOR: ვ/ხარჯ-ი „ვ/ხარჯე“, ვ/იდავ-ი „ვ/იდავე“, ვ/იწვალ-ი „ვ/იწვალე“

PRS: ვ/შაყარ-ან-ქ „ვ/აგროვებ“, ვ/თირ-ან-ქ „ვ/ცვლი“, ვ/ჩოლ-ან-ქ „ვცლი“
AOR: ვ/შაყარ-ე „ვ/აგროვე“, ვ/თირ-ე „ვ/ცვალე“, ვ/ჩოლ-ე „ვცალე“

ლაზური:

PRS: ვ/ყაზ-უფ/უმ „ვრანდავ“, ვ/თას-უფ/უმ „ვთესავ“, ვ/კვათ-უფ/უმ „ვკვეთ“
AOR: ვ/ყაზ-ი „ვრანდე“, ვ/თას-ი „ვთესე“, ვ/კვათ-ი „ვკვეთე“

PRS: ვ/ძირ-ემ „ვ/ნახავ“, ვ/ბანდალ-აფ/ამ „ვ/ბარბაცებ“
AOR: ვ/ძირ-ი „ვ/ნახე“, ვ/ბანდალ-ი „ვ/იბარბაცე“

აორისტში ამგვარი ფორმები ანუ ზოგადად ყველ ტიპის ზმნა მესამე სუბიექტურ პირში -უ ნიშანს დაირთავს⁴⁴.

რელაციური ფორმები პირველ თურმეობითში ორმაგი სუფიქსაციითაა წარმოდგენილი.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მეგრული ზმნის პირველი თურმეობითი იყენებს წყვეტილის ფუმეს (დანელია 2006:159; ქაჯაია 2001:65), თუმცა ასევე ამოსავლად, უფრო ხშირ შემთხვევაში, მიჩნეულია აწმყოსფუმე (ქირია და სხვ. 2015).

გამოთქმულია ვარაუდი, რომ -უნ თემისნიშნის შემთხვევაში -უ შეიძლება იყოს -უნ სუფიქსის ნაშთი: *დოუხანტ-უნ-ნ > დოუხანტ-უ-(ნ). „უფრო საფიქრებელია, რომ ეს -უ იგივე მონაცემი იყოს, რაც ვლინდება სტატიკურ ფორმებში: უხანტ-უ-(ნ) „უხატა“... დგ-უ-(ნ) „დგას“... (ქირია და სხვ. 2015:550).

ჩვენ მიერ გაანალიზებული მასალის მიხედვით, ზანურში პირველი თურმეობითი ეყრდობა აწმყოს ფუმესა და სტატიკურობის მოდელს - R-უ-ნ, სადაც R = აწმყოს ფუმეს⁴⁵. S3

⁴⁴ აღნიშნული სუფიქსის წარმომავლობის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი (იხ. მაჭავარიანი 1988:96; გუდავა 1984:75).

⁴⁵ შესაბამისი ლიტერატურის მიხედვით, ძველ ქართულში ისტორიულად გარდამავალ ზმნათა პირველი თურმეობითი ნაწარმოებია სტატიკურ ზმნათა აწმყოს მოდელის მიხედვით, ანუ მესამე სერიის

პირი არქაული -ნნიშანი ზანურში ყოველთვის, და მათ შორის რეზულტატიურ ფორმებში, ინაქტიურ სუბიექტზე მიუთითებს (შდრ. ხევსურული: უხილავს//უხილავნ, ჰკიდავს//ჰკიდავნ (არაბული 2010:189). ზოგადად ყველა ტიპის უ ზანურში ერთი წარმომავლობისაა, ის მომდინარეობს *-უვ (<-ავ)-ისაგან. მეგრულის -უნ -უვ-ის პოზიციური ალომორფია, ხოლო -უ ამ უკანასკნელის რედუცირებული ვარიანტი (შდრ. ძვ. ქართ. მიხილ-ავ-ნ და მეგრ. მიძირ-უ-ნ; მთის დიალქ. დაუჭრ-ავ-ი-ს და ზან. დოუჭკირ-უ-უ-ნ), სწორედ ამიტომ დოუხანტ-უ-უ-ნ „დაუხატავს“ ფორმა მიღებულია *დოუხანტ-უვ-უ-ნ და არა *დოუხანტ-უნ-ნ. -უვ-ის ადგილას ასევე შესაძლებელია შეგვხვდეს აწმყოს ფუძის მაწარმოებელი სხვა -ებ, -ამ, -უმ/-იმ სუფიქსები. შესაბამისად, პირველ თურმეობითში გვაქვს -ებ-უ-ნ,-ამ-უ-ნ, -უმ/-იმ-უ-ნ ნიშანთა თანმიმდევრობა აუსლაუტში:

- | | |
|---------------------------------------|--|
| PRS: თოლ-უნ-ს/თოლ-უფ-ს „თლის“ | REZ1: დუთოლ-(უ)-უნ „გაუთლია“ |
| PRS: ხაჩქ-უნ-ს/ხაჩქ-უფ-ს „თოხნის“ | REZ1: დუხაჩქ-(უ)-უნ „უთოხნია“ |
| PRS: კვათ-უნ-ს/კვათ-უფ-ს „კვეთს“ | REZ1: უკვათ-(უ)-უნ „უკვეთია“ |
| PRS: ლალ-უნ-ს/ლალ-უფ-ს „ყეფს“ | REZ1: ულალ-(უ)-უნ „უყეფია“ |
| PRS: დგ-იმ-ს/დგ-უნ-ს „დგამს“ | REZ1: დუდგ-იმ/უმ-უ-ნ „დაუდგამს“ |
| PRS: შ-უმ-ს/შ-უნ-ს „სვამს“ | REZ1: უშ-უმ-უ-ნ „უსვამს“ |
| PRS: ნწყ-უნ-ს/ნწყ-იმ-ს „აღებს, ხსნის“ | REZ1: გოუნწყ-იმ-უ-ნ/გოუნწყ-უმ-უ-ნ „გაუღია“ |
| PRS: მეჩ-ამ-ს/მეჩ-ან-ს „მისცემს“ | REZ1: მეუჩ-ამ-უ-ნ „მიუცია“ |
| PRS: ძირ-უნ-ს/ძირ-უმ-ს „ნახავს“ | REZ1: უძირ-უ-ნ/უძირ-ამ-უ-ნ „უნახავს“ |
| PRS: ვაჭრ-ენ-ს „ვაჭრობს“ | REZ1: უვაჭრ-ებ-უ-ნ „უვაჭრია“ |

ფორმები სასხვისო ქვევის (საობიექტო მიმართების) ტრანსფორმაციის შედეგს წარმოადგენენ (იხ. სარჯველაძე 1997:96; მელიქიშვილი ი. 2014-2015:26; მელიქიშვილი დ. 2014:44). დ. მელიქიშვილის აზრით, ეს ჯგუფი მიღებულია ორპირიანი სტატიკური ზმნების მ-ს რიგით მარკირებული მიცემითში დასმული „მფლობელი“ პირის გააქტიურებისა და სუბიექტად გაგების შედეგად (მ-ი-კეთიეს > გამიკეთიეს > გამიკეთებიეს > გამიკეთებია მე ის) (მელიქიშვილი 2014:36). აღნიშნულია, რომ გრამატიკულ დონეზე ინვერსიის პროცესს ხელსაყრელი პირობები სწორედ სტატიკურმა ზმნებმა შეუქმნეს. თ. უთურგაიძის აზრით, „ეს არჩევანი შემთხვევითი არ იყო: სტატიკურ ზმნებს პერფექტული ბუნება ჰქონდათ, რაც აქტივებს გადაეცათ სტატიკურ ზმნათა გამოხატულების პლანის შეუცვლელად, რასაც ხელი შეუწყო ირიბი და პირდაპირი ობიექტის საერთო ნიშნებმა“ (უთურგაიძე 2009:134). ასე რომ, III სერიის გარდამავალი ზმნების ინვერსიული ფორმებიც ისტორიულად გარდაუვალ ზმნებადაა მიჩნეული (იხ. როგავა 1975:277; არაბული 1984:25-26).

PRS: ხარჯ-ენ-ს „ხარჯავს“

REZ1: უხარჯ-ებ-უ-ნ „დაუხარჯავს“

PRS: ნადირ-ენ-ს „ნადირობს“

REZ1: უნადირ-ებ-უ-ნ „უნადირია“

ზანურში, სალიტერატურო ქართულის მსგავსად, მესამე სერიის ფორმები ინვერსიულია. ლაზურში ამგვარი ფორმები, მწირი ტექსტობრივი მასალის გამო, ნაშთის სახით შემორჩენილ ნიმუშებად იყო მიჩნეული (ჩიქობავა 1936:203) და ნ. მარი მათ შეზღუდულ გამოყენებაზე მიუთითებდა (მარი 1910:46). გ. კარტოზიამ დაადასტურა ინვერსიულ ფორმათა სისტემური წარმოება ლაზურში და გამოკვეთა მისი საყოველთაო გავრცელებულობა ზმნის როგორც გარდამავალ, ისე ზოგ გარდაუვალ ფორმაშიც (იხ. კარტოზია 2005:98).

აქვეა მოხმობილია შესაბამისი ნიმუშებიც: „მიზახაფუნ (კარტ., I, 105²⁵) „მიცემია“; ქოდულუბლაფუნან (კარტ., II, 306¹¹) „ჩაუყრიათ“; ქოდუგურაფუნან (კარტ., II, 306¹⁵) „დაუსწავლიათ“; ქოდუდგიმუნან (კარტ., II, 306¹³) „დაუდგამთ“; ჰოგაუდვალუნან (კარტ., II, 314⁹) „დაურქმევიათ“; ქოდუდვალუნან (კარტ., II, 306¹⁷); მინჩვიუნ (კარტ., II, 305³⁷) „მიცურავია“; ქანუხირაფუნან (კარტ., II, 311¹⁰) „მოუპარავთ“; მინჯიუნ (კარტ., I, 130²²) „მიძინია“. მიჭკომუნ (ყიფშ., 3122; ჟდ., 2518) „მიჭამია“; გემიხუნუნ (კარტ., I, 156¹⁵) „დავმჯდარვარ, შევმჯდარვარ“; მიხენუნ (ჩიქ., II, 2827) „გამიკეთებია“; გომოხთიმუნ (კარტ., II, 156¹⁵) „გამივლია“; მიძიტაფუნ (მარი, 951) „მისწავლია“; მიძირუნ (ყიფშ., 9126) „მინახავს“ და სხვ. (იქვე, 99-100).

ინვერსიულ ზმნათა ქვემდებარე მიცემითი ბრუნვით არის წარმოდგენილი:

- (1) ნანა-ს უზახაფუნ ბერე „დედას უცემია შვილი“
- (2) ნანა-ს ურდაფუნ ბერე „დედას გაუზრდია შვილი“
- (3) კოჩი-ს უგნაფუნ ამბაი „კაცს გაუგია ამბავი“
- (4) ბერე-ს უნჩვირუნ „ბავშვს უცურავია“
- (5) ბერე-ს უნჯიუნ „ბავშვს უძინია“
- (6) ბეეფე-ს ქოდუგურაფუნანმექთების „ბავშვებს უსწავლიათ სკოლაში“

(ემპ. მასალა)

იმავედროულად, ლაზურში საერთოქართველური ინვერსიული სისტემის პარალელურად უფრო ფართოდ არის გავრცელებული თურმეობითის -ერენ და-დო-რენ წარმოება. პირველი ძირითადად გვხვდება ხოფურ კილოში, ხოლო ვიწურ-არქაბულსა და ათინურ-ართაშენულში – დორენ, დო- ზმნისწინია. პირველი თურმეობითის საწარმოებ- ლად მოცემული სუფიქსები დაერთვის აორისტის ფუძეს, მეორე თურმეობითში იხმარება -დორტუნ და -ერეტუ (ნამყო უსრული), -დორტას და -ერეტას. უღვლილებისას იუღვლის მხოლოდ ფუძეები მოცემული სუფიქსები კი რჩება უცვლელი (ჩიქობავა 2008: 150-154).

I თურმეობითი

ვიწ.-არქ./ათინ.-არტ.	ჭარ-უ-დორენ	„უწერია“	ხირ-უ-დორენ	„მოუპარავს“
ხოფ.- ჩხალ.	ჭარ-ელ-ერენ		მიხირ-ელ-ერენ	

II თურმეობითი

ვიწ.-არქ./ათინ.-არტ.	ჭარ-უ-დორ-ტუნ	„ეწერა“	ხირ-უ-დორ-ტუნ	„მოეპარა“
ხოფ.- ჩხალ.	ჭარ-ელ-ერე-ტუნ		მიხირ-ელ-ერე-ტუნ	

III კავშირებითი

ვიწ.-არქ./ათინ.-არტ.	ჭარ-უ-დორ-ტა-ს	„დაეწეროს“	ხირ-უ-დორ-ტა-ს	„მოეპაროს“
ხოფ.- ჩხალ.	ჭარ-ელ-ერე-ტა-ს		მიხირ-ელ-ერე-ტა-ს	

-ერე-ს წინ -ელ ფორმანტი ჩნდება მაშინ, როცა აორისტის ფუძე შეიცავს -რ თანხმოვანს (ჩიქობავა 2008:154). აღნიშნული ფორმანტის გაჩენა, ს. ჟღენტის აზრით, ემსახურება ფუძისეული რ-სა და მაწარმოებლის რ-ს შორის დისიმილაციური მოვლენის განეიტრალებას (ჟღენტი 1938).

-ერე სუფიქსის წარმომავლობასთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისები. ი. ასათიანის აზრით, „-ერე სუფიქსიანი წარმოება თურმეობითისა მეგრულსა და ლაზურს საერთო უნდა ჰქონდეთ. ოღონდ ლაზური ამ მხრივ უფრო შორსაა წასული [...], მეგრულში იგი მხოლოდ ერთპირიან, გარდაუვალ ზმნებშია“ (ასათიანი 1970:151).

-ერე, ი. ყიფშიძის ვარაუდით, რთული სუფიქსია, იგი მიმდებარის -ერ სუფიქსისა და

-ე (<ორენ) მეშველი ზმნის ნაშთის კომბინაციას წარმოადგენს (ყიფშიძე 1914:090). ქ. ლომთათიძის აზრით კი, ჭანური თურმეობითის -ერე მომდინარეობს ორენ „არის“ მეშველი ზმნისაგან (ლომთათიძე 1946:138).

ჩვენ ვეთანხმებით ქ. ლომთათიძის მოსაზრებას, რადგან: თუ -ერ მიმღეობის სუფიქსია, მაშინ რითი აიხსნება -ერ-ზე ამავე ფუნქციის -ელ სუფიქსის დართვა?“ -ელ და -ერ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა დანიშნულების მორფემებია; ერთია მიმღეობის მაწარმოებელი (ამ შემთხვევაში -ელ), ხოლო მეორე (-ერ) მეშველი ზმნა), ამიტომ არის შესაძლებელი და (აუცილებელიც!) „მათი ერთად ხმარება“ (ქირია და სხვ. 2015:561).

მეგრულში ლაზურის მოცემულ სუფიქსებს მსგავსი ძირის ყოფნა ზმნა შეესატყვისება:

ლაზ. ერენ	მეგრ. ორენ	ქართ. არი-ს
ლაზ. ერე-ტუ	მეგრ. ორ-დუ	ქართ. იყო
ლაზ. ერე-ტა-ს	მეგრ. ორ-და-ს	ქართ. იყოს

რაც შეეხება ჭარ-უ-დორენ ფორმის ამოსავალ ფუძეს ნ. მარს თურმეობითის მიმღეობური წარმოების ნიმუშად მოჰყავს გოხომუედორენ (< გოხომუერ დორენ) „გამხმარა“, ანუ მეცნიერი ამოსავალად მიმღეობას მიიჩნევდა (ვიმოწმებთ: კარტოზია 2005:110). ჩვენ ვიზიარებთ არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს, რომ I თურმეობითის მაწარმოებელი დორენ „არის“ სუფიქსი დაერთვის აორისტის ფუძეს, შესაბამისად, აქ შენარჩუნებულია აორისტის ერგატიული კონსტრუქციაც.

ლაზურისათვის დამახასიათებელ ინტერვოკალურ პოზიციაში რ თანხმოვნის დასუსტება-დაკარგვის გამო, თურმეობითთა აღნიშნული მაწარმოებლები გამარტივებული სახითაც შეიძლება შეგვხვდეს: დორენ > დოენ > დონ, დორე > დოე; -ერე > -ეე; -ელ-ერე > -ელ-ეე. ჩხალურში -ელე მომდინარეობს -ერე-საგან ფუძისეულ რ-სთან დისიმილაციით (კარტოზია 2005:102;106).

პირდაპირი წყობის ერგატიული კონსტრუქცია:

(1) ალაქ ვა იჯერელერენ ე-დო სკურაქითე ხანუმი ქანოჭკირელერენ (ჩიქობავა 1929 :15²⁷)

„ბატონმა (=ბატონს) არ დაუჯერებია და სამართებლით ქალბატონი დაუჭრია“

- (2) მითხაქ ქანიხირელენ (კარტოზია 1993:311¹¹)
 „ვილაცამ (=ვილაცას) მოუპარავს“
- (3) ბიჭიქ ჰეიჯანდან ნენა ვა ნაჩუდონ ჯოლაბი (კარტოზია 1993¹⁴⁹)
 ბიჭმა (=ბიჭს) ადელვებისაგან სიტყვა ვერ გაუცია“
- (4) ისკანდერიქ დოგორეენ არ ჯოხო (ჩიქობავა 1929:165¹²)
 „ისკანდერმა (=ისკანდერს) მოუძებნია სახელი“
- (5) არქადაშიქ მექთუბი დოჭარეენ (ჩიქობავა 1929:166²³)
 „ამხანაგმა (=ამხანაგს)წერილი დაუწერია“
- (6) დო იქინეი ელჩიქ დილიხოსაელეენ კუის ედო მუქ ქოდოლოლეენ (კარტოზია 2008 : 70)
 „და პირველი მაჭანკალმა (=მაჭანკალს) ჩაუჭვრეტია ორმოში და მან (=თვითონ ჩავარ-
 დნილა“...
- (7) ოხორჯაქ სუმ თუთა-შ-ქულე არ ბიჭი ბერე ქოდორინუ-დორენ (დიუმეზილი 2009:122¹⁰)
 „ქალმა (=ქალს) სამი თვის მერე ერთი ბიჭი გაუჩენია“
- (8) ავჯიქ ჰა ვესიდეთი ოხორჯა-მუმის ქომეჩუ-დორენ დო უწუ-დორენ (დიუმეზილი 2009: 122⁸)
 „მონადირემ (=მონადირეს) ეს ანდერძი თავისი ცოლისთვის მიუცია და უთქვამს“.

მეგრულის რელაციური აქტივების მეოთხე სერიის ფორმები წარმოდგენილია სამმაგი სუფიქსაციით. ჩვენს ხელთარსებული მასალის მიხედვით, ევიდენციალური ფორმა ეყრდნობა პირველ თურმეობითს (R-ATM-უ)⁴⁶, რომელიც, თავის მხრივ, საბაზისოდ იყენებს აწმყოს ფუძეს (R-ATM). ამიტომაც ნო-ე სტრუქტურის ევიდენციალურ იმპერ-ფექტში⁴⁷ ერთდროულად არის წარმოდგენილი აწმყოსა და პირველი თურმეობითის სუფიქსები (ნო-R-ATM-უ-ე).

⁴⁶ „მიჩნეულია რომ III თურმეობითი ეყრდნობა აწმყოს ფუძეს და ამის გათვალისწინებით ამ მწკრივს აწმყოს თურმეობითსაც უწოდებენ (იხ. ქობალავა 2001:132, 141)

⁴⁷ „ნაშრომში III თურმეობითის ნაცვლად გამოყენებულია მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემოთავაზებული ტერმინი – ევიდენციალური იმპერფექტი (მარგიანი და სხვ. 2019).

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ სინქრონიულ დონეზე „მეგრულში -ე სუფიქსი ნო- პრეფიქსთან ერთად ქმნის ევიდენციალობის გამომხატველ კონფიქსს” (იხ. მარგიანი და სხვ. 2019:134)

ნო-დგ-უმ-უ-ე-ნ „დგამდა თურმე“

ნო-კეთ-ებ-უ-ე-ნ „აკეთებდა თურმე“

ნო-გორ-აფ-უ-ე-ნ „აგინებდა თურმე“

ნო-ჭარ-[უ]-უ-ე-ნ „წერიათურმე // წერდა თურმე“

ნო-თას-[უ]-უ-ე-ნ „თესია თურმე // თესავდა თურმე“.

ამგვარი წარმოების ფორმები ლაზურში სპორადულად დასტურდება და ისიც, ჩვენს ხელთარსებული მასალის მიხედვით, მეშველი ზმნით წარმოდგენილ ერთეულებთან:

ქა-ნო-ჭკირ-ელ-რენ „დაუჭრია თურმე“

ქა-ნი-ხირ-ელ-ენ „მოუპარავს თურმე“

ამ შემთხვევაშიც ლაზურის ევიდენციალური იმპერფექტივერდნობა პირველი თურმეობითის ფუძეს (ჭკირ-ელ-რენ „დაუჭრია“, ხირ-ელ-ენ „მოუპარავს“), რომელსაც ოდენ ნო- პრეფიქსით აწარმოებს, რადგან ფუძეზე დართული მეშველი ზმნა იმავე ფუნქციას გამოხატავს, რასაც -ე სუფიქსი. ამ ნაკვთშიც დაცულია აორისტის კონსტრუქცია.

3.2. CV-R-(უ)-ATM-ს სტრუქტურის კაუზაქტივები. მოქმედებით გვარში მეორე ჯგუფად გამოვყოფთ ო-R-(უ)-ATM-ს სტრუქტურის ზმნურ ფორმათა ნიმუშებს, რომლებიც ე.წ. კაუზაციის გზით არიან წარმოქმნილი მარტივი (ათემატური -R) თუ რთული (თემატური - R-THM) ფუძეებისაგან.

ზოგადად, კაუზაცია (ლათ. *cauza* „მიზეზი“) გვართან ყველაზე ახლოს მდგომ კატეგორიად არის მიჩნეული. სწორედ ამიტომაც, სხვადასხვა ენაში კაუზაციურ ფორმებს გვარის სისტემაში განიხილავენ. ქართულისათვის აღნიშნულია, რომ მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზაც კაუზაციაზე გადის (ჩიქობავა 1950:060-061).⁴⁸

⁴⁸ ცნობილია, რომ კაუზაციური შინაარსის გადმოცემა ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნათა ნაწილს და აღწერით ფორმებს ეკისრებოდა (ვ. იმნაიშვილი, კაუზატივი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, ტ. X, თბ., 1970, გვ. 121).

კაუზაციური წესით მოქმედებითი გვარის ფორმა მიიღება შესაბამის ფუძეზე ა-R-ებ კონფიქსის დართვით, რომლის კანონიკური შესატყვისი ზანურში ო-აფ აფიქსებია. ამ სახით გვხვდება იგი ლაზურის ხოფურ-ჩხალურ კილოკავში, ხოლო პოზიციური ამ ალომორფით ვიწურ-არქაბულსა დაათინურ-ართაშენულში, ხოლო -ან-ით - მეგრულში. მეგრულის ო-R-ან მოდელი ქართული ა-R-ებ სტრუქტურის მორფო-ფონეტიკურ შესატყვისად არის მიჩნეული (იხ. დანელია 2006:145; მაჭავარიანი 1988:98)⁴⁹.

მსგავსი წარმოების ფორმებს სამეცნიერო ლიტერატურაში, კაუზაციის კონცეფციის ფართო გაგებით, პირველად კაუზატივებად მოიხსენიებენ (იხ. მაჭავარიანი 1988:62-65).

ამგვარი მორფოლოგიური სტატუსის მინიჭება გაუმართლებლად მიაჩნია ჭ. ქირიას. მისი აზრით, პირველადი კაუზატივები მოქმედებითი გვარის ფორმებია და მსგავსი ნიმუშები განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ მოქმედებითი გვარის ფარგლებში (იხ. ქირია 1989).

ჩვენ ვეთანხმებით აღნიშნულ თვალსაზრისს და მიგვაჩნია, რომ „ქართულში ფუნქციითაც და მორფოლოგიური გაფორმებითაც კაუზატიური ფორმებია მხოლოდ მეორეული კაუზატივები“ (იხ. ციხელაშვილი 2017:95).

ე. წ. პირველადი კაუზატივები ვერ ახდენენ კაუზატიური ფუნქციის გრამატიკალიზაციას, რის გამოც მათ სემანტიკურ კაუზატივებადაც მოიხსენიებენ (იხ. ჯორბენაძე 1975:57).

რ. ასათიანი ქართველურ ენებში მიჯნავს კაუზაციისა და შუალობითი კონტაქტის (resp. მეორეული კაუზატივის) ფორმებს, კერძოდ, ო-R-უ-ან ყალიბს მეცნიერი მეგრულის კაუზატივებისათვის გამოყოფს (R = ზმნური/სახელური ძირს), ხოლო კონტაქტისათვის ასახელებს -აფ-ით გაშუალებულ სტრუქტურას: ო-R-აფ-უ-ან (იხ. ასათიანი 1989:121-122).

ჩვენ ზანურის მოქმედებით გვარში ცალკე გამოვყოფთ ო-R-(უ)-აფ/ამ/ან სტრუქტურის კაუზაციური წარმოების აქტივებს (შემოკლ. კაუზაქტივებს) და მათ ამოსავალი ფუძის მიხედვით ორ ქვჯგუფად ვყოფთ: მარტივფუძიანი კაუზაქტივები (ო-R-აფ/ამ/ან) და რთულფუძიანი კაუზაქტივები (ო-R-უ-ან-ს).

⁴⁹ ქართულში კაუზატიური და არაკაუზატიური ფორმების დაპირისპირების საფუძველზე გამოიყოფა ცალკე კატეგორია - კონტაქტი, შუალობითი და უშუალო. შუალობითი კონტაქტის ფორმას დამოუკიდებლად კაუზატივს ემახიან, ზოგჯერ „იძულებითსაც“ (შანიძე 1980:358).

ამ ჯგუფში ერთიანდება როგორც პირდაპირგარდამავალი, ისე ირიბგარდამავალი ნიმუშები.

3.2.1 მარტივფუძიანი კაუზაქტივები. ეს ქვეჯგუფი მიღებულია მარტივ ფუძეზე ქართული ა-ებ კონფიქსის ზანური შესატყვისის დართვით. მოცემული აფიქსები მეგრულ-ლაზურში რეალიზებულია ორი ფორმით:

ა) ა-ებ კონფიქსი წარმოდგენილია ზუსტი მორფო-ფონეტიკური შესატყვისით: ო- - აფ/-ამ/-ან:

ლაზ. ო-რზ-აფ/ამ-ს	მეგრ. ო-რზ-ან-ს	„ანთებს“
ლაზ. ო-გ-აფ/ამ-ს	მეგრ. ო-გ-ან-ს	„აგებს“
ლაზ. ო-რჩ-აფ/ამ-ს	მეგრ. ო-რჩ-ან-ს	„აგებს“
ლაზ. ო-შქვ-აფ/ამ-ს	მეგრ. ო-შქვ-ან-ს	„ასობს“
ლაზ. ო-ნგორ-აფ/ამ-ს	მეგრ. ო-გორ-ან-ს	„აგინებს“
ლაზ. ო-ფშ-აფ/ამ-ს	მეგრ. ო-ფშ-ან-ს	„ავსებს“
ლაზ. ო-ძღ-აფ/ამ-ს	მეგრ. ო-რძღ-ან-ს	„ანაყრებს“
ლაზ. ო-ნჯღონ-აფ/ამ-ს	მეგრ. ო-ჯღონ-ან-ს	„აგზავნის“
ლაზ. ო-ბღ-აფ/ამ-ს	მეგრ. ო-რბღ-ან-ს	„ყრის“

ბ) ა-ებ კონფიქსი უცვლელად არის გადასული ზანურში. მორფემათა საზღვარზე, პოზიციურად, თანხმოვნითი ბ ელემენტი შეცვლილია ფ/მ/ნ ბგერებით, ანუ -ებ სუფიქსს შეესატყვისება ზანურის -ეფ/-ემ/-ენ ნიშნები. მიღებული თვალსაზრისით, ამ სუფიქსს უნდა გაეგლო ის გზა, რაც სახელთა მრავლობითი რიცხვის -ებ-ს: -ებ > -ეფ > -ემ > -ენ (ჩიქობავა 1936:133). თუმცა, ასევე შესაძლოა, ბ თანხმოვანს მეგრულში, S3 პირის გავლენით, შუალედური გზების გავლის გარეშე, ნ მოეცა. მაგ., როგორც ეს არის დამახასიათებელი მესხურისათვის. შდრ. მესხ. ა-კეთ-ენ-ს, მეგრ. ა-კეთ-ენ-ს და ქართ. ა-კეთ-ებ-ს (ჯორბენაძე 1995:331).

-ეფ/-ემ/-ენ/ სუფიქსაცია ზანურში ძირითადად ნასესხები (სახელური ფუძისაგან წარმოქმნილი) ლექსიკისათვის არის დამახასიათებელი. მეგრულში მსგავსი შემ-

თხვევებისას ა- ხმოვანპრეფიქსიც უცვლელად არის წარმოდგენილი⁵⁰, ლაზური კი ინარჩუნებს ო- ხმოვანპრეფიქსს:

მეგრული:

ა-ძვირ-ენ-ს	„აძვირებს“
ა-წუხ-ენ-ს	„აწუხებს“
ა-მშვიდ-ენ-ს	„ამშვიდებს“
ა-ცხოვრ-ენ-ს	„აცხოვრებს“
ა-რწმუნ-ენ-ს	„არწმუნებს“
ა-შენ-ენ-ს	„აშენებს“
ა-შხუარ-ენ-ს	„ამსხვილებს“
ა-სქვამ-ენ-ს	„ალამაზებს“
ა-მანდრაჟ-ენ-ს (< რუს.)	„აშინებს“ < ამანდრაჟებს < რუს. მანდრაჟი [мандраж]
ა-ბირჟავ-ენ-ს (< რუს.)	„უსაქმურად დგას“ < აბირჟავებს < რუს. ბირჟავიკი [биржавик]

ლაზური:

ო-კაპეტან-ეფ-ს	„აძლიერებს“
ო-მონკან-ეფ-ს	„ამძიმებს“
ო-მსქვან-ეფ-ს	„ალამაზებს“
ო-ჭიტან-ეფ-ს	„აპატარავებს“
ო-ბად-ეფ-ს	„აბერებს“
ო-პეჯან-ეფ-ს	„ასქელებს“
ო-მგვან-ეფ-ს	„ასუქებს“
ო-ტუცან-ეფ-ს	„აცხელებს“
ო-ფახალ-ეფ/ემ-ს	„აძვირებს“ < თურქ. ფახალი [pahalı] „ძვირი“
ო-ნდა(რ)-ეფ/ემ-ს	„ავიწროვებს“ < თურქ. ნდარი [dar] „ვიწრო“
ო-ფუკარ-ეფ/ემ-ს	„აღარიბებს“ < არაბ. ფუკარი [fukara] „ღარიბი“

⁵⁰ ქართულიდან შესული ასეთი ტიპის წარმოება წარმატებით უწევს კონკურენციას ო-R-უ-ან ტიპს (იხ. ჩიქობავა 1936:133-144).

ო-სარ-ეფ/ემ-ს „აყვითლებს“ <თურქ. სარი [sarı] „ყვითელი“

ო-ბეთან-ეფ/ემ-ს „აგლახებს“ < სპარს. ბეთი [bet] „უშნო, გლახაკი“

უნდა აღინიშნოს, რომ -ენ ასევე შესაძლოა მიღებული იყოს -ევ სუფიქსისაგან. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია შენიშნული, -ევ ფორმანტი (აძლ-ევ-ს, არბ-ევ-ს და მისთ.) მეგრულში შეთვისებულია -ენ ფორმის სახით მომდევნო თანხმოვნის მეზობლობაში ვ+C >ნ+C გარდაქმნის შედეგად (გუდავა, გამყრელიძე 2000:164). -ენ სუფიქსის წარმომავლობის დადგენა შესაძლებელია ფონეტიკურად ხელსაყრელ პირობებში, სადაც სუფიქსს ეძლევა ფონეტიკური გარემო ამოსავალი ფორმით გამოვლენისა, მაგ., კონვერსიული ვნებითი გვარი, საწყისი და ამ შემთხვევაში, ნამყო ძირითადიც, აქ დაცულია რედუცირებული -ივ (<-ევ)ნიშნის -ი ელემენტი:

(1) PRS: ა-რჩ-ენ-ს „ა-რჩ-ევ-ს“ : PASS: ი-რჩ-ევ-უ(ნ) „ი-რჩ-ევ-ა“

AOR: გა-ა-რჩ-ი[ვ]-უ „გაარჩ-ი-ა“ MSD: გარჩ-ევ-ა

(2) PRS: ა-რ-ენ-ს „ა-რ-ევ-ს“ : PASS: ი-რ-ევ-უ(ნ) „ი-რ-ევ-ა“

AOR: ა-რ-ი[ვ]-უ „არია“ MSD: არ-ევ-ა

(3) PRS: ა-რკვ-ენ-ს „არკვ-ევ-ს“ : PASS: ი-რკვ-ევ-უ(ნ) „ი-რკვ-ევ-ა“;

AOR: გა-ა-რკვ-ი[ვ]-უ „გა-ა-რკვ-ი-ა“ MSD: გარკვ-ევ-ა

(4) PRS: ა-ზღვ-ენ-ს „ა-ზღვ-ევ-ს“ : PASS: ი-ზღვ-ევ-უ(ნ) „ი-ზღვ-ევ-ა“

AOR: და-ზღვ-ი[ვ]-უ „და-აზღვ-ი-ა“ MSD დაზღვ-ევ-ა⁵¹

ზემოთ განხილული საილუსტრაციო ნიმუშები პირდაპირგარდამავალი ზმნებია. ზანურში არცთუ იშვიათად გვხვდება კაუზაციური წარმოების ირიბგარდამავალი აქტივებიც. ქართულში მათ, ძირითადად, ე-R-ებ სტრუქტურის ზმნები შეესატყვისება.

⁵¹ განსხვავებული თვალსაზრისისათვის: აზღვიენს (<აზღვიებს) „აზღვევს“ და მისთ. იხ. ქირია და სხვ., 2015:511.

მეგრული: მი-ო-ტყობ-ან-ს „მიეპარება“, გი-ო-სხაპ-ან-ს „ახტება“, გი-ო-ჭყვარტ-ან-ს „ემხეფება“, უ-ბოდიშ-ან-ს „ებოდიშება; ლაზური: ო-ხვეწ-აფ-ს, ო-კალაპარ-ამ-ს „ეხვეწება“, გი-ა-კნ-ეფ-ს „ახტება“...

მოცემული ფორმები რეგულარული უღლების სისტემისაა.

ირიბგარდამავალი აქტივი (ლაზური)

I ს. ბადი-ქ ო-ხვეწ-აფ-ს თრანგი-ს
 მოხუც-ERG ACT-ხვეწ-ATM-PRS.S3.SG ღმერთი-DAT
 „მოხუცმა (=მოხუცი) ეხვეწება ღმერთს“

II ს. ბადი-ქ ო-ხვეწ-უ თრანგი-ს
 მოხუც-ERG ACT- ხვეწ-AOR.S3.SG ღმერთი-DAT
 „მოხუცმა (=მოხუცი) შეეხვეწა ღმერთს“

III ს. ბადი-ქ ოხვეწუ-დორენ თრანგი-ს
 მოხუც-ERG ხვეწნა-AUX ღმერთი-DAT
 „მოხუცმა (=მოხუცს) ხვეწნა უყვია (=უხვეწნია) ღმერთისთვის.“

3.2.1. რთულფუძიანი კაუზაქტივები. მოქმედებითი გვარის კაუზაქტივებში, როგორც აღვნიშნეთ, მეგრულში ცალკე, მეორე ქვეჯგუფად გამოვყოფთ -უ- ინფიქსის მქონე ორგანული წარმოების როგორც პირდაპირგარდამავალი, ისე ირიბგარდამავალი კონსტრუქციის ნიმუშებს. ამგვარი წარმოება სპეციფიკურია მხოლოდ მეგრულში და არ არის დამახასიათებელი ლაზურისათვის. მაგ.: ო-ნგარ-უ-ან-ს „ატირებს“, ო-ბირ-უ-ან-ს „ამღერებს“, ო-ნჩურ-უ-ან-ს „აცურავებს“, ო-გურ-უ-ან-ს „ასწავლის“, ო-რჩქალ-უ-ან-ს „ამშვიდებს, ამოშმინებს“, ო-ჭარ-უ-ან-ს „აღირსებს ო-ტიბ-უ-ან-ს „ათბობს“, ო-ხომ-უ-ან-ს „ახმობს“, ო-ჭითინ-უ-ან-ს „აწითლებს“, ო-ხორ-უ-ან-ს „ასახლებს“, ო-ჩიკინ-უ-ან-ს „ამაგრებს“ და მისთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა ინფიქსური -უ ელემენტის წარმომავლობისა და ფუნქციის შესახებ. კ. დანელია სვამს რიტორიკულ კითხვას: „უ რისია? ალბათ, აწმყოს -უნ სუფიქსის ნაშთი?“ (დანელია 2006:145).

ზოგადად იგი ძველ ქართულში დადასტურებული მაკაუზირებელი დერივატის ფუნქციურ შესატყვისად არის მიჩნეული, რომელიც ფონეტიკური პროცესების ნიადაგზე

რედუცირდა. გ. მაჭავარიანის აზრით, იგი „საკუთრივ კაუზატივის“ მაწარმოებელი -უ ელემენტია, რომელიც *-ოვ-ისგან მომდინარეობს (მაჭავარიანი 1988:95-96). ასევე მის წინამორბედად დასახელებულია *-ავ (დეეტერსი 1930, გულავა 1984:75), *-ევ (როგავა 1945:651) და *-Vვ (ნათაძე 1959:144) სუფიქსები. კ. დანელია აღნიშნული ტიპის მოქმედებითი გვარის ზმნებისათვის ამოსავლად ვნებითი გვარის (resp. -უ ბოლოსართიან) თემას მიიჩნევს; მისი აზრით, მოცემულ ფორმებში -უ სუფიქსი თემის ნიშნის ნაშთია ან ფონოლოგიურად გარდაქმნილი თემის ნიშანი. შდრ. ხომ-უ-ნ „ხმება“, ო-ხომ-უ-ან-ს „ახმობს“ (დანელია 1976:103). ჭ. ქირიას აზრით, -უ მეგრული ზმნის ყველაზე უფრო გავრცელებული -უნ/-უმ თემის ნიშნების ელემენტია. მკვლევარი მას მასალობრივად -ავ სუფიქსთან აკავშირებს (ქირია 1989: 109, 114). მ. ჩუხუა გამოთქვამს ვარაუდს, რომ შესაძლებელია -უ ელემენტი განგრძობითობას გამოხატავდეს; შდრ.: ლაზ. ო-გურ-ამ-ს და მეგრ. ო-გურ-უ-ან-ს „ასწავლის“ (ჩუხუა 2015:83).

ჩვენ -უ ხმოვანს ამოსავალ *-უვ სუფიქსთან ვაკავშირებთ, რომლის -უ ისტორიული ალომორფი წარმოდგენილია ვნებით გვარში, ასევე -უნ/-უფ/-უმ სახით პირველად აქტივებში. კაუზაციური მოქმედებითი გვარის წარმოებისას კი საბაზისო ფუძის *-უვ სუფიქსის -ვ კომპონენტი ინტერვოკალურ გარემოში ექცევა (*-უვ-ან), რის შედეგადაც იგი რედუცირებულია და დარჩენილია მხოლოდ ხმოვნითი ნაწილი. საყრდენი ფუძის -უ ელემენტი წარმოდგენილია ნამყო ძირითადადშიც.

(1) ნჩურ-უნ-ს < *ნჩურ-უვ-ს „ცურავს“ >

PRS: *ო-ნჩურ-უ[ვ]-ან-ს > ო-ნჩურ-უ-ან-ს „აცურავებს“

AOR: ო-ნჩურ-უ-უ „აცურავა“

(2) სხაპ-უნ-ს < *სხაპ-უვ-ს „ცეკვავს“ >

PRS: *ო-სხაპინ-უ[ვ]-ან-ს > ო-სხაპინ-უ-ან-ს „აცეკვებს“

AOR: ო-სხაპინ-უ-უ „აცეკვა“ (შდრ. დიალქ. აცეკვავა)

(3) ბაგ-უნ-ს < *ბაგ-უვ-ს „ბეგვავს“ >

PRS: უ-ბაგ-უ[ვ]-ან-ს > უ-ბაგ-უ-ან-ს „უ-ბაგუნ-ებ-ს“

AOR: უ-ბაგ-უ-უ „უბაგუნა“

(4) ბათქ-უნ-ს < *ბათქ-უვ-ს „ბეთქავს“ >

PRS: უ-ბათქ-უ[ვ]-ან-ს > უ-ბათქ-უ-ან-ს „უ-ბათქ-უნ-ებ-ს“

AOR: უ-ბათქ-უ-უ „უბათქუნა“

(5) დგირდგონ-უნ-ს < *დგირდგონ-უ[ვ]-ს) „თითხნის“ >

PRS: უ-დგირდგონ-უ[ვ]-ან-ს > უ-დგირდგონ-უ-ან-ს „თითხნით უსვამს“

AOR: უ-დგირდგონ-უ-უ „თითხნით წაუსვა“

(6) სირქ-უნ-ს < *სირქ-უვ-ს „სლექს, ლოკავს“ >

PRS: უ-სირქ-უ[ვ]-ან-ს > უ-სირქ-უ-ან-ს „სლექს, ლოკავს“

AOR: უ-სირქ-უ-უ „გასლიქა, გალოკა“

ჩვენს მოსაზრებას ამყარებს მეგრულ-ლაზურის გრამატიკაში წარმოდგენილი ზოგი გარდამავალი ზმნის შემდეგი სამსაფეხურიანი ტრანსფორმაციები, რაც ავტორების აზრით, საყურადღებოა მეგრული უ-ს წარმომავლობისა და ისტორიის დასადგენად: რგ-უნ-ს < *რგ-უვ-ს „რგ-ავ-ს“; აქედან კაუზაციის წესითაა მიღებული: ო-რგ-უ-ან-ს (<*ო-რგ-უვ-ან-ს < *ო-რგ-ოვ-ან-ს) „ა-რგ-ავ-ს“; ჭ-უნ-ს < ჭვ-უნ-ს „წვ-ავ-ს“ (შდრ. აორ. დობჭვი „დავწვი“) აქედან: გი-ო-ჭ-უ-ან-ს < *გი-ო-ჭვ-უვ-ან-ს „და-ა-წვ-ავ-ს“ (იხ. ქირია და სხვ. 2015:520)

ჩვენ მეგრულის ზმნურ ფორმებში გამოვლენილ ყველა ტიპის უ-ს (ვნებითი გვარი, პირველი თურმეობით, სტატიკური ზმნები, კაუზაციური წარმოების აქტივები) ქართული ავ-ის შესატყვის ზანურ -უვ-თან ვაკავშირებთ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი წარმოების ზმნებისათვის, გარდა პირველადი აქტივებისა, ამოსავლად ასევე დასახელებულია ე.წ. უნიშნო ვნებითები (კ. დანელია) და სახელური ფუძეები (მაჭავარიანი 1988:69). მაგ.: ტიბ-უნ „თბება“ > ო-ტიბ-უ-ან-ს „ათბობს“, სქირ-უნ „შრება“ > ო-სქირ-უ-ან-ს „აშრობს“; ოხორი „სახლი, კარ-მიდამო“ > ო-ხორ-უ-ან-ს „ასახლებს“, ჭითა „წითელი“ > ო-ჭითინ-უ-ან-ს „აწითლებს“ და მისთ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საგულისხმოა ჭ. ქირიას მოსაზრება: „სათანადო ქართულ მორფოლოგიურ ყალიბთან შეპირისპირებით ეს მასალა ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: ტიბ-უნ – *თბ-ავ-ნ, ღურ-უნ – *კუდ-ავ-ნ... („-უ სუფიქსი... გავრცელებულობით და ხმარებით ქართულ ებ-ს ეტოლება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისგან არ

მომდინარეობს... „ღურ-უ-ნ“ ტიპის წარმოება ამოსავლად უნდა გულისხმობდეს არა კუდ-ებ ტიპის თემას (კუდ-ებ-ი-ს), არამედ კუდ-ავ ტიპს (*კუდ-ავ-ნ, შდრ. მო-კუდ-ავ-ი)“ [დანელია 1976:172]). ტიბ-უ... ტიპის ვნებითისაგან ნაწარმოები პირველადი კაუზაციის ო-ტიბ-უ-ან-ს... ტიპის ფორმებს „ქართულად ინტერპრეტაციისას“ ასეთი სახე ექნება: *ა-თბ-ავ-ებ-ს... ანუ, სტრუქტურულად და მორფოლოგიური ყალიბის მიხედვით ო-ტიბ-უ-ან-ს... = *ა-თბ-ავ-ებ-ს”. შდრ. *თევზ-ავ-ს, *ჭი-დავ-ს (ლ. ნოზაძე) და ა-თევზ-ავ-ებ-ს, ა-ჭიდ-ავ-ებ-ს...

ჩვენი ვიზიარებთ აღნიშნულ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ამგვარი ფორმებისაგან კაუზაციური ტიპის წარმოებისას გამოვლენილი უ ამოსავალი ფუძის ნაწილია, რომელიც ქართული -ავ-ის ზანური -უვ შესატყვისისაგან მომდინარეობს. თუმცა, დროთა განმავლობაში, უ და ან ერთ დამოუკიდებელ ელემენტად ჩამოყალიბდა და დაერთო სხვა სუფიქსის მქონე ფუძესა, ათემატურ რეფლექსივებს. მაგ.: კარკალ-ან-ს (ან < ავ) : ო-კარკალ-ავ-უ-ან-ს „აკაკანებს“ (შდრ. ლაზ. ო-კარკალ-ავ-ავ-ს); ო-ყი-ავ-უ-ან-ს : „აყივლებს“ (ლაზ. ო-ყი-ავ-ავ-ს). ქართულის ამგვარ ფორმებში ოდენ ა-პრეფიქსის დართვით მიიღება კაუზაციური აქტივები, რაც აჩენდა იმის საფუძველს, რომ ა- მოქმედებითი გვარის ნიშანია. ზანურში „აკაკანებ“ ფუძეს დაერთვის არა მხოლოდ ო-, არამედ მისი მეწყვილე -ავ სუფიქსიც.

კაუზაციის წესით ხშირად მოქმედებითი გვარის ზმნები სახელური ფუძეებისაგან არის მიღებული. აღსანიშნავია, რომ შესაბამისი კონფიქსი ერთვის არა უშუალოდ სახელურ ფუძეს, არამედ წარმოქმნილ სახელს:

(1) ჭითა. ADJ > ჭით-ინ-ი.MSD1 > ო-ჭით-ინ-უ-ან-ს.ACT

„წითელი > წითლობა > აწითლებს“

(2) ჭითა. ADJ > *ჭით-არ-ი.COMP > ა-ჭით-არ-ენ-ს.ACT

წითელი > მოწითალო > აწითლებს“

(3) ღვიჟა. ADJ > ღვიჟ-ინ-ი.MSD1 > ო-ღვიჟ-ინ-უ-ან-ს.ACT

„მჟღნარი (კუთხ.) > მჟღნობა > ამჟღნობს“

(4) ღვიჟა. ADJ > ღვიჟ-არ-ი. COMP > ა-ღვიჟ-არ-ენ-ს. ACT

„მჟღნარი (კუთხ.) > მომჟღნო > ამჟღნობს“

(5) ბირა. ADJ > ბირ-ინ-ი. MSD1 > ო-ბირ-ინ-უ-ან-ს. ACT

„გაოგნებული > გაოგნება > აოგნებს“

(6) ბირგა. ADJ > ბირგ-ინ-ი. MSD1 > ო-ბირგ-ინ-უ-ან-ს. ACT

„მაგარი > გამაგრება > ამაგრებს“

(7) ქომი. N > ქომ-ინ-ი. MSD1 > ო-ქომ-ინ-უ-ან-ს. ACT

„ობი > დაობება > აობებს“

მეგრულში კაუზაციური წარმოების ო-R-უ-ან სტრუქტურის ფორმათა უმრავლესობა სინტაქსურად პირდაპირგარდამავალი ზმნებია, თუმცა, ასევე გვხვდება ირიბგარდამავალი ნიმუშებიც. ამ შემთხვევაში ო-ს ნაცვლად გამოყენებულია ირიბ დამატებაზე მიმთითებელი უ- ხმოვანპრეფიქსი. უ-R-უ-ან სტრუქტურის ირიბგარდამავალ ნიმუშებს ქართულში, ძირითადად, ე-R-ებ ყალიბის ზმნები შეესატყვისება.

მეგრული:

(1) „შქირენა გემნომკათინეს უპოტიკუანს ათინერს“ (ოტობაია 2008)

„შიმშილობა შემოგვისიეს ეცოდვილება ასეთ რაღაცებს“

(2) „შხვა რენია კამელია, უფერუანს ფარფალია...“ (წითაშვილი 2009)

„სხვა არისო კამელია, ეფერება პეპელა“

(3) „ოდი მარბგვანსუ მეთხოზუ, თაშუქანჩუანს გუმანი“ (ოტობაია 2008)

„ოდი მარჯვენას მისდევს, ასე ექაჩება გუმანი“

(4) „ბინდი გიქაქალუანს, პის გიქუთოლუანს“ (ქაჯაია, N 22400)

„ბინდი გიქიქინებს, პირზე გელამუნება (გეალერსება).“

(5) უსხუნ, ულააფუანსინი (ქხს 1975:80)

„ურჩევნია, რომ ეთამაშება“

(6) ურაგადუანს (გრდმ. სასხვ. ქც. რაგადანს ზმნისა) - ელაპარაკება (ქაჯაია N17781)

„- ჭიჭე ქაცალი, გურს მიჭკომუნსუ და ქუდურაგადუანს ნინას“ (ემპ. მასალა)

„-ცოტა ადროვე, გულს მოიჭამს და დაელაპარაკება ენას“

(7) უზინდუანს დო უკილოთუანს, მარა მუმ ხვალიმ ეკმადალარო ხოლოვერგ“ (ქარჩავა 2011).

(8) „უზიდება და უკირკიტებს, მაგრამ თავის ნახველის ამომღებადაც ვერ გამოდგება“.

და სხვ.

როგორც აღინიშნა, ამგვარი წარმოება დამახასიათებელია მხოლოდ მეგრული-სათვის. ლაზურში -უ რედუცირებულია. ლაზურის ო-ჩხ-უნ-ამ-ს (<*ჩხ-უნ „ცხავს“) „აცხუნებს“, ძვ. ქართულის ვ-ა-ცთ-უნ-ებ (ახ. ქართ. ვ-ა-ცდ-ენ), ასევე ვ-ა-რწმ-უნ-ებდა მსგავსი ორმაგი სუფიქსაციის ფორმებში -უნ სუფიქსს კაუზაციის მაწარმოებლად გამოყოფენ (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:276). ბ. ჯორბენაძის აზრით, ასეთი ტიპის ზმნები თავიანთი ბუნებით კაუზატიურები არ არიან. არ გულისხმობენ პირთა ისეთ დამოკიდებულებას, რომელიც ჩვეულებრივ კაუზატივის ფუნქციას შეადგენს... ა-ხტ-უნ-ებ-ს მოქმედებითი გვარის ჩვეულებრივი ფორმაა (ჯორბენაძე 1975:98). შესაბამისად მსგავსი წარმოების ერთეულებს ჩვენ მოქმედებით გვარში განვიხილავთ.

მეგრულში, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ო-R-უ-ან სტრუქტურის ნიმუშები 2/3-ს წარმოადგენს. ასეთ ფორმებს ქართულში, როგორც გამოირკვა, ძირითადად *ა-R-ავ-ებ შეესატყვისება, სპორადულად დადასტურებულ უ-R-უ-ან ირიბგარდამავალ ფორმებს კი -ე-R-ებ სტრუქტურა. -უ-ან სუფიქსი დროთა განმავლობაში კაუზაციურ ფორმათა მაწარმოებელ ერთ სუფიქსად არის ჩამოყალიბებული.

3.3. MSD + AUX აღწერითი აქტივები. ლაზურის მოქმედებით გვარში ცალკე გამოვყოფთ სპეციფიკური ფორმაწარმოების - MSD+AUX ნიმუშს, რომელიც ძირითადად ერთპირიანი გარდაუვალი ზმნებისათვის არის დამახასიათებელი. აღწერითი, ორკომპონენტიანი (მასდარი + დამხმარე ზმნა) კონსტრუქცია ლაზურში საკმაოდ პროდუქტიულია. იგი არ ასახავს ქართულის ენობრივ ვითარებას, რადგან ძველ ქართულშივე ჩაისახა და განვითარდა ტენდენცია აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლისა (იხ. მუზაშვილი 2016). გარდა ამისა, ძველ ქართულში აღწერითი წარმოებისათვის ერთ-ერთი დამახასიათებელი სახელური და ზმნური კომპონენტების მთლიანობაა, რაც ხშირად გარდაქცევითობის სემანტიკით არის შეპირობებული, მაგ., იქმნა ეშმაკისად (ვაშაკიძე 1993:342). ლაზურის აღწერითი კონსტრუქციები ამგვარ სემანტიკას არ ითვალისწინებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე შენიშნულია, რომ ძველ ქართულში ზმნის აღწერითი ფორმები უპირატესად მაშინ ჩნდება, როდესაც ორგანული წარმოება ჭირს (ვაშაკიძე 1993:344) ამის საჭიროება ზანურის ჯგუფის ენებში არ მდგარა, რადგან მეგრული-ლაზურს უფრო შენარჩუნებული აქვს აგლუტინაციურობის მაღალი ხარისხი, ვიდრე - სალიტერატურო ქართულს.

ჩვენი აზრით, ლაზურის სპეციფიკური კონსტრუქცია თურქული ენის გავლენის შედეგია და შედარებით ახალ პერიოდს ასახავს. ამის საფუძველს გვაძლევს ქართული ენის სამხრულ დიალექტებში გავრცელებული მსგავსი კონსტრუქციები (ნიმუშები იხ. ქვემოთ).

ნასესხები კონსტრუქციის გამოყენებით ლაზურში არა მხოლოდ თურქული ფუძეები, არამედ თურქული ენის გზით შემოსული არაბული და სპარსული ლექსემებიც გამოირჩევა, ასევე გვხვდება ბერძნული ერთეულებიც.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნასესხები ფუძეებიდან წარმოქმნილი რელაციური აქტივები, განსხვავებით პირველადებისაგან, საერთოქართველური წარმოების ყალიბშია მოქცეული:

- (1) ფაი [pay] > ფა(რ)-უფ/უმ-ს „წილი > ანაწილებს“;
- (2) სარი [sarı] > ო-სარ-უფ/უმ-ს „ყვითელი > აყვითლებს“;
- (3) ნდარი [dar] > ო-ნდა(რ)-ეფ/ემ-ს „ვიწრო > ავიწროვებს“;

(4) ფახალი [pahalı] > ო-ფახალ-ეფ/ემ-ს „ძვირი > აძვირებს“.

თუმცა აქაც იკვეთება ტენდენცია თურქულისებური წარმოების მოდელის დამკვიდრებისა, კერძოდ, წარმოდგენილია სტრუქტურა ნაზმნარი სახელისა და მეშველი ზმნისმონაწილეობით.

(5) მაგ., Düşmanlık > ლაზ. დუმმანობა// დუმმანლული „მტრობა“

დუმმანობა იქიფს/იქუმს/იქომს „მტრობა აკეთებს (= მტრობს)“.

ამგვარი აღწერითი კონსტრუქციის დამკვიდრებამ საგრძნობლად შეაფერხა ლაზური სიტყვათქმნადობის ორგანული პროცესი (ახალაია 2017).

3.3.1. -ობა/-lık სუფიქსები. MSD+AUX კონსტრუქციის პირველი სეგმენტი მას-დარული ფუძეა. იგი წარმოდგენილია ხან ქართული -ობა მაწარმოებლით, ხან თურქული -lık (-lık /-lik/ -luk/ -lük) სუფიქსით, რომელიც ლაზურში -ლულ ფორმით არის ტრანსფორმირებული. ქართულში -ობა ფორმანტის ფუნქცია სხვადასხვაგვარია: როცა ის სახელს დაერთვის გამოხატავს აბსტრაქტულობას, ხოლო ზმნურ ფუძეზე დართვისას იგი გვაძლევს საწყისს. რიგ შემთხვევაში პირიქითაც ხდება, სახელზე დართულმა -ობა სუფიქსმა აბსტრაქტული სახელის ნაცვლად შეიძლება საწყისი მოგვცეს, მაგალითად: მუშა > მუშაობა შდრ.: მუშაობს (ჯორბენაძე 1975:203). ლაზურში სახელურ ფუძეზე დართული -ობა/-ლულ სუფიქსიანი ფორმები ემთხვევა ქართულის მასდარს, ამიტომაც მას MSD (მასდარი/საწყისი) აბრევიატურით აღვნიშნავთ, მასთან ერთად მონაწილე დამხმარე ზმნას კი - AUX აბრევიატურით. ლაზური დამხმარე იქიფს/იქუმს ზმნა ძველი ქართული იქმს (=აკეთებს) ფორმის ზუსტი მორფოსემანტიკური შესატყვისია. იქმს ლაზურის ხოფურ-ჩხალურ კილოკავში წარმოდგენილია იქიფს (< იქუფს), ხოლო ვიწურ-არქაბულ, ათინურ-ართაშენულ კილოკავებში იქომს/იქუმს ფორმებით. აღსანიშნავია, რომ მასდარი, რომელიც სინტაქსურ კონსტრუქციაში პირდაპირი დამატების ეკვივალენტია, ლაზურის გარდამავალი ზმნის კონსტრუქციის შესაბამისად სახელობითი ბრუნვით არის წარმოდგენილი.

ერთი და იმავე მნიშვნელობის თურქული -ლულ და ქართული -ობა სუფიქსები ერთმანეთის პარალელურად დასტურდება.

(6) avcılık > ლაზ. ავჯობა//ავჯილული „ნადირობა“

ავჯობა //ავჯილული იქიფს

ნადირობა.MSD აკეთებს.AUX

„ნადირობა აკეთებს (=ნადირობს)“

(7) Şenlik > ლაზ. შენობა//შენლული „მხიარულება“

შენობა // შენლული იქიფს

მხიარულობა.MSD აკეთებს.AUX

„მხიარულობა აკეთებს (=მხიარულობს)“

(8) balık > ლაზ. ბალუქობა//ბალუქლული „თევზაობა“

ბალუქობა//ბალუქლული იქიფს

თევზაობა.MSD აკეთებს.AUX

„თევზაობა აკეთებს (=თევზაობს)“

(9) hizmetkârlık > ლაზ. ხეზმეკირობა //ხეზმეკირლული „მომსახურება“

ხეზმეკირობა //ხეზმეკირლული იქიფს

მომსახურება.MSD აკეთებს.AUX

„მომსახურება აკეთებს (=ემსახურება)“

(10) Çobanlık > ლაზ. ჩობანობა//ჩობანლული „მწყემსობა“

ჩობანობა//ჩობანლული იქიფს

მწყემსობა.MSD აკეთებს.AUX

„მწყემსობა აკეთებს (=მწყემსობს)“

(11) topallık > ლაზ. თოფალობა//თოფალული „კოჭლობა“

თოფალობა//თოფალული იქიფს

კოჭლობა.MSD აკეთებს.AUX

„კოჭლობა აკეთებს (=კოჭლობს)“

(12) tembellik > ლაზ.თემბელობა//თემბელული „ზარმაცობა“

თემბელობა//თემბელული იქიფს

ზარმაცობა.MSD აკეთებს.AUX

„ზარმაცობა აკეთებს (=ზარმაცობს)“

(13) hırsızlık > ლაზ. ხირსუზობა//ხირსუზლული „ქურდობა“

ხირსუზობა//ხირსუზლული იქიფს

ქურდობა.MSD აკეთებს.AUX

„ქურდობა აკეთებს (=ქურდობს)“

ამგვარი წარმოება, როგორც ზემოთ ითქვა, გვხვდება ქართული ენისსამხრულ დიალექტებში.აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მასდარი ქართული -ობ-ა სუფიქსითდა არის წარმოდგენილი:

(14) ჰიზმეთჯ-ობ-ა (hizmet - ჰიზმეთ - „მოსამსახურე“)

„ჰიზმეთჯობას ვერ ვიზამ (=ვერ მოვემსახურები)“

(15) თემიზ-ობ-ა - (temiz - თემიზ - „სუფთა“)

„გუშინ თემიზობა ვქენ, ხვალ შუუსვი (= გუშინ გავასუფთავე, ხვალ...)“

(16) „თემიზობას იჯება ნურჯანა“... „წინ-წინ იტყოდენ: სახლ ვასუფთებო, ხალა

თემიზო-ბას იტყვიან“ : „თემიზობას აკეთებს სახში“ (იხ. ჩოხარაძე 2013: 86-87)

ცხადია, აღწერითი კონსტრუქციის სასარგებლოდ, ნელ-ნელა თმობს პოზიციას ქართველური დერივაციული სისტემა. ლაზურმა ვერ შეძლო პირველადი აქტივების ორგანულ ყალიბში მოქცევა, როგორც ეს მოახერხა რელატიური აქტივებისა და ვნებითი გვარის შემთხვევებში (შდრ.: თურქ. sarı „ყვითელი“, ლაზ. ACT: ო-სარ-უფ/უმ-ს „ყვით-თლებს“, PASS: ი-სარ-ე-ნ „ყვითლდება“). ქართველური წარმოება მხოლოდ ფონოსემანტიკურ ზმნათა ნაწილშია შემონახული.

4. მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნები

4.1. სახელური ფუძის სტრუქტურა. მეგრულ-ლაზურში სახელური ფუძისაგან მოქმედებითი გვარის ზმნათა მისაღებად იგივე აფიქსებია გამოყენებული, რაც პირველადი ზმნებისათვის: -ა/-ა-; -ან/-აფ/-ამ, -უნ/-უფ/-უმ, -ენ/-ეფ/-ემ. სახელთა ოდენ პირის ნიშნით გაზმნავების შემთხვევები ჩვენ მიერ მოპოვებული ემპირიული მასალის მიხედვით სისტემურად არ დადასტურებულა. სადერივაციო ფუძეები დანდომინანტი არსებითი და ზედსართავი სახელებია (იხ. ახალია 2017, 2018).

ქართულში მოქმედებითი გვარის კონფიქსური თუ სუფიქსური წარმოების ნასახელარი ზმნები მხოლოდ ფუნქციურად განსხვავდება ამავე წარმოების პირველადი ზმნებისაგან. კერძოდ, კონფიქსურად ნაწარმოები ნასახელარი ზმნები გარდაქცევითობას გამოხატავენ (იხ. შანიძე 1957:35-36, ჯორბენაძე 1975:110), ხოლო ოდენ სუფიქსაციის ზმნები – ინსტრუმენტატივს (ჯორბენაძე 1975:110,138). მეგრულ-ლაზურის ზმნათა გარკვეულ ნაწილში, ფუნქციურთან ერთად მორფოლოგიური სხვაობაც ხელშესახებია. სპეციფიკური სტრუქტურები ატრიბუტული ზედსართავი სახელებისაგან წარმოქმნილი მოქმედებითი გვარის ფორმებისათვის არის დამახასიათებელი.

თანმიმდევრულად განვიხილავთ მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნათა ყველა ტიპს ზანურში, ყურადღებას კი განსხვავებულ წარმოებაზე გავამახვილებთ.

აღნიშნული გვარის საბაზისო სახელური ფუძე მეგრულ-ლაზურში შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს:

- 1) მარტივი, 2) მასდარული, 3) რთული და 4) ატრიბუტული.

აქედან, მეგრულში დიდი უმრავლესობით გამოირჩევა ზმნური ფორმები, რომლებიც მიღებულია პირველადი მასდარებისაგან. ეს უკანასკნელნი კი სახელებისაგან -ალ, -ინ, -ოლ, -ონ, -ულ, -ურ, -ელ დეტერმინანტთა დართვითარიან წარმოქმნილი. ლაზურში კი, ზოგადად, ემპირიული მასალის მიხედვით, მხოლოდ -ოლ, -ონ, -ინ სუფიქსური წარმოების გაზმნავებული ფორმებია შემორჩენილი. -ინ-ით წარმოქმნილ მასდართა რიცხვი შედარებით მეტია, -ოლ, -ონ სუფიქსიანი ფორმები კი რამდენიმე ერთეულითაა შემოიფარგლება. აღნიშნული განაპირობა უცხო ენების (ბერძნული, თურქული) მუდმივმა ზეწოლამ, რამაც საკმაოდ შეზღუდა და შეაფერხა სიტყვათქმნადობის პროცესი.

შემორჩენილი არქაული ლექსიკის მწირი ნიმუშები კი იმის მაჩვენებელია, რომ ისტორიულად ლაზურშიც მეგრულისებური დერივაციული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. ნიმუშები:

4.1.1. მარტივი ფუძე (პირველადი და რელაციური აქტივები). ამ ჯგუფში ერთიანდებიან აქტივები, რომლებიც მარტივი სახელური ფუძისაგან შესაბამისი აფიქსების დართვით არიან წარმოქმნილნი:

ა) R-ან ჯგუფი: მეგრული: შქვილი > შქვილ-ან-ს „მშვილდი > მშვილდავს (=გადატ. მშვილდით პენტავს); ჯიჯიხი > ჯიჯიხ-ან-ს „კორძი>კორძება“; ხარგა > ხარგ-ან-ს „ტვირთი > ტვირთავს“; შური > შურ-ან-ს „სუნი > *სუნავს(=ყნოსავს)“; გურიშთი > გურიშთ-ან-ს „გვირისტი > აგვირისტებს“; ჯანგარი > ჯანგარ -ან-ს „მური > *მურავს (=მურით ფარავს); წარკანტი > წარკანტ-ან-ს „წერაქვი > წერაქვით მუშაობს“; ტოულე > ტოულ-ან-ს „გრძელი თოკი > გრძელი თოკით აბამს“; ციციბი > ციციბ-ან-ს „ციდა, ძალიან პატარა > ძალიან აპატარავებს“; ხაჭუჭა > ხაჭუჭ-ან-ს „ჭრელი > აჭრელებს“; ტალიკე > ტალიკ-ან-ს „შიშველი > აშიშველებს“; კაკუჩი > კაკუჩ-ან-ს „ხუჭუჭი > ახუჭუჭებს“; ცუნდი/ცუნჯი > ცუნდ-ან-ს „ნამი > ნამავს“; ცერტი > ცერტ-ან-ს „ყლორტი > ყლორტდება“.

ლაზურში ამგვარი სტრუქტურის - მარტივი ფუძისა და -აფ/-ამ თემატური ნიშნის მქონე ნასახელარი ზმნები, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, არ დადასტურებულა;

ბ) R-უნ/-უფ/-უმ ჯგუფი:

მეგრული R-უნ: ჯორგი > ჯორგ-უნ-ს „რაიმე მძიმე ტვირთი (ქვა) > ტვირთავს“; ჭყეში > ჭყეშ-უნ-ს „მწყემსი > მწყემსავს“; ჭორთი > ჭორთ-უნ-ს „ლატანი, ჭოკი, ტვირთი > ტვირთავს“; ჩარტი > ჩართ-უნ-ს „ჩელტი, ფარცხი > ფარცხავს“; შანა > შან-უნ-ს „ნიშანი (ქალის დასანიშნი ნივთი) > ნიშნავს“; ქუნჩი > ქუნჩ-უნ-ს „ქურქი, ბეწვიანი მოსასხამი > მოსავს(თბილად აცმევს); ჭყუდა > ჭყუდ-უნ-ს „მზითველი > ამზითვებს“; ბარი > ბარ-უნ-ს „ბარი > ბარავს“; ბონდლი > ბონდლ-უნ-ს „ქსელი > ქსელავს“; ხვანჭი > ხვანჭ-უნ-ს „ხლართი > ხლართავს“; წყათე > წყათ-უნ-ს „მლაშე > ამლაშებს“; ჩონჩი > ჩონჩ-უნ-ს „ზინძური > აზინძურებს“; ხაზი > ხაზ-უნ-ს „ხაზი > ხაზავს“; ღვანკი > ღვანკ-უნ-ს „მრუდე > ამრუდებს“;

ცელი > ცელ-უნ-ს „ცელი > ცელავს“; რზენი > რზენ-უნ-ს „სწორი, ვაკე, ტკეპნილი > ტკეპნის, ასწორებს“; ჩალა > ჩალ-უნ-ს „ჩლუნგი, ლაჩარი > აჩლუნგებს“.

ლაზური -უფ/-უმ: ბუცხი > ბუცხ-უფ/-უმ-ს „ფარცხი > ფარცხავს“; ფასი > ფას-უფ/-უმ-ს „ჟანგი > ჟანგავს“; ყაზი > ყაზ-უფ/-უმ-ს „რანდი > რანდავს; ჭაბუ > ჭაბ-უფ/-უმ-ს „წებო > წებავს“; მჭკეში > მჭკეშ-უფ/-უმ-ს „მწყემსი > მწყემსავს“; ბამგი > ბამგ-უფ/-უმ-ს „ბჯენი > აბჯენს“; მწოლა/წოლა > მწოლ-უფ/-უმ-ს „ჭვარტლი > ჭვარტლავს“; ბელი > ბელ-უფ/-უმ-ს „საბარავი, იარადი > ბარავს“; თვალი > თვალ-უფ/-უმ-ს „მარცვალი > მარცვლავს; ფათხი > ფათხ-უფ/-უმ-ს „საბერტყი > ბერტყავს“; ჭანგი > ჭანგ-უფ/-უმ-ს „ბრჭყალი > ბრჭყალავს“; ბამგი > ბამგ-უფ/-უმ-ს „ბჯენი > აბჯენს“; იეშილ (თურქ.)>იეშილ-უფ/-უმ-ს „მწვანე > ამწვანებს“; ფალი (თურქ.)>ფალ-უფ/-უმ-ს „სუფთა, წმინდა > ასუფთავებს, წმენდს“;

გ) R-ენ ჯგუფი:

მეგრული: უჩაში > უჩაშ-ენ-ს „უფროსი > უფროსობს“ ; ძლაბი > ძლაბ-ენ-ს „გოგო > გოგობს“; გური > გურ-ენ-ს „გული > დიდგულობს“; მინჯე > მინჯ-ენ-ს „პატრონი > პატრონობს“; ცირა > ცირ-ენ-ს „ქალიშვილი > ქალიშვილობს“; ქომოლი > ქომოლ-ენ-ს „მამაცი, გულადი > გულადობს“; ჩხომი > ჩხომ-ენ-ს „თევზი > თევზაობს“; ბაკიჩა > ბაკიჩ-ენ-ს „პირფერი > პირფერობს“; ყადიჩა > ყადიჩ-ენ-ს „ყბედი > ყბედობს“.

ლაზურში ამგვარიოდენ -ეფ/-ემ სტრუქტურის ნასახელარი ნიმუშები არ დადასტურებულა;

დ) ო-R-ან/-აფ/-ამ ჯგუფი (პირველადი კაუზაქტივები)

მეგრული ო-R-ან: ნწკარი > ო-ნწკარ-ან-ს „რიგი, მწკრივი > ამწკრივებს, აწყობს“; ორო > ო-ორ-ან-ს „ჩრდილი > ჩრდილავს“. ბაწკი > ო-ბაწკ-ან-ს „ბაკუნა ფეხსაცმელი > ბაკუნა ფეხსაცმლით დადის“; ბატი > ო-ბატ-ან-ს „ზაქი, კამეჩის ნაშიერი > ზაქივით დადის“; ძაკა > ო-ძაკ-ან-ს „უბრალო, გლახა > გლახასავით დადის“.

ლაზური ო-R-აფ/-ამ: ქომოჯი > ო-ქომოჯ-აფ/-ამ-ს „ქმარი > აქმრიანებს (=ათხოვებს)“; გიდელი > ო-გიდელ-აფ/-ამ-ს „გიდელი > გიდელით ჩამოაქვს ხილი“; ლეჯი > ო-ლეჯ-აფ/-ამ-ს „ღორი > აღორებს“; ხელა > ო-ხელ-აფ/-ამ-ს „სიხარული > ახარებს“; ბადი > ო-ბად-აფ/-ამ-ს „სიბერე, ასაკი > აბერებს“; ბული > ო-ბულ-აფ/-ამ-ს „ობი > აობებს“; მუნტური > ო-მუნტურ-აფ/-ამ-ს „მატლი > ამატლიანებს“; ძაბუნი > ო-ძაბუნ-აფ/-ამ-ს „ავადმყოფი >

აავადყოფებს“; ჩხვინი > ო-ჩხვინ-ავ/-ამ-ს „ცხელი > აცხელებს“; მჯვე > ო-მჯვენ-ავ/-ამ-ს „ძველი > აძველებს“; სქი(რ)უ > ო-სქი(რ)-ავ/-ამ-ს „მშრალი > ამშრალავს“; დერიანი (თურქ.) > ო-დერიანი-ავ/-ამ-ს „ღრმა > აღრმავებს“. ქიბირი (თურქ.) > ო-ქიბირ-ავ/-ამ-ს „ამაყი, დიდგული > ამაყობს, დიდგულობს“;

ე) ა-R-ენ /ო-R-ეფ/ემ ჯგუფი:

მეგრული ა-R-ენ : ჩილი > ა-ჩილ-ენ-ს „ცოლი > აცოლიანებს“; ლეჯი > ა-ლეჯ-ენ-ს „ღორი > აღორებს“; ბორჯი > ა-ბორჯ-ენ-ს „დრო, ჟამი, დროება > გად. აზნევს, დრო-ჟამს ურევს; ჯვეში > ა-ჯვეშ-ენ-ს „ძველი > აძველებს“; ცალა > ა-ცალ-ენ-ს „გიჟი > აგიჟებს“; ბორო > ა-ბორო-ენ-ს „სულელი > ასულელებს“; ჩიჩიე > ა-ჩიჩი-ენ-ს „გლახა > აგლახებს“; ცუნგა > ა-ცუნგ-ენ-ს „ყრუ > აყრუებს“; ცვერე > ა-ცვერ-ენ-ს „ბრმა > აბრმავებს“; ღამაკი > ა-ღამაკ-ენ-ს „უძლური > აუძლურებს“; მანგი > ა-მანგ-ენ-ს „მსგავსი, სწორი > უსწორებს, ასწორებს“.

ლაზური ო-R-ენ: ბადი > ო-ბად-ეფ/-ემ-ს „ბერიკაცი > *აბერიკაცებს (=აბერებს)“; მარგვალი > ო-მარგვალ-ეფ/-ემ-ს „მრგვალი > ამრგვალავს“; პატი > ო-პატ-ეფ/-ემ-ს „ცუდი, გლახა > აგლახავებს“; სადი (თურქ.) > ო-სად-ეფ/-ემ-ს „ჯანმრთელი, ცოცხალი > აჯანმრთელებს, აცოცხლებს“; იანი (თურქ.) > ო-იანი-ეფ/-ემ-ს „გვიანი > აგვიანებს“.

4.1.2. მასდარული ფუძე. ამ ჯგუფში ერთიანდებიან მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნები, რომელთა ფუძე პირველადი მასდარისაგან არის მიღებული. პირველადი მასდარები განსაზღვრული თემატური სუფიქსებით ზმნავდება. კერძოდ, -ან/-ავ/-ამ თემის ნიშნები გვხვდება r-ალ, r-არ, r-ინ, r-ურ, r-ულ, r-ელ დეტერმინანტებით მიღებულ ფუძეებთან, ხოლო -უნ/-უფ/-უმ სუფიქსები r-ოლ, r-ონ-იანებთან.

მოქმედებითი გვარის წარმოებისას ანუ პირველად მასდართა გაზმნავებისას დეტერმინანტები, როგორც მალექსიკალიზებული ელემენტები, სახელის ფუძეში მოიაზრება. ჩვენ კი წარმოდგენილ ნიმუშებშიმეტე თვალსაჩინოებისათვისმათ ცალკე გამოვყოფთ.

ა) R → MSD1-ან ჯგუფი:

მეგრული R(r+ალ/-არ/-ულ/-ურ/-ელ)-ან: კაკა > კაკ-ალ-ი > კაკ-ალ-ან-ს „ცალი > მარცვლავ > მარცვლავს“; ჭანგი > ჭანგ-ალ-ი > ჭანგ-ალ-ან-ს „კლანჭი, ბრჭყალი >

დაბრჭყალვა გად. ხოცავს > ანადგურებს“; სანწა > სანწ-ალ-ი > სანწ-ალ-ან-ს „მძაფრი, ძლიერ მწარე > გად. მწარის ფრქვევა > მწარეს აფრქვევს“; შვატა > შვატ-ალ-ი > შვატ-ალ-ან-ს „ უმაქნისი > ზერელე ქმედება > ზერელედ აკეთებს“; ბაჩვა > ბაჩვ-ალ-ი > ბაჩვ-ალ-ან-ს „თვინიერი, ბუნჩულა > გულუბრყვილო საუბარი > გულუბრყვილოდ საუბრობს“; ხანგა > ხანგ-ალ-ი > ხანგ-ალ-ან-ს „გიჟი > გიჟური საუბარი > გიჟვით საუბრობს“; ტყები > ტყაბ-არ-ი > ტყაბ-არ-ან-ს „ტყავი > გატყავება > ატყავებს“; რცამი > რცამ-ულ-ი > რცამ-ულ-ან-ს „უმც. ნაწილი რისამე > უმცირეს ნაწილად ქცევა (=დაქუცმაცება) > უმცირეს ნაწილად აქცევს (აქუცმაცებს); ჭარჭა > ჭარჭ-ულ-ი > ჭარჭ-ულ-ან-ს „ჭრელი > ჭრელება > აჭრელებს“; ღარკა > ღარკ-ულ-ი > ღარკ-ულ-ან-ს „მრუდი > დაგრება, დამრუდება > ამრუდება“; ფულუ > ფულ-ურ-ი > ფულ-ურ-ან-ს „თხუნელა > დაფულუროება > აფულუროებს“; სუფუ > სუფ-ურ-ი > სუფ-ურ-ან-ს „სუფთა > დასუფთავება > ასუფთავებს“; ღაჟა > ღაჟ-ურ-ი > ღაჟ-ურ-ან-ს „ჭრელი > დაჭრელება > აჭრელებს“; ფერჩვი > ფერჩვ-ელ-ი > ფერჩვ-ელ-ან-ს „კანი, ქერქი > კანის გაცლა, ფცქვნა>კანს აცლის, ფცქვნის“; ტყვაპა > ტყვაპ-ალ-ი > ტყვაპ-ალ-ან-ს „ლაყე > ლაყლაყი > ლაყლაყებს“; სარკე > სარკ-ალ-ი > სარკ-ალ-ან-ს „სარკე > სარკესავით პრიალი, ლაპლაპი > სარკესავით პრიალებს, ლაპლაპებს“.

ლაზური **ო-R(r+ინ/ალ)-აფ/-ამ**: მწუთხუ **ო-მწუთხ-ინ-უ** > **ო-მწუთხ-ინ-აფ/-ამ-ს** „მარილი > დამარილება > ამარილებს“; პატი > **ო-პატ-ინ-უ** > **ო-პატ-ინ-აფ/-ამ-ს** „ცუდი, გლახა > დაგლახავება > აგლახავებს“; ჩორჩი > **ო-ჩორჩ-ინ-უ** > **ო-ჩორჩ-ინ-აფ/-ამ-ს** „მსუბუქი > დამსუბუქება > ამსუბუქებს“; მწკუფი > **ო-მწკუფ-ინ-უ** > **ო-მწკუფ-ინ-აფ/-ამ-ს** „ბნელი > დაბნელება > აბნელებს“; მონჭა > **ო-მონჭ-ინ-უ** > **ო-მონჭ-ინ-აფ/-ამ-ს** „მწიფე > დამწიფება > ამწიფებს“; ჩხვე(რ)ი > **ო-ჩხვ-ინ-უ** > **ო-ჩხვ-ინ-აფ/-ამ-ს** „ცხელი > გაცხელება > აცხელებს“; ტიბუ > **ო-ტიბ-ინ-უ** > **ო-ტიბ-ინ-აფ/-ამ-ს** „თბილი > გათბობა > ათბობს“; ბანგი (თურქ.) > ბანგ-ალ-ი > ბანგ-ალ-აფ-ს „ოპიუმი, თრიაქი > გად. ბარბაცებს“.

ბ) R → MSD1 –უნ/-უფ/-უმ/ჯგუფი:

მეგრული **R(r+ოლ/-ონ/-ორ)-უნ**: ჯიმუ > ჯიმ-ოლ-ი > ჯიმ-ოლ-უნ-ს „მარილი > დამარილება > ამარილებს“; წირლი > წირლ-ოლ-ი > წირლ-ოლ-უნ-ს > „ღვლერჭი, წნელი > დაგრება > გრებს“; ფუჩხა > ფუჩხ-ოლ-ი > ფუჩხ-ოლ-უნ-ს „ნამცეცი > დანამცეცება (გად. დამტვრევა) > ანამცეცებს, ამტვრევს“; ქინჩი > ქინჩ-ოლ-ი > ქინჩ-ოლ-უნ-ს „ქეჩო > წავლება, გაჩეჩვა > ჩეჩავს“; ჯირგა > ჯირგ-ოლ-ი > ჯირგ-ოლ-უნ-ს „უშნო, უხამსი > უშნოდ, უხამსად

მოქცევა > უშნოდ აკეთებს“; ქინჩი > ქინჩ-ოლ-ი > ქინჩ-ოლ-უნ-ს „ქეჩო > ქეჩოში ხელის წავლება > გად. ჩეჩავს“; ჭიფე > ჭიფ-ოლ-ი > ჭიფ-ოლ-უნ-ს „წვრილი > დაწვრილება > აწვრილებს“; ქირჩა > ქირჩ-ონ-ი > ქირჩ-ონ-უნ-ს „წამლლეტი > ღლეტა > ღლეტს, გად. ატყავებს“; ჯირგა > ჯირგ-ონ-ი > ჯირგ-ონ-უნ-ს „უშნო რამ > უშნოდ კეთება > უშნოდ აკეთებს“; რიჩა > რიჩ-ონ-ი > რიჩ-ონ-უნ-ს „კბილებფართო > ენერგიული კბეჩით ჭამა > ენერგიულად ჭამს“.

ლაზური: ქურჩა > *ო-ქურჩ-ოლ-უ > ქურჩ-ოლ-უფ/-უმ-ს „ქერქი > ქერქის გაცლა > ქერქს აცლის“; ბუნდლა > *ო-ბუნდლ-ოლ-უ > ბუნდლ-ოლ-უფ/-უმ-ს „ბუმბული > გაპუტვა > პუტავს“; ბურთი > *ბურთ-ონ-ი > ბურთ-ონ-უფ/-უმ-ს „ბურთი, გუნდა > დაგუნდავება > აგუნდავებს“.

4.1.3. რთული ფუძე (დიურატიული კაუზაქტივები)

ა) ო-R-უ-ან ჯგუფი:

მეგრული : ხორი > ო-ხორ-უ-ან-ს „სახლ-კარი > ასახლებს“; სერი > ო-სერ-უ-ან-ს „ღამე > აღამებს“; ნჯარი > ო-ნჯარ-უ-ან-ს „ჯავრი > აჯავრებს, ახარბებს“; რული > ო-რულ-უ-ან-ს „ძილი > აძინებს“; ფურე > ო-ფურ-უ-ან-ს „მხურვალე, ცხელი > ახურებს, აცხელებს“; სქირი > ო-სქირ-უ-ან-ს „მშრალი > აშრობს“; წიწკი > ო-წიწკ-უ-ან-ს „ზიზღი > აზიზღებს“.

ბ) ო-R(r+ინ)-უ-ან ჯგუფი:

მეგრული ო-R(r+ინ)-უ-ან: ქოში > ქოშ-ინ-ი > ო-ქოშ-ინ-უ-ან-ს „შმორი > დაშმორება > აშმორებს“; ფოკვა > ფოკვ-ინ-ი > ო-ფოკვ-ინ-უ-ან-ს “ობი > დაობება > აობებს“; ღიჟე > ღიჟ-ინ-ი > ო-ღიჟ-ინ-უ-ან-ს “ნელთბილი > განელება > ანელებს“; ხიკა > ხიკ-ინ-ი > ო-ხიკ-ინ-უ-ან-ს “მხმარი > ხმობა > ახმობს“; სქინჩა > სქინჩ-ინ-ი > ო-სქინჩ-ინ-უ-ან-ს “მკვრივი > გამკვრივება > ამკვრივებს“; დღვირა-დღვირ-ინ-ი > ო-დღვირ-ინ-უ-ან-ს “დაბღვერილი > დაბღვერილს ხდის“; ჭითა > ჭით-ინ-ი > ო-ჭით-ინ-უ-ან-ს “წითელი > გაწითლება > აწითლებს”.

ამგვარი წარმოება მხოლოდ მეგრულისათვის არის დამახასიათებელი.

4.1.4. ატრიბუტული ფუძეები ა/ო-R-COMP-ATM

4.1.4.1. R-არ/-ორ სტრუქტურის აქტივები მეგრულში. ამ ჯგუფში ერთიანდებიან ნასახელარი ნიმუშები, რომლებიც პირველადი ზმნებისაგან განსხვავებული სტრუქტურით გამოირჩევიან და რომელთა ამოსავალი ფუძე ატრიბუტული სახელია. კერძოდ, ატრიბუტივთა გაზმნავებისას წარმოჩენილია -არ/-ორ ურთიერთმონაცვლე ელემენტები, რომლებიც ცალკე აღებულ შესაბამის სახელურ ფუძეებში არ დასტურდება. მოცემული ფორმანტები გვხვდება როგორც მოქმედებითი გვარის, ასევე კონვერსიული ვნებითის ფორმებში.

ნიმუშები (მეგრული):

(1) შხუ "მსხვილი"	ა-შხუ-არ/-ორ-ენ-ს.ACT	"ამსხვილებს"
	ი-შხუ-არ/-ორ-ებ-უ(ნ).PASS	"მსხვილდება"
(2) თითხუ "თხელი"	ა-თითხ-არ/-ორ-ენ-ს.ACT	"ათხელებს"
	ი-თითხ-არ/-ორ-ებ-უ(ნ).PASS	"თხელდება"
(3) ჭითა "წითელი"	ა-ჭით-არ/-ორ-ენ-ს.ACT	"აწითლებს"
	ი-ჭით-არ/-ორ-ებ-უ(ნ).PASS	"წითლდება"
(4) ჭიფე "წვრილი"	ა-ჭიფ-არ/-ორ-ენ-ს.ACT	"აწვრილებს"
	ი-ჭიფ-არ/-ორ-ებ-უ(ნ).PASS	"წვრილდება"
(5) დიდი "დიდი"	ა-დიდ-არ/-ორ-ენ-ს.ACT	"ადიდებს"
	ი-დიდ-არ/-ორ-ებ-უ(ნ).PASS	"დიდდება"
(6) კუნტა "მოკლე"	ა-კუნტ-არ/-ორ-ენ-ს.ACT	"ამოკლებს"
	ი-კუნტ-არ/-ორ-ებ-უ(ნ).PASS	"მოკლდება"
(7) უჩა "შავი"	ა-უჩ-არ/-ორ-ენ-ს.ACT	"აშავებს"
	ი-უჩ-არ/-ორ-ებ-უ(ნ).PASS	"შავდება"
(8) გინძე "გრძელი"	ა-გინძ-არ/-ორ-ენ-ს.ACT	"აგრძელებს"
	ი-გინძ-არ/-ორ-ებ-უ(ნ).PASS	"გრძელდება"
(9) ჭიჭე "პატარა"	ა-ჭიჭ-არ/-ორ-ენ-ს.ACT	"აპატარავებს"
	ი-ჭიჭ-არ/-ორ-ებ-უ(ნ).PASS	"პატარავდება"

გაზმნავებისას წარმოჩენილი -არ/-ორ ფორმანტები აზრთა სხვადასხვაობას იწვევს მეცნიერთა შორის. არნ. ჩიქობავა მათქართული -ელ სუფიქსის მორფოლოგიურ ეკვივალენტად მიიჩნევს⁵². -ელ სუფიქსი კი, ა. არაბულის აზრით, არქაული წარმოების ამსახველია, რომელიც ზმნური ძირებიდან მომდინარე სახელურ ფუძეებს აფორმებს წნ-ელ- (წნ-ავ-ს), წით-ელ- (წით-ს) (არაბული 2001:186-207). მეგრულში კი პირიქით, -არ/-ორ გვხვდება სახელური ძირებიდან მომდინარე ზმნურ ფუძეებში:

(a) მეგრ. გინძ-ე > ა-გინძ-არ-ენ-ს

ქართ. გრძ-ელ-ი > აგრძელებს

(b) მეგრ. ჭიფ-ე > ა-ჭიფ-არ-ენ-ს

ქართ. წრფ-ელ-ი > აწვრილებს

(c) მეგრ. ჭით-ა > ა-ჭით-არ-ენ-ს

ქართ. წით-ელ-ი > აწითლებს

მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, (a) და (b) ნიმუშში დეტერმინანტი -ელ სუფიქსი რედუცირებულია (ელ→ე) მეგრულში, ხოლო მე-(c) მაგალითში რედუცირებული სუფიქსის დარჩენილ ქართულ ელემენტს ენაცვლება მისი ზანური ფონეტიკური შესატყვისი -ა ხმოვანი (იხ. ჩიქობავა 2008:232-395). ბოლოკიდური მარცვლის რედუქცია და ლ-ს დაკარგვის შემთხვევები მეგრულ-ქანურში, თ. გამყრელიძისა და გ. მაჭავარიანის აზრით, შედარებით იშვიათი მოვლენაა. ის ძირითადად დამახასიათებელია მსაზღვრელთათვის, ვინაიდან მსაზღვრელ-საზღვრული მეგრულში მეტად კომპაქტურ სინტაგმატურ ჯგუფს წარმოადგენს და ფონეტიკურად ერთ სიტყვას უტოლდება, ამ შემთხვევაში მარცვლის რედუქცია სავსებით ბუნებრივი ფონეტიკური პროცესია (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:88).

რა მიმართებაშია აღნიშნული -არ ელემენტი ქართულ -ელ-თან? ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშების მიხედვით ჩანს, რომ -არ/-ორ დასტურდება ისეთ ფუძეებთანაც, რომლებთანაც ქართულში -ელ არც ივარაუდება (შავი, დიდი...). მარტვილურ-სენაკურ მეტყველებაში კი ხშირად გამოიყენება -ელ-ის ფონეტიკური შესატყვისად -ალ. მაგ.:ჭით-ალ-ა ქოთომი „წითელი ქათამი“.

⁵² მეცნიერთა შორის მიღებული და გაზიარებულია თვალსაზრისი, რომ ქართული -ელ ფორმანტის მორფოლოგიური ეკვივალენტი ზანურში -უ სუფიქსია.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ -არ/-ორ სუფიქსი სხვადასხვა ფუნქციითაა გამოყენებული მეგრულში. კერძოდ,

1. ის აწარმოებს პირველად მასდარს (დგუმ-ორ-ი „ტკვერა“)
2. აღნიშნავს საგნის სადაურობას, წარმომავლობას (სოფელ-არ-ი „სოფლელი“)
3. მიუთითებს წინა ვითარებაზე (ნაქალაქ-არ-ი „ნოქალაქევი“)

მეგრულის ნასახელარ ზმნებში თავჩენილი -არ/-ორ ელემენტები მ. ჩუხუამ ხარისხთან დააკავშირა. მეცნიერი მოცემულ ფორმანტს ოდნაობითი ხარისხის მაწარმოებელ -ორ-ა სუფიქსის ნაშთად მიიჩნევს: ლაზ. მო-მჭით-ორ-ა/დო-მჭით-ორ-ა „მოწითალო“, რომლის სემანტიკა ჩანს მეგრულის გინმი-ჭით-ორ-უ-ან-ს "წაიწითლებს „ტიპის დერი-ვაციაში. ავტორის აზრით, მსგავსი წარმოება ჩანს სვანურშიც: წგრნი-არ-ა „მოწითალო“... (ჩუხუა 2015:72)⁵³.

ჩვენ, ემპირიული მასალის სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე, ვიზიარებთ გამოთქმულ მოსაზრებას და მეგრულში გამოვლენილ ხარისხის მაწარმოებელ -არ/-ორ სუფიქსებს გენეტიკურად ვაკავშირებთ -ან/-ონ ნიშნებთან, რომლებიც, ჩვენი აზრით, ასევე ხარისხს აწარმოებენ.

უფროობითის/შედარებითის (და არა აღმატებითის) სემანტიკით შესაბამისი ხარისხის ფორმები დღესაც სპორადულად დასტურდება მეგრულ (მარტვილურ-სენაკურ) მეტყველებაში, რიგ შემთხვევებში უფროობითი თავისი შინაარსით უდრის ოდნაობითს (2), (3).

ნიმუშები:

- (1) კარტოფილი ჭიჭე დიდარი გაგეშაგორი – ვუწიი ჩქიმი სქუას
„კარტოფილი ცოტა უფრო დიდი გამოარჩიე – ვუთხარი ჩემს შვილს“
- (2) – კუნტარეფი მოლედი, – ვაგარჩილენო, მუს გირაგადუქუ-ნი?!
„– უფრო მოკლეები წამოიდე, – არ გესმის, რასაც გეუბნები?!“
- (3) – ჭიფანეფი გაშაგორი, შხუარეფი ფეჩქის ვენთიტირე
„– უფრო წვრილები გამოარჩიე, უფრო დიდები ფეჩში ვერ შეეტევა“

(ემპ. მასალა)

⁵³ გამოთქმულ ვარაუდს ამყარებს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ე. წ. ოდნაობითი ხარისხის ფორმები წარმოშობით ნასახელარ ზმნათაგან მიღებული მიმღებობებია, რომლებმაც დროთა ვითარებაში იცვალეს ფორმა და შინაარსი და ე. წ. ოდნაობითი ხარისხის სახელებად იქცნენ (ზურაბაშვილი 1962 :643).

ჩვენი დაკვირვებით, მეგრულში ხარისხთა ფორმაწარმოება დიდ სიახლოვეს ავლენს სვანური ენის ჩოლურულ მეტყველებასთან, სადაც, მსგავსად ზემოსვანური (ბალსზემოური, ბალსქვემოური) და განსხვავებით ქვემოსვანური დიალექტებისა (ლაშხური, ლენტეხური), ხარისხის მეტობითობა სტრუქტურულად დიფერენცირებულია (იხ. შავრეშიანი და სხვ. 2017:213-218)⁵⁴. აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ტერმინი უფროობითი და შედარებითი ერთმანეთისაგან გამიჯნა მ. ჩუხუამ, რასაც მხარს უჭერს უფროობითობის - ილ სუფიქსი სვანურში და მისი -იშ შესატყვისი მეგრულსა და ლაზურში (შდრ. სვანური ხოჩ-ილ და მეგ.-ლაზ. დიდ-იშ-ი) (იხ. ჩუხუა 2016:232).

მითითებულ ავტორთა სტატიაში ჩვენს ყურადღებას იპყრობს უფროობითი ხარისხის კონფიქსური წარმოების პარალელურად გამოვლენილი ოდენ სუფიქსური წარმოების ნიმუშები.

ტაბულა 1

ქართული	დადებითი	უფროობითი	აღმატებითი	ოდნაობითი
კარგი	ხოჩა	ხოჩ-ილ	მა-ჩენ-ე	მა-ჩენ-წრა ხოჩ-ილ-რა
დიდი	ხოშა	ხოშ-ილ	მა-შენ-ე	მა-შენ-წრა ხოშ-ილ-რა
პატარა	ხოხრა	ხოხრ-ილ	მა-ჟრენ-ე	მა-ჟრენ-წლა ხოხრ-ილ-წრადაა. შ.

ილუსტრაციაში კარგად ჩანს, რომ ჩოლურული ოდნაობითის საწარმოებლად იყენებს როგორც აღმატებითის, ისე უფროობითი ხარისხის ფუძეებს. მკვლევართა აზრით, ამით იგი საგრძნობლად განსხვავდება ლაშხურ-ლენტეხურისაგან და ამ თვალსაზრით მეტ სიახლოვეს ავლენს ბალსზემოურ დიალექტთან, თუმცა წარმოების მიხედვით ბალსზემოურისაგანაც სხვაობს (იხ. შავრეშიანი და სხვ.2017: 216-218).

მეგრულშიც, მსგავსად ჩოლურულისა, უფროობითის ფორმა ამოსავალია ოდნაობითისა და ასევე აღმატებითი ხარისხისათვის. ჩვენი აზრით, ლაზურშიც, დანელიას მიერ

⁵⁴ ნ. შავრეშიანი, მ. საღლიანი, ლ. გიგლეშიანი, ზედსართავ სახელთა ხარისხის წარმოება ჩოლურულ მეტყველებაში, დიალექტოლოგიური კრებული, 37-ე დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი, 2017;

გამოყოფილ მა-ჩხვ-არ-ა „იმის სიმსხო“ ფორმაშიც (იხ. დანელია 2006:119) -არ სუფიქსი სწორედ უფროობითობის სემანტიკაზე მიუთითებს.

ტაბულა 2.

ქართული	დადებითი	უფროობითი (შედარებითი)	აღმატებითი	ოდნაობითი	თანაბრობითი
წვრილი	ჭიფე	ჭიფ-არ-ი	უ-ჭიფ-[არ]-აშ-ი	მო-ჭიფ-[არ]-ე	მა-ჭიფ-[არ]-ა
დიდი	დიდი	დიდ-არ-ი	უ-დიდ-[არ]-აშ-ი	მო-დიდ-[არ]-ე	მა-დიდ-[არ]-ა
პატარა	ჭიჭე	ჭიჭ-არ-ი	უ-ჭიჭ-[არ]-აშ-ი	მო-ჭიჭ-[არ]-ე	მა-ჭიჭ-[არ]-ა

მეგრულში სტატისტიკურ მონაცემთა ანალიზი ცხადყოფს, რომ ხარისხის მეტობითობა დიფერენცირებულია შესაბამისი მორფოლოგიური ნიშნებით და ეს გამოკვეთილად ჩანს გაზმნავებულ სახელებში, რომელთა ამოსავალი ფუძე ზედსართავი სახელია. ოდენ - არ/-ორ მორფემებით წარმოქმნილ სახელებში საგნის ნიშან-თვისება დადებით ფორმასთან შედარებით მეტი ხარისხისაა, ხოლო უ-აშ კონფიქსით მიღებულ სახელებთან – მაქსიმალური.

ზოგადად, მეგრულში გამოყოფილია ხარისხის ოთხი ფორმა: დადებითი – თანაბრობითი – უფროობითი (resp. აღმატებითი) – ოდნაობითი (resp. შედარებითი). აქ არ არის დიფერენცირებული ხარისხის მეტობითობა (უფროობითი) და მაქსიმალურობა (აღმატებითი) (იხ. ქირია და სხვ., 2015: 205). თუმცა უნდა ითქვას, რომ ქართულშიც არ არის საერთო აზრი იმის შესახებ, ხარისხის მეტობითი ფორმა უფროობითია თუ აღმატებითი (თ. მა-ხარობლიძე).

დადებითი	ჭიფე	„წვრილი“
უფროობითი (შედარ.)	ჭიფ-ან/-არ-ი	„უფრო წვრილი“
აღმატებითი	უ-ჭიფ-[ან/არ]-აშ-ი	„უწვრილესი“
ოდნაობითი	მო-ჭიფ-[ან/არ]-ე	„მოწვრილო“
თანაბრობითი	მა-ჭიფ-[ან/არ]-ა	„ისეთი წვრილი, როგორც“ ⁵⁵

⁵⁵ მა-აკონფიქსით ნაწარმოები თანაბრობითი ხარისხი გამოყოფილია ი. ყიფშიძის მიერ. ხარისხის ეს ფორმა გამოხატავს, რომ საგანი, რომელიც უნდა დახასიათდეს, და საგანი, რომელსაც ის უნდა შეუდარდეს, ორივე თანაბარი ზომით შეიცავს ზედსართავით გამოხატულ თვისებას (ჯაშ მა-მაღალ-ა კოჩი „ხესავით მაღალი კაცი“ / ხის სიმაღლის კაცი“) (ყიფშიძე 1914).

-ორ/-არ სუფიქსიან უფროობითი ხარისხის ატრიბუტივთა გაზმნავებისას იკვეთება ხარისხი + გარდაქცევითობის სემანტიკა (დამხუარება „უფრო დამხვილება“, გაუჩარება „უფრო გაშავება“, დაჭიჭარება „უფრო დაპატარავება“), რომელიც ნასახელარი ზმნათათვის ძირითადი სემანტიკური მახასიათებელია. იგივე შინაარსი ჩანს უფროობითი ხარისხის მქონე ვითარებითი ბრუნვით წარმოდგენილ სახელებშიც:

შხუ-არ-ო(თ) ამირედუ მუში ძლაბი

„უფრო მსუქნად ეჩვენებოდა თავისი გოგო“

(*ემბ. მასალა*)

ცხადია, ვითარებითი ბრუნვა თავისთავად გარდაქცევითობის სემანტიკისაა, სწორედ ამიტომაც უწოდებენ მას გარდაქცევით ბრუნვასაც (ჩიქობავა 1936:51).

4.1.4.2. R-ან სტრუქტურის აქტივები ლაზურში. ლაზურში ემპირიული მასალის ანალიზისას ჩვენი ყურადღება მიიპყროატრიბუტულფორმებშიდადასტურებულმა -ონ სუფიქსმა, რომელიც გაზმნავებულ ფუძეებში -ან-ის სახით არის წარმოდგენილი. ლაზური ონ-ი ქართული ან-ის ეკვივალენტად არის მიჩნეული (ჩიქობავა 1942:86; შანიძე 1973:144; დანელია 1976:108).

ზოგადად, -ონ სუფიქსის გამოყენება ლაზურში, მსგავსად მეგრული არ-ისა, მრავალფუნქციურია:

1. „ონ-ი [> ონ-ი] გამოიყენება არსებით სახელთაგან ზედსართავ სახელთა საწარმოებლად, რომელნიც აღნიშნავენ რისამე ქონებას ანდა რისამე სიჭარბეს, მაგ.: შექერონი (=შაქრიანი), ნოსონი (=ჭკვიანი), ნოსტონი (=გემრიელი) (მარი 1910:73);

2. ზმნისეული ფუძისაგან -ონ სუფიქსის გამოყენებით მიიღება მოქმედი სახელი: ჭარონი (=მწერალი) (იხ. მარი 1910:73). აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მოცემულ ნაშრომს ერთვის ლექსიკონი, რომელშიც -ონ-ი წარმოდგენილია მხოლოდ არსებით სახელებთან და მას ქართულში ქონების -იან და -იარ სუფიქსები შეესატყვისება.

3. „-ონ სუფიქსი აღნიშნავს ადგილს, სადაც რაიმე მცენარე ხარობს, მაგ.: თხირონა, ბინეხონა. მეგრულშიც ამ -ონ სუფიქსს ფართო გავრცელება უნდა ჰქონოდა; საკუთარ სახე-

ლებში მისი ხმარება ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს“ (ჩიქობავა 1926 : 305-306). მაგ. ტოპ. აფხაზ-ანა < *აფხაზ-ონა; შდრ. ჯაპ-ანა < ჯაპ-ონა (ქირია და სხვ. 2015:192).

4. -ონ-ი სუფიქსით გამოხატულია კუთვნილება, ხჩე-ონ-ი//ქჩე-ონ-ი ფორმებს უდასტურდებათ სხვა მნიშვნელობაც: „თეთრთმიანი, ჭადაროსანი“ (შენგელია ე. 2011:93-96).

ჩვენ ლაზურში ატრიბუტივებთან გამოვყოფთ სხვა ფუნქციისა და წარმომავლობის -ონ (< -ან) სუფიქსს, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას, ნეიტრალურთან შედარებით, ნაკლები ოდენობით წარმოგვიდგენს, ანუ მას ზედსართავი სახელის ხარისხის წარმოებასთან ვაკავშირებთ. მსგავსი ფორმები დღესაც აქტიურად გამოიყენება ლაზურ მეტყველებაში: უჩ-ონ-ი „მოშავო“, მჭით-ონ-ი „მოწითალო“, მჯვე-ონ-ი „მოდველო“, მკოლ-ონ-ი „მომწარო“, ელა-მჟა-ონ-ი/ელა-მჟა-ოჯ-ი „მომჟავო“...

ნიმუშები:

(1) რაკანის ხჩეონი ფუქირეფე იძირეტუ

„მაღლობზე მოთეთრო ყვავილები მოჩანდა“

(2) მჯვეონი დოლოქუნეფე ბაშქაფეს ქომეფჩი

„უფრო ძველი ტანსაცმელები სხვებს მივეცი“

(3) ელამჟაონი/ელამჟაოჯი გდარი მეპყოდ

„მომჟავო საჭმელები გადავყარე“

(ემპ. მასალა)

აღსანიშნავია, რომ კ. დანელიამ ლაზურში გამოავლინა თანაბრობითი ხარისხის გამომხატველი ფორმა მა-პეჯ-ან-ა, რომელიც ნაწარმოებია პეჯ-ი (=„სქელი“) სიტყვისაგან. მაგ., „ოთხო კითიშ მაპეჯანა ფიცარიში იქიფან ბალუ „ოთხი თითის სისქის ფიცრის ბედელს აკეთებენ“ (ჩიქ., 1, 148)“ (იხ. დანელია 2006:119).

რაც შეეხება -ონ-ის წარმომავლობას, ერთი შეხედვით ადგილი საფიქრალია, რომ იგი უკავშირდებოდეს ძველბერძნულ წარმოებას. ცნობილია, რომ ბერძნულ-ლაზურ ენობრივ კონტაქტებს ადგილი ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში ძვ. წ. პონტოს რეგიონში⁵⁶, შემდგომ კი - ბიზანტიის იმპერიის პერიოდში, მითუმეტეს -ონ სუფიქსი

⁵⁶ ზოგადად, ბერძნულის ლინგვისტური გავლენა უცხო არ არის ლაზურისათვის. მაგ. არნ. ჩიქობავას აზრით, ხოფურში მყოფადის მეშველზმნიანი ფორმაწარმოება (მინონ „მინდა“...) უნდა გაჩენილიყო XII –XIV სს-დან ბერძნული გავლენით (ჩიქობავა 1944:115).

ხარისხის აღნიშვნის ფუნქციით დასტურდება ძველბერძნული ენის ატიკურ დიალექტში. ამ დიალექტში ზედსართავი სახელების ნაწილი შედარებითი ხარისხის საწარმოებლად დაირთავს *ίαν/ion* (მამრობითი / მდედრობითი სქესისთვის) და *ιον/ion* (სამუალ სქესისთვის) სუფიქსებს:

καλός „მშვენიერი“ *καλίων, ιον* „უფრო მშვენიერი“ *κάλλ-ιστος* „უმშვენიერესი“
ταχός „სწრაფი“ *θάπτων, θάπτων* „უფრო სწრაფი“ *τάχ-ιστος* „უსწრაფესი“
μέγας „დიდი“ *μείζων, μείζων* „უფრო დიდი“ *μέγ-ιστος* „უდიდესი“
άγαθος „კარგი“ *άμείνων, άμείνον* „უფრო კარგი“ *άρ-ιστος, -η, -ον* „უკეთესი“
όλιγος „მცირე“ *έλάττων, έλάττων* „უფრო მცირე“ *όλιγ-ιστος* „უმცირესი“
(იხ. გიორგობიანი 2017:140).

ამავე დროს, *-ან/-ონ* ხარისხის წარმოების ფუნქციით ასევე გამოვლენილია ძველ ქართულში და აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში.

მაგალითად, ძველ ქართულში, ი. იმნაიშვილის შენიშვნით, „წით“ ფუძიდან ორნაირი ფორმა გვხვდება: „მოწითლე“ და „მოწითანე“, რომლებიც საწარმოებელ ფუძეზე ორი სხვადასხვა სუფიქსის დართვით არის მიღებული: წით-ელ და წით-ან. (მაგ. „და არს მოწითანე თუალი იგი, რომელ პოვეს ქვის მთლელთა (თუალთ. 23, 27) (იხ. იმნაიშვილი ი. 1957:457).

ი. იმნაიშვილი ასევე აღნიშნავს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ყვითელის ოდნაობითი ხარისხი ორჯერ გვხვდება: მოყვითანე და მოყვითანო (იქვე, 456). სულხან-საბას ლექსიკონში ფორმა მო-ყვით-ან-ო განმარტებულია როგორც „მოყვითალო ფერი“ (იხ. სულხან-საბა).

ჩვენი აზრით, ოდნაობითის ფორმების საბაზისო ფუძეებში (წით-ან, ყვით-ან) გამოვლენილი *-ან* სუფიქსი შედარებით ხარისხზე მიუთითებს. უფროობითი (resp. შედარებითი) ხარისხის *-ან-იან* ფუძეს კი (წით-ან), მსგავსად მეგრულის *-არ-იანი* ფუძეებისა და სვანური ენის ჩოლურული ნიმუშებისა, ეყრდნობა ოდნაობითი ხარისხის ფორმა (მო-წით-ან-ო).

აღსანიშნავია, რომ უფროობითი ხარისხის ძველისძველ ფორმად არის მიჩნეული სიტყვა: უ-კუ-ან-ა, რომელიც „კულთან“ არის დაკავშირებული (შანიძე 1936:340).

რაც შეეხება ქართული ენის მთის დიალექტებს, სადაც უფრო მეტად არის დაცული ენის არქაული ვითარება და რაც თავისთავად მდიდარ წყაროს წარმოადგენს ზეპირმეტყველების ენების კვლევისათვის, აქ შენიშნულია, რომ -ონ-ა სუფიქსი, ასევე მო-(მა-) და წა- პრეფიქსები ხევესურულსა და ფშაურში აწარმოებენ ოდნაობითი ხარისხის ფორმებს. მაგ. ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს: „ზოგ დიალექტში დაჩნდება განსხვავებული მაწარმოებლებიც (ეს ეხება მხოლოდ ოდნაობითი ხარისხის ფორმებს): წა-წითლ-ო (ფშაური), წითლ-ონ-ა (ხევესურული)// და-წითლ-ო (აჭარული) „მოწითალო“ (იხ. ჯორბენაძე 1995: 141).

ასევე -ონ ხარისხის ფუნქციით არის გამოყენებული შემდეგ ცოცხალ ნიმუშში: „თვალ მოვკარ, წითლონ (=მოწითალო) რამ გადმაეფარა (სოფ. გომეწარი, მთქმელი ბ. მახაური, 2012). „თვალი მოვკარი, მოწითალო რამე გადმოვიდა“.

ამ თვალსაზრისით, უაღრესად საინტერესოა ხევესურულ დიალექტში აღ. ჭინჭარაულის მიერ გამოვლენილი ნასახელარ ზმნათა შემდეგი ნიმუშები:

წითელი : წასწითო[ვ]ის, ყვითელი : წახყვითო[ვ]ის

„კა ლუდი, მაგრემ დაფერულ ვერ-ა, წახყვითოს“ (იხ. ჭინჭარაული 1960).

მოცემულ ზედსართავ სახელებში გამოყოფილი -ოვ, ავტორის აზრით, თემის ნიშანია, რომელიც ოდნაობით ხარისხზე მიუთითებს (იქვე, 149)⁵⁷.

ცნობილია, რომ ზანურის სპეციფიკური თანაბრობითი ხარისხის ფორმა ეყრდნობა თვისება-შედარების პრინციპს („ისეთივე ლამაზი, როგორიც...“), რითაც იგი შინაარსობრივად უტოლდება ქართული -ოვან სუფიქსის ერთ-ერთ თვისება-შედარების გამოხატვის ფუნქციას (მცირედი სემანტიკური სხვაობით), მაგ.. ხავერდოვანი ავეჯი (=ხავერდივით რბილი ავეჯი), ჰაეროვანი კრემი (=ჰაერივით მსუბუქი კრემი). ცხადია, აქ -ოვან სუფიქსი არსებით სახელებთან არის გამოყენებული, მაგრამ, მიღებული

⁵⁷ ზოგადად, ზმნურ და სახელურ ფუძეებში ერთი და იმავე აფიქსის გამოყენება სხვადასხვა ფუნქციით უცხო არ არის ქართველური ენებისათვის. ცნობილია, რომ ხარისხის (resp. უფროობითი) ფორმები ზმნური წარმოშობისაა (შანიძე 1936:333-334).

თვალსაზრისით, „-ოვ-ან სუფიქსი არა მარტო აწარმოებს არსებით სახელთა ფუძეს, არამედ გვხვდება ვითარებით ზედსართავ სახელებთან. გვაქვს ეკალ- : ეკლ-ოვან-ი და, მეორე მხრივ, პატარა – პატვრანი (პატარ-ოვან-ი)“ (ცხადაძე 1984:358). ასევე საყურადღებოა, რომ ნიშან-თვისების მქონებელ -მან სუფიქსს ქართულში (ძველ-მანი, წვრილ-მანი) -ოვან-ისაგან მიღებულად მიიჩნევენ შემდეგი ფონეტიკური გარდაქმნის გზით: ძველ-ოვან-ი > *ძველ-ვან-ი > ძველ-მან-ი (ვ/მ თანხმოვანთა სუბსტიტუციით) (იხ. ჯორბენაძე და სხვ. 1988:284, 349).

ჩვენი აზრით, ქართულის -ან, ლაზურის შედარებითი ხარისხის -ონ (ჭით-ონ-ი „მოწითალო“) და აქტივებში გამოვლენილი -ან (ო-მჭით-ან-ეფს „აწითლებს“ კონვერსიული პასივი: ი-მჭით-ან-ენ „წითლდება“), ასევე მეგრულის ე.წ. დონიან ფორმებში გამოვლენილი -ონ (ჭით-ონ-დუნ „წითლდება“) ერთი და იგივეა. სავარაუდოდ, იგი ნიშან-თვისების გამომხატველი -ოვან-იდან მომდინარეობს: *ოვან > ოან > ოონ > ონ. აღსანიშნავია, რომ გ. კლიმოვს ქართულ-ზანური ერთიანობის ხანისათვის აღდგენილი აქვს *მ-ხც1-ოან და *ხც1-ე არქეტიპები (კლიმოვი 1964:159).

ლაზურში ატრიბუტივებთან გამოვლენილი -ონ (<-ან), გაზმნავებისას, კერძოდ, მოქმედებითი გვარის წარმოებისას რეგრესული დისიმილაციით იცვლება -ან-ით (მაგ. მკოლო „მწარე“ → მკოლ-ონ-ი „მომწარო“ → *ო-მკოლ-ონ-ეფ-ს → ო-მკოლ-ან-ეფ-ს „ამწარებს“ შდრ. ო-პეჯ-ან-ეფ-ს „ასქელებს“)⁵⁸:

- (1) ADJ: კაპეტი „მაგარი, ძლიერი“ COMP: კაპეტ-ონ-ი „მომაგრო“
ACT: ო-კაპეტ-ან-ეფ/-ემ-ს „აძლიერებს, ამაგრებს“ PASS: ი-კაპეტ-ან-ენ „მაგრდება“
- (2) ADJ: მკულე „მოკლე“ COMP: მკულ-ონ-ი „უფრო მოკლე“
ACT: ო-მკულ-ან-ეფ/-ემს.ACT „ამოკლებს“ PASS : ი-მკულ-ან-ენ-ი „მოკლდება“
- (3) ADJ: მსქვა „ლამაზი“ COMP: მსქვა-ონ-ი „ნაკლებ ლამაზი“
ACT: ო-მსქვ-ან-ეფ/-ემ-ს „ალამაზებს“ PASS : ი-მსქვ-ან-ენ „ლამაზდება“

⁵⁸ -ან-იანი ფუძეა წარმოდგენილი შესაბამისი ვნებითი გვარის ფორმებშიც, რაც მხარს უჭერს სხვა საკითხთან დაკავშირებით, ჩვენს ვარაუდს, კერძოდ, ლაზურში ნასახელარი ზმნის ვნებითი გვარი ეყრდნობა შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფუძეს და არა სახელურს.

- (4) ADJ: ტუცა „ცხელი“ COMP: ტუც-ონ-ი „მოცხელო“
ACT: ო-ტუც-ან-ეფ/-ემ-ს „აცხელებს“ PASS: ი-ტუც-ან-ენ „ცხელდება“
- (5) ADJ: მკოლო „მწარე“ COMP: მკოლ-ონ-ი „მომწარო“
ACT: ო-მკოლ-ან-ეფ/-ემ-ს „ამწარებს“ PASS: ი-მკოლ-ან-ენ „მწარდება“
- (6) ADJ: გინძე „გრძელი“ COMP: გინძ-ონ-ი „მოგრძელო“
ACT: ო-გინძ-ან-ეფ/-ემ-ს „აგრძელებს“ PASS: ი-გინძ-ან-ენ „გრძელდება“
- (7) ADJ: ქჩე „თეთრი“ COMP: ქჩე-ონ-ი „მოთეთრო“
ACT: ო-ხჩ-ან-ეფ/-ემ-ს „ათეთრებს“ PASS: ი-ხჩ-ან-ენ „თეთრდება“
- (8) ADJ: ჩუჩქუ „რბილი“ COMP: ჩიჩქ-ონ-ი „მორბილო“
ACT: ო-ჩიჩქ-ან-ეფ/-ემ-ს „არბილებს“ PASS: ი-ჩიჩქ-ან-ენ „რბილდება“
- (9) ADJ: უჩა „შავი“ COMP: უჩ-ონ-ი „მოშავო“
ACT: ო-უჩ-ან-ეფ/-ემ-ს „აშავებს“ PASS: ი-უჩ-ან-ენ „შავდება“

აღსანიშნავია, რომ ნიშან-თვისების გამომხატველი სახელების მოქმედებითი გვარი ზანურში, ძირითადად, კაუზაციური წარმოების გზით არის მიღებული. ცნობილია, რომ კონფიქსურად ნაწარმოები მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნები გარდაქცევითობას გამოხატავენ (შანიძე 1957:35-36; ჯორბენაძე 1975:110). ლაზურის ოდნაობითის ხარისხის ნიმუშთა (ტუცონი „მოცხელო“) გაზმნავება სემანტიკურად ემსახურება მათ გარდაქცევას, ნეიტრალურ კონდიციამდემიყვანას (ოტუცანეფს „აცხელებს, ცხელს ხდის“).

აღნიშნული საკითხი ზოგადად, ხარისხის წარმოების ფუნდამენტურ კვლევას მოითხოვს ზანურში. ჩვენ კი ამგვარი ფორმათა განხილვის აუცილებლობა ნასახელარ ზმნათა მოქმედებითი და ვნებითი განსხვავებულმა მორფოლოგიამ გადაგვაწყვეტინა.

ამრიგად, ზანურის მოქმედებითი გვარის ნასახელარ ზმნებში გამოყოფილი პირველადი ზმნებისაგან განსხვავებული ელემენტები, რომელთა ანალოგი ძველ ქართულში და

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებსა და სვანურში მოიპოვება საერთოქართველურია. მსგავსი წარმოების ნიმუშები, აქტივთათვის დამახასიათებელი საერთო ყალიბისა და კონსტრუქციის მიხედვით, მოქმედებითი გვარის ზმნათა კაუზაციური წარმოების პირველ ქვეჯგუფში გავაერთიანეთ.

5. II თავის დასკვნა

მეგრულ-ლაზურის მოქმედებითი გვარში მსგავსი მორფოლოგიური ფორმისა და სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით გამოიყო ხუთი ჯგუფი:

1. R-ATM-ს

- ა) R-ATM-ს – პირველადი აქტივები
- ბ) R-ATM-ს – რელატიური აქტივები

2. CV-R-(უ)-ATM-ს

- ა) CV-R-ATM-ს – მარტივფუძიანი კაუზაქტივები
- ბ) CV-R-უ-ATM-ს – რთულფუძიანი კაუზაქტივები

3. MSD+AUX-ს – აღწერითი აქტივები

ეს უკანასკნელი, აღწერითი ჯგუფი, თურქული ენის გავლენით არის შექმნილი და დამახასიათებელია მხოლოდ ლაზურისათვის. მოცემული ყალიბები აერთიანებს როგორც პირდაპირგარდამავალ, ისე ირიბგარდამავალ და გარდაუვალ ფორმებს.

ზანურში მოქმედებითი გვარის ფუძე თემატურია, იშვიათად გვხვდება ათემატური ფუძეები. მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის მაწარმოებელი ძირითადი თემის ნიშნებია: -უნ/-უფ/-უმ და -აფ/-ამ/-ან. ბოლო ჯგუფი, უფრო მეტად, კაუზაციურ წარმოებაში მონაწილეობს. კაუზაციურ აქტივებთან მეგრულში გვხვდება როგორც ო-, ისე ქართული ა-პრეფიქსი, ხოლო ლაზური სტაბილურად ორგნული ო- ხმოვნითაა წარმოდგენილი, ანუ ქართული ა-R-ებ აფიქსები მეგრულში რეალიზებულია ო-R-აფ, ო-R-უ-ან და ა-R-ე-ნ სახით, ხოლო ლაზური, ძირითადად - ო-R-აფ/ამ, ო-R-ეფ/ემ სტრუქტურებით.

მეგრულ-ლაზურში მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის S3 პირი შესაბამისი პასივისაგან -ს ნიშნით განსხვავდება.

მეგრული მესამე სერიის ფორმებს ინვერსიულად აწარმოებს, ლაზური კი, ძირითადად, არაინვერსიულად. აქ დამკვიდრებულია მეშველზმნიანი „აორისტი + -ერენ/-დორენ „არის“ აღწერითი წარმოება და, შესაბამისად, დაცულია აორისტის ერგატიული კონსტრუქციაც. ქართველურ, ინვერსიული წარმოების ფორმებთან კონსტრუქცია დატიურია.

შედარებით ახალი წარმოების ევიდენციალურ ნო-R-ე-ნ პრეფიქსიან ფორმებს (IV სერია) მეგრული რეგულარულად აწარმოებს, ლაზური - სპორადულად. ამ შემთხვევაში ლაზურის I თურმეობითის მეშველზმნიანი ფორმა მხოლოდ ნო- პრეფიქსს დაირთავს.

მოქმედებითი გვარის ნასახელარი ზმნათა ფუძე პირველადი ზმნებისაგან მეგრულში -არ/-ორ სუფიქსებით, ხოლო ლაზურში -ან სუფიქსით განსხვავდება. მოცემულ ფორმანტებს ხარისხის მაწარმოებლებად განვიხილავთ.

ლაზურში მოქმედებითი გვარის ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშია დრო-კილოთა ყველა ჯგუფში, ხოლო მეგრულში, მსგავსად ქართულისა, სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვებით არის წარმოდგენილი.

თავი III

ვნებითი გვარი მეგრულ-ლაზურში

ვნებითია გვარი ზანურში, როდესაც გრამატიკულად განსაზღვრული ფორმით, შესაბამისი მოდელითა და კონსტრუქციით, წარმოდგენილია პასიური ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა.

ვნებითი გვარის მოდელის შექმნაში მონაწილე ელემენტები -/ა-ხმოვანპრეფიქსი, -უ/-ესუფიქსი და S3 პირის -ნ ნიშანია. თვალშისაცემია პრეფიქსთა დიდი სიახლოვე ქართულთან და ცხადია მათი საერთო წარმომავლობა, თუმცა სუფიქსებით მეგრულ-ლაზური მკვეთრად განსხვავდება ქართულისაგან (იხ. დანელია 1976:165-175).

ცნობილია, რომ აქედან რომელიმე კონკრეტული ფორმანტი ისტორიულად აღნიშნული გვარის კუთვნილება არაა, თუმცა ისინი კომბინირებულად ქმნიან ვნებითისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ მორფომოდელს, რითაც იგი უპირისპირდება შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნათა ყალიბს. შდრ. (ი/ე)-R-(atm)-უ/ე-ნ და (ო/ა)-R-(უ)-ATM-ს.

ვნებითი გვარის კონსტრუქცია ნომინატიურია დრო-კილოთა ყველა ჯგუფში, გარდა ნამყო ძირითადისა, სადაც მეგრულის ფორმები ერგატიული კონსტრუქციითაა წარმოდგენილი. გვარეობრივ სტრუქტურათა შესწავლისა და ლინგვისტური კლასიფიკაციისათვის, ცხადია, მას „პრინციპული ღირებულება არა აქვს“ (ჩიქობავა 2014:162), თუმცა მოცემულ საკითხს ჩვენ ვრცლად განვიხილავთ ქვემოთ, პასიურ ფორმათა სინტაქსური ანალიზისას.

1. დამოუკიდებელი და კონვერსიული ვნებითი

წარმოების მიხედვით მეგრულ-ლაზურში გამოვყოფთ ორი ტიპის ვნებითს – დამოუკიდებელსა და კონვერსიულს.

დამოუკიდებელ ვნებით გვარში ვაერთიანებთ ნომინატიური კონსტრუქციის R-(უ)-უ-ნ/R-დ-უ-ნ ყალიბის მქონე არქაულ ნიმუშებს, რომლებიც არ არიან მიღებული სათანადო მოქმედებითი გვარის ფორმებისაგან. ისინი დამოუკიდებლად, ძირითად, სახელურ

ფუძეზე დაყრდნობით, შესაბამისი მორფოლოგიური სტრუქტურითა და სინტაქსური ყალიბით, ქმნიან ვნებითი გვარისათვის დამახასიათებელ მორფომოდელს. ასეთი ტიპის მცირერიცხოვანი ზმნური ჯგუფები არქაულ ფენას განეკუთვნება.

კონვერსიულ წარმოებაში კი განვიხილავთ შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფუძისაგან მიღებულ კონფიქსური წარმოების ნიმუშებს.

ზანურში, ემპირიული მასალის მიხედვით, მოქმედებითი გვარის თითქმის ყველა ტიპის ზმნა, მათ შორის პირველადი აქტივები, აწარმოებს ვნებითის ფორმას. პრეფიქსული ვნებითი, უგამონაკლისოდ, კონვერსიის პრინციპზე დგას და აუსლაუტში შესაბამისი ორი ნიშნითაც არის წარმოდგენილი. ვნებითის კვალიფიკაცია ეძლევა მხოლოდ იმ ფორმებს, რომლებიც ამ გზით არიან მიღებული.

თანმიმდევრულად განვიხილავთ ვნებითი გვარის გრამატიკული ფორმის შექმნაში მონაწილე სინტაქსურ კონსტრუქციებსა და მორფოლოგიურ ყალიბებს, სათანადო ილუსტრაციების მოხმობით.

1.1. სინტაქსური კონსტრუქციები. ცნობილია, რომ ზოგადად ზმნურ სისტემაში დატიური და ნომინატიური კონსტრუქციები უწინარესია, ხოლო გვართა ოპოზიციურ სისტემაში – ერგატიული (არნ. ჩიქობავა).

ნომინატიური კონსტრუქცია გვხვდება პირველად სტატიკურებთან და ვნებით გვართან, ანუ ფორმებთან, რომელთა ქვემდებარე ინაქტიურია. პასივის კონსტრუქცია ლაზურში დრო-კილოთა ყველა ჯგუფში, მსგავსად სალიტერატურო ქართულისა, სტაბილურად ნომინატიურია. მეგრული კი ნამყო ძირითადად ერგატიული კონსტრუქციითაა წარმოდგენილი (წყარ-ქ გოტიბუ „წყალმა (=წყალი) გათბა“). აღნიშნული ფაქტი სამეცნიერო ლიტერატურაში ანომალიურად არის შეფასებული, რადგან ერგატიულობა ქართველურ ენათა მოქმედებითი გვარისათვის დამახასიათებელი ძირითადი კონსტრუქციაა, ასევე მთის კავკასიურ ენებშიც იგი გარდამავალ ზმნათა ერთადერთკონსტრუქციად არის მიჩნეული (იხ. ჩიქობავა 2014:16).

1.1.1. ერგატიული კონსტრუქცია. მეგრულის სპეციფიკური კონსტრუქცია პირველად ი. ყიფშიძემ შეამჩნია (ყიფშიძე 1914). ზოგადად, ერგატიულობა ვნებითი

გვარის ნამყო-ძირითადის ფორმებში დამახასიათებელია ქართული ენის იმერული, გურული, იმერხეული, მთიულური და სხვ. დიალექტებისთვისაც (იხ. თოფურია 1954). გამოყენების სიხშირით კი გურული და ქვემოიმერული გამოირჩევა. აღნიშნული ფაქტი ი. ყიფშიძემ მეგრული ენის გავლენით ახსნა (ყიფშიძე 1914:15). თუმცა ვ. თოფურია პასიურ ფორმათა ერგატიულობას საერთო ქართულ-მეგრულ მოვლენად მიიჩნევდა, რომელიც დამახასიათებელი იყო ქართული ენის აღმოსავლური კილოებისთვისაც. მეცნიერის აზრით, „ეს პროცესი მეგრულში კარგა ხანია დამთავრდა (კოჩქ დოღურუ „კაცმა მოკვდა“). ქართული ენის კილოებიდან ფართოდ გავრცელდა გურულში და აგრეთვე ქვემოიმერულში, ფეხს იკიდებს რაჭულში, ქართლურში, კახურში და სხვაგანაც და, რაც საინტერესოა, ფერეიდნულში... ამგვარად, ეს მოვლენაც საერთოა მეგრული ენისა და ქართული კილოებისათვის. მის წარმოშობას საერთო საფუძველი უძევს. ესაა: აქტიური, დინამიკური ზმნების გათანაბრება და მასთან II სერიაში ქვემდებარის უნიფიკაცია მოთხრობით ბრუნვაში. ჩანს, აქაც ტენდენციაა უნიფორმაციისაკენ“ (თოფურია 1954:454-455).

ჩვენ ვიზიარებთ გამოთქმულ თვალსაზრისს და ერგატიულობას ქართულ-მეგრულ მოვლენად მივიჩნევთ. რეფლქსიური ფორმებისაგან წარმოქმნილი სათავისო ქცევისა და პრეფიქსული ვნებითის მორფოლოგიურად იდენტური ფორმები II სერიაში (შეიკერა მან ის და შეიკერა ის) სინტაქსურადაც გათანაბრდნენ, უფრო სწორად, აქტიურობისკენ მიდრეკილი პასივი გაუტოლდა აქტივს. ცხადია, ეს მოვლენა გავრცელდა ქართული ენის არანორმირებულ დიალექტებში და მასთან ყველაზე ახლოს მდგომ მეგრულ ენაში.

არნ. ჩიქობავა აღნიშნულ პროცესს, ზოგადად, მეორეულად მიიჩნევს როგორც ქართული ენის კილოებში, ისე ზანურშიც. მისი აზრით, „ერგატიული კონსტრუქცია გარდაუვალ ზმნასთან - ესაა ახალი და თავისებური მეგრულში, რომელსაც პრინციპული ღირებულება არა აქვს... ერგატიული კონსტრუქცია გარდამავალი ზმნის კონსტრუქციაა“ (ჩიქობავა 2014:162; 14,17).

1.1.2. ნომინატიური კონსტრუქცია. ბუნებრივი და ამოსავალი ვნებითი გვარის ფორმებისათვის ნომინატიური კონსტრუქციაა. სტაბილურად ამ კონსტრუქციითაა წარმოდგენილი ლაზური დრო-კილოთა ყველა ჯგუფში და მეგრულიც, გარდა აღნიშნული მეორე სერიისა.

მეგრული	ლაზური	ქართული
I სერია: ი-ჭარ-უ-უ-ნ წერილ-ი	ი-ჭარ-ე-ნ ქარტალ-ი	„იწერება წერილი“
II სერია: დ-ი-ჭარუ წერილ-ქ	დ-ი-ჭარუ ქარტალ-ი	„დაიწერა წერილი“
III სერია: დო-ჭარ-ელე-ნ წერილ-ი	ჭარ-ელერე-ნ ქარტალ-ი	„დაწერილა წერილი“
IV სერია: ნო-ჭარ-უ-ე წერილი-ი	ჭარუ-დორენ ქარტალ-ი	„თურმე დაწერილა წერილი“

კონსტრუქციის მიხედვით მეგრულში მოქმედებითი და ვნებითი გვარის იდენტიფიცირება მხოლოდ მესამე სერიაშია შესაძლებელი, რადგან აქ პასიურ ფორმათა კონსტრუქცია ნომინატიურია, ხოლო აქტივთა - დატიური (ახალაია 2004).

II სერია (AOR)

ACT: მორდუ კოჩ-ქ „გაზარდა კაცმა“

PASS: მირდუ კოჩ-ქ „გაიზარდა კაცმა (=კაცი)“

III სერია (REZ1)

ACT: მოურდუნ კოჩი-ს „გაუზრდია კაცს“

PASS: მორდელე კოჩ-ი „გაზრდილა კაცი“

ლაზურში მესამე სერიაშიპირდაპირი წყობის მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმები ერთნაირად იწარმოება (-დორენ //-ერენ):

III სერია

ACT: დორდ-ერე-ნ კოჩიქ „გაუზრდია კაცმა (=კაცს)“

PASS: დირდ-ერე-ნ კოჩი „გაზრდილა კაცი“

2. ვნებითი გვარის ფორმათა წარმოება

2.1. საყრდენი ფუძე. მეგრულ-ლაზურში ვნებითი გვარის წარმოებასთან დაკავშირებით არსებობს თვალსაზრისი, რომ ვნებითი გვარი არ მიიღება სათანადო

მოქმედებითის აწმყოს ფუძეზე დაყრდნობით. შესაბამისად, იგი არ შეიცავს აწმყოს ფუძის სუფიქსებს, რომლებიც ახალ ქართულში ამგვარი ფორმებისათვის (ხშირად გართულებული -ებ სუფიქსით) არის დამახასიათებელი (ჩიქობავა 2014:139-140);

ჩვენ ვფიქრობთ, რომ მეგრულ-ლაზურში დამოუკიდებელი ვნებითი ეყრდნობა სახელურ ფუძეს (ტიბ-უ > ტიბუ-უნ „თბილი > თბება“ ჭითონი > ჭითონდ-უნ „მოწითალო > წითლდება“), ხოლო კონვერსიული ვნებითი სათანადო მოქმედებითი გვარის ფუძეს. შესაბამისად, კონვერსიისას მეგრულის ვნებით გვარში წარმოჩენილია ის თემატური სუფიქსები (სრულად ან ნაწილობრივი რედუქციით), რომლებიც დამახასიათებელია მოქმედებითისათვის. ლაზურის ვნებით გვარში კი აღნიშნული სუფიქსები მხოლოდ იმ შემთხვევაში იჩენს თავს, თუ მისი ფუძე ბოლოვდება -უ ნიშანზე, -ე-ს შემთხვევაში მოქმედებითი გვარის ნიშნები რედუცირებულია.

ემპირიული მასალის მონაცემთა ბაზის მიხედვით, ზანურში რეალიზებულ ყველა აქტიურ ფორმას,⁵⁹ უგამონაკლისოდ, შესაბამისი პასივი შეესატყვისება. მისი წარმოება მეგრულში ძველი ქართულისებურია (ი-კლ-ვ-ი-ს, ი-დგ-მ-ი-ს, ი-წერ-ებ-ი-ს)⁶⁰.

როგორც აღინიშნა, ვნებით გვარში საბაზისო მოქმედებითის თემატური ფუძე წარმოდგენილია სრული სახით: -ამ, -უმ, -ებ სუფიქსებით, ან სუფიქსთა ნაწილობრივი რედუქციით: -უ (<-*უვ), -ე (<-ევ), რასაც განაპირობებს ფონემური გარემოცვა, არამდგრადი -ვ ფონემა ინტერვოკალურ პოზიციაში ყოველთვის რედუცირებულია: -*უვ > -უ.

ვნებითი გვარი მეგრულში ი-R-უ ხოლო ლაზურში - ი-R-ე სტრუქტურისაა, სადაც R= მოქმედებითი გვარის თემას.

წარმოვადგენთ მოქმედებითი გვარის ყველა ტიპის საბაზისო ფორმას, რასაც ეყრდნობა ვნებითი გვარი.

ნიმუშები (მეგრული):

ACT: დგ-უნ-ს	„დგამს“	PASS: ი-დგ-უმ-უნ	„იდგმება“
ACT: ნწყ-უნ-ს	„ხსნის“	PASS: ი-ნწყ-უმ-უნ	„იხსნება“
ACT: ობ-უნ-ს	„ღვრის“	PASS: ი-ბ-უმ-უნ	„იღვრება“

⁵⁹ აქ არ იგულისხმება ლაზურში თურქულის გავლენით დამკვიდრებული სპეციფიკური აღწერითი ფორმები.

⁶⁰ მსგავსი ფორმებისათვის იხ.ბარამიძე 1976;

ACT: შ-უნ-ს	„სვამს“	PASS: ი-შ-უმ-უ-ნ	„თვრება“
ACT: მეჩ-ან-ს	„მიცემს“	PASS: მი-ა-ჩ-ამ-უ-ნ	„მიეცემა“
ACT: გიმიჩ-ან-ს	„ყიდის“	PASS: გიმი-ი-ჩ-ამ-უ-ნ	„იყიდება“
ACT: წი-ან-ს	„წივის“	PASS: ი-წი-აფ-ე-ნ	„აკვივლება შეიძლება“
ACT: ღვარ-ან-ს	„ბღავის“	PASS: ი-ღვარ-აფ-ე-ნ	„აბღავლება შეიძლება“
ACT: აკეთ-ენ-ს	„აკეთებს“	PASS: ი-კეთ-ებ-უ-ნ	„კეთდება“
ACT: აძვირ-ენ-ს	„აძვირებს“	PASS: ი-ძვირ-ებ-უ-ნ	„ძვირდება“
ACT: ორჩ-ან-ს	„აგებს“	PASS: ი-რჩ-აფ-უ-ნ	„იგება“
ACT: ოშქვ-ან-ს	„ასობს“	PASS: ი-შქვ-აფ-უ-ნ	„ისობა“
ACT: თას-უნ-ს	„თესავს“	PASS: ი-თას-უ-უ-ნ	„ითესება“
ACT: ჭარ-უნ-ს	„წერს“	PASS: ი-ჭარ-უ-უ-ნ	„იწერება“
ACT: კვათ-უნ-ს	„კვეთს“	PASS: ი-კვათ-უ-უ-ნ	„იკვეთება“
ACT: არკვ-ენ-ს	„არკვევს“	PASS: ი-რკვ-ე-უ-ნ	„ირკვევა“
ACT: არჩ-ენ-ს	„არჩევს“	PASS: ი-რჩ-ე-უ-ნ	„ირჩევა“

ლაზურში მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის სუფიქსები კონვერსიისას, ფორმათა დიდ ნაწილში, რედუცირებულია. უთემისნიშნო ფუძე -ე სუფიქსით არის წარმოდგენილი (წარმოების ეს ყალიბი უფრო გავრცელებულია), ხოლო თემისნიშნოანი –უ-თი. გვაქვს პარალელური შემთხვევებიც (კარტოზია 2005:140).

ნიმუშები (ლაზური):

ACT: ოგუბ-აფ-ს	„ხარშავს“	PASS: ი-გუბ-აფ-უ-ნ	„იხარშება“
ACT: ოგ-აფ-ს	„აგებს“	PASS: ი-გ-აფ-ე-ნ	„იგება“
ACT: ოგნ-აფ-ს	„ესმის“	PASS: ი-გნ-აფ-ე-ნ	„ისმინება“
ACT: ოსქირინ-აფ-ს	„აშრობს“	PASS: ი-სქირ-აფ-უ-ნ	„აშრობება“
ACT: ოქთ-აფ-ს	„აბრუნებს“	PASS: ი-ქთ-აფ-უ-ნ	„აბრუნდება“
ACT: შირ-უფ-ს	„ცვეთს“	PASS: ი-შირ-აფ-უ-ნ	„იცვეთება“
ACT: უხვენ-აფ-ს	„უკეთებს“	PASS: ა-ხვენ-აფ-უ-ნ	„უკეთება“

ACT: ონტალ-უფ-ს	„ურევს“	PASS: ა-ნტალ-აფ-უ-ნ	„შეერევა“
ACT: ოგორ-აფ-ს	„აგინებს“	PASS: ი-გორ-აფ-უ-ნ	„იგინება“
ACT: იჩინ-ოფ-ს	„იცივებს“	PASS: ი-ჩინ-ობ-ე-ნ	„იცივება“
ACT: ენც-უმ-ს	„იკარგავს“	PASS: ი-ნც-უმ-ე-ნ	„იკარგება“

2.2. მაწარმოებელი აფიქსები. მეგრულ-ლაზურშიც, მსგავსად სალიტერატურო ქართულისა, ვნებითი გვარის წარმოების ყველაზე გავრცელებულ ტიპს აფიქსაცია წარმოადგენს⁶¹. მართალია, „ვნებითის ფორმათა უმრავლესობა სპეციალური აფიქსებით იწარმოება, მაგრამ დღეს მაწარმოებლად გამოყოფილმა თითქმის ყველა აფიქსმა შედარებით გვიან მიიღო ვნებითობის გადმოცემის ფუნქცია“ (ჯორბენაძე 1975: 36).

ზანურში კონვერსიული ვნებითის გამოსახატავად გამოყენებულია სტატიკურობის -უ/-ესუფიქსები და რეფლექსურობის ი- პრეფიქსი. ასევე მესამე სუბიექტურ პირში -ნ⁶² ნიშანი, რომელიც ინაქტიურ ქვემდებარეზე მიუთითებს.

განვიხილავთ ვნებითი გვარის აწმყოს ყალიბის შექმნაში მონაწილე თითოეულ ფორმატს და მათი კვალიფიკაციის საკითხებს.

2.2.1. -უ/-ე სუფიქსთა წარმომავლობისა და კვალიფიკაციისათვის. ბოლოკიდური -უ და -ე ელემენტები მეგრულისა (იჭარუ-უ-ნ „იწერება“) და ლაზურის (იჭარ-ე-ნ „იწერება“) ვნებითი გვარის მთავარი საიდენტიფიკაციო მარკერებია, რომლებიც მხოლოდ დრო-კილოთა პირველ ჯგუფში დასტურდება და არ გადაჰყვება ზმნებს მეორე სერიის მწკრივებში. სწორედ ამის გამო, ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში -უ და -ე სუფიქსები სინქრონიულ დონეზე თემატურ აფიქსებად არის კვალიფიცირებული (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:226-230,277; გუდავა 1974:137; შეროზია 1981:31-38; 101; მარგველაშვილი 1982:29).

⁶¹ ჩვენს ხელთ არსებული ემპირიული მასალის მიხედვით, ვნებითი გვარის ფლექსიური წარმოების ტიპი (იხ. თოფურია 1942) არ დადასტურებულა, შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში მხოლოდ აგლუტინაციურ ტიპს განვიხილავთ.

⁶² მეგრულში-ნ ნიშანი მეტყველების პროცესში იკარგება, მისი აღდგენა შესაძლებელია კითხვითობის -ო ნაწილაკისა და სხვათა სიტყვის -ია სუფიქსის დართვისას (არნ. ჩიქობავა). ამიტომაც, ხშირად აღნიშნულ სუფიქსს ფრჩხილებში სვამენ -უ(ნ). მეგრული მორფოლოგიის ნათლად წარმოდგენისთვის ჩვენ მას ყველგან ფრჩხილების გარეშე წარმოვადგენთ -უ-ნ.

ამათგან, ლაზურის ვნებითისა და პოტენციალისის გაუმიჯნავ ფორმებში უმეტესად გვხვდება -ე დაბოლოება, მეგრულში კი -ე ძირითადად პოტენციალისის მაწარმოებელი ფორმანტია, ხოლო ვნებითი გვარის ფორმებისათვის სისტემურად -უ სუფიქსია დამახასიათებელი. ცალ-ცალკე განვიხილავთ მოცემული თემატური სუფიქსების წარმომავლობისა და კვალიფიკაციის საკითხებს.

ა) -უ სუფიქსი. -უ გვხვდება შემდეგ ფონემურ პოზიციებში:

1. უშუალოდ ძირის შემდგომ (ტიბ-უ-ნ „თბება“)
2. -დ ელემენტის შემდგომ(ჭითონ-დ-უ-ნ „წითლდება“)
3. ი- პრეფიქსთან ერთად მოქმედებითი გვარის თემატური სუფიქსის შემდგომ (ი-დგ-უმ-უ-ნ „იდგმება“, ი-ჭარ-უ-უ-ნ „იწერება“, ი-კეთ-ებ-უ-ნ „კეთდება“)
4. ი- პრეფიქსთან ერთად-აფსუფიქსის შემდგომ(ი-ჭარ-აფ-უ-ნ „იწერება“)

ლაზურში -უ ნიშნის პასივის წარმოება ზოგადად შეზღუდულია. იგი ძირითადად ე.წ. უნიშნო ვნებითებისათვის არის ნიშანდობლივი (ღურ-უ-ნ „კვდება“, ტიბ-უ-ნ „თბება“) და ასევე გვხვდება მოქმედებითი გვარის -აფ თემატური სუფიქსის შემდგომ პოზიციაში კონვერსიულ ვნებითებშიც : ი-გიბ-აფ-უ-ნ „იხარშება“, ი-სქირ-აფ-უ-ნ „შრება“, ა-ხენ-აფ-უ-ნ „ეკეთება“, ა-ნტალ-აფ-უ-ნ „ერევა“ (იხ. ჩუხუა 2015:77). თუმცა ჩვენს მასალებში აღმოჩნდა რამდენიმე ნიმუში ი-R-აფ-ე-ნ სტრუქტურისა (შდრ. ი-გ-აფ-ე-ნ „იგება“, ი-გნ-აფ-ე-ნ „ისმინება“).

მეგრულში ვნებითი გვარის ე.წ. უნიშნო და პრეფიქსული ფორმები ხან ერთი უ-თია წარმოდგენილი: ი-თას-უ-ნ „ითესება“ (არნ. ჩიქობავა), ხან ორი -უ ნიშნით: ი-თას-უ-უ-ნ (კ. დანელია).

სამეცნიერო ლიტერატურაში ორივე უ-ს წარმომავლობის შესახებ გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისები:

ი. ყიფშიძე ი-რდ-უ-უ-ნ „იზრდება“ ტიპის ფორმაში პირველ -უ-ს ო-სგან მომდინარე ფუძეში განვითარებულ სუფიქსად მიიჩნევს: ირდ-ო-უ-ნ > ირდ-უ-უ-ნ; მკვლევარი მსგავს ფორმებს ასახელებს მეგრულის კილოკავებში (ყიფშიძე 1914: 071).

გ. როგავა კი -უ-ს „უგვარო ზმნებიდან“ გადასულად მიიჩნევს პრეფიქსული წარმოების ვნებითებში, ამოსავალში კი, მისი აზრით, ქართული ი-ს ტოლფარდი -ე უნდა

ყოფილიყო: ი-ქარ-ე-უ-ნ > ი-ქარ-უ-უ-ნ > ი-ქარ-ჟ-ნ, ანუ -უ მიღებულია ე-უ-სგან ასიმილაციით (როგავა 1954: 82-84).

კ. დანელიას ვარაუდით, „უ-უ დაბოლოების პირველი უ იმავე ოდენობისა უნდა იყოს, რისაც ის უ, რომელიც პასიურ ზმნათა თემას აწარმოებს“ (დანელია 1976:165-175).

პირველი -უ სუფიქსის წარმომავლობის შესახებ საკუთარი თვალსაზრისი არა აქვს გამოთქმული არნ. ჩიქობავას.

რაც შეეხება ბოლოკიდურ -უ-ს, არნ. ჩიქობავა მას ვნებითი გვარის მაწარმოებელ სუფიქსად მიიჩნევდა (ჩიქობავა 2008:122). თუმცა ი. ყიფშიძემ თავის დროზე შეამჩნია, რომ ვნებითებთან გამოვლენილი -უ სუფიქსი, ზმნებს ნამყო ძირითადად არ გადაყვებოდა (ყიფშიძე 1914: 069-071). სწორედ ამის გამო, თ. გამყრელიძემ და გ. მაჭავარიანმა იგი ვნებითი გვარის თემატურ ნიშნად ცნეს (იხ. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:277). მათი აზრი გაზიარებულ იქნა სამეცნიერო ლიტერატურაში და ბოლოკიდური -უ ვნებითი გვარის თემის ნიშნად იქნა კვალიფიცირებული (იხ. გუდავა 1974:137; შეროზია 1981:31-38; 101; მარგველაშვილი 1982:29).

სხვა ვითარებაა ე.წ უნიშნო ვნებითებში, რომლებიც, ხშირად, ერთი -უ ნიშნით არიან წარმოდგენილი.

მაგალითად, გ. როგავა ტიბ-უ-ნ „თბება“ ტიპის ზმნებში -უ სუფიქსს ამ ტიპის ზმნათა კუთვნილებად თვლის და მას -ოდ სავრცობის -ო ელემენტის ტოლფარდად მიიჩნევს. მისი აზრით, ქართულში -ოდ სუფიქსური წარმოება „უგვარო ზმნებისათვის“ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო აწმყოში: *თბ-ო-ს, *თბ-ოდ-ა... (როგავა 1954: 82-84).

გ. მაჭავარიანი ტიბ-უ-ნ ტიპის ფორმებში მოცემულ -უ-ს ქართულის პერმანსივის/ხოლმეობითის (resp. დიურატივის) -ი ნიშნის მორფოლოგიურ შესატყვისად მიიჩნევს (მაჭავარიანი 1965).

კ. დანელიას აზრით, ღურ-უ-ნ ტიპის ფორმებში -უ სუფიქსი ვნებითის თემატური ნიშანია, რომელიც „გავრცელებულობით და ხმარებით... ქართულ ებ-ს ეტოლება, მაგრამ, რა თქმა უნდა, მისგან არ მომდინარეობს“ (დანელია 1976:103). მკვლევარი -უ-ს ვერც ქართული ხოლმეობითისა თუ თემის ნიშნის -ი-ს ბადალად მიიჩნევს, რადგან, მისი აზრით, -უ სუფიქსი -ავ-ისგან მომდინარეობს და „ღურ-უ-ნ“ ტიპის წარმოება ამოსავლად

გულისხმობს არა კუდ-ებ ტიპის თემას (კუდ-ებ-ი-ს), არამედ კუდ-ავ ტიპს - *კუდ-ავ-ნ, შდრ. მო-კუდ-ავ-ი (იქვე, 104,108).

ასევე გამოთქმულია ვარაუდი, რომ ტიბ-უ/ტუბ-უ „ტფილი“, ხომ-ულ-ა > ხომუ „ხმელი“ ფორმებში -უ მიღებულია -ულ ფორმანტის გაცვეთის შედეგად. -ულ -ილ ფორმანტის პოზიციურ ალომორფად არის მიჩნეული (არაბული 2001:199, 218; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:91-93; შმიდტი 1950, ვიმოწმებთ: არაბული 2001:194). ზანური -უ ასევე დასახელებულია -ელ სუფიქსის შესატყვისად (ჩიქობავა 1938:3). მნიშვნელოვანია, ამასთან დაკავშირებით გამოთქმული ა. არაბულის თვალსაზრისი. მეცნიერის აზრით, -ელ : უ მიმართება პირდაპირი შესატყვისობა კი არ არის, არამედ შესატყვისობის მორფოფონოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგი: მოსალოდნელი -აჟ არის -უ (არაბული 2001:195).

სინქრონიულ დონეზე ე.წ. უნიშნო ვნებითები ერთი -უ-თია წარმოდგენილი. ჩვენი აზრით, ე.წ. მოცემული ხმოვანი (ტიბ-უ-ნ, ხომ-უ-ნ) იდენტური სახელური და ზმნური ფორმანტების შერწყმით არის მიღებული. ამგვარი, R-უ-ნ ყალიბისაა ამოსავალი სტატიკური ზმნები ზანურში, რომელთა სუბიექტი ინაქტიურია, ნაწილი კი - ინაქტიურ-განმცდელი. სწორედ ამ ულანასკნელმა სემანტიკამ, რითაც ის ახლოს იდგა პასივთან, განსაზღვრა ვნებითი გვარის ფორმა ზანურში, ანუ ვნებითი გვარის ბოლოკიდური უ მასალობრივად და ფუნქციურად იგივეა, რაც სტატიკურ ზმნებთან და ასევე პირველ თურმეობითებთან გამოვლენილი ბოლოკიდური -უ, რომლებიც არქაულ S3 პირის -ნ ფორმანტთან ერთად ყოველთვის ინაქტიურ ქვემდებარეზე მიუთითებენ. -უ დროთა განმავლობაში დამოუკიდებელ მორფემად ჩამოყალიბდა, თუმცა ისტორიულად იგი *-უვ (< -ავ)-იდან მომდინარეობს.

ი-R-უ-ნ კონვერსიულ ვნებითში კი, რომელიც ეყრდნობა მოქმედებითი გვარის, ამ შემთხვევაში -უვ სუფიქსიან თემას (R= მოქმედებითის ფუძეს), აუსლაუტში შექმნილი ინტერვოკალური გარემოს გამო, -უვ-ის ვ თანხმოვანი რედუცირებულია (იგივე ფონეტიკური პროცესია აქტივების პირველი თურმეობითისა და კაუზაციური წესით წარმოებისას). შესაბამისად, მეგრულის ვნებით გვარში ორი უ იყრის თავს. პირველი -უ ზუსტად იმ ადგილს იკავებს, რომელსაც აქტივების სხვა თემატური სუფიქსი: -უმ, -ამ, -ავ,

-ებ. ლაზურში -ე სუფიქსის დართვის შედეგად -უვ და ასევე, მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის მაწარმოებელი სხვა ფორმანტები სრულად რედუცირებულია, -უ ნიშნიან ფუძეებში კი, ისინი წარმოჩენილია.

მეგრული:

ACT: თას-უნ-ს (<*თას-უვ-ს) „თესავს“	PASS: ი-თას-უ-უნ (*<ი-თას-უვ-უნ) „ითესება“
ACT: ხანტ-უნ-ს (<*ხანტ-უვ-ს) „ხატავს“	PASS: ი-ხანტ-უ-უნ (*< ი-ხანტ-უვ-უნ) „იხატება“
ACT: რჩხ-უნ-ს (<*რჩხ-უვ-ს) „რეცხავს“	PASS: ი-რჩხ -უ-უნ (*< ი-რჩხ-უვ-უნ) „ირეცხება“
ACT: ნწყ-უნ-ს (<* ნწყ-უმ-ს) „ხსნის“	PASS: ი-ნწყ- უმ-უნ „იხსნება“
ACT: მეჩ-ან -ს (<* მეჩ-ამ-ს) „მისცემს“	PASS: მი-ა-ჩ-ამ-უნ „მიეცემა“
ACT: ონჯ-ან-ს (< *ონჯ-ამ-ს) „აღებს“	PASS: ი-ნჯ-ამ-უნ „იღება“
ACT: ორჩ-ან-ს (< *ორჩ-ავ-ს) „აგებს“	PASS: ი-რჩ -ავ-უნ „იგება“
ACT: აკეთ-ენ-ს (<აკეთ-ებ-ს) „აკეთებს“	PASS: ი-კეთ-ებ-უნ „კეთდება“

ლაზური:

ACT: ოგუბ-ავ-ს „ხარშავს“	PASS: ი-გუბ-ავ-უნ „იხარშება“
ACT: იჩინ-ოფ-ს „იცნობს“	PASS: ი-ჩინ-ობ-ენ „იცნობა“
ACT: ენც-უმ-ს „კარგავს“	PASS: ი-ნც-უმ-ენ „იკარგება“
ACT: შირ-უფ-ს „ცვეთს“	PASS: ი-შირ-ავ-უნ „იცვითება“
ACT: ოქთ-ავ-ს „აბრუნებს“	PASS: ი-ქთ-ავ-უნ „აბრუნდება“
ACT: ონტალ-უფ-ს „ურევს“	PASS: ა-ნტალ-ავ-უნ „შეერევა“
ACT: ოგ-ავ-ს „აგებს“	PASS: ი-გ-ავ-ენ „იგება“
ACT: ოგნ-ავ-ს „ესმის“	PASS: ი-გნ-ავ-ენ „ისმინება“

კ. დანელიამ თავის დროზე აღნიშნა, რომ მეგრულში „მოსალოდნელი უ-უ დაბოლოების პირველი უ მხოლოდ მაშინ შეიძლება არ ექნეს ზმნას, თუ ამ უ-ს ადგილზე მას სხვა თემატური ნიშანი აღმოაჩნდება ქართული ებ ან კოლხური აფ: ვ-ი-შენ-ებ-უ-ქ „ვშენდები“... ვ-ი-რტუ-ავ-უ-ქ „ვლბები“ (დანელია 1976), რის გამოც მეცნიერმა -უ ქართული -ებ სუფიქსის ფუნქციურ შესატყვისად (არა მისგან მომდინარედ) და პასივის თემატურ სუფიქსად ცნო (დანელია 1976:165-175).

სასრული რაოდენობის ზმნურ ფორმათა ანალიზმა კი აჩვენა, რომ პირველი უ-ს ადგილი კონვერსიულ პასივში შეიძლება მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის ნებისმიერმა სუფიქსმა დაიკავოს, რისი დასტურიცაა წარმოდგენილი ნიმუშებიც. ვნებითი გვარის ფორმათა მორფოლოგიური გლოსირებისას მოქმედებითი გვარიდან გადმოყოლილ თემატურ სუფიქსს საწარმოებელი ფუძის ნაწილად განვიხილავთ და ცალკე არ გამოვყოფთ, ზუსტი შესატყვისობების ჩვენებისას კი მას, როგორც დევალვირებულ თემის ნიშანს პატარა ასოებისაგან შემდგარი ლათინური აბრევიატურით გამოვხატავთ - **atm** (=active thematic marker „აქტივის თემის ნიშანი“), ხოლო პასივის ბოლოკიდურ უ სუფიქსს, რომელიც სინქრონიულად კვალიფიცირებულია როგორც ვნებითი გვარის თემის ნიშანი, დიდი სიმბოლოებით: **PTM** (=Passive thematic marker „პასივის თემის ნიშანი“). მაგ.:

	ი-ქარუ-უ-ნ	ი-თასუ-უ-ნ
	PASS-წერ-PTM-PRS.S3.SG	PASS-წერ-PTM-PRS.S3.SG
	„იწერება“	„ითესება“
ან		
	ი-ქარ-უ-უ-ნ	ი-თას-უ-უ-ნ
	PASS-წერ-atm-PTM-PRS.S3.SG	PASS-წერ-atm-PTM-PRS.S3.SG
	„იწერება“	„ითესება“

ამრიგად, პრეფიქსული სტრუქტურის ვნებით გვარში წარმოდგენილი ორივე -უ ერთი და იმავე ქართული ავ-ის ზანური *უვ შესატყვისიდან მომდინარეობს - *R-უვ. უბრალოდ, ისინი სხვადასხვა ფონეტიკური გზით განვითარდნენ და ამიტომ სინქრონიულად სხვადასხვა მორფემებს წარმოადგენენ. მათი ტრანსფორმაციული გზა ამოსვალ *R-უვ ფუძეზე S3 პირის არქაულმა ინაქტიურმა ნ-მ და აქტიურმა ს ნიშნის დართვამ განსაზღვრა. 1. *R-უვ-ნ > R-უ-ნ და 2. *R-უვ-ს > R-უნ/უფ-ს.

ბ) -ე სუფიქსი. ლაზურში მეტად გავრცელებულია გაუმიჯნავი ვნებითისა და პოტენციალისის (resp. პოსიბილიტის) ფორმათა -ე ნიშნიანი წარმოება. სინქრონიულად - ე, მსგავსად -უ ნიშნისა, ვნებითი გვარის თემატურ სუფიქსად არის კვალიფიცირებული

(გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:226-230, 277; გუდავა 1974:137; შეროზია 1981:31-38; 101; მარგველაშვილი 1982:29).

ნიმუშები:

ACT: ჭარ-უფ/უმ-ს „წერს“	PASS: ი-ჭარ-ე-ნ „იწერება / წერა შესაძლებელია“
ACT: ჩით-უფ-/უმ-ს „აპობს“	PASS: ი-ჩით-ე-ნ „აპობა / გაპობა შესაძლებელია“
ACT: ბრიწ-უფ/უმ-ს „ხევის“	PASS: ი-ბრუწ-ე-ნ „იხევა/გახევა შესაძლებელია“
ACT: ბერგ-უფ/უმ-ს „თოხნის“	PASS: ი-ბერგ-ე-ნ „ითოხნება/თოხნა შესაძლებელია“
ACT: გორ-ომ-ს „ეძებს“	PASS: ი-გორ-ე-ნ „იძებნება/ძებნა შესაძლებელია“
ACT: ო-გ-აფ-ს „აგებს“	PASS: ი-გ-აფ-ე-ნ „იგება/აგება შესაძლებელია“
ACT: ო-ქთ-აფ-ს „ტრიალებს“	PASS: ი-ქთ-ე-ნ „ტრიალდება/დატრიალება შესაძლ.“
ACT: ო-ლიბინ-აფ-ს „აღბობს“	PASS: ი-ლიბინ-ე-ნ „აღბობა/დაღბობა შესაძლ.“
ACT: ო-ხჩან-ეფ-ს „ათეთრებს“	PASS: ი-ხჩან-ე-ნ „ათეთრდება/გათეთრება შესაძლ.“
ACT: ო-ხჩან-ეფ-ს „ათეთრებს“	PASS: ი-ხჩან-ე-ნ „ათეთრდება/გათეთრება შესაძლ.“
ACT: ო-მკულან-ეფ-ს „ამოკლებს“	PASS: ი-მკულან-ე-ნ „ამოკლება/დამოკლება შესაძლ.“
ACT: ო-პეჯან-ეფ-ს „ასქელებს“	PASS: ი-პეჯან-ე-ნ „ასქელება/გასქელება შესაძლ.“
ACT: ო-ბად-უფ-ს „აბერებს“	PASS: ი-ბად-ე-ნ „აბერდება/დაბერება შესაძლ.“
ACT: ო-ნდარ-უფ/უმ-ს „ავიწროებს“	PASS: ი-ნდარ-ე-ნ „ავიწროვდება/დავიწროება შესაძლ.“
ACT: ო-ჭკიალ-უფ-ს „აჭრიალებს“	PASS: ი-ჭკიალ-ე-ნ „აჭრიალდება/დაჭრიალება შესაძლ.“

არნ. ჩიქობავას აზრით, ზანური -ე ისტორიულად მიღებულია ხმოვანთა არტიკულაციური გადაწევის შედეგად. იგი ქართული განგრძობითი ასპექტის -ი სუფიქსის ფარდი უნდა იყოს. მეცნიერი ი-შვ-ე-ნ, ი-ჭკომ-ე-ნ ფორმათა შესატყვისად ქართულში ვნებითი გვარის II ხოლემობითის რეკონსტრუირებულ ფორმებს ასახელებს - *ი-სვ-ი-ს, *ი-ჭმ-ი-ს (ჩიქობავა 1936:115; 1948:101).

ქართულ-ზანური ი:ე ხმოვანშესატყვისობა პირველად ნ. მარმა ივარაუდა სახელური აფიქსების შესატყვისობის მიხედვით: ქათამ-ი/ქოთუმ-ე, ასულ-ი/ოსურ-ე (მარი 1910:161). მოგვიანებით არნ. ჩიქობავამ იმავე ი : ე ხმოვანშესატყვისობაზე მიუთითა ზანურის პოტენციალისა და ვნებითის ფორმებშიც (ჩიქობავა 1936:49:54), რაც

მეცნიერების ერთმა ნაწილმა გაიზიარა (თოფურია 1954:450; ჟღენტი 1953:44; მაჭავარიანი 1958:265; შეროზია 1981), მეორე ნაწილმა კი – არა (კლიმოვი 164:25; გამყრელიძე, მაჭავარიანი⁶³ 1965:64-72; ონიანი 1989:92; ნოზაძე 2008:53; გიგინეიშვილი 2016).

მაგალითად, ლ. ნოზაძე -ე ფორმანტს მიიჩნევს პოზიციურად, კერძოდ, კომბინატორული ფონემაცვლილების შედეგად წარმოქმნილად. მკვლევარი ფიქრობს, რომ -ე მიღებულია ქართულის არქაული *-ევ სუფიქსის შესატყვისი ზანური *-ავ-ისა და ისტორიული ხოლმეობითის -ი ნიშნის დართვით წარმოქმნილი ფონეტიკური მოვლენის შედეგად: -ავ-ი > -ა-ი > -ე : *ი-ჭკომ-ავ-ი-ნ > *ი-ჭკომ-ა-ი-ნ > ი-ჭკომ-ე-ნ (ნოზაძე 2008:54).

ამავე აზრისაა ბ. გიგინეიშვილი. მისი აზრით, ქართულის პოტენციალის ის ფორმებში წარმოდგენილ -ევ ნიშანს (ი-ე-ჭმ-ევ-ა, ი-ე-სმ-ევ-ა) ახსნას ვერ მოვუძებნით, თუ ხოლმეობითის ფორმებიდან ამოვალთ. -ევ წარმოშობით კაუზატივის მაწარმოებელი მარკერია. თუ გავითვალისწინებთ ქართული პოსიბილიტივის ამოსავალ ფორმებს *ი-ჭმ-ევ-ი-ნ, *ი-სუ-მ-ევ-ი-ნ, მათ კანონზომიერ შესატყვისებად ზანურში უნდა ვივარაუდოთ *ი-ჭკომ-ავ-ი-ნ, ანუ ავ-ი მიმდევრობა მოგვცემდა -ეე/ე-ს (გიგინეიშვილი 2016:18-19).

ჩვენი აზრით, ე სუფიქსი ქართული ავ-ის ფონეტიკური -ევ ვარიანტის რედუცირებული ნაწილია: *R-ევ-ნ > R-ე-ნ. -ევ-ნ სუფიქსთა თანმიმდევრობა არაკანონიკურია ზანურისათვის (შდრ. ქართ. ევნება და მეგრ. ენებუნ). მეგრული ენის ლექსიკონში (ა. ქაჯაია) არ დასტურდება მსგავსი ფუძის არცერთი სიტყვა. *R-ევ ძირთან ამოსავალში არ გვხვდება აქტივობის - ნიშანი, რომელიც ხელს შეუწყობდა მის ენ/-ეფ ალომორფებად ჩამოყალიბებას. აღნიშნული სუფიქსები არ გვხვდება ზანურის მკვიდრ ლექსიკაში, იგი წარმოდგენილია მხოლოდ ქართულ ნასესხობებში.

-ე სუფიქსი დასტურდება რამდენიმე ამოსავალ სტატიკურ ფორმაში: ხ-ე-ნ „ზის“ (შდრ. ხუნ-ა „ჯდომა“); ორწყ-ე-ნ „ხედავს“, რ-ე-ნ „არის“... მისი ფუნქცია, როგორც -უ ხმოვნისა, ინაქტიური ქვემდებარის გამოხატვაა. ამის გამო გვხვდება იგი ვნებით-პოტენციალისის ინაქტიური სუბიექტის მქონე ფორმებში.

ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომ მეგრულ-ლაზურის წარმოშობით სტატიკურობის

⁶³ გ. მაჭავარიანი თავის საკანდიდატო დისერტაციაში ზან. ე-ს ქართ. ი-ს შესატყვისად მიიჩნევს: „აღნიშნული ფორმანტი (-ე) ქართ. -ი სუფიქსის ფონეტიკურ და მორფოლოგიურ ეკვივალენტს წარმოადგენს“ (მაჭავარიანი 1965: 116).

-უ და -ე ელემენტები სინქრონიულად ვნებითი გვარის თემატური სუფიქსებია და ქართულში მათ მორფოლოგიურად ი- შეესატყვისება. ქართული -ებ-ი დაბოლოების -ი (ვი-ყვარებ-ი და ვი-ყვარებ), შუხარდტის მოსაზრებით, პასიურობის გამომხატველია (შუხარდტი 1950:67).

2.2.2. ი- პრეფიქსის წარმომავლობისა და კვალიფიკაციისათვის. ი- პრეფიქსი კონვერსიული ვნებითი გვარის მორფომოდელის შექმნაში მონაწილე მთავარი ელემენტია. მისი წარმომავლობისა და ფუნქციის საკითხები ვრცლად გვაქვს განხილული სადისერტაციო ნაშრომის ქვეთავში „რეფლექსიურობის დამოუკიდებელი კატეგორიისათვის მეგრულ-ლაზურში“ (იხ. გვ. 45).

აქ მოკლედ აღვნიშნავთ იმას, რომ ი- პრეფიქსის თავდაპირველი ფუნქცია რეფლექსურობის გამოხატვა იყო (ნ. მარი, ჰ. შუხარდტი). ამ ფუნქციით შემორჩა იგი ზმნათა დიდ ჯგუფს ზანურში, რომლებიც, რეფლექსივის კატეგორიის ფარგლებში, ცალკე გამოვყავით.

რეფლექსივთა საფუძველზე აღმოცენებულ ვნებით-პოტენციალის ფორმებში კი (მაჭავარიანი 1965:105,121) ი- პრეფიქსი წარმოშობით უკუქცევითია. თუმცა მისი ფუნქცია ვნებითი გვარის ფორმებში დესამტიზებულია. იგი ბოლოკიდურ -უ სუფიქსთან ერთად, კომბინირებულად ემსახურება ვნებითი გვარის ფორმათა გამოხატვას. ამ თვალსაზრისით, ზანური მთლიანად მიჰყვება ქართულს:

მეგრული	ლაზური	ქართული
ი-ჭარუნ	ი-ჭარენ	ი-წერება
ი-თასუნ	ი-თასენ	ი-თესება
ი-ბუცხუნ	ი-ბუცხენ	ი- ფარცხება
ი-ღარუნ	ი-ღარენ	ი-ხაზება
ი-ღაფუნ	ი-ღაფენ	ი-ღებება
ი-ჭაბუნ	ი-ნჭაბენ	ი-წებება
ი-რჩხუნ	ი-რჩხენ	ი-რეცხება
ი-კაკუნ	ი-კანკენ	ი-ნაყება
ი-ჭვათუნ	ი-წაპენ	ი-წვეთება

ი-ზიმუნ	ი-ზიმენ	ი-ზომება
ი-შირ-უნ	ი-შირენ	ი-ცვითება
ი-კაკალუნ	ი-კაკალენ	ი-მარცვლება

რელაციურ ფორმებში გვხდება ქართული ა-ს მორფოფონეტიკური შესატყვისი ე-ხმოვანი. ი- და ა- პრეფიქსები ზმნებს გადაყვება ნამყო ძირითადის ჯგუფშიც:

I ს. ბაღანა ი-რდუ-უნ
 ბავშვი.NOM PASS-ზრდ-PTM-PRS.S3.SG
 „ბავშვი იზრდება“

II ს. ბაღანა-ქ მი-ი-რდ-უ
 ბავშვი-ERG PRV-PASS-ზრდ-AOR.S3.SG
 „ბავშვმა (=ბავშვი) გაიზარდა“

I ს. ბაღანა დიდა-ს ა-რდუ-უნ
 ბავშვი.NOM დედა-DAT OV-ზრდ-PTM-PRS.S3.SG
 „ბავშვი დედას ეზრდება“

II ს. ბაღანა-ქ დიდა-ს მა-ა-რდ-უ
 ბავშვი-ERG დედა-DAT PRV-OV-ზრდ-AOR.S3.SG
 „ბავშვმა (=ბავშვი) დედას გაეზარდა“

2.2.3. S3 პირის -ნ სუფიქსი. ვნებითისა და მოქმედებითი გვარის აწმყოს ფორმათა ერთ-ერთი განმასხვავებელი მესამე სუბიექტური პირის -ნ და -ს ფორმანტებია. მიღებული თვალსაზრისის მიხედვით, -ნ S3 პირის უბველესი სუფიქსია (ჩიქობავა 1940:40). ძველი წყაროების მიხედვით, იგი გამოყენებულია აწმყოს ხოლმეობითში (წერ-ნ), პირველ თურმეობითსა (უხილაგ-ნ) და სტატიკურ ფორმებში (ჰმოსიე-ნ) (იხ. აბულაძე 2010:150-163).

-ნ სუფიქსის წარმომავლობასა და ფუნქციასთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული თვალსაზრისები. მაგალითად, ნიკო მარს იგი უსრულის მაწარმოებლად

მიაჩნია, რომელიც ფუნქციურად დ- სუფიქსის როლში გამოდის და მის პარალელურად გამოიყენებოდა (მარი 1925:159).

ა. შანიძე ფიქრობდა, რომ -ნ სუფიქსი (ასევე -ედ) ხოლმეობითის მაწარმოებელი იყო. მეცნიერის აზრით, -ნ და -ედ სუფიქსები ხოლმეს გაგებას შეიცავენ - წერნ „წერს ხოლმე“ და წერედ „წერენ ხოლმე“. პირველსა და მეორე პირში ასეთი გარჩევა არ იყო (შანიძე 1934:024).

არნ. ჩიქობავას აზრით, -ნ ხოლმეობითობას არ აღნიშნავს მიუხედავად იმისა, რომ ხოლმეობითობა (resp. პერმანსიულობა) ნ-იან წარმოებაში მუდავნდება და მსგავს ფორმებში „პერმანსიული“ შინაარსი მკვეთრად იგრძნობა. - ნ სუფიქსი სუბიექტის მესამე პირის უძველესი ნიშანია. „-ნ სუფიქსსა და პერმანსიულობას („ხოლმეობითობას“) ერთმანეთთან თანადროულობა აკავშირებს. ამიტომაც ნ-იანი აწმყო ძვ. ქართულში პერმანსიული („ხოლმეობითი“) შინაარსისა გამოდის. ეს ძველისძველი ვითარების გამოკრთომია“ (ჩიქობავა 2010:373)⁶⁴.

კ. დანელიას აღნიშვნით, „ნ თვითონ მეგრულ-ჭანური ფენისა უნდა იყოს... ნ ნახმარია გარდაუვალ ზმნებთან“ (დანელია 2006: 127).

-ნ S3 პირის ფორმანტი ლაზურის ვნებითის/პოტენციალისის ფორმებთან სტაბილურად არის წარმოდგენილი, მეგრულში კი - დაჩრდილულია და მისი აღდგენა მხოლოდ ხმოვნის წინ არის შესაძლებელი (ჩიქობავა 2010:277). მაგ.:

მეგრ. ი-ჭარუ-უ ლაზ. ი-ჭარ-ე-ნ „იწერება“

იჭარუ-უ-ნ-ო წერილი? „იწერება წერილი?“

მეგრ. ი-თასუ-უ ლაზ. ი-თას-ე-ნ „ითესება“

ითასუ-უ-ნ-იაოვანა? „ითესებაო ყანა?“

მონაცემთა ბაზის მიხედვით, -ნ დასტურდება -უ/-ე სუფიქსების შემდგომ⁶⁵ და ზანურში ყოველთვის ინაქტიურ ქვემდებარეზე მიუთითებს, -ს ნიშანი კი პირიქით, თითქმის ყოველთვის ხაზს უსვამს აქტიურ ქვემდებარეს, თუმცა ლაზურში არის

⁶⁴ აღნიშნული საკითხისათვის ასევე იხილე არნ. ჩიქობავას რეცენზია ნ. მარის “ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკაზე“ („საქართ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგ. მიმომხილველი, ტფილ., 1926 წ., გვ. 321).

⁶⁵ აქ არ იგულისხმება კავშირებითი ფორმების -კონ სუფიქსისეული -ნ, რომელიც ლაზურში დადასტურებული ნ(ი)კავშირის (რომ) ელემენტი გვგონია (იხ. ქირია და სხვ. 2015:355) და ამოსავალი გვარ-გაუდიფერენცირებელი რეფლექსიური ფორმები.

ტენდენცია აქტიური -ს-ს განეიტრალებისა (შდრ. ლაზ. ჯან-ს მეგრ. ჯან-უ-ნ „წევს“). ჩვენი აზრით, S3 -ნ სუფიქსი ვნებითი გვარის ფორმებთან, გარკვეულწილად, განაპირობებს ქვემდებარის პასიურობას. იგი მრავლობით რიცხვშიც გადაყვება ზმნურ ფორმებს: ღურუ-ნ „კვდება“ ღურუ-ნ-ან კვდებიან (მარი 1910:45; ჩიქობავა 1936:97).

სინქრონიულად, ვნებითი გვარის მორფომოდელის შექმნაში მონაწილე -ნ ფორმანტი უპირისპირდება მოქმედებითი გვარის -ს-ნიშნთან აქტიურ ფორმებს.

3. ვნებითი გვარის მორფოსინტაქსური ჯგუფები

ზანურის ვნებით გვარში ნ. მარმა გამოყო სამი სტრუქტურული ჯგუფი: -ერ და -ურ⁶⁶ დაბოლოების მქონე ე.წ. უნიშნო ვნებითები, ი-პრეფიქსიანი და დონიანი ვნებითები. მან ასევე ლაზურში მიუთითა შესაძლებლობის (პოტენციალისის) ფორმების არსებობაზე (მარი 1910: 57-61).

ი. ყიფშიძემ კი მეგრულში ვნებითი გვარის წარმოება ოთხ ჯგუფად და რამდენიმე ქვეჯგუფად დაყო::

1. -ე/-უ სუფიქსიანი (ბ-ხ-ე-ქ „ვზივარ“ ბ-ღურ-უ-ქ „კვდები“)
2. ი- პრეფიქსიანი (ვ-ი-ჭარუუქ „ვიწერები“)
ი – ე კონფიქსიანი „შესაძლებლობის ზმნები“ (მი-ი-რთ-ე „მიისვლება“)
3. -დ სუფიქსიანი (ბჩენ-დ-უ-ქ „ვჩერდები“, ვჭითონ-დ-უ-ქ „ვწითლდები“)
4. ა- პრეფიქსიანი (ვ-ა-ჭარუუქ „ვეწერები“)
ო- პრეფიქსიანი (ვ-ო-დუუქ „ვედავები“)
ე- პრეფიქსიანი, ქართულიდან ნასესხები (ვ-ე-ცხადებუქ „ვეცხადები“)

(ყიფშიძე 1914: 069-071; 1994:122-123)

ი. ყიფშიძის მიერ გამოყოფილი პირველი ჯგუფის უპრეფიქსო ფორმებს -ე (<-ერ)/-უ (<-ურ) ნ. მარის ჭანურის გრამატიკის გავლენას მიაწერენ (დანელია 1976:100). მოცემული - ე სუფიქსიანი ფორმა (ბხ-ე-ქ), ცხადია, სტატიკურია, თუმცა, არნ. ჩიქობავას შეფასებით,

⁶⁶ ერთპირიანი ვნებითი გვარის ზმნები ლაზურში პირველსა და მეორე პირში -რ სუფიქსს დაირთავენ (პტუბ-უ-რ, ტუბ-უ-რ), მეგრულში -ქ-ს (ვტიბ-უ-ქ, ტიბ-უ-ქ), მესამე პირი კი ორივეგან -ნ ნიშნითაა წარმოდგენილი.

„საშუალო და ვნებითი გვარის გამიჯვნა ყოველთვის არ ხერხდება ახლაც კი, მით უფრო ძნელია ეს წინა პერიოდისათვის“ (ჩიქობავა 1936:115).

ი. ყიფშიძესთან პოტენციალის ფორმები ცალკე არ არის გამოყოფილი.

არნ. ჩიქობავამ, ფაქტობრივად, იგივე ტიპები განსაზღვრა ვნებითი გვარისათვის, ოღონდ პოტენციალის მეგრულში ცალკე დამოუკიდებელ კატეგორიად გამოყო (იხ. ჩიქობავა 1937).

1. -უ (ტიბ-უ-ნ „თბება“)
2. ი-უ/ე (ი-ქარ-უ-ნ; ი-ქარ-ე-ნ „იწერება“)
3. ე – უ (ე-ნარტებ-უ-ნ „ენატრება“)
4. ო – უ (ო - ჩქარ-უ-ნ „ეჩქარება“)
5. ა – უ (ა-ჩამ-უ-ნ „ექავება“)
6. -დ- (ჭითონ-დ-უ-ნ „წითლდება“)

(ჩიქობავა 1936)

მეცნიერმა პასიურ ფორმათა წარმოების ტიპები ზმნის პირიანობასთან დააკავშირა და აღნიშნა, რომ ი- პრეფიქსი ერთპირიანი ფორმების მაწარმოებელია, ხოლო ე- – ორპირიანი მიმართებითი ვნებითისა.

არნ. ჩიქობავა სპორადულად გამოვლენილ დონიან ფორმებს მეგრულ-ლაზურისათვის დამახასიათებლად არ მიიჩნევდა. მისი აზრით, ისინი ქართულიდან არის შემსული და დამკვიდრებული (ჩიქობავა 1936; 2008:125-126).

კ. დანელია ვნებითი გვარის ფორმათა აღწერისას „კოლხურში“⁶⁷ ეყრდნობა არნ. ჩიქობავას კლასიფიკაციას, თუმცა სიახლე ის არის, რომ მკვლევარი გამოყოფს -აფ-უ ბოლოსართიან ე. წ. დეპონენსებს: „აღნიშნულ ფორმებში გრამატიკული სუბიექტი მოქმედია, აქტიურია, ოღონდ ობიექტი არა აქვს – ვ-ი-ხვამ-აფ-უ-ქ „ვილოცები“ (მე ვილაცაზე, რაღაცაზე). ამ წარმოების ზოგმა ზმნამ მოქმედებითი გვარის შინაარსი შეიძინა: დუს ი-ყვილ-აფ-უ-ნ „თავს იკლავს“ (დანელია 1976).

მ. ჩუხუა მეგრულში მიუთითებს ი-ე სტრუქტურის ერთპირიან (ი-ჯინ-ე-ნ „იყურება“; ი-რწყებ-ე-ნ „გამოჩნდება“) და ა-ე სტრუქტურის ორპირიან (ა-შქირენ-ე-ნ „მოშივდება“; ა-

⁶⁷კ. დანელია „ზანურის“ ნაცვლად იყენებს მის სინონიმურ ტერმინს – „კოლხური“ (დანელია 1976)

შქურინ-ე-ნ „შეეშინდება“; ა-წყუნ-ე-ნ „ატკივდება“) ვნებიტებზე, რომლებსთვისაც არ არის პოვნიერი პოტენციალისის გაგება (იხ. ჩუხუა 2015). მსგავსი წარმოება აქამდე მხოლოდ ლაზურისათვის დამახასიათებლად იყო მიჩნეული (ჩიქობავა 2008: 122-126).

მეცნიერი მეგრულ-ლაზურის ნასახელარ ზმნებში ასევე გამოყოფს განსხვავებული სტრუქტურის -ან სუფიქსიან (ი-მჭით-ან-ე-ნ „წითლდება“) ვნებიტებს (ქირია და სხვ. 2015: 604-605).

ფაქტობრივად, მოცემულ კლასიფიკაციას ეყრდნობა ჩვენი სქემაც, თუმცა რიგი საკითხი სხვა შესაძლებლობითა და ახალი ტერმინებით არის წარმოდგენილი, ანუ ნომინატიური კონსტრუქციისა და შესაბამისი მორფოლოგიური ყალიბის მიხედვით, დამოუკიდებელი და კონვერსიული ვნებიტების ჯგუფებში გამოვყოფთ ხუთ ქვეჯგუფს:

1. დამოუკიდებელი ვნებიტი: R-(დ)-უ-ნ

ა) R-უ-ნსტრუქტურის პირველადი ვნებიტი

ბ) R-დ-უ-ნსტრუქტურის ადიექტიური ვნებიტი

2. კონვერსიული ვნებიტი: ი-R-(ავ)-უ/ე-ნ

ა) ი-R-ე-ნ სტრუქტურის ვნებიტ-პოტენციალისი

ბ) ი-R-atm-უ/ე-ნ სტრუქტურის პრეფიქსულივნებიტი

გ) ი-R-უ-atm-უ-ნ სტრუქტურის კაუზაციური ვნებიტი

ზმნურ ფორმათა სტატისტიკური მონაცემებისა და ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მეგრულ-ლაზურში პასივთა წარმოება რეგულარული და მეთოდურად ჩამოყალიბებულია.

თანმიმდევრულად წარმოვაჩინოთ ხუთივე ქვეჯგუფს, განვიხილავთ მათი ცალკე გამოყოფის საფუძველს, შესაბამისი საილუსტრაციო მასალის, და კონვერსიული ვნებიტების შემთხვევაში შესაბამისი მოქმედებითის გვარის ფორმათა, დამოწმებით.

შენიშვნა: ზემომოცემული სტრუქტურებიდან ვნებით გვარში არ განვიხილავთ შემდეგ ყალიბებს, როგორცაა:

ა) ი / ე –უ კონფიქსის მქონე მწკრივნაკლი სტატისტიკური ფორმები: მაგ.: ი-ნდურ-უ-ნ „ემდურის“ ი-დავ-უ-ნ „ედავება“, ი-პირ-უ-ნ „პირდება“, ი-რკინ-უ-ნ „ერკინება“, ი-ჩხუბ-უ-ნ „ეჩხუბება“, ი-ჩქარ-უ-ნ „ეჩქარება“;

ბ) ქართული მორფოლოგიიდან შეთვისებული ე-უ სტრუქტურის ნიმუშები: ე-სახელებ-უ-ნ „ესახელება“, ე-სუმრებ-უ-ნ „ესტუმრება“, ე-ლანდებ-უ-ნ „ელანდება“, ე-ცხადებ-უ-ნ „ეცხადება“, ე-სურებ-უ-ნ „ესურვება“, ე-მდურებ-უ-ნ „ემდურება“, ე-რკინებ-უ-ნ „ერკინება“ და ა.შ. ამგვარი ფორმები არ განეკუთვნება მეგრულის მორფოლოგიას, იგი ნარევი მეტყველების ნიმუშია. მეგრულის კუთვნილებად შესაძლებელია მხოლოდ-უ(ნ) დაბოლოება მივიჩნიოთ. „ესტუმრება“ ტიპის მეგრული ეკვივალენტი ო-სურ-უ (-ნ) „სტუმრობს“ ტიპის სტატიკური ფორმაა (ჩუხუა 2015:79-80).

გ) ო – უ ყალიბის ე.წ. მიჩნევის ვნებითის მეგრულში: მ-ო-ჭიჭორ-უ-ნ „პატარად მივიჩნევ/მეპატარავება“, მ-ო-დიდორ-უ-ნ „დიდად მივიჩნევ/მედიდება“, მ-ო-თაკილ-უ-ნ „სათაკილოდ მივიჩნევ/მეთაკილება“, მ-ო-უჩორ-უ-ნ „შავად მივიჩნევ/შავად მეჩვენება“. მორფოლოგიურად გამოხატული მსგავსი ნიმუშები ლაზურში არ დასტურდება და მსგავსი სემანტიკა აქ მხოლოდ აღწერთად გადმოიცემა: დიდო მაძირენ „დიდად მეჩვენება“. ამგვარ ფორმებში ო- პრეფიქსი, კ. დანელიას აზრით, ქართულში სტატიკურ ზმნებთან წარმოდგენილი ა-ს კანონზომიერი შესატყვისია: ო-ბარუნ „ა-ბარია“, ო-ტყუნ „ა-ტყვია“... (იხ. დანელია 1976: 171-173) და მათ, როგორც ყველა სტატიკურ ზმნას, აორისტის დრო-კილოები არ ეწარმოება (ჩუხუა 2015:80).

დ) სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე გამოყოფილია ე.წ. „გუნების“ ვნებითები (შანიძე 1980:291-292): მ-ა-სხაპინ-უ-აფ-უ-ნ „მეცეკვება“, მ-ა-ბირ-უ-აფ-უ-ნ „მემღერება“. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ამგვარი ზმნები თავიანთი ბუნებით ვნებითებს არ წარმოადგენენ (არნ. ჩიქობავა, ქ. ლომთათიძე, ბ. ჯორბენაძე, რ. შეროზია და სხვ.). ისინი არც მოქმედებითი გვარის ფორმებია. შესაძლებელია მათი განხილვა კონტაქტის კატეგორიის ფარგლებში: ბედნიერება ო-სხაპ-ინ-უ-ან-ს კოს „ბედნიერება აცეკვებს კაცს/ცეკვას“ დაა-სხაპ-ინ-უ-აფ-უ-ნ კოს „ბედნიერებისაგან ეცეკვება კაცს“.

3.1. დამოუკიდებელი ვნებითები

3.1.1. R-უ-ნ სტრუქტურის პირველადი ვნებითი. ისტორიულად დინამიკურ უგვარო ზმნებს, ე. წ. უნიშნო ვნებითებს, რომლებიც გვარის ჩამოყალიბების შემდეგ გახდნენ პასივები (ლომთათიძე 1953:77-78), ზანურში დამოუკიდებელი წარმოების ვნებითი გვარის პირველ ქვეჯგუფში ვათავსებთ. ცხადია, ისინი გვიან შეუერთდნენ ვნებითი გვარის ზმნათა რიგებს, თუმცა ქრონოლოგიურად, ზანურში მათ პირველად გამოიყენეს ზმნურ

ფორმათა ამოსავალი R-უ-ნ მოდელი ინაქტიური ქვემდებარის განმცდელობითი სემანტიკის გამოსახატავად (ხომუ-უ-ნ, ტუბუ-უ-ნ) და საფუძველი ჩაუყარეს ყველა ტიპის პასიურ ფორმათა ყალიბს (პასიურ თემას) მეგრულ-ლაზურში. ამიტომაც მათ პირველად ივნებითების კვალიფიკაციას ვანიჭებთ. ასეთი ფორმები არნ. ჩიქობავას მიერ დახასიათებულია, „როგორც გარდაუვალი დინამიკური ზმნები“ (ჩიქობავა 1950:060). მოგვიანებით მეცნიერი აღნიშნავს: „ქართველურ ენებში, პირველ ყოვლისა ძველ ქართულში, ვნებითი გვარის ფორმებს ზმნა ხან პრეფიქსებით იწარმოებს, ხან - სუფიქსებით. რაა აქ პირველადი და რა - მეორეული, ეს და ამასთან დაკავშირებული საკითხები ცალკე კვლევას მოითხოვს“ (ჩიქობავა 1981:12).

1929 წ. გამოცემული „ქართული ენის გრამტიკის“ ავტორი დ. კარიჭაშვილი ვდნები, ვადნები, ვკვდები, ვაკვდები, ვბტები, ვახტები ტიპის ზმნებს ვნებითებად მიიჩნევს, რადგან ავტორის აზრით, ისინი აღნიშნავენ საგნის „იმ მდგომარეობას, რომელშიც იგი ჩაყენებულია გარეშე მიზეზით ან იმ მოქმედებას, რომელსაც ის განიცდის“ (კარიჭაშვილი 1929: 52).

ამგვარი ტიპის ზმნებს ქართულში ოდენ -ებ-ი-იანი ფორმები შეესატყვისება. მესამე პირში -ი-ს S3 პირის -ა ნიშანი ენაცვლება (ვ-თბ-ებ-ი/თბ-ებ-ა). საენათმეცნიერო ლიტერატურაში მათ უნიშნო ვნებითებად, მესამე ტიპის ვნებითებად, უგვარო (დინამიკურ) ზმნებად და ბოლო დროს ავტოაქტივებადაც კი მოიხსენიებენ. ისინი მიჩნეულია უხსოვარი დროიდან დღევანდლამდე შემონახულ ფორმებად, რომლებსაც არ მოეპოვებათ ვნებითობის სპეციალური ნიშანი (შანიძე 1943:281-282)⁶⁸. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად ამ უძველეს ერთპირიან დინამიკურ ზმნათა ფორმაცია გვარის ჩამოყალიბების წინა პერიოდს განეკუთვნება, ფორმისა და განსხვავებული უღლების სისტემის გამო, მათ ვნებით გვარში განიხილავენ (იხ. შანიძე 1943, ჩიქობავა 1936; ლომთათიძე 1953, მაჭავარიანი 1958, ჯორბენაძე 1975...), დიათეზის ახალ საკლასიფიკაციო

⁶⁸ ნ. მარი ქართულში მსგავს ფორმათა მაწარმოებელ ნიშნად ბოლოკიდურ ი-ს მიიჩნევდა (მარი 1925:965). ვ. თოფურია კი -ე ხმოვანს, რომელიც ამგვარ ტიპის ზმნათა ფორმებში დასტურდება და გარკვეულ შემთხვევებში ასევე ფუძისეული მოქმედებითისა ა-ს უპირისპირდება (-ედ : -ად და სხვ. ზანურის შესახებ გარკვეულად არაფერია ნათქვამი (იხ. თოფურია 1942:965,969,972). ე-ს ვნებითის ნიშნად არ მიიჩნევს გ. მაჭავარიანი. მისის აზრით, ე- ხმოვანი, ქართველური ენების მიხედვით, ვნებითობასთან, საერთოდ გვარის კატეგორიასთან არ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული (მაჭავარიანი 1965:165-166, 173-174).

სისტემაში კი მეორე ჯგუფის დინამიკურ ზმნათა ქვეჯგუფშია მოთავსებული (მელიქიშვილი 2014).

ამგვარი ფორმები, საერთო უ სუფიქსის მიხედვით, ვნებით გვარშია განხილული მეგრულ-ლაზურშიც (მარი 1910: 57-61, ყიფშიძე 1914: 069-071, ჩიქობავა 1936, დანელია 1976, ჩუხუა 2015).

ზოგადად, ზანურში პირველადი ვნებითი იმავე ტიპისაა, როგორცაა ქართულში. ორივეგან, ძირითადად, საერთო ფუძის ზმნები დასტურდება (როგავა 1954:81; მაჭავარიანი 1965:161; დანელია 1976:101).

ზანური: ღურ-უ-ნ „კვდება“, ხომ-უ-ნ „ხმება“, ტირხ-უ-ნ „ტყდება“, სქირ-უ-ნ „შრება“, ფუთხ-უ-ნ „ფრთხება“, ნდღულ-უ-ნ „დნება“, ხვად-უ-ნ „ხვდება“, შქირტ-უ-ნ „შრტება“, ფურ-უ-ნ „ცხელდება“, ჩირთ-უ-ნ „ცდება“; ტიბ-უ-ნ/ტუბ-უ-ნ „თბება“, ჭყორდ-უ-ნ/ჭკოდ-უ-ნ „წყდება“, მონდ-უ-ნ/მომდ-უ-ნ „მწიფდება“, სქიდ-უ-ნ/სქუდ-უ-ნ „რჩება“, ჭირკ-უ-ნ/ჯკონდ-უ-ნ „ჭკნება“, ხორცქ-უ-ნ/ხონცქ-უ-ნ „სკდება“, დოდირთ-უ-ნ/დოდგით-უ-ნ „დადგება“, დოხოდ-უ-ნ/დოხედ-უ-ნ „დაჯდება“, დირკ-უ-ნ „დრკება“, ჟღირ-უ-ნ „ჭკნება“, დინ-უ-ნ „იკარგება“, წკუფ-უ-ნ „ბნელდება“, მჩხატ-უ-ნ „ბრწყინავს“, ლუმჯ-უ-ნ „ლამდება“ და სხვ.

წინა თავში ვრცლად განვიხილეთ ამგვარ ნიმუშებში -უ-ს წარმომავლობისა და კვალიფიკაციის საკითხი. აქ აღვნიშნავთ იმას, რომ ამგვარი წარმოებისაა როგორც სახელური, ისე ზმნური ფუძეები. სახელურ ფუძეებში (ღურუ/უნ „სიკვდილი/კვდება“, სქირუ/უნ „მშრალი/შრება“, ხომუ/უნ „ხმელი/ხმება“, ტიბუ/უნ „თბილი/თბება“ და მისთ.) წარმოდგენილი -უ ფორმანტი, ჩვენი აზრით, შერწყმულია. კერძოდ, ის აერთიანებს სახელური და ზმნური სუფიქსების ორ უ ხმოვანს. ასეთი ვარაუდის დაშვების საშუალებას გვაძლევს ის ფაქტი, რომ ზანურში, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალის მიხედვით, არ გამოვლენილა სახელური ფუძეების ოდენ პირის ნიშნით გაზმნავების შემთხვევები (იხ. ახალაია 2017). ამიტომაც წარმოდგენილ ფორმებში -უ არასახელურია, არც ზმნურია, რადგან პასიური უ-ს დართვა ამოსავალი უ- ხმოვნის რედუქციას არ გამოიწვევდა. ამიტომაც ვუშვებთ სახელური და ზმნური უ ხმოვნების შერწყმის შესაძლებლობას, მითუმეტეს, როცა ამგვარი პასივები ხშირად ორი -უ გრაფემით არის წარმოდგენილი:

ღურუ/ღურუუ „სიკვდილი, კვდომა“ (ქაჯაია : ლემა - ღურუ, N 23104); ათაღურუ(ნ) „შეკვდომა“ (ქაჯაია: ლემა - ათაღურა, N 178)⁶⁹; ამგვარი დაწერილობა უფრო ზუსტ მორფოლოგიურ ვითარებას ასახავს.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, კვდება ტიპისათვის ამოსავლად ნავარაუდევია -აჟ (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი), -ავ სუფიქსი (კ. დანელია): კვდ-ავ-ნ. ამგვარი სტრუქტურა დამახასიათებელი იყო ძველ ქართულში პირველი ხოლმეობითისათვის: ხატ-ავ-ნ, ამიტომაც ქართულში ე.წ. უნიშნო ვნებითებისათვის, ხშირად, აქტიური სემანტიკაა ხელშესახები ⁷⁰. აღსანიშნავია, რომ დ. მელიქიშვილი ამგვარ დინამიკურ ფორმებს ავტოაქტივებად მიიჩნევს. „ამ ტიპის ზმნები შინაარსით რეფლექსივებია, მათი სუბიექტი თვითმოქმედია, „ავტოაქტიურია“ (მოხუცი მზეზე/ღუმელთან თბება“ (მელიქიშვილი 2014:66). თუმცა, ზანურის შემთხვევაში, ტიბუ-უ-ნ „თბება“ ტიპის ზმნები ფორმოზრევად იდენტურია სტატიკური ფუძეებისა: რჩ-უ-ნ „აგია“, დგ-უ-ნ „დგას“, ორივე შემთხვევაში სუბიექტი ინაქტიურია. ისინი ერთმანეთისაგან, ძირითადად, ამოსავალი ზმნური და სახელური ფუძეებით განსხვავდებიან. ზანურში, ზოგადად, ყველა ტიპის ვნებითი, უმრავლეს შემთხვევაში, ეყრდნობა რეალიზებულ მოქმედებითი გვარისა ან ატრიბუტულ ფუძეს.

ინაქტიურობის -უ და -ნ ფორმანტებმა, მეგრულ-ლაზურში საბოლოოდ, გრამატიკულადაც გააფორმეს ამგვარ ზმნათა განმცდელობითი სემანტიკა. ზანურში ამგვარი ფორმათა სუბიექტი მხოლოდ განმცდელია.

სამეცნიერო ლიტერატურაში „უნიშნო ვნებითების“ აქტიურობის არგუმენტად ასევე მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ქართულში ისინი მიმღეობას მ-პრეფიქსით აწარმოებენ. მაგ. თბება > გა-მ-თბარი, ხმება > გა-მ-ხმარი, დნება > გა-მ-დნარი, ლბება > და-მ-ბალი (იხ. ლომთათიძე 1953:77). დ. მელიქიშვილის აზრით, „ამ ტიპის ზმნების ფუძიდან მხოლოდ მ-პრეფიქსიანი მიმღეობა იწარმოება, რომელიც სუბიექტს მიემართება, სასუბიექტო შინაარსისაა, მაგ.: თბება-დან > გა-მ-თბ-არ-ი არის ის, რაც გათბა თვითონ. ათბობს > გათბობ-ილ-ი- რაც გაათბეს, ან გათბობილ იქნა სხვის მიერ“ (მელიქიშვილი 2014:66).

⁶⁹ მოცემულ გრძელ -უ ხმოვანს მეგრულში სიტყვათ განმასხვავებლობის ფუნქცია ენიჭება. მაგ. ტიბუ „თბილი“ და ტიბუუ „თბება“, ღურუ „სიკვდილი“ ღურუუ „კვდება“ (იხ. ქირია და სხვ. 2015:465).

⁷⁰ ულენბეკის თეორიის მიხედვით, ამგვარ ფორმებში სუბიექტის აქტიურობა მხოლოდ მოჩვენებითია (იხ. ჩიქობავა 1961).

საყურადღებოა, რომ ზანურში მსგავსი ნიმუშები ვნებითი გვარის ობიექტური მიმღობით არის წარმოდგენილი და აქ სუბიექტის საკორელაციო მ- პრეფიქსი არსად არ ჩანს. მაგ., ტიბუ-უ-ნ და ტიბუ „გამთბობი“ და ა.შ. ზოგადად, ზანურში -ილ- სუფიქსი აწარმოებს საობიექტო მიმღობას, ხოლო მ-ა —ალ კონფიქსი – სასუბიექტოს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებითა და შესაბამისი მორფოსინტაქსური ყალიბის გამო, ჩვენ ამგვარ ფორმებს ვნებითი გვარის სისტემაში განვიხილავთ. ზანურში პირველადმა ვნებითებმა საფუძველი ჩაუყარა ინაქტიურობის -უ ფორმანტის ვნებითი გვარის თემატურ სუფიქსად ჩამოყალიბებას, რაც შემდგომ განზოგადდა ყველა ტიპის ვნებით გვარზე.

პირველადი ვნებითები უღლების თვალსაზრისითაც არ განსხვავდება კონვერსიული ვნებითი გვარის ფორმებისაგან.

აწმყო: „თბება“

ვ-ტიბუ-უ-ქ ტიბუ-უ-ქ ტიბ-უ-ნ ვ-ტიბ-უ-თ ტიბ-უ-თ ტიბ-უ-ნან
ვ-ი-ხანტუ-უ-ქ ი-ხანტუ-უ-ქ ი-ხანტუ-უ-ნ ვ-ი-ხანტუ-უ-თ ი-ხანტუ-უ-თ ი-ხანტუ-უ-ნან

მყოფადი: „გათბება“

გო-ვ-ტიბუ-უ-ქ გო-ტიბუ-უ-ქ გო-ტიბ-უ-ნ გო-ვ-ტიბ-უ-თ
გო-ტიბ-უ-თ გო-ტიბ-უ-ნან
დ-ი-ვ-ხანტუ-უ-ქ დ-ი-ხანტუ-უ-ქ დ-ი-ხანტუ-უ-ნ დ-ი-ვ-ხანტუ-უ-თ
დ-ი-ხანტუ-უ-თ დ-ი-ხანტ-უ-ნან

ნამყო: „გათბა“

გო-ვ-ტიბ-ი გო-ტიბ-ი გო-ტიბ-უ გო-ვ-ტიბ-ი-თ გო-ტიბ-ი-თ გო-ტიბ-ეს
დ-ი-ვ-ხანტ-ი დ-ი-ხანტ-ი დ-ი-ხანტ-უ დ-ი-ვ-ხანტ-ი-თ დ-ი-ხანტ-ი-თ დ-ი-ხანტ-ეს

I თურმეობითი: „გამთბარა“

გო-ვ-ტიბელ-ე-ქ გო-ტიბელ-ე-ქ გო-ტიბელ-ე-ნ
გო-ვ-ტიბელ-ე-თ გო-ტიბელ-ე-თ გო-ტიბელ-ე-ნან
დო-ვ-ხანტელ-ე-ქ დო-ხანტელ-ე-ქ დო-ხანტელ-ე-ნ
დო-ვ-ხანტელ-ე-თ დო-ხანტელ-ე-თ დო-ხანტელ-ე-ნან

შესაძლოა, პირველ თურმეობითში ასევე შეგვხვდეს -აფ-იანი წარმოებაც: გოტიბ-აფ-ე-ნ „გამთბარა“, გოსქირ-აფ-ე-ნ „გამშრალა“, გოხომ-აფ-ე-ნ „გამხმარა“. ამგვარი ფორმები კაუზაციური წარმოების მოქმედებითების შესაბამისი კონვერსიული ვნებითებია: შდრ. ACT: ო-ტიბ-უ-ან-ს „ათბობს“ და PASS: ი-ტიბ-უ-აფ-უ-ნ „თბება“ > REZ1: გო-ტიბ-აფ-ე-ნ „გამთბარა“).

პირველადი ვნებითი იმით განსხვავდება პრეფიქსულისაგან, რომ ეს უკანასკნელი იწარმოება შესაბამისი მოქმედებითისაგან, ხოლო პირველადი ვნებითი თვითონ წარმოადგენს ერთგვარ ბაზას სათანადო მოქმედებითი გვარის საწარმოებლად. ეს არის პრინციპული სხვაობა ამ ორ ტიპს შორის (ლომთათიძე 1953:78). თუმცა ეს სხვაობაც ნელ-ნელა იშლება, რადგან ლაზურში შეიმჩნევა ტენდენცია პირველადი ვნებითების პრეფიქსულთან გათანაბრებისა. მაგ.

- ლაზ. სქირ-უ-ნ // ი-სქირ-ე-ნ „შრება“
- ლაზ. წურდ-უ-ნ // ი-წურდინ-ე-ნ „წრტება“
- ლაზ. ლუმჯ-უ-ნ // ი-ლუმჯ-ე-ნ „სალამოვდება“
- ლაზ. სქირ-უ-ნ // ი-სქირ-ე-ნ „შრება“

მეგრულში, პასიურ ფორმათა უნიფიკაციის ტენდენცია თავის დროზე, ვ. თოფურიამ „რთული“ ტიპის⁷¹ ფუძეებში შენიშნა (თოფურია 1942:968). მსგავსი ფორმები ასევე გამოყოფილი აქვს კ. დანელიას:

- შქირტ-უ-ნ „შრტება“ ი-შქირიტ-უ-უ-ნ „იშრტება“
- დირკ-უ-ნ „დრკება“ ი-დირიკ-უ-უ-ნ „იდრიკება“
- წირდ-უ-ნ „წრდება“ ი-წირიდ-უ-უ-ნ „იწრიტება“

(დანელია 1976:102).

3.1.2. R-დ-უ-ნ სტრუქტურის ადიექტიური ვნებითები. დამოუკიდებელი წარმოების ვნებითი გვარის მეორე ქვეჯგუფად გამოვყოფთ ნომინატიური კონსტრუქციისა და R-უ-ნ

⁷¹ აღნიშნული ტიპის ვნებითებს ორ ჯგუფად ყოფენ: ჯდების ტიპი და დრკების ტიპი. პირველი ჯგუფი „მარტივია“, მეორე – „რთული“. რთულია ფუძე, როდესაც იგი გავრცობილია ფუძის მაწარმოებელი სხვადასხვა სუფიქსით. მაგ. დრ-ეკ-ს : დრ-კ-ებ-ის, შრ-ეტ-ს : შრ-ტ-ებ-ის და მისთ.(იხ. თოფურია 1936:227-233).

მოდელით გაზმნავებულ დონიან ფუძეებს, შესაბამისად ამგვარ ფორმათა აუსლაუტში გვაქვს R-დ-უ-ნ სტრუქტურა. ლაზურში ასეთი ტიპის წარმოება ნაკლებპროდუქტიულია, მეგრულში კი – შედარებით რეალიზებული. აქ მათი აბსოლუტური უმრავლესობის ფუძე, ისევე, როგორც ძველ ქართულში, ზედსართავი სახელია. შენიშნულია, რომ ძველ ტექსტებში -დ სუფიქსი ნიშან-თვისების გამომხატველ სახელურ ფუძეებთან დასტურდებოდა: გა-შავ-დ-ა, და-ძვირ-დ-ა (იხ. მუზაშვილი 2016:52).

ჩვენ მსგავს ნიმუშებს, ამოსავალი ფუძის გათვალისწინებით, ადიექტიურ ვნებითებად მოვიხსენიებთ. ტერმინი ზუსტად ასახავს ამგვარ ზმნურ ფორმათა ატრიბუტულ წარმომავლობას.

3.1.2.1. -დ სუფიქსის წარმომავლობისა და კვალიფიკაციისათვის. -დ სუფიქსის წარმომავლობისა და ფუნქციის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი განსხვავებული თვალსაზრისი გამოითქვა (იხ. შანიძე 1981:39, ჩიქობავა 1981, თოფურია 1942, ერთელიშვილი 1960:196-204, მაჭავარიანი 1973:109-112, დანელია 1976:107, ჯორბენაძე 1975:14,64,143, მელიქიშვილი 2014:85, ჰოლისკი 2000:50...).

ა. შანიძე -დ ფორმანტს ნასახელარი ზმნების მაწარმოებლად მიიჩნევს, რომელიც ისტორიულად მიღებულია ნ-საგან ნარნარა (ნ, რ, ლ) ბგერებთან მეზობლობით, დისიმილაციის ნიადაგზე: გა-ნმწუან-დ-ა < *გა-მწუან-ნ-ა, გამდიდრ-დ-ა < *გან-მდიდრ-ნ-ა, გა-ნმრავლ-დ-ა < გა-ნმრავალ-ნ-ა და მისთ. შემდეგ ეს -დ განზოგადდა და ყოველგვარი ბგერით გათავებულ ფუძეს დაერთო: შეწუხ-ნ-ა, შეწუხ-დ-ა, დამძიმ-ნ-ა დამძიმ-დ-ა და სხვ. მეცნიერი ფიქრობს, რომ აღნიშნული -ნ სუფიქსი ნაშთია -ენ მარცვლისა, რომელიც აღდგებოდა წყვეტილის 1-ლსა და მე-2 პირში: შევწუხ-ენ, შესწუხ-ენ, მაგრამ: შეწუხ-ნ-ა. ა. შანიძის აზრით, ისტორიულად ნარისაგან წარმოშობილ დ-ს არავითარი კავშირი არა აქვს იმ დ-ონთან, რომელიც უწყვეტელსა და I კავშირებითში უჩნდება ზმნას და რომელსაც სავრცობი ჰქვია - ვა-კეთებ-დ-ი, ვაკეთებ-დ-ე (შანიძე 1981:39).

ვ. თოფურია ფიქრობს, რომ -დ სუფიქსი ამოსავალში ხმოვანს შეიცავდა და ეს იყო - ე, ანუ დ < *-ედ (თოფურია 1940:536).

*-ედ(>-დ) და -ენ(>-ნ) სუფიქსების გენეტიკური კავშირის შესახებ გამოთქმული

მოსაზრება გაზიარებულია მეცნიერთა ნაწილის მიერ (იხ. უთურგაიძე 1976:184:205; ნოზაძე 2008:33). მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ მოცემული ელემენტები მატერიალურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ოდენობებს წარმოადგენს და *-ედ ელემენტი ფონეტიკურად -ენ-ისგან არ გამოიყვანება⁷² (იხ. თოფურია 1940:533-536; ერთელიშვილი 1960; 2010:196, 204; გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:261; იმნაიშვილი 1968:41-42; მაჭავარიანი 1973:108-121).

თ. უთურგაიძის შენიშვნით, -დ სუფიქსი დამოუკიდებელი ფორმანტი რომ იყოს, მაშინ ძველ ქართულშიც უნდა დასტურდებოდეს -დ სუფიქსის -ედ ხმოვნის ვარიანტი, მსგავსად -ენ(/ნ) მორფემისა. ქართული ენის უძველეს ძეგლებში კი -ედ სუფიქსი ამ დანიშნულებით ფიქსირებული არ არის (უთურგაიძე 1976:184,205). შდრ. პირველი პირი: გან-ვ-კაც-ენ, მესამე პირი: გან-კაც-ნ-ა და აღ-მადლ-დ-ა.

ვ. თოფურიას -ედ სუფიქსს „ჯედ“, „ხედ“, „კუედ“ ტიპის ფორმებში გამოყოფს (თოფურია 1940:536), რაც გაუმართლებლად მიაჩნია ლ. ნოზაძეს, რადგან მოცემული ნიმუშები ისტორიულად არა ვნებითის, არამედ უგვარო დინამიკურ ზმნათა ფორმებია ისევე, როგორც ძველი ქართულის განვხ-ემ, დავდ-ეგ, განვტ-ეფ და სხვ. მკვლევარი მიიჩნევს, რომ გამოყოფილი სუფიქსები, ისევე როგორც -ედ, ფუძის შემადგენელი ელემენტებია (ნოზაძე 2008:32).

გ. მაჭავარიანის აზრით, თუ „ჯედ“ ტიპის ფუძეთა შემადგენლობაში ნამდვილად გამოიყოფა -ედ (რაც ყოველ ცალკეულ ფუძესთან სპეციალურ დასაბუთებას მოითხოვს), მაინც სადავო იქნება ამ -ედ სუფიქსის ვნებითი გვარის საწარმოებელ ფორმანტად მიჩნევა. მკვლევარი -ენ და *-ედ ფორმანტებს განიხილავს საერთოქართველური მორფოლოგიური სტრუქტურის პარალელურ ელემენტებად, რომლებსაც საერთოქართველურ დონეზე „მადინამიკურებელი“ აფიქსების როლი ეკისრებოდათ (მაჭავარიანი 1965:148-150).

-დ სუფიქსს ასევე მადინამიკურებელ ფორმანტად მიიჩნევენ მ. სუხიშვილი (სუხიშვილი 1980:126-133) და დ. მელიქიშვილი, რომლის აზრითაც, -დონი ზმნურ ფორმებს აწარმოებს სახელის ფუძისაგან ან მასდარისაგან (მელიქიშვილი 2014:86).

⁷² ვ. თოფურიას ვარაუდით,... -(ენ უპირატესად სახელების მაწარმოებელ სუფიქსად გვხვდება, ხოლო -*(ედ) ზმნური ფუძეებისა... (თოფურია 1940:533-536)

ფ. ერთელიშვილი ვნებითთან გამოვლენილ -დ და -ნ ელემენტებს (ე.წ. საშუალო გვარის ზმნათა ანალიზის საფუძველზე) უწყვეტელში გამოვლენილ -დ სავრცობთან აკავშირებს. ისინი მერე გადაიქცნენ ვნებითი გვარის მაწარმოებელ ნიშნად (ერთელიშვილი 1960:81-82, 86, 88, 91). მკვლევარი ვარაუდობს, რომ -დ და -ნ (-ენ) ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი, პარალელური სუფიქსებია, აქედან ძველ ქართულში -ნ(-ენ) გვხვდება უპირატესად ნასახელარ ზმნებში, ხოლო -დ როგორც ზმნურ, ისე ნასახელარ ფუძეებში (ერთელიშვილი 2010:196, 204).

ბ. ჯორბენაძე არ გამორიცხავს სახელებში ვითარებითი ბრუნვის ნიშნებისა (-ან||-ნ, -ად||-დ) და ზმნებში ვნებითი გვარის სუფიქსების (-ენ||-ნ, -ედ||-დ) გენეტიკურ კავშირს. მისი აზრით, მოცემულ ფორმანტებს თავდაპირველად სიტყვაწარმოებითი ფუნქცია უნდა ჰქონოდათ, ხოლო ფორმაწარმოებით აფიქსებად მათი გამოყენება უფრო გვიანდელ მოვლენას ასახავს (ჯორბენაძე 1975:142-143).

ზოგადად, ცნობილია, რომ ქართველურ ენებს ისტორიულად ახასიათებდა სახელებსა და ზმნებში საერთო ფორმანტების გამოყენება. ეს მოვლენა კარგად ჩანს ნაწარმოებ ფორმებში: ნაზმნარი სახელები და ნასახელარი ზმნები ერთსა და იმავე აფიქსებს იყენებენ (ჩიქობავა 1948: 267; 274).

-დ სუფიქსზე, როგორც ინცეპტური მნიშვნელობით გარდაუვალი ზმნების მაწარმოებელ ფორმანტზე, ყურადღებას ამახვილებს დ. ე. ჰოლისკი. ის განიხილავს ქართულში ინცეპტური დერივაციის ლექსიკურ წესს, რომელიც უმეტესწილად გამოიყენება ზედსართავი და არსებითი სახელებისათვის სტატიკური და არადერივაციული მედიალური ზმნების ძირზე-დ-ს დართვით. ავტორის აზრით, ინცეპტური ფორმისა და შინაარსის დეტალები დამოკიდებულია ბაზისურ ფუძეზე (ჰოლისკი 2000:50).

მეგრულ-ლაზურის სასრული რაოდენობის მონაცემთა სტრუქტურირებულ ბაზაში, გამოიყო R-დ-უ-ნ ყალიბის 262 ერთეული. აქედან -დ ფორმანტი გვხვდება 23 ზმნურ (ნიმუში: ა) და 239 სახელურ ფუძესთან, რომელთა უმრავლესობა ატრიბუტული წარმოშობისაა (ნიმუში: გ), მცირე ნაწილი კი – სუბსტანტიური (ნიმუში: ბ):

ა) V-დ-უ-ნ:

მეგრული: თან-დ-უ-ნ „თენდება“, შინ-დ-უ-ნ „სივდება“, ჩუნ-დ-უ-ნ „იშუშება“, ჩენ-დ-უ-ნ „ჩერდება“, ჩხონ-დ-უ-ნ „ცხონდება“, რჩქინ-დ-უ-ნ „ჩნდება“, წყინ-დ-უ-ნ „ჰბეზრდება“, ოკორ-დ-უ-ნ „აკლდება“...

ლაზური: დოჭკინ-დ-უ-ნ „იღლება“, მოწონ-დ-უ-ნ „მოეწონება“, ნუხონ-დ-უ-ნ „ითმენს“, ჩქინ-დ-უ-ნ „ჩნდება“, გომაკვირ-დ-ე-ნ „აკლდება“, დოყონ-დ-უ-ნ „ყოვნდება“, მო-ღორ-დ-უ-ნ „მოტყუვდება“;

ბ) N-დ-უ-ნ:

N: ფიჟვი > DNV : ფიჟვონ-დ-უ-ნ „ფილტვი > გად. სივდება“

N: ფოკვა > DNV : ფოკვინ-დ-უ-ნ „ობი > ობდება“

N: ღვინჯგი > DNV : ღვინჯგონ-დ-უ-ნ „ღრჯოლი > გად. იღრიჭება“

N: წყიწყი > DNV : წყიწყონ-დ-უ-ნ „წყლული > წყლულდება“;

გ) ADJ-დ-უ-ნ:

ADJ: ბირგა „მაგარი“ DNV: ბირგ-ონ-დ-უ-ნ „მაგრდება, ხევდება“

ADJ: ბირჩხა „ბრწყინვალე“ DNV: ბირჩხ-ონ-დ-უ-ნ „ბრწყინდება“

ADJ: ბითქა „პუტკუნა“ DNV: ბითქ-ონ-დ-უ-ნ „პუტკუნდება“

ADJ: თირსა „სავსე“ DNV: თირს-ონ-დ-უ-ნ „ივსება“

ADJ: რისქვა „მკვრივი“ DNV: რისქვ-ონ-დ-უ-ნ „მკვრივდება“

ADJ: რჯგიმა „გაჯგიმული“ DNV: რჯგიმ-ონ-დ-უ-ნ „იჯგიმება“

ADJ: სვინგა „უმნოდ გრძელი“ DNV: სვინგ-ონ-დ-უ-ნ „უმნოდ გრძელდება“

ADJ: ტვირა „გატრუნული“ DNV: ტვირ-ონ-დ-უ-ნ „იტრუნება“

ADJ: ტვიჩა „გადატკეცილი“ DNV: ტვიჩ-ონ-დ-უ-ნ „იტკიცება“

ADJ: ტყვიპა „უფერული“ DNV: ტყვიპ-ონ-დ-უ-ნ „უფერულდება“

ADJ: ფიშქვა „გაფურჩქნილი“ DNV: ფიშქვ-ონ-დ-უ-ნ „იფურჩქნება“

ADJ: ღვინჯა „ძალიან მწიფე“ DNV: ღვინჯ-ონ-დ-უ-ნ „ძალიან მწიფდება“

ADJ: ღიჭა „გაღრეჯილი“ DNV: ღიჭ-ონ-დ-უ-ნ „იღრიჯება“

ADJ: ჩიკა „გაბღენძილი“ DNV: ჩიკ-ონ-დ-უ-ნ „იბღენძება“

ADJ: ჭვიჭვა „ღაჟღაჟა“ DNV: ჭვიჭვ-ონ-დ-უ-ნ „ღაჟღაჟდება“

ADJ: ჯირგა „ზორბა“ DNV: ჯირგ-ონ-დ-უ-ნ „ზორბდება“

ADJ: ცინჩა გად. უხეში DNV: ცინჩ-ონ-დ-უ-ნ „ცივდება, უხეშდება“

აღსანიშნავია, რომ -დ დაერთვის არა უშუალოდ ზედსართავ სახელის, არამედ მისგან -ონ სუფიქსით წარმოქმნილ ფუძეს.

სამეცნიერო ლიტერატურაში დონიან ვნებიტებად არის მიჩნეული ცორ-დ-უნ „ლპება“ ტიპის ფორმები (დანელია 1976). მ. ჩუხუას შენიშვნით, „მსგავსი სტრუქტურის ზმნებში დონიანი ვნებიტის გამოყოფა უხერხულია, ვინაიდან მეგრ. ცორ-დ-უნ ზმნაში (რომელიც ქართულ ყარ-ს ზმნას უკავშირდება გენეტიკურად) ეს -დ გამოჩნდება მოქმედებითი გვარის ფორმებშიც, შდრ. ცორდ-უ(-ნ) „ლპება“, მაგრამ ცორიდ-უნ-ს „ალ-პობს“, ასევე შურდ-უ(-ნ) „იღლება“, მაგრამ შულიდ-უნ-ს „ღლის“ და ა.შ.” (ჩუხუა 2015:81).

დონიანი ფორმების არსებობას სალიტერატურო ქართული ენის გავლენით ხსნიან მეგრულსა (ჩიქობავა 1936:114) და ლაზურში (მარი 1910:57,114) და იგი მიჩნეულია პრეფიქსულთან შედარებით ახალ/მეორეულ წარმოებად (ჩიქობავა 1936: 14-15; ქავთარაძე 1954:310-311; ერთელიშვილი 1960:77; ნოზაძე 1961: 68-71; მაჭავარიანი 1965:150-152; სუხიშვილი 1980ა: 126-135).

გ. მაჭავარიანი, ასევე გამოთქვამს ვარაუდს: „იქნებ -დ სუფიქსიანი ვნებითი ზანურში არც იყო ქართულიდან შესული? ხომ არაა ეს მოვლენის ჩანასახი, რომელიც რაღაც მიზეზით აღარ განვითარდა?“ (მაჭავარიანი 1965:150-151). კ. დანელიას მოსაზრებით, ამგვარი წარმოება ისტორიულად, შესაძლებელია დამახასიათებელი ყოფილიყო ზანურისთვისაც (დანელია 1976:107). მისი აზრით, მეგრულ-ლაზურში გამოვლენილი დონიან ფორმათა ნიმუშები ფართოდ გავრცელებული წარმოების გადმონაშთია. დონით ისეთი ზმნები იწარმოება, რომლებიც უძველესი ხმარებისაა და კანონზომიერად სახეცვლილი ქართულთან მიმართებით: მეგრ. თან-დ-უნ „თენ-დ-ებ-ა“, შინ-დ-უნ „სივ-დ-ება“; ლაზ. გომოკკონ-დ-უნ „მავიწყდება“, მოლორ-დ-უნ „მოტყუვდა“, მომწონ-დ-უნ „მომწონს“ და ა.შ. (დანელია 1976:107-108).

ლ. ნოზაძე ნაწილობრივ იზიარებს აღნიშნულ თვალსაზრისს. მისი აზრით, მართალია, კოლხურის ფაქტობრივი მასალა არ უჭერს მხარს ვარაუდს -დ სუფიქსის ქართულიდან მომდინარეობის შესახებ, თუმცა დონიანი ფორმები მეგრულ-ლაზურში წარმოადგენს გადმონაშთს არა ადრე ფართოდ გავრცელებული მოვლენისა, არამედ ჩანასახს ვნები-

თის სუფიქსური წარმოებისა, რომელმაც კოლხურში, ქართულისაგან განსხვავებით, განვითარება ვერ პოვა (ნოზაძე 2000:180; 2008:35,45-46)⁷³.

ჩვენ ვიზიარებთ კ. დანელიას მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ზანურში დონიანი ფორმები არქაულია და გადმონაშთია ფართოდ გავრცელებული წარმოებისა. -დ, ემპირიული მასალის მიხედვით, არ გამოვლენილა არცერთ ახალ ზმნასთან. ახალი ფუძეები პრეფიქსაციის მოდელს იყენებენ.

ისმის კითხვა, რატომ მოიშალა დონიანი წარმოება და რატომ შერჩა იგი წარმოების ადრინდელ საფეხურს მაშინ, როცა ქართულში ვნებითის სუფიქსურმა დერივაციამ ფართოდ გაიკაფა გზა და რეგულარულ, მასთან უაღრესად პროდუქტიულ სისტემად ჩამოყალიბდა?

როგორც სასრული რაოდენობის ზმნურ ფორმათა კვლევამ წარმოაჩინა, -დ ფორმანტი უმრავლეს შემთხვევაში გვხვდება მეგრულის გაზმნავებულ ატრიბუტულ სახელებში, რომელთა ფუძე -ონ ელემენტზე ბოლოვდება (იხ. (გ) ნიმუში ზემოთ). აღნიშნული ელემენტი ჩვენ ზანურში შედარებითი ხარისხის წარმოებასთან დავაკავშირეთ⁷⁴ (ვრცელი ანალიზისათვის იხ. გვ. 125), ხოლო ამგვარ ფუძეზე დართული -დ ფორმანტი ვითარებითი/გარდაქცევითი ბრუნვის -დ ნიშანი გვგონია (შდრ. ჯორბენაძე 1975:142-143): სახ. ჭით-ონ-ი, მოთხ. ჭით-ონ-ი-ქ... ვით. *ჭით-ონ-ი-დ...> *ჭით-ონ-დ-უ. ამგვარი ზმნური ფუძეები სემანტიკურად გარდაქცევითობას გამოხატავენ: „-დ სუფიქსი აწარმოებს გარდაუვალ დინამიკურ ზმნებს, რომელნიც გარდაქცევითობას გამოხატავენ (მაჭავარიანი 1965:145). ჩვენი აზრით, პასივობის უ სუფიქსი აწარმოებს გარდაქცევითობის გამოხატველ აღნიშნულ ფორმებს.

ცნობილია, რომ გარდაქცევითი (resp: ვითარებითი, ვნებითი) ბრუნვის გამოყენება ნაკლებპროდუქტიულია მეგრულში და კიდევუფრო იშვიათი ალაზურში (ჩიქობავა 1936:51). აქ, „მწირი ენობრივი მასალის გამო, ეს ბრუნვა, როგორც ჩანს, უფრო ისტორიული

⁷³ ზოგადად, ლ. ნოზაძე პრეფიქსაციას, სუფიქსურ წარმოებასთან შედარებით, ზმნურ ფორმათა განვითარებისათვის დამახასიათებელ ადრეულ ეტაპად მიიჩნევს (იხ. ლ. ნოზაძე 2008).

⁷⁴ -ონ-ი აღნიშნული ფუნქციით თანამედროვე ზანურში აღარ გამოიყენება. სავარაუდოდ, იგი ტრანსფორმირებულია (-ონ> -ან) და მა- პრეფიქსთან ერთად (მა-R-ან) გამოხატავს თანაბრობით ხარისხს⁷⁴: მა-ჭიფ-ან-ა „ისეთივე წვრილი, როგორც...“.

ვითარების ნაშთად უნდა ჩაითვალოს, ვიდრე თანამედროვე ფლექსიური სისტემის სრულფასოვან წევრად“ (ქირია და სხვ. 2015:25)⁷⁵.

ჩვენი აზრით, ზანურის ვითარებითი ბრუნვის სისტემისა და -დონიანი წარმოების მოშლა ერთმანეთთან უნდა იყოს დაკავშირებული, ანუ ვითარებითი ბრუნვის გაქრობასთან ერთად შეწყდა შედარებითი ხარისხის გარდაქცევითი ბრუნვით წარმოდგენა და შემდგომ მისი გაზმნავეების პროცესიც, რასაც ადგილი უნდა ჰქონოდა ზმნურ ფორმათა განვითარების მეორე საფეხურზე. კერძოდ, მაშინ, როცა იწყება სახელური სტატიკური ნიშან-თვისების ზმნური/მოვლენის სახით წარმოდგენა, რაც ზანურში უ-სუფიქსს უკავშირდება. მაგ. ხომუ „ხმელი“ > ხომუ-უ-ნ „ხმება“, ტიბუ „თბილი“ > ტიბუ-უ-ნ „თბება... ამ პროცესს უერთდებიან ასევე ნიშან-თვისების გამომხატველი შედარებითი ხარისხის (R-ონ) გარდაქცევითი ბრუნვის ფორმით (R-ონ-დ) წარმოდგენილი ატრიბუტივები: ჭით-ონ-დ-უ-ნ „წითლდება“, ღვიჟ-ონ-დ-უ-ნ „უფერულდება“, გვიგვ-ონ-დ-უ-ნ „სივდება“ და ა.შ.

ზმნურ ფორმათა განვითარების მეორე საფეხურზე ინაქტიურობის -უ-ნ მოდელით ზმნავდება ატრიბუტული (ვითარებითი, ხარისხის მქონე) ფუძეები. ანუ ჭითონდ-უ-ნ „წითლდება“ და ხომუ-უ-ნ „ხმება“ ფორმათა გაზმნავება თანადროულია და ერთსა და იმავე პროცესზე მიუთითებს.

მსგავსი წარმოება ლაზურისათვის ვერ იქნება და არც არის დამახასიათებელი, რადგან აქ ვითარებითი ბრუნვის სისტემა გაცილებით ადრე მოიშალა. მოგვიანებით მას მიჰყვა მეგრულიც, თუმცა გარკვეული ფორმების წარმოება მოასწრო. სწორედ ამის გამო ზანურში -დ ფორმანტი, ქართულისაგან განსხვავებით, ვერ განვითარდა და შესაბამისად, ფორმაწარმოების ფუნქციითაც ვერ ჩამოყალიბდა.

ცნობილია, რომ დონიანი ნიმუშები საერთოდ არ დასტურდება სვანურში. გ. მაჭავარიანის მიხედვით, „დონიანი ვნებითი არის იზოგლოსა, რომელიც აერთიანებს ქართულსა და ზანურს. ეს არის საერთო სიახლე, რომლითაც ეს ორივე ქართველური დიალექტი უპირისპირდება მესამეს - სვანურს“ (მაჭავარიანი 1973:120:121).

⁷⁵ „ქართველური ენების ფუძე-ენისათვის ვითარებითი ბრუნვის აფიქსად უნდა ჩაითვალოს -ად. შემდეგში მისგან კოლხურში მივიღეთ -ოთ>-ო და-თ, ქართულში – ად, -ა, -დ, დ-ა; სვანურში – *-ად, -დ (ლომთაძე 1987: 47).

ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა სვანურ ენაში ვითარებითი ბრუნვის ფუნქციასთან დაკავშირებით კ. დონდუას მიერ სტატიაში „ადილეური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში“ გამოთქმული თვალსაზრისი: „სვანურის ვითარებითი ბრუნვა თითქმის სავსებით ემთხვევა ქართული ენის ვითარებითს“ და იქვე სქოლიოში შენიშნავს, რომ „ქართულთან განსხვავებით, სვანურში ვითარებითი იხმარება აგრეთვე შედარებით ხარისხთან შესადარებელი საგნის აღსანიშნავად: დიარ-დ ხოშაეშხეკჳესძღდჳშლესეს (ონიანი 1917) „სიდიდით პურზე უფრო დიდი უნდა იყოს“. ქვეყანა ჟიეჯაჲრ-დხოჩადჳსალგმჲრდ (სვან. პროზ. I, 124). „ქვეყანაზე მათზე უკეთესი არავინ ყოფილა“ (დონდუა 1967:52). მართალია, სვანურში დონიანი პასივები არ გვხვდება, მაგრამ ნათელია, რომ ვითარებითი ბრუნვა შედარებით ხარისხთან არის დაკავშირებული.

მეგრულ-ლაზურში, გარდა ნასახელარი ადიექტიური ფორმებისა, როგორც აღინიშნა, მწირი რაოდენობით დასტურდება ზმნური წარმოშობის ფორმები: ლაზ. დოჰკინ-დ-უ-ნ „იღლება“, მოწონ-დ-უ-ნ „მოეწონება“, მოლორ-დ-უ-ნ „მოტყუვდება... მეგრ. ოკორ-დ-უ-ნ „აკლდება“, წყინ-დ-უ-ნ „წყინდება“, რჩქინ-დ-უ-ნ „ჩნდება“ და ა.შ. (იხ. (ა) ნიმუში ზემოთ). მოცემული ზმნური ფორმები, ძირითადად, ქართული ნასესხობებია. ამგვარი ზმნური ნიმუშების მიხედვით და არასაკმარისი ემპირიული მასალის გამო მეცნიერები ზანურში დონიან ფორმათა წარმოებას ქართულის გავლენას მიაწერდნენ, დონი „ქართულიდან შესულ ფუძეებს ერთვის“ (მარი 1910:57,114) და ეს მოსაზრება დღემდე აქტუალური იყო სამეცნიერო ლიტერატურაში.

ამგვარ ზმნურ ფუძეებში⁷⁶ -დ ფორმამაწარმოებელი ფუნქციითაა გამოყენებული და ზმნურ მორფემათა სტრუქტურაში მოქმედებითიდან გადმოყოლილი დინამიკური თემის ნიშნის ადგილს იკავებს, შესაბამისად, იგი ამავე ფუნქციისაა:

იდგ-უმ-უ-ნ	„იდგმება“
იკეთ-ებ-უ-ნ	„კეთდება“
ირძ-აფ-უ-ნ	„ინთება“
იქარ-უ-უ-ნ	„იწერება“

⁷⁶ შესამჩნევია, რომ -დ ზანურში უფრო მეტად იმ ზმნებთან გვხვდება, რომელთა ფუძე ნ (ან რ) ელემენტს შეიცავს: თან-დ-უ-ნ „თენდება“, რჩქინ-დ-უ-ნ „ჩნდება“ და ა.შ.

ჩენ-დ-უ-ნ „ჩერდება“

წყინ-დ-უ-ნ „წყინდება“

ოკორ-დ-უ-ნ „აკლდება“

სახელური ფუძისაგანმიღებულ დონიან ვნებითებს, როგორც დასაწყისში აღინიშნა, არ მოეპოვება შესაბამისი მოქმედებითი გვარი, ისინი გვარეობრივ ოპოზიციურ სისტემაში განცალკევებით დგანან:

ACT: ო-ჭითინ-უ-ან-ს : PASS: ი-ჭითინ-უ-აფ-უ-ნ PASS: ჭითონ-დ-უ-ნ

ACT: ა-ჭითარ-ენ-ს : PASS: ი-ჭითარებ-უ-ნ —

ACT: აწითლებს : PASS: *იწითლება PASS: წითლდება

ACT: ო-ბირგინ-უ-ან-ს : PASS: ი-ბირგინ-უ-აფ-უ-ნ PASS: ბირგონ-დ-უ-ნ

ACT: ამკვრივებს : PASS: *იმკვრივება PASS: მკვრივდება

ACT: ო-რიჩინ-უ-ან-ს : PASS: ი-რიჩინუაფ-უ-ნ PASS: რიჩონ-დ-უ-ნ

ACT: კრეჭს (კბილებს) : PASS: ი-კრიჭ-ებ-ა PASS: იკრიჭება

ადიექტიური ვნებითი გვარის ანალიზისას ჩვენთვის აქტუალური იყო კიდევ ერთი კითხვა, რამ განაპირობა ამგვარი ფორმების ვნებითი გვარის ინაქტიურობის -უ სუფიქსით გაზმნავენის არჩევანი?

ჩვენი აზრით, ამოსავალში, ანუ გვარის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე, მათი არჩევანი განსაზღვრა სახელურ ფუძეთა არააქტიურმა სემანტიკამ. ცნობილია, რომ არნ. ჩიქობავა ე.წ. მედიოაქტივებს სტატიკურებად იმის გამოც მიიჩნევდა, რომ ამგვარ ზმნათა ფუძე (დიდი უმრავლესობა) სახელური წარმოშობისა იყო. ამგვარი ფორმები თავიანთი სემანტიკით არა აქტიურები, არამედ გამცდელები არიან.

-დ ფორმანტის ვერგანვითარებამ ზანურში ფართო გასაქანი მისცა პრეფიქსული ვნებითების წარმოებას, უფრო მეტიც დონიანებიც კი პრეფიქსულ წარმოებაზე გადადიან:

ჭითონ-დ-უ-ნ > ი-ჭითარ-ებ-უ-ნ „წითლდება“

ღვიჟონ-დ-უ-ნ > ი-ღვიჟარ-ებ-უ-ნ „უფერულდება“

შეიძლება დასკვნის სახით ითქვას, რომ, ქართულისაგან განსხვავებით, -დ ფორმანტი ზანურში ფორმაწარმოებით აფიქსად ვერ ჩამოყალიბდა, ზემოაღნიშნული

მოვლენების გამომან სიტყვაწარმოების ფუნქციაც დაკარგა. ამრიგად, ზანურში -დ წარმოქმნილი სახელური ფუძის შემადგენელი ნაწილია და არა ვნებითი გვარის მაწარმოებელი აფიქსი⁷⁷. ამგვარ განმცდელი სემატიკის ფორმებს ვნებითი გვარის სისტემაში პასივთათვის დამახასიათებელი საერთო -უ თემატური სუფიქსისა და ნომინატიური კონსტრუქციის გამო განვიხილავთ.

3.2. კონვერსიული ვნებითები. კონვერსიულ ვნებითში განვიხილავთ ყველაზე დიდ ჯგუფს ვნებითი გვარის სისტემაში, რომელთათვისაც ამოსავალი შესაბამისი მოქმედებითი გვარის ზმნებია (პირველადი, რელაციური, კაუზაციური). მსგავსი დერივაცია, ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, მოიცავს პასიურ ფორმათა 70%-ზე მეტს.

კონვერსიისას, მოქმედებითი გვარის თემატური ფუძე⁷⁸ ვნებითი გვარის სპეციფიკურ ი-R-უ/ე-ნ მოდელში ექცევა. ამიტომაც, მოქმედებითი გვარის თემის ნიშნები შესაბამის ვნებითშიც არის ასახული, მეგრულში სრულად, ლაზურში კი – ნაწილობრივ. მათქტივებელი ფორმანტი ვნებითი გვარის სისტემაში დევალვირებულია, ის ამოსავალი ფუძის ნაწილია და მას დამოუკიდებლად არანაირი მორფოლოგიური ღირებულება არ გააჩნია. ვნებითი გვარის გლოსირებულ ნიმუშებში, თუ ზედმიწევნით გამეყოფთ ფუძის თითოეულ ელემენტს მის შესატყვის აბრევიატურას გრაფემულად პატარა ასოებით გამოვსახავთ - atm (=აქტივის დევალვირებული თემის ნიშანი).

ამოსავალი ფუძის გათვალისწინებით კონვერსიულ ვნებითში გამოვყოფთ ორ ჯგუფს: ი-R-(atm)-უ/ე-ნ და ი-R-(უ)-atm-უ/ე-ნ.

3.2.1. ი-R-ე-ნ სტრუქტურის ვნებით-პოტენციალისები. კონვერსიული ვნებითი გვარის პირველ ქვეჯგუფში გამოვყოფთ ი-R-ე-ნ სტრუქტურის ვნებით-პოტენციალისის გამომხატველ ფორმებს ლაზურში⁷⁹.

⁷⁷ ქართულში, ა. შანიძის აზრით, „დონი მაწარმოებელია არა ვნებითისა, არამედ ნასახელარი ზმნებისა, რომელთაც გარდაუვალი მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც თავისი სინტაქსური თვისებებით ვნებითად მოქცეულ ზმნებს ჰგავს“ (შანიძე 1957:35-37).

⁷⁸ თემის ნიშნის გარეშე ზანურში მოქმედებითი გვარი, ფაქტობრივად, აღარ ფუნქციონირებს.

⁷⁹ მეგრულში პოტენციალისი როგორც დამოუკიდებელი კატეგორია ცალკე აქვს გამოყოფილი, არნ. ჩიქობავას (იხ. ჩიქობავა 1937).

მიღებული თვალსაზრისით, ზანურში ვნებითისა და პოტენციალისის ფორმები თავდაპირველად გამიჯნული არ უნდა ყოფილიყო ანუერთი სტრუქტურა ითავსებდა როგორც პოტენციალისის, ისე ვნებითის გაგებასაც (ჩიქობავა 1937:33, მაჭავარიანი 1965:121). მაინც, არნ. ჩიქობავა ფიქრობდა, რომ „ამ წარმოების ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო პოტენციალისი“ (ჩიქობავა 1937:33).

ჩვენ ვეთანხმებით აღნიშნულ მოსაზრებას, უფრო მეტიც, ი-R-ენ სტრუქტურისათვის ამოსავალ მნიშვნელობად მხოლოდ პოტენციალისს მივიჩნევთ, რადგან:

ა) პოტენციალისი არ არის დამოუკიდებლად წარმოქმნილი ვნებითი გვარის ფორმა ზანურში, მაგ., როგორცაა უპრეფიქსო პირველადი ან ადიექტიური ვნებითები. სავარაუდოდ, იგი არქაული ი- პრეფიქსის მქონე აქტივის/რეფლექსივის სათანადო პასივია. ასეთი ფორმებია: ლაზ. ი-ნქორ-ს „ამთქნარებს“, ი-გზალ-ს „მგზავრობს“, ი-დინჭოლ-ს „იღეჭება“, ი-ხვალ-ს „ახველებს“, ი-ფათქალ-ს „ფართხალებს“, ი-ხვამ-ს „ლოცულობს“, ი-ფურტინ-ს „ფრუტუნებს“, ი-ფუცხოლ-ს „ფოცხავს“, ი-მგარ-ს „ტირის“, ი-ნგორ-ს „გორავს“ ი-მფხორ-ს „ჭამს“, ი-ბურბალ-ს „ტრიალებს“, ი-ნკორ-ს „იცოხნება“, ი-ბარ-ს „ქრის“; ი-თოფალ-ს (თურქ.) „კოჭლობს“, ი-კვან-ს „მათხოვრობს“... მეგრული: ი-ბირ-ს „მღერის“, ი-ნგარ-ს „ტირის“, ი-ძიც-ან-ს „იციინის“ და სხვ.

ცნობილია, რომ ვნებითი გვარის ზმნა ყოველთვის ერთი პირით ნაკლებია სათანადო მოქმედებითთან შედარებით (ა. შანიძე), ანუ ერთპირიანი აქტივების შესაბამისი პასივი უპირო უნდა ყოფილიყო. ამგვარიშინაარსის პოტენციალისის ფორმებია. აღსანიშნავია, რომ ი. ყიფშიძე მათ უპიროებს უწოდებდა: „Эти формы обыкновенно употребляются безлично: მი-ი-რთ-ე-(ნ) можно идти...“ (ყიფშიძე 1914:122). ოდენ პოტენციალისის სემანტიკით ლაზურში დღემდე არის შემორჩენილი ნიმუშები:

- POT: ი-ცხანკ-ე-ნ „კენკვა შეიძლება/შეიძლება აიკენკოს“
- POT: ი-ჯვინ-ე-ნ „ძოვა შეიძლება / შეიძლება მოიძოვოს“
- POT: ი-ხრუტინ-ე-ნ „ხვრინვა შეიძლება / შეიძლება იხვრინოს“
- POT: ი-ხვალ-ე-ნ „ხველა შეიძლება / შეიძლება დაახველოს“
- POT: ი-გზალ-ე-ნ „წასვლა შეიძლება /წაისვლება“

POT: ი-ყიინ-ე-ნ	„ყივილი შეიძლება“
POT: ი-ჩინობ-ე-ნ	„ცნობა შეიძლება“
POT: ი-ფუჩ-ე-ნ	„დაფიცება შეიძლება“
POT: ი-სქირ-ე-ნ	„გაშრობა შეიძლება“
POT: ი-თირ-ე-ნ	„თრევა შეიძლება“
POT: ი-წიპოლ-ე-ნ	„პწკენა შეიძლება“
POT: ი-ლიბინ-ე-ნ	„ლბობა შეიძლება“
POT: ი-ქირინ-ე-ნ	„გაგრილება შეიძლება“
POT: ი-ქთირ-ე-ნ	„გაცვლა შეიძლება“

მეგრულში ამგვარი ი-R-ენ წარმოების ზმნები არასოდეს გამოხატავენ ვნებითობის შინაარსს (ჩუხუა 2015). ქართულის შესატყვისი ფორმებიც კი მხოლოდ პოტენციალის შინაარსისაა: იჰმევა ი-ჰკომ-ე-ნ, ისმევა ი-შვ-ე-ნ.

ბ) გარდამავალი ზმნის წარმოქმნის შემდგომ ეტაპზე კი, მისი შესაბამისი პასივი, პირის მიხედვით, ი-R-უნ ან ა-R-უნ სტრუქტურით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, როგორც ეს გვაქვს მეგრულში და -ავ სუფიქსიანებთან ლაზურში:

PASS: ი-გუბ-ავ-უნ	„იხარშება“
PASS: ი-სქირ-ავ-უნ	„შრება“
PASS: ი-ქთ-ავ-უნ	„ბრუნდება“
PASS: ი-შირ-ავ-უნ	„იცვითება“
PASS: გამ-ი-თხვ-ავ-უნ	„თხოვდება“
PASS: ი-გორ-ავ-უნ	„იგინება“
PASS: ა-ხვენ-ავ-უნ	„ეკეთება“
PASS: ა-ნტალ-ავ-უნ	„შეერევა“

R-უნ სტრუქტურა ძველისძველი და ამოსავალი ყალიბია ზანური მორფოლოგიისათვის, რომელიც სინქრონიულად ინაქტიურ ქვემდებარეს გამოხატავს. ცხადია,

ზანურის ვნებითი გვარის ინაქტიური და განმცდელი სემანტიკის ფორმებმა ეს მოდელი გამოიყენა. თუმცა, უცხო ენების მუდმივი ზეწოლის შედეგად მორფოლოგია შერყეულმა ლაზურმა დიდწილად ეს ვერ მოახერხა. შესაბამისად, ი-R-ე-ნ ყალიბს დაეკისრა ვნებითობის გამოხატვის სემანტიკაც და დღეს ლაზურში ყველა ტიპის მოქმედებითს მოცემული სტრუქტურის პასივ-პოტენციალისი შეესატყვისება.

ცხადია, რეფლექსივები მინიმალური ერთაქტანტიანი კონსტრუქციით, სათანადო პასივებს (მინუს ერთი აქტანტი) ვერ აწარმოებდნენ, მათ შეეძლოთ მხოლოდ უპირო ფორმების წარმოქმნა, როგორც ეს მოხდა პოტენციალისის შემთხვევაში. ამავე დროს ენაში არსებული ანალოგიისა თუ შინაგანი ინერციის წესით, პირველადმა აქტივებმაც მეგრულში მოირგესპასივობის ი-R-უ-ნ ყალიბი, რამაც წარმოქმნა ფორმით პასივი და შინაარსით აქტიური ფორმები, დეპონენსები.

მეგრულ-ლაზურში ვნებითი პოტენციალისასაგან არ მომდინარეობს. ისინი ცალ-ცალკე, რეფლექსურობის საფუძველზე, როგორც ვნახეთ, სხვადასხვა პერიოდში დამოუკიდებლად არიან წარმოქმნილი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კონვერსიულ ვნებითებში უწინარესიპოტენციალისის ი-R-ე-ნ სტრუქტურა, თუმცა დამოუკიდებლად მიღებულ ვნებითებში, რომლებიც ქრონოლიურად უსწრებენ კონვერსიულებს - R-უ-ნ სტრუქტურა.

3.2.2. ი-R-atm-უ/ე-ნ სტრუქტურის პრეფიქსული ვნებითები. კონვერსიული ვნებითების მეორე ქვეჯგუფად გამოვყოფთ რელატიური და კაუზაციური (1-ლი ქვეჯგ.) მოქმედებითებისაგან მიღებულ ი-R-atm-უ/ე-ნ სტრუქტურის ვნებითებს. ამგვარი ფორმებისათვის მეგრულში ამოსავალი უმრავლეს შემთხვევაში -უნ ნიშნიანი თემაა, რომელიც *-უვ სუფიქსის პოზიციური ალომორფია. კონვერსიისას, *უვ- სუფიქსის ვ ელემენტი ინტერვოკალურ პოზიციაში რედუცირებულია, შესაბამისად აუსლაუტში ორი უ იყრის თავს⁸⁰ - მოქმედებითის უ (=atm) და ვნებითის გვარის თემატური -უ (=PTM).

⁸⁰ ი. ყიფშიძე აღნიშნავს, რომ მეგრულში გრძელი თუ გაორმაგებული ხმოვნები ხშირად შედეგია სიტყვის ფონეტიკური ცვლილებისა, ხმოვნებს შორის თანხმოვნების დაკარგვისა (ყიფშიძე 1914:08).

ACT: თას-უნ-ს	„თესავს“	PASS: ი-თას-უ-უნ	„ითესება“
ACT: ჭარ-უნ-ს	„წერს“	PASS: ი-ჭარ-უ-უნ	„იწერება“
ACT: კვათ-უნ-ს	„კვეთს“	PASS: ი-კვათ-უ-უნ	„იკვეთება“
ACT: კაკ-უნ-ს	„ნაყავს“	PASS: ი-კაკ-უ-უნ	„ინაყება“
ACT: ნახ-უნ-ს	„რეცხავს“	PASS: ი-ნახ-უ-უნ	„ირეცხება“
ACT: ფულ-უნ-ს	„მალავს“	PASS: ი-ფულ-უ-უნ	„იმალება“
ACT: ბიჯ-უნ-ს	„აბჯენს“	PASS: ი-ბიჯ-უ-უნ	„იბჯინება“
ACT: რცხონ-უნ-ს	„ვარცხნის“	PASS: ი-რცხონ-უ-უნ	„ივარცხნება“
ACT: გიროხ-უნ-ს	„გრეხს“	PASS: ი-გიროხ-უ-უნ	„იგრიხება“
ACT: გიბ-უნ-ს	„მდურავს“	PASS: ი-გიბ-უ-უნ	„იმდურება“
ACT: ზირ-უნ-ს	„აგროვებს“	PASS: ი-ზირ-უ-უნ	„აგროვდება“
ACT: თინ-უნ-ს	„ასწორებს“	PASS: ი-თინ-უ-უნ	„ასწორდება“
ACT: თუთქ-უნ-ს	„თუთქავს“	PASS: ი-თუთქ-უ-უნ	„ითუთქება“

შესაბამის ლიტერატურაში ამგვარი ნიმუშები, გრაფემულად სამნაირად არის წარმოდგენილი: ერთი უ-თი, ორი -უ-უხმოვნითა ან ერთი გრძელი წ-თი: ი-თას-უ-უ (ყიფშიძე 1914, დანელია 1976:165-175); ი-თას-უ/ი-თას-უ-უ (არნ. ჩიქობავა 1936:113; 1937:33); ი-თას-წ (როგავა 79-84, დანელია 1976:139). ასევე, ორი უ-თია მოცემული მეგრულ ლექსიკონებში: იჭარუუ(ნ), იბარუუ(ნ), იმაყარუუ(ნ) (ქაჯაია N:27205; N:1247; N:23851)⁸¹; ვნებითათვის თუ ამოსავალი *-ევ-იანი ფუძეა (რაც ძალიან მწირია), მაშინაც იგივე ფონეტიკური პროცესები მეორდება, ოღონდ აქ პირველი -უ-ს ნაცვალად იქნება -ე ხმოვანი:

⁸¹ ჩვენ მსგავსი წარმოების კონვერსიულ ნიმუშებს, აღნიშნული მორფოლოგიური ვითარების გათვალისწინებით, გრაფემულად ორი უ-თი წარმოვადგენთ: ი-თას-უ-უ-ნ „ითესება“, ი-ჭარ-უ-უ-ნ „იწერება“, ი-ხანტ-უ-უ-ნ „იხატება“. ცხადია, პირველი -უ დესემანტიზებულია, იგი ამოსავალი ფუძის ნაწილია და, როგორც აღინიშნა, ცალკე მისი გამოყოფა გრამატიკულად უსაფუძვლოა. თუმცა მორფემულად გლოსირებულ ნიმუშებში, საჭიროების შემთხვევაში, საყრდენი ფუძის ნათლად წარმოსაჩენად, მას და ასევე სხვა დეველვირებულ თემის ნიშნებს **thm** აბრევიატურით აღვნიშნავთ და ცალკე გამოვყოფთ. მაგ. ი-თას-უ-უ-ნ შდრ. ი-თას-უ-უ-ნ PASS-თეს-atm-PTM-PRS.S3.SG და PASS-თეს-PTM-PRS.S3.SG „ითესება“

ACT: არკვ-ენ-ს	„არკვევს“	PASS: ი-რკვ-ე-უ-ნ	„ირკვევა“
ACT: არჩ-ენ-ს	„არჩევს“	PASS: ი-რჩ-ე-უ-ნ	„ირჩევა“

გარკვეული რაოდენობა მოქმედებითი გვარის ზმნებისა მეგრულში წარმოდგენილია სხვა თემის ნიშნებითაც: -ამ, -უმ, -ებ, -აფ. სხვადასხვა წარმომავლობის ფონეტიკურად ტრანსფორმირებული სუფიქსები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა ფონემურად, თუმცა კონვერსიულ ვნებითებში ყველა პირვანდელი სახით არის წარმოჩენილი:

ACT: ნწყ-უნ-ს	„ხსნის“	PASS: ი-ნწყ-უმ-უ-ნ	„იხსნება“
ACT: მეჩ-ან-ს	„მიცემს“	PASS: მი-ა-ჩ-ამ-უ-ნ	„მიეცემა“
ACT: გიმიჩ-ან-ს	„ყიდის“	PASS: გი-მიჩ-ამ-უ-ნ	„იყიდება“
ACT: შ-უნ-ს	„სვამს“	PASS: ი-შ-უმ-უ-ნ	„ისმევა“
ACT: დგ-უნ-ს	„დგამს“	PASS: ი-დგ-უმ-უ-ნ	„იდგმება“
ACT: ნწყ-უნ-ს	„ხსნის“	PASS: ი-ნწყ-უმ-უ-ნ	„იხსნება“
ACT: აკეთ-ენ-ს	„აკეთებს“	PASS: ი-კეთ-ებ-უ-ნ	„კეთდება“
ACT: აძვირ-ენ-ს	„აძვირებს“	PASS: ი-ძვირ-ებ-უ-ნ	„ძვირდება“
ACT: არჩხიოლ-ენ-ს	„აცხელებს“	PASS: ი-რჩხიოლ-ებ-უ-ნ	„ცხელდება“
ACT: აბორ-ენ-ს	„ასულელებს“	PASS: ი-ბორ-ებ-უ-ნ	„სულელდება“
ACT: ორჩ-ან-ს	„აგებს“	PASS: ი-რჩ-აფ-უ-ნ	„იგება“
ACT: ოშქვ-ან-ს	„ასობს“	PASS: ი-შქვ-აფ-უ-ნ	„ისობა“
ACT: იჰყ-ან-ს	„იწყებს“	PASS: ი-ჰყ-აფ-უ-ნ	„იწყება“
ACT: ოფშ-ან-ს	„ავსებს“	PASS: ე-იფშ-აფ-უ-ნ	„ივსება“

აღსანიშნავია, რომ ვნებითის ამგვარი ნიმუშები, -უ-უ ფორმიანთა ანალოგიით, ხშირად ორ უ-ს დაირთავენ: იდგ-უმ-უ-უ(ნ) „იდგმება“, იკეთ-ებ-უ-უ(ნ) „კეთდება“ ირჩ-აფ-უ-უ(ნ) „იგება“. მსგავსი მორფოლოგია არ ასახავს რეალობას, რადგან „პრეფიქსული

წარმოების ვნებითის თემა მეგრულში ორმაგი სუფიქსაციით ხასიათდება... ი-ჭარ-უ-უ-(ნ) „იწერება“, ე-წუხ-ებ-უ-ნ „უწუხდება“ (დანელია 1976).

ლაზურში რელატიური მოქმედებითი გვარის კონვერსიული პასივი -ე სუფიქსით არის წარმოდგენილი, როგორც მისთვისაა დამახასიათებელი.

ლაზურის პასიურ ფორმებში მოქმედებითი გვარის აწმყოს ფუძის სუფიქსები, -ე ნიშნის დართვის შედეგად, ძირითადად რედუცირებულია (შემორჩენილია რამდენიმე ნიმუშში), ხოლო -უ სუფიქსიან ფორმებში დაცულია:

-ე:

ACT: მეჩ-ამ-ს	„აძლევს“	PASS: ნ-ი-ჩინ-ე-ნ	„მიეცემა“
ACT: კაკალ-უფ/უმ-ს	„მარცვლავს“	PASS: ი-კაკალ-ე-ნ	„იმარცვლება“
ACT: გუბ-უფ/უმ-ს	„ხარშავს“	PASS: ი-გიბ-ე-ნ	„იხარშება“
ACT: ბერგ-უფ/უმ-ს	„თოხნის“	PASS: ი-ბერგ-ე-ნ	„ითოხნება“
ACT: დვინ-უფ/უმ-ს	„ანთებს“	PASS: ი-დვინ-ე-ნ	„ინთება“
ACT: ჩით-უფ/უმ-ს	„აპობს“	PASS: ი-ჩით-ე-ნ	„იპობა“
ACT: ო-ჯვინ-ავ/ამ-ს	„აძოვებს“	PASS: ი-ჯვინ-ე-ნ	„იძოვება“
ACT: ო-სთირ-ავ/ამ-ს	„ათამაშებს“	PASS: ი-სთირ-ე-ნ	„თამაშდება“
ACT: ო-ტუცან-ეფ/ემ-ს	„აცხელებს“	PASS: ი-ტუცან-ე-ნ	„ცხელდება“
ACT: ო-ბად-უფ-ს	„აბერებს“	PASS: ი-ბად-ე-ნ	„ბერდება“
ACT: ო-ნწ-ავ-ს	„აწობს“	PASS: ი-ნწ-ე-ნ	„იწობა“
ACT: ოგ-ავ-ს	„აგებს“	PASS: ი-გ-ავ-ე-ნ	„იგება“
ACT: ოგნ-ავ-ს	„ესმის“	PASS: ი-გნ-ავ-ე-ნ	„ისმინება“
ACT: იჩინ-ოფ-ს	„იცნობს“	PASS: ი-ჩინ-ობ-ე-ნ	„იცნობა“
ACT: ენც-უმ-ს	„კარგავს“	PASS: ი-ნც-უმ-ე-ნ	„იკარგება“

-უ:

ACT: ოგუბ-ავ-ს	„ხარშავს“	PASS: ი-გუბ-ავ-უ-ნ	„იხარშება“
ACT: ოსქირინ-ავ-ს	„აშრობს“	PASS: ი-სქირ-ავ-უ-ნ	„შრება“
ACT: ოქთ-ავ-ს	„აბრუნებს“	PASS: ი-ქთ-ავ-უ-ნ	„ბრუნდება“

ACT: შირ-უფ-ს	„ცვეთს“	PASS: ი-შირ-აფ-უ-ნ	„იცვითება“
ACT: უხვენ-აფ-ს	„უკეთებს“	PASS: ა-ხენ-აფ-უ-ნ	„ეკეთება“
ACT: ონტალ-უფ-ს	„ურევს“	PASS: ა-ნტალ-აფ-უ-ნ	„შეერევა“
ACT: ოგორ-აფ-ს	„აგინებს“	PASS: ი-გორ-აფ-უ-ნ	„იგინება“

როგორც აღვნიშნეთ, ლაზურშიც, ოდენ სუფიქსური წარმოების რელაციურ აქტივებში (-უფ/უმ ჯგუფი) ამოსავალი მეგრულისებური თემისნისნიანი ფუძე უნდა ყოფილიყო, თუმცა -ე სუფიქსმა, როგორც ჩანს, ამოსავალი -უგ საერთოდ შეკვეცა (შდრ. I-თურმ. ზიმ-უ-დორენ და ზიმ-ერენ „გაუზომავს“). ამგვარი ტენდენცია შეიმჩნევა ქართულსა და მის დიალექტებშიც -ე ხმოვნის ნიშნის დართვისას, მაგ., S3 პირის მრ. რიცხვის -ენ:

ქართ. შეკერ-ავ-ენ > შეკერ-ენ; დათეს-ავ-ენ > დათეს-ენ

(1) „ისინი გააკეთებენ რამდენიმე მცირე ჭრილობას და შეკერენ მათ საკვანძო ადგილებში“ (ID: <https://ka.ncmhcsso.org>);

„თავიანთი ხარჯებით დათესენ სიმინდსა“

მოხეური: ხვეტ-ავ-ენ > ხვეტ-ენ

(2) „მიხყვებიან დედაკაცები და ხვეტ-ენ სათავით ბოლოსა“ (ჯორბენაძე 1995:361)

ზემოიმერული: ფქვ-ავ-ენ > ფქვ-ენ; კაზმ-ავ-ენ > კაზმ-ენ

(3) „...ყველა იმათი მცხოვრებნი პურს ქალაქის წისქვილებში ფქვენ“ (გაზ. დროება, 1985)

(4) „ეკალას კაზმენ“ (ჯორბენაძე 1995:361)

ასევე ძველი ქართულის ვენებითი გვარის ფორმებში -ებ სუფიქსის დართვის შემთხვევაში -ავ სუფიქსი ხშირად იკარგება. მაგ.: ი-მალ-ვ-ი-ს > ი-მალ-ებ-ა, ი-კარგ-ვ-ი-ს > ი-კარგ-ებ-ა, ი-ბრუნ-ვ-ი-ს > ი-ბრუნ-ებ-ა, მაგრამ ი-დგ-მ-ი-ს - ი-დგ-მ-ებ-ა.

3.2.3. **o-R-atm-აფ-უ-ნ სტრუქტურის კაუზაციური ვნებითები.** მეგრულში ცალკე ქვეჯგუფად გამოვყოფთ კაუზაციური წარმოების მოქმედებითი გვარისაგან (კაუზაქტივების მე-2 ქვეჯგუფი) მიღებულ კონვერსიულ პასივებს. ისინი ამოსავალი ფუძის სტრუქტურით განსხვავდებიან პრეფიქსული ვნებითებისაგან. ამგვარი წარმოება არ არის დამახასიათებელი ლაზურისათვის, რადგან აქ არ დასტურდება -უ-ინფიქსიანი მოქმედებითები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჭანურს კაუზატივებში -უ დაკარგული აქვს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:277).

კაუზაციური **o-R-უ-ან** სტრუქტურის მოქმედებითებს მეგრულში, უგამონაკლისოდ, **o-R-უ-აფ-უ-ნ** სტრუქტურის პასივები შეესატყვისება:

ACT: o-ბჟინ-უ-ან-ს	„ამზეურებს“	PASS: o-ბჟინ-უ-აფ-უ-ნ	„მზეურდება“
ACT: o-რტ-უ-ან-ს	„ალტობს“	PASS: o-რტ-უ-აფ-უ-ნ	„ილტობა“
ACT: o-გვან-უ-ან-ს	„ასუქებს“	PASS: o-გვან-უ-აფ-უ-ნ	„სუქდება“
ACT: o-შქვიდ-უ-ან-ს	„ახრჩობს“	PASS: o-შქვიდ-უ-აფ-უ-ნ	„იხრჩობა“
ACT: o-თან-უ-ან-ს	„ათენებს“	PASS: o-თან-უ-აფ-უ-ნ	„თენდება“
ACT: o-ნდღულ-უ-ან-ს	„ადნობს“	PASS: o-ნდღულ-უ-აფ-უ-ნ	„დნება“
ACT: o-პიპინ-უ-ან-ს	„ავსებს“	PASS: o-პიპინ-უ-აფ-უ-ნ	„ივსება“
ACT: o-რგ-უ-ან-ს	„რგავს“	PASS: o-რგ-უ-აფ-უ-ნ	„ირგვება“
ACT: o-რულ-უ-ან-ს	„ამინებს“	PASS: o-რულ-უ-აფ-უ-ნ	„იმინებს“
ACT: o-ტიბ-უ-ან-ს	„ათბობს“	PASS: o-ტიბ-უ-აფ-უ-ნ	„თბება“
ACT: o-ტყობინ-უ-ან-ს	„მალავს“	PASS: o-ტყობინ-უ-აფ-უ-ნ	„იმალება“
ACT: o-ფიხვინ-უ-ან-ს	„აფუებს“	PASS: o-ფიხვინ-უ-აფ-უ-ნ	„ფუვდება“
ACT: o-შქურინ-უ-ან-ს	„ამინებს“	PASS: o-შქურინ-უ-აფ-უ-ნ	„მინდება“
ACT: o-ჩუნ-უ-ან-ს	„მუშავს“	PASS: o-ჩუნ-უ-აფ-უ-ნ	„იმუშება“
ACT: o-ჩოქინ-უ-ან-ს	„აჩოქებს“	PASS: o-ჩოქ-უ-აფ-უ-ნ	„იჩოქება“
ACT: o-ხორ-უ-ან-ს	„ასახლებს“	PASS: o-ხორ-უ-აფ-უ-ნ	„სახლდება“

მონაცემთა ბაზაში ასევე დასტურდება ნიმუშები, სადაც ამგვარი სტრუქტურის პასივს არაკაუზაციური წარმოების აქტივი შეესატყვისება: შ-უნ-ს „ქსოვს“ : ი-შ-უ-აფ-უნ „იქსოვება“; წ-უნ-ს „წოვს“ : ი-წ-უ-აფ-უნ „იწოვება“; ხ-უნ-ს „არღვევს“ : ი-ხ-უ-აფ-უნ „ირღვევა“; ქ-უნ-ს „ფქვავს“ : ი-ქ-უ-აფ-უნ „იფქვება“; რაგად-ან-ს „ლაპარაკობს“ : ი-რაგად-უ-აფ-უნ „ითქმება“, ცვილ-უნ-ს „კლავს“ : ი-ცვილ-უ-უნ- / ი-ცილ-უ-აფ-უნ „იკვლება“.

სამპირიანი კაუზაციური მოქმედებითებისაგან მიღებული ორპირიანი ვნებითები, ჩვეულებრივ, ა- პრეფიქსით იწარმოება: ა-R-უ-აფ-უნ სტრუქტურით.

ACT: უ-გვან-უ-ან-ს	„უსუქებს“	PASS: ა-გვან-უ-აფ-უნ	„უსუქდება“
ACT: უ-ნდურ-უ-ან-ს	„უმდურებს“	PASS: ა-ნდურ-უ-აფ-უნ	„ემდურება“
ACT: უ-რსიოლ-უ-ან-ს	„თავბრუს ახვევს“	PASS: ა-რსიოლ-უ-აფ-უნ	„თავბრუ ეხვევა“
ACT: გო-უ-ულ-უ-ან-ს	„გაუვლებს“	PASS: გ-ა-ლ-უ-აფ-უნ	„გაევლება“
ACT: უ-გურ-უ-ან-ს	„ამსგავსებს“	PASS: ა-გურ-უ-აფ-უნ	„ემსგავსება“
ACT: უ-ბიჯ-უ-ან-ს	„უბჯენს“	PASS: ა-ბიჯ-უ-აფ-უნ	„ებჯინება“

კაუზაციური ვნებითების ფორმათა უღლების პარადიგმა ისეთი რეგულარულია, როგორც სხვა ტიპის პასიური ფორმებისა. შდრ. პირველად და კაუზაციურ პასივთა უღლების სისტემები: ტიბ-უ-უნ- / ი-ტიბ-უ-აფ-უნ „თბება“:

PRS:	ტიბ-უ-უნ / ი-ტიბ-უ-აფ-უნ	„თბება“
FUT:	გო-ტიბ-უ-უნ / გ(ო)-ი-ტიბ-უ-აფ-უნ	„გათბება“
AOR:	გო-ტიბ-უ / გ(ო)-ი-ტიბ-უ	„გათბა“
REZ1:	გო-ტიბ-ელე-ნ / გო-ტიბ-აფ-ე-ნ	„გამთბარა“
EVID:	ნო-ტიბ-უ-ე-ნ / ნო-ტიბ-აფ-უ-ე-ნ	„თურმე თბება“

ამგვარად, ნომინატიური კონსრუქციის ვნებითი გვარის ი-R-უ/ე-ნ მოდელში გამოყოფილი ხუთი ქვეჯგუფი საერთო თვითმყოფადი სტრუქტურითა უპირისპირდება ერგატიული კონსტრუქციის მოქმედებითი გვარის ასევე ხუთ ქვეჯგუფს და, რაც მთავარია,

პასივების აბსოლუტურ უმრავლესობაში გრამატიკული ფორმა და შინაარსი სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

3.2.3. ი-R-atm-აფ-უ-ნ სტრუქტურის კაუზაციური ვნებითები. მეგრულში ცალკე ქვეჯგუფად გამოვყოფთ კაუზაციური წარმოების მოქმედებითი გვარისაგან (კაუზაქტივების მე-2 ქვეჯგუფი) მიღებულ კონვერსიულ პასივებს. ისინი ამოსავალი ფუძის სტრუქტურით განსხვავდებიან პრეფიქსული ვნებითებისაგან. ამგვარი წარმოება არ არის დამახასიათებელი ლაზურისათვის, რადგან აქ არ დასტურდება -უ-ინფიქსიანი მოქმედებითები. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ჭანურს კაუზაქტივებში -უ დაკარგული აქვს (გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965:277).

კაუზაციური ი-R-უ-ან სტრუქტურის მოქმედებითებს მეგრულში, უგამონაკლისოდ, ი-R-უ-აფ-უ-ნ სტრუქტურის პასივები შეესატყვისება:

ACT: ი-ბჟინ-უ-ან-ს	„ამზეურებს“	PASS: ი-ბჟინ-უ-აფ-უ-ნ	„მზეურდება“
ACT: ი-რტ-უ-ან-ს	„ალტობს“	PASS: ი-რტ-უ-აფ-უ-ნ	„ილტობავ“
ACT: ი-გერგელ-უ-ან-ს	„აგორავებს“	PASS: ი-გერგელ-უ-აფ-უ-ნ	„გორავდება“
ACT: ი-გვან-უ-ან-ს	„ასუქებს“	PASS: ი-გვან-უ-აფ-უ-ნ	„სუქდება“
ACT: ი-შქვიდ-უ-ან-ს	„ახრჩობს“	PASS: ი-შქვიდ-უ-აფ-უ-ნ	„იხრჩობა“
ACT: ი-თან-უ-ან-ს	„ათენებს“	PASS: ი-თან-უ-აფ-უ-ნ	„თენდება“
ACT: ი-ნდღულ-უ-ან-ს	„აღნობს“	PASS: ი-ნდღულ-უ-აფ-უ-ნ	„ღნება“
ACT: ი-პიპინ-უ-ან-ს	„ავსებს“	PASS: ი-პიპინ-უ-აფ-უ-ნ	„ივსება“
ACT: ი-რგ-უ-ან-ს	„რგავს“	PASS: ი-რგ-უ-აფ-უ-ნ	„ირგვება“
ACT: ი-რულ-უ-ან-ს	„აძინებს“	PASS: ი-რულ-უ-აფ-უ-ნ	„იძინებს“
ACT: ი-რჩქალ-უ-ან-ს	„აშოშმინებს“	PASS: ი-რჩქალ-უ-აფ-უ-ნ	„შოშმინდება“
ACT: ი-სიმ-უ-ან-ს	„ავრცელებს“	PASS: ი-სიმ-უ-აფ-უ-ნ	„ვრცელდება“
ACT: ი-ტიბ-უ-ან-ს	„ათბობს“	PASS: ი-ტიბ-უ-აფ-უ-ნ	„თბება“
ACT: ი-ტყობინ-უ-ან-ს	„მაღავს“	PASS: ი-ტყობინ-უ-აფ-უ-ნ	„იმალება“
ACT: ი-ფიხვინ-უ-ან-ს	„აფუებს“	PASS: ი-ფიხვინ-უ-აფ-უ-ნ	„ფუვდება“

ACT: ო-შქურინ-უ-ან-ს	„ამინებს“	PASS: ი-შქურინ]-უ-აფ-უ-ნ	„შინდება“
ACT: ო-ჩუნ-უ-ან-ს	„შუშავს“	PASS: ი-ჩუნ-უ-აფ-უ-ნ	„იშუშება“
ACT: ო-ჩოქინ-უ-ან-ს	„აჩოქებს“	PASS: ი-ჩოქ-უ-აფ-უ-ნ	„იჩოქება“
ACT: ო-ხორ-უ-ან-ს	„ასახლებს“	PASS: ი-ხორ-უ-აფ-უ-ნ	„სახლდება“

მონაცემთა ბაზაში ასევე დასტურდება ნიმუშები, სადაც ამგვარი სტრუქტურის პასივს არაკაუზაციური წარმოების აქტივი შეესატყვისება: შ-უნ-ს „ქსოვს“ : ი-შ-უ-აფ-უ-ნ „იქსოვება“; წ-უნ-ს „წოვს“ : ი-წ-უ-აფ-უ-ნ „იწოვება“; ხ-უნ-ს „არღვევს“ : ი-ხ-უ-აფ-უ-ნ „ირღვევა“; ქ-უნ-ს „ფეკავს“ : ი-ქ-უ-აფ-უ-ნ „იფეკება“; რაგად-ან-ს „ლაპარაკობს“ : ი-რაგად-უ-აფ-უ-ნ „ითქმება“, ცვილ-უნ-ს „კლავს“ : ი-ცვილ-უ-უ-ნ/ ი-ცილ-უ-აფ-უ-ნ „იკვლება“.

სამპირიანი კაუზაციური მოქმედებითებისაგან მიღებული ორპირიანი ვნებითები, ჩვეულებრივ, ა- პრეფიქსით იწარმოება: ა-R-უ-აფ-უ-ნ სტრუქტურით.

ნიმუშები:

ACT: უ-გვან-უ-ან-ს	„უსუქებს“	PASS: ა-გვან-უ-აფ-უ-ნ	„უსუქდება“
ACT: უ-ნდურ-უ-ან-ს	„ემდურებს“	PASS: ა-ნდურ-უ-აფ-უ-ნ	„ემდურება“
ACT: უ-რსიოლ-უ-ან-ს	„თავბრუს ახვევს“	PASS: ა-რსიოლ-უ-აფ-უ-ნ	„თავბრუ ეხვევა“
ACT: გო-უ-ულ-უ-ან-ს	„გაუვლებს“	PASS: გ-ა-ლ-უ-აფ-უ-ნ	„გაევლება“
ACT: უ-გურ-უ-ან-ს	„ამსგავსებს“	PASS: ა-გურ-უ-აფ-უ-ნ	„ემსგავსება“
ACT: უ-ბიჯ-უ-ან-ს	„უბჯენს“	PASS: ა-ბიჯ-უ-აფ-უ-ნ	„ებჯინება“

კაუზაციური ვნებითების ფორმათა უღლების პარადიგმა ისეთი რეგულარულია, როგორც სხვა ტიპის პასიური ფორმებისა. შდრ. პირველად და კაუზაციურ პასივთა უღლების სისტემები: ტიბ-უ-უ-ნ/ი-ტიბ-უ-აფ-უ-ნ „თბება“:

PRS: ტიბუ-უ-ნ / ი-ტიბუ-აფ-უ-ნ	„თბება“
FUT: გო-ტიბუ-უ-ნ / გ(ო)-ი-ტიბუ-აფ-უ-ნ	„გათბება“
AOR: გო-ტიბ-უ / გ(ო)-ი-ტიბ-უ	„გათბა“

REZ1: გო-ტიბ-ელე-ნ / გო-ტიბ-აფ-ე-ნ	„გამთბარა“
EVID: ნო-ტიბ-უ-ე-ნ / ნო-ტიბ-აფ-უ-ე-ნ	„თურმე თბება“

ამგვარად, ნომინატიური კონსრუქციის ვნებითი გვარის **ი-R-უ/ე-ნ** მოდელში გამოყოფილი ხუთი ქვეჯგუფი საერთო თვითმყოფადი სტრუქტურითა უპირისპირდება ერგატიული კონსტრუქციის მოქმედებითი გვარისასევე ხუთ ქვეჯგუფს და, რაც მთავარია, პასივების აბსოლუტურ უმრავლესობაში გრამატიკული ფორმა და შინაარსი სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

4. ვნებითი გვარის ნასახელარი ზმნები

4.1. წარმოქმნილი ფუძეები. ვნებითი გვარის ნასახელარ ფორმათა მისაღებად იგივე აფიქსებია გამოყენებული, რაც პირველადი ზმნებისათვის. ამგვარი ნასახელარები დამოუკიდებელ და კონვერსიულ ვნებითებად იყოფიან. დამოუკიდებელი ვნებითების ძირითად ბაზას სახელური (მარტივი/წარმოქმნილი) ფუძეები წარმოადგენს: **ხომუ-უ-ნ** „ხმება“, **ტიბუ-უ-ნ** „თბება“, **ღურუ-უ-ნ** „კვდება“, **ჭითონდ-უ-ნ** „წითლდება“, **ფიხვონდ-უ-ნ** „ფუვდება“ და მისთ. კონვერსიული ვნებითი კი ეყრდნობა სახელური ფუძისაგან წარმოქმნილ სათანადო მოქმედებითს. შესაბამისად, პასიურ ფორმებშიც ასახულია ყველა ის სახელური ელემენტი, რაც აქტივებთან არის წარმოჩენილი (შდრ. გოგოლაშვილი 1977: 5-9):

ა) მასდარული:

(1) MSD1: ფუჩხ-ოლ-ი > ACT: ფუჩხოლ-უნ-ს : PASS: ი-ფუჩხოლუ-უ-ნ
 „დაფშვნა > ფშვნის > იფშვნება“

(2) MSD1: ჟერჟ-ელ-ი > ACT: ჟერჟელ-ან-ს : PASS: ი-ჟერჟელუ-უ-ნ
 „ელვარება > ელვარებს > *იელვარება“

(3) MSD1: ო-ბურთ-ონ-უ > ACT: ო-ბურთონ-აფ/ამ-ს : PASS: ი-ბურთონ-ე-ნ
 „დაგუნდავება > აგუნდავებს > გუნდავდება“

(4) MSD1: ო-მწუთხ-ინ-უ > ACT: ო-მწუთხინ-ავ/ამ-ს : PASS: ი-მწუთხინ-ენ
„დამარილება“ > ამარილებს > მარილდება“

(5) MSD1: ო-მონჭ-ინ-უ > ACT: ო-მონჭინ-ავ/ამ-ს : PASS: ი-მონჭ-ინ-ენ
„დამწიფება > ამწიფებს > მწიფდება“

ბ) ხარისხის მქონე:

(6) ლაზ. ACT: ო-მჭით-ან-ეფ-ს : PASS: ი-მჭით-ან-ენ
მეგრ. ACT: ა-ჭით-არ/ორ-ენ-ს : PASS: ი-ჭით-არ/ორ-ებ-უ-ნ
„აწითლებს : წითლდება“

(7) ლაზ. ACT: ო-ღულ-ან-ეფ-ს : PASS: ი-ღულ-ან-ენ
მეგრ. ACT: ა-ღულ-ან-ენ-ს : PASS: ი-ღულ-ან-ებ-უ-ნ
„ამრუდებს : მრუდდება“

(8) ლაზ. ACT: ო-მკულ-ან-ეფ-ს : PASS: ი- მკულ-ან-ენ
მეგრ. ACT: ა-კუნტ-არ/ორ-ენ-ს : PASS: ი-კუნტ-არ/ორ-ებ-უ-ნ
„ამოკლებს : მოკლდება“

ამგვარი ოდენ გაზმნავებისას წარმოჩენილი -ან/-არ/-ორ ელემენტების წარმომავლობისა და ფუნქციის საკითხები ვრცლად გვაქვს განხილული ნასახელარი მოქმედებითი გვარის ანალიზისას (იხ. გვ. 181). ცხადია, იქ ნაკლებ შევხებით ვნებითი გვარის დონიან ფორმებს, თუმცა აღნიშნულ ფორმანტებთან გენეტიკურად და ფუნქციურად დაკავშირებული -ონ სუფიქსსაც სათანადო ყურადღებას ვუთმობთ.

ჩვენ მოცემულ ოთხივე ელემენტს, სათანადო არგუმენტაციებსა და მასალაზე დაყრდნობით, ხარისხის მაწარმოებელ ფორმანტად მივიჩნევთ.

ასევე, ადიექტური ვნებითი გვარის ანალიზისას, ვრცლად განვიხილავთ -დ სუფიქსის გენეზისისა და ფუნქციის საკითხებს. დ- ელემენტს ვითარებით / გარდაქცევით ბრუნვასთან ვაკავშირებთ და მის არაპროდუქტიულობას ზანურში ამ ბრუნვის სისტემის მოშლით ვხსნით (იხ. გვ. ?).

აქ ჭით-ონ-დ-უ-ნ “წითლდება” ტიპის ნიმუშებს ნასახელარ ზმნათა კონტექსტში, განვიხილავთ და წარმოვადგენთ განსხვავებულ თვალსაზრისებს.

4.1.1. R-ონ-დ სტრუქტურის ფორმები. -ონ ფორმანტი პირველად ი. ყიფშიძემ შეამჩნია, თუმცა მეცნიერს მის შესახებ სხვა დამატებითი ინფორმაცია არ მოუცია (ყიფშიძე 1914:070). ზოგადად -ონ-ი, რომლის გამოყენება მულტიფუნქციურია ზანურში⁸², ქართული -ან-ის ეკვივალენტად არის დასახელებული (ჩიქობავა 1942:86; შანიძე 1973:144; დანელია 1976:108; ჩუხუა 2015:72). პასიურ ფორმათა -ონ-ი კი არნ. ჩიქობავას მასდარული ფუძეების ფონეტიკურად გარდაქმნილ -ინ დეტერმინანტად მიაჩნია. მაგ. ჭით-ინ-ი > გო-ჭით-ონ-დ-უ „წითელი > გაწითლდა“. მ. ჩუხუა მეგრულის -ონ ფორმანტს ლაზურის ნასახელარ ვნებითებთან გამოვლენილ -ან-თან აკავშირებს. მეცნიერის აზრით, მეგრულში -ონ-ის გამოჩენა შედეგია ა → ო ფონეტიკური გარდაქმნებისა: *ჭით-ან-დ-უ(-ნ) > ჭით-ონ-დ-უ-ნ (ჩუხუა 2015:72).

ჩვენი აზრით, -ინ და -ონ ფორმანტები სხვადასხვა მორფოლოგიური ღირებულებისა და წარმომავლობისაა. -ინ მასდარული ელემენტია, -ონ კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ხარისხის მაწარმოებელი ფორმანტი. ემპირიული მასალის მიხედვით, თუ საწარმოებლად აღებულია -ინ-იანი მასდარი, იგი უცვლელადაა ასახული ვნებითი გვარისა და სათანადო მოქმედებითის ფორმებშიც:

(9) MSD1: მონჭ-ინ-ი : PASS: მონჭ-ინ-დ-უ-ნ „მწიფობა : მწიფდება“

ACT: ო-მონჭ-ინ-უ-ან-ს : PASS: ი-მონჭ-ინ-უ-აფ-უ-ნ „ამწიფებს : მწიფდება“

(10) MSD1: მონდ-ინ-ი : PASS: მონდ-ინ-დ-უ-ნ „მწიფობა : მწიფდება“

ACT: ო-მონდ-ინ-უ-ან-ს : PASS: ი-მონდ-ინ-უ-აფ-უ-ნ „ამწიფებს : მწიფდება“

(11) MSD1: ფოკვ-ინ-ი : PASS: ფოკვ-ინ-დ-უ-ნ „დაობება : ობდება“

ACT: ო-ფოკვ-ინ-უ-ან-ს : PASS: ი-ფოკვ-ინ-უ-აფ-უ-ნ „აობებს : ობდება“

⁸² -ონ-ის ფუნქციებისათვის იხ. გვ. 125

(12) MSD1: ქომ-ინ-ი : PASS: ქომ-ინ-დ-უ-ნ „დაობება : ობდება“
 ACT: ო-ქომ-ინ-უ-ან-ს : PASS: ი-ქომ-ინ-უ-აფ-უ-ნ „აობებს : ობდება“

რაც შეეხება ან > ონ გადასვლას (მ. ჩუხუა), მოცემული ფორმანტები ზანურში გენეტიკურად და ფუნქციურადაც ერთმანეთთან არის დაკავშირებული. ჩვენი აზრით, ორივე ხარისხის მაწარმოებელია (შდრ. ლაზ. თანაბრობითი ხარისხი: მა-პეჯ-ან-ა „ისეთივე სქლი, როგორიც“, დანელია 2006:119). -ონ-იანი ატრიბუტივები დღესაც გვხვდება ლაზურში ოდნაობითი ხარისხის მნიშვნელობით: მჯვე-ონ-ი „მოძველო“, ხჩე-ონ-ი „მოთეთრო“, ტუც-ონ-ი „მოცხელო“, მკოლ-ონ-ი „მომწარო“ და ა.შ. ჩვენ ამგვარ მოცემულობაში ვფიქრობთ, რომ გვაქვს -ონ > -ან დისიმილაციური ფონეტიკური გადავლა⁸³, შდრ. მჭით-ონ-ი > *ო-მჭით-ონ-ეფ-ს > ო-მჭით-ან-ეფ-ს > ი-მჭით-ან-ე-ნ. ეს -ონ-ი გვხვდება მეგრულის დოანიან ვნებითებშიც: ჭით-ონ-დ-უ-ნ ტიპი.

შესაძლებელია, ონ-ი დაგვეკავშირებინა -ობ ან უფრო არქაულ -ოვ ზმნურ სუფიქსებთან და S3 პირის -ს ნიშნის გავლენით ბ > ნ ან დ-ს გავლენით ვ > ნ ფონეტიკური გადასვლები გვევარაუდა, მითუმეტეს, როცა -ონ-ი -ობ თემის ნიშნის პოზიციურ ალომორფად დასტურდება მესხურსა და ჯავახურში: ამაყ-ონ-ს „ამაყობს“, კოჭლ-ონ-ს „კოჭლობს“ (იხ. ჯორბენაძე 2013:43); ან ძველი ქართულის მალლ-ოვ-ი-ნ, პერ-ოვ-ი-ნ, მდიდრ-ოვ-ი-ნ მსგავს არქაულ ფორმებში დადასტურებულ -ოვ-ის ტოლფარდ (-ოვ-დ > -ონ-დ) თემატურ სუფიქსად მიგვეჩნია მაშინ, როცა ზოგადად ზანურის მორფოლოგიისათვის ამოსავლად ვ თანხმოვნთან, *-უვ ფორმანტს ვვარაუდობთ; ქრონოლოგიურადაც გარდამავალი -ოვ-იანი ფორმები წინ უსწრებენ უვ-იანებს. მაგრამ ამ ვარაუდების დაშვებას ახლავს დიდი მორფოლოგიური წინაღობა. კერძოდ, თემის ნიშნები ქართველურ ზმნებთან მხოლოდ პირველ სერიაშია წარმოდგენილი, მეგრულში -ონ-ი კი ზმნებს მეორე სერიაშიც გადაყვება: გო-ჭით-ონ-დ-უ „გაწითლდა“, გო-ჩიჩ-ონ-დ-უ „გაშეშდა“, გო-ღირზ-ონ-დ-უ „გადიდგულდა“, გო-ტკიჩ-ონ-დ-უ „გატკიცინდა“...

⁸³ ზოგადად, -ონ სუფიქსს მიღებულად მივიჩნევთ ნიშან-თვისების გამომხატველი -ოვან-ისაგან : -ოვან > -ოან > -ოონ > -ონ (იხ. გვ.125)

ამგვარი ნიმუშები მესამე სერიაში -ინ ელემენტით არის წარმოდგენილი: გო-ჭით-ინ-აფ-ენ „გაწითლებულა“, გო-ჩიჩ-ინ-აფ-ენ „გაშემებულა“, გო-ღირზ-ინ-აფ-ენ „გადიდგულებულა“, გო-ტკიჩ-ინ-აფ-ენ „გატკიცინებულა“... ჩვენი აზრით, მოცემული და მსგავსი ერთეულები, შედეგობითი აწმყოს ფორმების ო-ჭით-ინ-ან-ს „წითლობს“, ო-ღირზ-ინ-ან-ს „დიდგულობს“, ო-სვისვ-ინ-ან-ს „გასუსულია“ პირველი თურმეობითებია. აწმყოს ფუძეში -ან სუფიქსი ქართული ებ-ის შესატყვისი ზანური -აფ-ის პოზიციური ალომორფია. შედეგობითი წარსულის ფონემურად ხელსაყრელ პირობებში კი, ამოსავალი -აფ-ია წარმოჩენილი.

4.2. მარტივი სახელური ფუძეები. მონაცემთა ბაზაში, როგორც აღინიშნა, ასევე დასტურდება მარტივი სახელური ფუძეები, რომლებისაგანაც, შესაბამისი აფიქსების დართვით, იწარმოება ზმნური ფორმები. ამგვარი დერივაცია სტრუქტურულად იდენტურია პირველადი ზმნებისა. პრეფიქსიანი ვნებითი გვარი ამ შემთხვევაშიც ეყრდნობა შესაბამის მოქმედებითს:

მეგრული:

- N: ბარი „ბარი“ > ACT: ბარ-უნ-ს „ბარავს“ > PASS: ი-ბარუ-უნ „იბარება“
 N: ჭაბუ „წებო“ > ACT: ჭაბ-უნ-ს „წებავს“ > PASS: ი-ჭაბუ-უნ „იწებება“
 N: თასი „თესლი“ > ACT: თას-უნ-ს „თესავს“ > PASS: ი-თასუ-უნ „ითესება“
 ADJ: ღვანკი „მრუდე“ > ACT: ღვანკ-უნ-ს „ამრუდებს“ > PASS: ი-ღვანკუ-უნ „მრუდდება“
 ADJ: წკონდა „წმინდა“ > ACT: წკონდ-უნ-ს „წმენდს“ > PASS: ი-წკონდუ-უნ „იწმინდება“
 ADJ: ჩონჩი „ბინძური“ > ACT: ჩონჩ-უნ-ს „აბინძურებს“ > PASS: ი-ჩონჩუ-უნ „ბინძურდება“

ლაზური:

- N: ბუცხი „ფარცხი“ > ACT: ფაცხ-უფ/უმ-ს „ფარცხავს“ > PASS: ი-ფარცხ-ენ „იფარცხება“
 N: ფასი „ჟანგი“ > ACT: ფას-უფ/უმ-ს „ჟანგავს“ > PASS: ი-ფას-ენ „იჟანგება“
 N: ღარი „ხაზი“ > ACT: ხაზ-უფ/უმ-ს „ხაზავს“ > PASS: ი-ხაზ-ენ „იხაზება“

N: ყაზი „რანდი“ > ACT: ყაზ-უფ/უმ-ს „რანდავს“ > PASS: ი-ყაზ-ე-ნ „ირანდება“

N: ფათხი „საბერტყი“ > ACT: ფათხ-უფ/უმ-ს „ბერტყავს“ > PASS: ი-ფათხ-ე-ნ „იბერტყება“

ამგვარი მარტივი სახლური ფუძისაგან წარმოქმნილი აქტივები და მათი სათანადო პასივები, პირველადი ზმნური ფორმებისაგან მხოლოდ სემანტიკით (უმეტესად, ფუძეში წარმოდგენილი სახელების მნიშვნელობით) განსხვავდება (იხ. ახალაია 2017:117).

5. V თავის დასკვნა

მეგრულ-ლაზურის ვნებით გვარში მორფოლოგიური ფორმისა და სათანადო კონსტრუქციის მიხედვით გამოიყო ხუთი ქვეჯგუფი, რომლებსაც, ამოსავალი ფუძეების მიხედვით, ორ ნაწილად ვყოფთ - დამოუკიდებელ და კონვერსიულ ვნებითებად. დამოუკიდებელ ვნებითში ვაერთიანებთ ოდენ სუფიქსური წარმოების ზმნურ ფორმებს, რომლებიც წარმოქმნილია არაკონვერსიული გზით, ძირითადად, ატრიბუტული სახელებისაგან. ისინი გამოხატავენ „გარეშე მიზეზით ჩაყენებულ“ მდგომარეობას/განცდას.

1. დამოუკიდებელი ვნებითი - R-(დ)-უ-ნ

ა) R-უ-უ-ნ სტრუქტურის პირველადი ვნებითი

ბ) R-დ-უ-ნ სტრუქტურის ადიექტიური ვნებითი

2. კონვერსიული ვნებითი - ი-R-(აფ)-უ/ე-ნ

ა) ი-R-ე-ნ სტრუქტურის ვნებით-პოტენციალისი

ბ) ი-R-atm-უ/ე-ნ სტრუქტურის პრეფიქსული ვნებითი

გ) ი-R-უ-atm-უ-ნ სტრუქტურის კაუზაციური ვნებითი

ზოგადად, ზანურშიც ვნებითი გვარი მეორეულია. იგი ეყრდნობა რეალიზებულ სახელურ ან ზმნურ ფუძეს და ამიტომაც ის აუსლაუტში მინიმუმ ორი - ამოსავალი ფუძისა (atm, dnv) და პასიური თემის (-უ/-ე) ნიშნებითაა წარმოდგენილი, რომელთა წარმოჩენა (განსაკუთრებით -ე სუფიქსიანის) შესაძლებელია შინაგანი რეკონსტრუქციისას. ოდენ -უ

ნიშნით წარმოდგენილი არაკონვერსიული პრეფიქსული ფორმები გვარგანუვითარებელი რეფლექსივებია, რომლებიც დამოუკიდებელ კატეგორის ქმნიან ზანურში.

მეგრულ-ლაზურში პირველადი ვნებითების კვალიფიკაცია მივანიჭეთ ე. წ. უნიშნო ვნებითებს, რომლებიც განსხვავებით ქართულისაგან, ეყრდნობიან პირველადი სტატიკური ზმნის R-უ-ნ ყალიბს და ქმნიან ყველა ტიპის ვნებითისათვის დამახასიათებელ სტრუქტურას (-უ სინქრონიულ დონეზე პასივის მაწარმოებელ თემატურ სუფიქსად არის კვალიფიცირებული). საერთო ყალიბის სტატიკური და პირველადი ვნებითები, ძირითადად, ამოსავალი ფუძის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. სუფიქსური ვნებითი, უმრავლეს შემთხვევაში ზმნურ ფორმათა განვითარების ისტორიის მანძილზე, ამ ჯგუფში ერთიანდებიან ზმნური ფუძის, თვისების, გამომხატველი ნიმუშებიც (ტირხ-უ-ნ „ტყდება“).

მეორე ქვეჯგუფის ვნებითების აბსოლუტური უმრავლესობა მეგრულში ზედსართავი სახელისაგან არის მიღებული, ამიტომაც მათ ადიექტიური ვნებითების კვალიფიკაციას ვანიჭებთ. მათთან გამოვლენილ -დ სუფიქსს გენეტიკურად ვითარებით ბრუნვასთან ვაკავშირებთ და მის არაპროდუქტიულობასაც ზანურში მოცემული ბრუნვის სისტემის მოშლით ვხსნით. მან ვერ შეძლო დამოუკიდებლად განვითარება და ფორმამაწარმოებელ (resp. ვნებითი გვარის) ფორმანტად ჩამოყალიბება. იგი ზანურის არქაულ ფორმებს შემორჩა, როგორც სიტყვამაწარმოებელი ელემენტი. ზმნურ ფუძეებში სპორადულად გამოვლენილი -დ ფორმანტი კი ქართულის გავლენაა.

კონვერსიული ვნებითები სათანადო მოქმედებითი გვარის ფუძისაგან ისტორიულად რეფლექსიურობის ი- ხმოვანპრეფიქსითა და სტატიკურობის -უ/-ე სუფიქსების დართვით არიან მიღებული. მოცემული სუფიქსები სინქრონიულ დონეზე პასიური თემის მაწარმოებელ ნიშნებად არის კვალიფიცირებული. მეგრულში, ძირითადად -უ გვხვდება, ხოლო პოტენციალისთან -ე. ლაზურში გაუმიჯნავი ვნებით-პოტენციალისის ფორმებში, ძირითადად, -ე. -აფ-იანი პასივები -უ ნიშნით არის წარმოდგენილი. მოცემული -უ/-ე ფორმანტები იწვევენ ამოსავალი ფუძის რედუქციას. კერძოდ, თუ სათანადო მოქმედებითი ბოლოვდება *-უვ ნიშანზე, პასივობის -უ სუფიქსის დართვის შედეგად იგი

კარგავს თანხმომავნით კომპონენტს, ხოლო -ე-ს დართვისას კი ხმოვნითი ელემენტიც დაკარგულია. ანალოგიისა თუ უნიფიკაციის საფუძველზე -ე ხმოვნის წინ სხვა მდგრადი სუფიქსებიც (-ამ, -უმ, -აფ) გაუჩინარებულია. თუმცა მწირ ნიმუშებში -ე ზმოვნის წინ ამოსავალი ფუძის თემის ნიშანი დაცულია (ი-გ-აფ-ე-ნ “იგება”, ი-ჩინ-ობ-ე-ნ “იცნობა”).

ი-R-ე-ნ სტრუქტურის პოტენციალის ფორმების სათანადო მოქმედებითი პირველადი აქტივი უნდა ყოფილიყო, რადგან ისინი აკმაყოფილებენ კონვერიის აუცილებელ პირობას, სათანადო პასივი ერთი პირით (სუბიექტით) ყოველთვის ნაკლებია მოქმედებითზე. შესაბამისად ერთპირიანი აქტივების შესატყვისი უპირო პოტენციალის ფორმები უნდა ყოფილიყო. უცხო ენების მუდმივი ზეწოლის ქვეშ მყოფმა დერივაცია შეზღუდულმა ლაზურმა ვნებითობის -უ ნიშნიანი წარმოება ვერ განავითარა.

ვნებითი გვარი ლაზურში სტაბილურად ნომინატიური კონსტრუქციითაა წარმოდგენილი, მეგრულში კი მეორე სერიის ფორმები ერგატიული კონსტრუქციისა. გვარეობრივ სტრუქტურათა შესწავლისა და ლინგვისტური კლასიფიკაციისათვის მას „პრინციპული ღირებულება არა აქვს“ .

თავი IV

ფსევდოპასივები მეგრულ-ლაზურში

1. ქართული ი-R-ებ-ი სტრუქტურის შესატყვისისათვის ზანურში

თანამედროვე ქართულში ვნებითი გვარის ზმნათა ნაწილი სემანტიკური ლაბილურობით გამოირჩევა, ანუ პასიურ ფორმათა -ი-R-ებ-ი სტრუქტურა ითავსებს როგორც პასიურ, ისე აქტიურ შინაარსს, მაგ., იწერება (ACT/PASS), იგინება ის (ACT/PASS), ილანძღება (ACT/PASS), იწველება (ACT/PASS) და სხვ.

აღნიშნული „ვნებითმაგვარი“ ფორმები, „რომლებსაც სახე აქვთ ვნებითი ზმნის, ხოლო მნიშვნელობა მოქმედებითისა“ შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ძველ ავტორებსაც (მ. ჯანაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ს. ხუნდაძე, თ. ჟორდანიანი). უფრო მეტიც, მას ცალკე გვარის ფორმად გამოყოფს მ. ჯანაშვილი. ტრადიული ქართული ენის გრამატიკაში ა. შანიძე მსჯელობს ამგვარი ფორმების აქტიური ბუნების შესახებ. მეცნიერი განიხილავს დეპონენსთა სხვადასხვა ფორმას, კონსტრუქციას, მის ორბუნებოვნებას (რიგ შემთხვევებში) და უხვად მოჰყავს მაგალითები ძველი, საშუალო და ახალი სალიტერატურო ქართულიდან (შანიძე 1980:281-284). აქვე მითითებულია, რომ მედიალურ ფორმათა რელატიურად ხმარებისას გამოიყენება ვნებითი (resp. დეპონენსი): საუბრობს - ესაუბრება, ხუმრობს - ეხუმრება და სხვ. (იქვე 290). მეცნიერი საკითხს დეპონენსების⁸⁴ ცნების შემოტანით წყვეტს. ბ. ჯორბენაძე ამგვარ ფორმათა სემანტიკურ აქტივობას სუბიექტის სულიერებასთან აკავშირებს (იხ. ჯორბენაძე 1984, 1975).

დ. მელიქიშვილის აზრით, ქართულში „პასივად“ კვალიფიცირებული ზმნები სისტემურად აქტიურ სუბიექტს შეიცავენ დაამგვარ ფორმათა გამონაკლისებად მიჩნევა მიზანშეწონილი არ არის (მელიქიშვილი 2014:22).

⁸⁴ დეპონენსები – ეს არის ზმნები, რომელთა ფორმა და ფუნქცია ერთმანეთთან შეუსაბამოა (იხ. Baerman 2007). ქართულ საენათმეცნიერო სივრცეში ტერმინი პირველად მოსე ჯანაშვილმა გამოიყენა და მანვე ცალკე გვარის ფორმებად გამოყო ამგვარი სემანტიკის ზმნები (იხ. ჯღარკავა 2013:206). ამგვარი ფორმაწარმოებისათვის ბერძნულში იხ.: Philippaki-Warburton, 1975; Laskaratou & Philippaki-Warburton, 1984; Zombolou, 2004.

ქართულში ამგვარი გარჩევა სინტაქსურადაა შესაძლებელი. პასიურ ფორმათა კონსტრუქცია მოიაზრებს გარე -გან, -მიერ თანდებულიან უბრალო დამატებას, ხოლოაქტიური სემანტიკის მქონე ფორმათა კონსტრუქცია მხოლოდ მოქმედი ქვემდებარისაგან შედგება.⁸⁵

1.1. ი-R-აფ-უ-ნ სტრუქტურის დეპონენსები. სემანტიკურად ლაბილური ი-R-ებ სტრუქტურის მორფო-სემანტიკური შესატყვისი ზანურში ი-R-აფ სტრუქტურაა. ვითარების ნათლად წარმოსაჩენად საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ბ. ჯორბენაძის მიერ მოხმობილ ნიმუშებს „იწერება“ და „იჭრება“ ზმნების მაგალითზე, სადაც ნათლად ჩანს ერთსა და იმავე ფორმაში ფუნქციური დაპირისპირების სამი შემთხვევა:

- (1) კარგი წიგნი კარგი მწერლის მიერ იწერება;
- (2) ჩემი მეგობარი სოფლიდან კარგ ამბებს იწერება;
- (3) ვრცელი წერილი მოკლე წერილზე უფრო იოლად იწერება.

(ჯორბენაძე 1980)

აღსანიშნავია, რომ მოცემული ფუძის სამი განსხვავებული შინაარსი მეგრულში შესაბამისი განსხვავებული სტრუქტურებითარის გამოხატული:

- (1) ჯგირი წიგნი ჯგირი მაჭარალიშე ი-ჭარ-უ-უ-ნ(=PASS);
- (2) ჩქიმი მაცალე/მალათირე სოფელიშე ჯგირე ამბეფს ი-ჭარ-აფ-უ-ნ (=ACT);
- (3) ფართე წერილი კუნტა წერილიშე უმოსო ლექინო ი-ჭარ-ე-ნ (=POT).

პირველ ნიმუშში ქვემდებარე პასიურია და ეს შესაბამისი -უ-უ-ნ სტრუქტურით არის გადმოცემული; მეორეში ქვემდებარე აქტიურია და ესეც -აფ ნიშნით არის მარკირებული, ხოლო მესამე ნიმუშში მოქმედების შესაძლებლობა, პოტენციალისის -ე ფორმანტიით არის წარმოდგენილი.

ასევე მოვიხმობთ სხვა მაგალითს:

- (1) სპილენძის ფული იჭრებოდა;

⁸⁵ აღნიშნული შეუსაბამობის გადასაწყვეტად ა. ჰარისი გვთავაზობს ტერმინოლოგიურ ცვლილებებს. კერძოდ: პასივს – აღწერითი ვნებითებისათვის, რომლებიც უფრო ადეკვატურად გამოხატავენ ვნებითობის უნივერსალურ ცნებას და ვნებითს – ტრადიციულ გრამატიკაში დამკვიდრებული პასივის სინთეზური ფორმებისათვის (იხ. ჰარისი 1981). ჩვენ სადისერტაციო ნაშრომში ორივეს ერთი და იმავე მნიშვნელობით ვიყენებთ.

- (2) გამომშრალი პური ახალგამომცხვარ პურზე ადვილად იჭრება;
- (3) მებრძოლი რაზმი მტრის ბანაკში იჭრება.

(ჯორბენაძე 1983:110-111)

მეგრული შესატყვისობები:

- (1) ლინჯიში ფარა იჭკირ-უ-დ-უ (=PASS)
- (2) გიშასქირაფილი ქობალი ახალნაჭვა ქობალიმე ლექინოიჭკირ-ე (=POT)
- (3) მაჩხუბე რაზმი მტერიში ბანაკიმა მიშმეჭკირუ-აფ-უ-ნ (=ACT).

ამგვარი მაგალითები რელევანტურია ქართულის რიგ ნიმუშებში ფორმისა და ფუნქციის შეუთავსებლობის წარმოსაჩენად, მაგრამ სრულიად შეუსაბამოა მეგრულის ზმნური მორფოლოგიის საილუსტრაციოდ. აქ ზმნურ ფორმათა აუსლაუტში ორი -უ, უგამონაკლისოდ, მხოლოდ პასიურ ქვემდებარეზე მიუთითებს. ამგვარი სტრუქტურა ვნებითიგ ვარის ძირითადი და ორგანული წარმოებაა მეგრულისათვის. რაც შეეხება ქართული -ებ-ის შესატყვისს -აფ-იან ფორმებს, ისინი ცალკე აქვს გამოყოფილი კ. დანელიას. მეცნიერი აღნიშნავს: „-უ-უ დაბოლოების ფორმებში პასიურია გრამატიკული სუბიექტი, ის რეალური ობიექტის როლშია, ე.ი. ზმნას ჩვეულებრივი ვნებითის შინაარსი აქვს: ვ-იხვამ-უ-უ-ქ „ვილოცები“ (მე ვილაცისგან); ხოლო აფ-უ დაბოლოების ფორმებში გრამატიკული სუბიექტი აქტიურია, მოქმედია, ოღონდ ობიექტი არა აქვს: ვ-ი-ხვამ-აფ-უ-ქ „ვილოცები“ (მე ვილაცაზე, რაღაცაზე)“ (დანელია 1976:105).

ასევე აქტიური სემანტიკისაა: ი-ლალ-აფ-უ-ნ „ი-ყეფ-ებ-ა“, ი-გორ-აფ-უ-ნ „ი-გინ-ებ-ა“, ი-ნდურ-აფ-უ-ნ „იმდურება“, ი-თხუ-აფ-უ-ნ „თხოვდება“, ი-ჭყ-აფ-უ-ნ „იწყება“, ი-ჩქარ-აფ-უ-ნ „ჩქარობს“, ი-გურ-აფ-უ-ნ „ისწავლება“, ი-რსქინ-აფ-უ-ნ „იქადება, იმუქრება“, ი-ბურჯ-აფ-უ-ნ „ბორგავს“, ი-ჩქვ-აფ-უ-ნ „ითქვლიფება“, ი-კვარტ-აფ-უ-ნ „წიხლს იქნევს“, გილახიშტ-აფ-უ-ნ „თავხედურად მიდი-მოდის“ და სხვ.

მსგავსი შინაარსიწარმოჩენილია ლაზურშიც, ოღონდ -უ-ნ სტრუქტურის ფორმებთან: ი-მტ-აფ-უ-ნ „გარბის“, ი-გორ-აფ-უ-ნ „იგინება“, ი-თხვ-აფ-უ-ნ „თხოვდება“, ი-ქთ-აფ-უ-ნ „ბრუნდება“.

o-R-აფ-უ ტიპი ხშირად არის მიზეზი კაუზაციური წარმოების o-R-უ-აფ-უ სტრუქტურის პასივებთან აღრევისა. შდრ. ACT: o-რტ-უ-ან-ს : PASS: o-რტ-უ-აფ-უ-ნ „ალტობს, ადნობს : ლტვება, დნება“ და ცალკე მდგომი o-ნდურ-აფ-უ-ნ „იმდურება“, o-გორ-აფ-უ-ნ „იგინება“ ფორმები. შესაძლოა, ფორმათა უნიფიკაციით, ამგვარ ნიმუშებშიც გაუჩნდეს -უ- ინფიქსი ანპირიქით, იგი შეიძლება დაიკარგოს კაუზაციური წარმოების ვნებითებში (მაგ. o-ნდურ-აფ-უ-ნ და o-ნდურ-უ-აფ-უ-ნ „იმდურება“, o-ჭარ-აფ-უ-ნ და o-ჭარ-უ-აფ-უ-ნ „იწერება“, o-ნჯარ-აფ-უ-ნ და o-ნჯარ-უ-აფ-უ-ნ „ახარბებს“).

-აფ-უ-იანი ფსევდოპასივები საერთო o-R-უ-ნ სტრუქტურის გამო ვნებით გვარშია განთავსებული (დანელია 1976). ამგვარი, ოდენ აქტიური შინაარსის გამომხატველიზმნები ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ორმოცდაათამდე ერთეულს მოიცავს⁸⁶. ისინი მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვეთებს აწარმოებენ, სხვა მწკრივებში მათ ენაცვლებათ ამავე ფუნქციის სათავისო ქცევის აქტივები. მაგ.:

PRS: იხვამ-ან-ს კოჩი იხვამ-აფ-უ-ნკოჩი „ლოცულობს კაცი“

AOR: ქ-ი-იხვამ-უკოჩ-ქ ქ-ი-იხვამ-უ კოჩ-ქ „ილოცა კაცმა“

REZ1: ქო-უხვამ-უ-ნ კო-სქო-უხვამ-უ-ნ კო-ს „ულოცია კაცს“

EVID: ნო-იხვამ-უ-ე კოჩ-ინო-იხვამ-უ-ე კოჩ-ი „ლოცულობდა თურმე კაცი“

PRS: o-ჭარ-ან-ს კოჩი წერილს „იწერება კაცი წერილს“

o-ჭარ-აფ-უ-ნკოჩი წერილს

AOR: ქ-ი-მიჭარ-უ კოჩ-ქ წერილი „მოიწერა კაცმა წერილი“

ქ-ი-მიჭარ-უ კოჩ-ქ წერილი

REZ1: ქ-უ-მუჭარ-უ-ნ კო-ს წერილი „მოუწერია კაცს წერილი“

ქ-უ-მუჭარ-უ-ნ კო-ს წერილი

ასეთი o-R-აფ-უ-ნ ტიპის არასრული უღლების ფსევდოპასივებს ჩვენ გვარის სისტემაში არ განვიხილავთ, რადგან მათ პარალელურად, როგორც ზემოთ აღინიშნა, არსებობს სათანადო ვნებითის ფორმები, შდრ. ქართ. იწერება მეგრ. პასივი: o-ჭარ-უ-უ-ნდა ფს. პასივი: o-ჭარ-აფ-უ-ნ. ლაზურიც პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი,

⁸⁶ აქ არ იგულისმება კაუზაციური წარმოების -უ-აფ-უ-ნ სამმაგი სუფიქსაციის ფორმები.

შდრ: ქართ. ბრუნდება. ლაზ. პასივი: ნ-ი-ქთ-ე-ნ და ფს. პას. ი-ქთ-აფ-უ-ნ. რამდენიმე პასიურ ფორმათა თანხვედრის გამო, ვფიქრობთ, შესაძლებელია, მათი განხილვა დეპონენსების ფარგლებში.

რაც შეეხება უშუალოდ ქართული ი-R-ებ სტრუქტურის ზმნებს ზანურში. ცხადია, აქ ამოსავალი ორგანული ფუძე არავითარ როლს არ ასრულებს და გრამატიკულ სიტუაციას მხოლოდ ქართული მორფოლოგია წარმართავს. მაგ. ი-ღორ-ებ-უ-ნ “მოტყუებული ხდება ვიღაცის მიერ/ იტყუება ის თვითონ”, ი-ცალ-ებ-უ(ნ) “გიჟდება ვიღაცის მიერ/ გიჟდება ის თვითონ”, ი-ცონ-ებ-უ(ნ) „ყოვნდება ვიღაცის მიერ / ყოვნდება ის თვითონ“ და ა.შ.

ისე, ზოგადად, ჩვენი აზრით, ასეთი ტიპის ზმნათა ქვემდებარე არ არის თვითმოქმედი, თავისი ნებელობით მოქმედი. მისი აქტივობა განსაზღვრულია გარემო პირობებით, რაც „აიძულებს“ მას შესაბამისად იმოქმედოს. ამგვარი სემანტიკით ქვემდებარე ახლოს დგას მეორეული კაუზატივების პირდაპირ დამატებასთან. განსხვავება ისაა, რომკაუზაციურ კონსტრუქციაში „მაკაუზირებელი“ პირი ზედაპირზე ჩანს, ხოლო ი-R-ებ აქტიური ფორმის გარე ობიექტი („იელვება ელვა ელვისაგან“) სიღრმისეულ სტრუქტურებშია ჩაკარგული. იგი იმავე რეფერენციული მნიშვნელობისაა როგორც ზმნა, ამიტომაც აღარ მოაზრება მოქმედების რეალურ შემსრულებლად (შდრ. ნებიერიძე 1987).

1.2. ი-R-უ/გ-ნ სტრუქტურის რეფლექსივები. მეგრულში პრეფიქსული წარმოების ვნებითი ყოველთვის კონვერსიის პრინციპზე დგას, შესაბამისად, აქ ასახულია როგორც ვნებითის, ისე ამოსავალი მოქმედებითის ფუძის სუფიქსები. როცა ფორმას არ მოეპოვება შესაბამისი მოქმედებითი, ცხადია ორი სუფიქსის გამოვლენა ყოველგვარ მორფოლოგიურ საფუძველს მოკლებულია. ამიტომ მეგრულში ოდენ -უ ნიშნითა (ძირი+უ), სათანადო მოქმედებითის არმქონე, რეფლექსივებია წარმოდგენილი. რეფლექსივიზაციის პროცესში, რომელიც წინ უსწრებდა გვარის ჩამოყალიბებას, ი პრეფიქსი R-უ-ნ სტრუქტურის სტატიკურ ფუძეებსაც დაერთო. შდრ. ტყობ-უ-ნ „დამალულია“ > ი-ტყობ-უ-ნ „იმალება“, ჩოქ-უ-ნ „დაჩოქოლია“ > ი-ჩოქ-უ-ნ „იჩოქება“, ცუც-უ-ნ „ჩაცუცქულია“ > ი-ცუც-უ-ნ „ფეხ-მორთხმით ჯდება“... ამგვარი აქტიური სემანტიკის ფორმებს მ. ჯღარკავა დეპონენსების

კვალიფიკაციას ანიჭებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მკვლევარს „დეპონენსები“ ყოველ-თვის ოდენ -უ სუფიქსით აქვს წარმოდგენილი (იხ. ჯღარკავა 2002; ასვე წიგნში: კაკაჩია და სხვ. 2013:216)

ამრიგად, ერთი -უ ნიშნითწარმოდგენილი მსგავსირეფლექსივები ოპოზიციური სისტემის მიღმა მდგარი არქაული ფორმებია. შდრ.

PASS: ი-ტყობ-უ-უ-ნ „იმალება გრდვ. ვნებ. ოტყობინუანს ზმნისა“ (ქაჯაია N20303)

RFL: ი-ტყობ-უ-ნ „იმალება (თვითონ)“

(1) „უჩა სერი იტყობუ დო დლაში მურცუ, მოჭვიანც“ (ქაჯაია N 27304)

„შავი ღამე იმალება და დღე მოდის, მოქრის“

(2) „მიშა პატი გეგიძუნი, ინეფი ტყასი იტყობუნა“ (ქხს, I, 1975:116)

ვისზედაც პატივი გაქვს დადებული (=გიცია), ისინი ტყეში იმალებიან.

(3) „რჩქინდუ ეჭვი, ნამდა თინა იტყობუ ფულირი ოთახუს“...

(ID: <https://xmf.wikipedia.org/wiki>)

„ჩნდება ეჭვი იმისა, რომ ის იმალება დაცულ ოთახში“

ამგვარი ნიმუშები ხშირად დასტურდება ირაციონალური ნიშნით: ი-გურგინ-უ/გ(ნ) „გრგინავს“, ი-ზარჩხალ-უ/გ(ნ) „კაშკაშებს“, ი-ზაშქ-უ/გ(ნ) „სკდომის ხმას გამოსცემს“, ი-ზაჩვალ-უ/გ(ნ) „გულუბრყვილოდ საუბრობს“, ი-ზამდ-უ/გ(ნ) „უნიათოდ ფაფხურობს“, ი-ბელ-უ/გ(ნ) „ბაქიაობს, ტრაბახობს“, ი-ბიორ-უ/გ(ნ) „ქანაობს“, ი-კერკელ-უ/გ(ნ) „გორაობს“... ცნობილია, რომ ირაციონალური ხმოვანი მიიღება უ-ს დავიწროების შედეგად და ეს ხშირად მესამე სუბიექტური პირის ნიშნისთვის არის დამახასიათებელი⁸⁷. ემპირიულ მასალაზე ჩვენი დაკვირებით, პასიური თემის მაწარმოებელი ბოლოკიდური -უ ყოველთვის სტაბილურად მდგრადია (ხომუ-უ-ნ „ხმება“, ჭითონდ-უ-ნ „წითლდება“, ი-ხონ-უ-უ-ნ „იხვნება“), სხვა შემთხვევაში კი შევიწროებულია. ამ თვალსაზრისითაც, აღნიშნულ ფორმათა -უ სუფიქსი არაპასიურია.

⁸⁷ მაგალითად: ათაქ ქვდნაჩქვაჩქეთე რაშიქ დო ევილ (ხუბ., 23) „აქ ჩაჩეჩვა ამ რაშმა და ამოვიდა“; დოხთურს ჩქიმდა სო მართედგ (ყიფშ., 161) „ექიმს ჩემთან როგორ შეემლო მოსვლა“ და სხვ. (იხ. ქირია და სხვ. 2015: 38).

პასივები და რეფლექსივები განსხვავებულია სერიებისა და მწკრივების მიხედ-
ვითაც:

PRS: ი-ტყობ-უ-უ-ნ ბაღანა	ი-ტყობ-უ-ნ ბაღანა	„იმალე ბავშვი“
AOR: დიტყობუ ბაღანაქ	დიტყობუ ბაღანაქ	„დაიძალა ბავშვი“ ⁸⁸
REZ1: დოტყობინ-ელე ბაღანა	დო-უ-ტყობინ-უ ბაღანას	„დამალულა ბავშვი“

მაღალი ხარისხის აგლუტინაციური ტიპის მეგრულში პასიური ი-R-უ-უ სტრუქ-
ტურით, ჩვენს ხელთარსებული მასალის მიხედვით, აქტიური სემანტიკის ზმნები არ არის
წარმოდგენილი. რაც შეეხება ლაზურს, ი-R-ე-ნ სტრუქტურის ფარგლებში, რომელიც
ითავსებს შესაძლო მოქმედების სემანტიკას, იშვიათად დასტურდება ამგვარი წარმოების
ფორმები.

1.3. სუფიქსური და კაუზაციური აქტივები. ქართულის დეპონენსურ ფორმებს
ლაზურში, ძირითადად, მოქმედებითი გვარის ნიმუშები შეესატყვისება:

ქართ. მოჰყვება

ლაზ. ACT: მოყ-უფ-ს (შდრ. მეგრ. მოყუნს)

(1) „გინძე ნენას კაბლა მოყუფს“ (ხალხური სიბრძნე 1994:206)

„გრძელ ენას ჩხუბი მოჰყვება“

ქართ. ვარდება

ლაზ. ACT: მელ-აფ-ს / მელ-ამ-ს / დოლოლ-ამ-ს

(2) „მე ამუს ვუწუმერ დო სი მოთ გამალაფ?“ (თანდილავა 2013:77)

„მე ამას ვეუბნები და შენ რად გამოვარდები (გამოხტები)?“

(3) „თუთა მუჭო მელამს?“ (ჩიქობავა 1936 : 919)

„მთვარე როგორ ვარდება“

(4) „ლუკმა ხემენ მეგილაფს“ (ანდაზა)

„ლუკმა ხელიდან გივარდება“

⁸⁸ მეორე სერიაში ყოველთვის იდენტურია სათავისო ქცევისა და იპრეფიქსიანი ვნებითის ფორმები.

ქართ. იკბინება

ლაზ. ACT: გამიკიბინ-ამ-ს

(5) „მჟორაქ პატი გამიკიბინამს“ (ჟღენტი 1939:94)

„მზე ცუდად იკბინება“

(6) „ჯოლოიქ გიაკიბინს“ (ემპ. მასალა)

„ძალი იკბინება“

ქართ. ივინება

ლაზ. ACT: გეკითხ-აფ-ს

(7) „არ კოჩიქ დიდო გეკითხაფტუ“

„ერთი კაცი ძალიან ივინებოდა“ (თანდილავა 2013: 88).

ქართ. მიყვება

ლაზ. ACT: ო-ყონ-უფ-ს

(8) „კულანიქ თქუ-ქი: მან ბიჭი ვა ბძირიშა მითის ვა ვოყონუფ!“

გოგომ თქვა, რომ მე ბიჭი თუ არ ვნახე, არავის არ წაყვებო! (კარტოზია 1993: 20³⁷).

2. ქართული ე-R-ებ-ი სტრუქტურის შესატყვისისათვის ზანურში

2.1. სუფიქსური და კაუზაციური აქტივები. ქართულის ე-R-ებ აქტიური სტრუქტურის რელაციურ ფორმათა (ეხვეწება, ეფერება, ეჩხუბება...) უმრავლესობა ზანურში მოქმედებითი გვარის გრამატიკული ფორმით, შესაბამისი მოდელითა და კონსტრუქციით არის წარმოდგენილი. მეგრულში გარკვეული ნაწილი ასევე წარმოდგენილია-R-უ სტრუქტურით. განვიხილავთ თანმიმდევრულად:

ქართ. ეხვეწება

ლაზ. ო-ხვეწ-აფ-ს / ო-კალაპარ-ამ-ს

(9) „ხოჯაქ თრანგის ოხვეწაფს“ (ჩიქობავა 1929: 3)

„ხოჯამ (=ხოჯა) ღმერთს ეხვეწება“

(10 „ვარ მახენე, ფორჩა ვა მიმარჩე! ბოშინე მო მაკალაპარამ“ (ჩიქობავა 1936: 136.6)

„ვერ გავაკეთებ, კაბას ვერ მივცემ! ტყუილად ნუ მეხვწები“

ქართ. ეზიდება (ათრევს)

ლაზ. ზდ-იმ-ს / ზდ-იფ-ს (ასათიანი 2012:76-77)

(11) „ტიკინათე... ზდიმან“ (ჩიქობავა 1936:59.33)

„კალათით... ეზიდებიან“

(12) „სი ვაზდუმ დო ბადიმ დერდი მიქ ზდასე“ (ყიფშიძე 1911: 51.37)

„შენ ვერ ზიდავ (=ვერ ატარებ) და შვილიშვილის დარდი ვინ ზიდოს (=ატაროს)“

ქართ. ეცემა, მივარდება

ლაზ. ნაკაპ-ემ-ს (ასათიანი 2012: 109)

(13) „დივიქ ნენა გამონჭუ დო ჟურის-თი ნაკვაპემტუშქულე მუნთხა დივუ“.

„დევმა ენა გამოყო და ორივესთან მიხტომის შემდეგ რალაც მოხდა“

ქართ. ეუბნება

ლაზ. უ-წუმერ-ს

(14) „გურიქ მუწუმერს-ქი, არ ქადიქოგამუდგია“ (აქსოილუ 2009)

„გული მეუბნება, რომ ერთი მაგრად მოსდევ“

(15) „მა ამუს ვუწუმერ დო სი მოთ გამალაფ“ (თანდილავა 2013:40)

„მე ამას ვეუბნები და შენ რად გამოხტები (შენ რას უხტები)“

ქართ. ელოდება

ლაზ. ჩუმერ-ს

(16) „ჭანდა ჩქიმშიშე სითიქ ჩუმერ, ამბადიგილუტაზ“ (აქსოილუ 2009)

„იცოდე, ჩემს ქორწილზე შენც გელოდები“

(17) „ქომოხთიოსმან! არხეთექჩუმერთ“ (აქსოილუ 2009)

მოდი ოსმან! ყველანი გელოდებით.

ქართ. ეფერება

მეგრ. უ-ფერ-უ-ან-ს (შდრ. ქართ. უ-ფერ-ავ-ებ-ს (დიალექტ.)

(18) „მუში ნარდი კალმახას უფერუანს, კარკატანს...“ (კაკუბავა 2002)

„თავის გაზრდილ კალმახს ეფერება, გრაგნის...“

ქართ. ეზიდება

მეგრ. უ-ზინდ-უ-ან-ს

(19) „უზინდუანს დოუკილოთუანს, მარა მუმ ხვალიმ ეკმაღალარო ხოლო ვერგ“ (ქარჩავა 2011)

„ეზიდება და უკირკიტებს, მაგრამ თავისი ნახველის ამომღებადაც კი არ ვარგია“

ქართ. ელაქუცება, ეპირფერება, ეალერსება

მეგრ. უ-ქუთოლ-უ-ან-ს

(20) „ბინდი გიქაქალუანს, პის გიქუთოლუანს“ (ქაჯაია, N 22400)

„ბინდი გიქიქინებს, პირზე გელამუნება (გელარესება)“.

ქართ. ეთამაშება

მეგრ. უ-ლაყაფ-უ-ან-ს (ქაჯაია, N 11019)

(21) „გერე დო მუში მოთალემს ულაყაფუანს“ (ემპ. მასალა)

„დგას და თავის შვილიშვილებს ეფერება“.

ქართ. ექაჩება

მეგრ. უ-ქანჩ-უ-ან-ს

(22) „ოდი მარძგვანსუ მეთხოზუ,თაშეუქანჩუანს გუმანი“ (ოტობაია 2008)

„ოდი მარჯვენასმისდევს, ასე ექაჩება (= ეზიდება) გუმანი“.

ქართ. დაელაპარაკება

მეგრ. დურაგად-უ-ან-ს

(23) „გურს მიჰკომუნსუ დო ქუდურაგადუნს ნინას“ (ემპ. მასალა)
„გულს მოჰამს (=მოიოხებს) და დაელაპარაკება ენას(=ხმას გასცემს)“.

ქართ. ახტება

მეგრ. მიკა-ო-სხაპ-ან-ს (ქაჯაია, N 12776).

(24) „თოლი ვაუნჯანს, მეურსუ დო კიდას მიკმასხაპანს“... (ემპ. მასალა)
„თვალეზიდან ვერ იხედება, მიდის და კედელს ახტება“.

ქართ. ეცეკვება

მეგრ. ელა-ო-სხაპ-ან-ს (ქაჯაია, N 7412)

(25) „დეკვირი, თე ბოში მუჰო ელასხაპანს თე ძღაბისუნ“ (ემპ. მასალა)
„დააკვირდი, ეს ბიჭი როგორ ეცეკვება ამ გოგოს“.

ქართ. დაშხეფება, შხეფის ფრქვევა

მეგრ. გი-ო-ჰყვარტ-ან-ს (ქაჯაია, N:2899)

(26) „ღუმე გიოჰყვარტანს და ვაგინაფულენს“ (ემპ. მასალა)
„ღომი ეშხეფება ხელზე და ვერ გრძნობს“.

ქართ. ეპარება

მეგრ. მი-ო-ტყობ-ან-ს (ქაჯაია, N 12396)

(27) „ქიმეუტყობაფ მოხუჯურო“ (ქხს 1975 :191)
„მიჰპარვია მოხერხებულად“.

მოცემულ ფორმათა აქტანტური კონსტრუქცია ზანურში შედგება ქვემდებარისა და ირიბი დამატებისაგან. ლაზურში ქვემდებარე სტაბილურად ერგატივშია, მეგრულისა კი – ნომინატივში, ერგატივსა და დატივში სერიების მიხედვით.

ამრიგად, ქართული ე-R-ებ სტრუქტურის ზანურ შესატყვისებს, სათანადო ფორმისა და კონსტრუქციის მიხედვით, მოქმედებით გვარში ვათავსებთ.

2.2. ო-R-უ-ნ სტრუქტურის სტატიკურები. ქართული ე-R-ებ სტრუქტურის ფორმათა ნაწილი (ძირითადად ქართული ნასესხობები) მეგრულში სტატიკურობის ო-R-უ-ნ ყალიბით არის წარმოდგენილი. ამ მოდელს ასევე იყენებენ რელაციური, ე.წ. მიჩნევის ვნებითები.

კ. დანელიას აზრით, ო- პრეფიქსი ქართულის სტატიკურ ზმნებთან დადასტურებული ა- პრეფიქსის კანონზომიერი შესატყვისია (დანელია 1976: 171-172). მაგ.

ო-ფორ-უ-ნ „აფარია (=ახურავს ან გადაფარებულია, ანუ წინ უდგას)“

ო-ბარ-უ-ნ „აბარია(=მიბარებული აქვს)“

ო-რტყ-უ-ნ „არტყია (=შემორტყმული აქვს)“

ო-ხოლ-უ-ნ „ურევია (=შერეული აქვს)“

ო-მტერ-უ-ნ „ემტერება (= მტრად მიიჩნევს)“

ო-ამხანაგ-უ-ნ „ეამხანაგება (=ამხანაგად მიიჩნევს)“

ო-ნათესავ-უ-ნ „ენათესავება (=ნათესავად მიიჩნევს)“

ო-სახელ-უ-ნ „ესახელება (=სასახელოდ მიიჩნევს)“

ო-მონკ-უ-ნ „ემძიმება (=მძიმედ მიიჩნევს)“

ო-ამაყ-უ-ნ „ეამაყება (=საამაყოდ მიიჩნევს)“

ო-ჭიჭარ-უ-ნ „ეპატარავება (=პატარად მიიჩნევს)“

ასეთი ტიპის ინვერსიულ ზმნებს მიჩნევის ვნებითებს უწოდებენ (შანიძე 1953:300). მათ ამავე ფუნქციის ინიანი ვნებითის ფორმები არ მოეპოვებათ. ე. წ. მიჩნევის ფუნქციას მხოლოდ ენიანი ფორმები გამოხატავენ (იქვე, 300). ი-ნიანი ფორმები, როგორცაა: ი-მონკებ-უ(ნ) „მძიმდება“, ი-ნათესავებ-უ(ნ) „ნათესავდება“ მხოლოდ „წმინდა“ ვნებითობაზე მიუთითებს.

ო-R-უ სტრუქტურის ფორმებს აორისტი აბლაუტით ეწარმოება ო/ე მონაცვლეობით: მ-ე-ონჯღორ-უ „მესირცხვილა“, მ-ე-თაკილ-უ „მეთაკილა“, მ-ე-მონკ-უ „ემძიმა“, მ-ე-ჭიჭარ-უ „ემეპატარავა“. შესაბამის ლიტერატურაში აღნიშნული მოვლენა აწმყოსა და წყვეტილის ფორმების გამიჯვნით არის ახსნილი. რომ არა ხმოვანთმონაცვლეობა, აწმყოს თემატური -უ ფორმანტი და აორისტის მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ერთმანეთს

დაემთხვეოდა. წარმოების გამოცვლა სემანტიკური დიფერენციაციის საჭიროებით ჩანს მოტივირებული (დანელია 1976:176, კარტოზია და სხვ. 2010:208). ჩვენ ვიზიარებთ მ. ჩუხუას თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „მიჩნევის“ ვნებითები სტატიკური ზმნებია, რომლებსაც, მეგრულ-ლაზურში მკაცრად გატარებული წესის მიხედვით, წყვეტილი არ ეწარმოებათ, ხოლო აორისტის აბლაუტური ენიანი ფორმები, მ-ე-დიდარ-უ(ნ) „მედიდა“ ტიპისა, კი ქართული მორფოლოგიის ფაქტია, რაზედაც ე- ხმოვანი მიუთითებს (ჩუხუა 2015:75).

ჩვენ ამგვარი წარმოების, ო-R-უ სტრუქტურის მქონე, მწკრივნაკლ ზმნურ ფორმებს სტატიკურ ზმნათა კვალიფიკაციას ვანიჭებთ და, შესაბამისად, გვარის სისტემაში არ განვიხილავთ.

ლაზურისთვის მსგავსი ტიპის წარმოება არ არის დამახასიათებელი. აქ ამგვარი სემანტიკა მხოლოდ აღწერთად გადმოიცემა:

სარი მაძი(რ)ენ „ყვითელი მეჩვენება“

კაპეტანი მაძი(რ)ენ „მოდიდო მეჩვენება“...

ლაზურში ო-R-უ სტრუქტურით, ძირითადად, ნაზმნარი სახელები გადმოიცემა: ო-ჩით-უ „პობა“, ო-ბელ-უ „ბარვა“, ო-ნცირ-უ „გაცრა“...

რაც შეეხება ო-დავ-უ/გ „ედავება“, ო-ჩხუბ-უ/გ „ეჩხუბება“, ო-ჯაჯგურ-უ/გ „ეჯაჯგურება“, ო-ჩირთ-უ/გ „ემლება“, ო-კამათ-უ/გ „ეკამათება“ აქტიური სემანტიკის გამომხატველ ფორმებს, მსგავსად ე.წ. მიჩნევითი ვნებითისა, მათი უმრავლესობა ქართულ ნასესხობას წარმოადგენს (იხ. ჯღარკავა 2002:323) და მორფოლოგიაც ქართულია, რაზედაც აორისტსა და მყოფადში გამოჩენილი -ე სუფიქსიც მიუთითებს. შდრ: FUT: ქართ. შე-ე-დავ-ებ-ა / ზან. შე-ე-დავ-ებ-უ(-ნ), AOR: ქართ. შე-ე-დავ-ა / შე-ე-დავ-უ „შეედავა“; FUT: ქართ. წა-ე-ჩხუბ-ებ-ა/ ზან. წე-ე-ჩხუბ-ებ-უ-ნ, AOR: ქართ. წა-ე-ჩხუბ-ა/ზან. წ-ე-ჩხუბ-უ(ნ)“. ამგვარი აქტიური სემანტიკის ფორმები მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვთებს აწარმოებენ დანარჩენი ნაკვთების შესავსებად ქართულიდან იღებენ ენიანი წარმოების მთლიან ყალიბს. აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი შინაარსის ნიმუშები ერთი -უ სუფიქსით არის წარმოდგენილი (იხ. ჯღარკავა 2002: 324), რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ არ მოპოვებათ სათანადო მოქმედებითი და შესაბამისად, არც კონვერსიის გზით არიან მიღებული. ო-

პრეფიქსით მეგრულში მოქმედებითი გვარისა და სტატიკური ზმნებია წარმოდგენილი. ამგვარი სტრუქტურის სტატიკურმა ზმნებმა, ქართული მორფოლოგიით, შესაძლოა, აქტიური შინაარსის ა-R-უ ყალიბის ზმნათა ანალოგიით, შეითავსეს აქტიურობის სემანტიკა, მაგრამ რეგულარული უღლების პარადიგმა ვერ შექმნეს, შესაბამისად ვერც გვარი განავითარეს.

2.3. ა-R-უ სტრუქტურის დეპონენსები. ა-R-უ სტრუქტურის სემანტიკური აქტივები ზანურში ასევე ერთი -უ სუფიქსით არის წარმოდგენილი, რაც მის არაკონვერსიულ წარმომავლობას უსვამს ხაზს. თუ ქართულში ეჯახება ტიპის ზმნები ლაბილური სემანტიკისაა, მეგრულში ორივე შინაარსი ფორმალურ დონეზეც გამიჯნულია. აჯახებს კაუზაციური ტიპის ზმნებს მეგრულში მოეპოვება შესაბამისად მარკირებული (-უ-აფ-უ-ნ) სათანადო პასივი, რომელიც, ხშირად, უნიფიკაციით, პასივთათვის დამახასიათებელი ორი -უ ნიშნით არის წარმოდგენილი.

(1) ACT: ო-რაგვინ-უ-ან-ს კოჩი ზაბორს მანქანას „აჯახებს კაცი ლობეს მანქანას“

PASS: ა-რაგვინ-უ-აფ-უ-ნ (>ა-რაგვ-უ-უ-ნ⁸⁹) მანქანა ზაბორს „ეჯახება მანქანა ლობეს (კაცისაგან)“

DEP: ა-რაგვ-უ-ნ მანქანა ზაბორს „ეჯახება მანქანა ლობეს (თვითონ)“;

(2) ACT: აწ(ა)-უ-ფორ-უ-ან-ს დიდა სქუას მუმას „აფარებს დედა შვილს მამას“

PASS: აწ-ა-ფორ-უ-აფ-უ-ნ (> ა-ფორ-უ-უ-ნ) მუმა სქუას „მამა ეფარება შვილს (დედის ინიციატივით)“

DEP: ა-ფორ-უ-ნ მუმას სქუას „მამა ეფარება შვილს (თვითონ)“;

(3) ACT: უ-ჩხინჩხინ-უ-ან-ს ოსური კოს მეზობელს „უჩიჩხინებს ქალი კაცს მეზობელს

(= აქეზებს ქალი კაცს მეზობელთან საჩხუბრად)“

PASS: ა-ჩხინჩხ-უ-აფ-უ-ნ (> ა-ჩხინჩხ-უ-უ-ნ) კოჩი მეზობელს

⁸⁹ ო. ქაჯაიას ლექსიკონში ამგვარი ორი უ ნიშნით მოცემული ფორმები ვნებითად არის კვალიფიცირებული: არაგუუ(ნ) „ეჯახება“ (N 17784); აფორუუ(ნ) „ეფარება“ (N 21525); აჩხინჩხუუ „ეჯახება (საჩხუბრად)“ (N 25257); კვალიფიკაცია არ არის მოცემული „აწაზადუუ“ და „ათანჯირუ“, „გიარჩქვანუ“ ზმნებისა.

„ეჯახება (საჩხუბრად) კაცი მეზობელს (ქალის წაქეზებით)“

DEP: ა-ჩხინჩხ-უ-ნ კოჩი მეზობელს „ეჯახება (საჩხუბრად) კაცი მეზობელს (თვითონ)“;

- (4) ACT: ა-წ(ა)-უ-ზადინ-უ-ან-ს კოჩი დიდას ბალანას „წინ აგებებს კაცი დედას ბავშვს“
PASS: ა-წა-ზად-უ-აფ-უ-ნ (> ა-წ(ა)-ა-ზად-უ-უ-ნ) ბალანა დიდას „წინ ეგებება ბავშვი დედას (კაცის ინიციატივით)“
DEP: ა-წ(ა)-ა-ზად-უ-ნ ბალანა დიდას „წინ ეგებება ბავშვი დედას (თვითონ)“;
- (5) ACT: ათმ-უ-ნჯირ-უ-ან-ს დიდა ბების ბალანას
„უწვენს (ქვემოთ, ფეხებთან) დედა ბავშვს ბებიას“
PASS: ათ-ან-ნჯირ-უ-აფ-უ-ნ (> ათ-ა-ნჯირ-უ-უ-ნ) ბალანა ბების „უწვება (ქვემოთ, ფეხებთან) ბავშვი ბებიას (დედის ინიც.)“
DEP: ათ-ა-ნჯირ-უ-ნ ბალანა ბების „უწვება (ქვემოთ, ფეხებთან) ბავშვი ბებიას (თვითონ)“;
- (6) ACT: გი-ო-რჩქვან-უ-ან-ს დიდა ბავშვს ადრე ედგინას
„ჩვევს დედა ბავშვს ადრე ადგომას“
PASS: გი-არჩქვან-უ-აფ-უ-ნ (> გი-ა-რჩქვან-უ-უ-ნ) ბავშვი ადრე ედგინას
„ეჩვევა ბავშვი ადრე ადგომას (დედის ინიც.)“
DEP: გი-ა-რჩქვან-უ-ნ ბავშვი ადრე ედგინას
„ეჩვევა ბავშვი ადრე ადგომას (თვითონ)“;
- (7) ACT: ალ(ა)-უ-თირ-უ-ან-ს კოჩი ართი ხოს მაჟიას „ენაცვლებს კაცი ერთ ხარს მეორეს“
PASS: ალ-ა-თირ-უ-აფ-უ-ნ (> ალ(ა)-ა-თირ-უ-უ-ნ) ართი ხოჯი მაჟიას „ენაცვლება ერთი ხარი მეორეს (კაცის მიერ)“
DEP: ალ(ა)-ა-თირ-უ-ნ ართი ხოჯი მაჟიას „ენაცვლება ერთი ხარი მეორეს (თვითონ)“;

ოპოზიციური სისტემისაგან განცალკევებით დგანან ა-R-უ-ნ სტრუქტურის ფორმები. განსხვავებულია მათი წარმოება დრო-კილოთა მიხედვით, შდრ.

(1) PRS/PASS: გიარჩქვანუ ბაღანა ადრე ედგინას „ეჩვევა ბავშვი ადრე ადგომას“

PRS/DEP: გიარჩქვანუ ბაღანაადრე ედგინას „ეჩვევა ბავშვი ადრე ადგომას“

REZ1/PASS: გერჩქვან-ელე ბაღანა ადრე ედგინას „მიჩვეულა ბავშვი ადრე ადგომას“

REZ1/DEP: გერჩქვან-აფ-უ-ნბაღანა ადრე ედგინას „მიჩვეულა ბავშვი ადრე ადგომას“;

(2) PRS/PASS: ალ(ა)ათირუ ართი ხოჯი მაჟიას „ენაცვლება ერთი ხარი მეორეს“

PRS/DEP: ალ(ა)ათირუ ართი ხოჯი მაჟიას „ენაცვლება ერთი ხარი მეორეს“

REZ1/PASS: ქალათირ-ელე ართი ხოჯი მაჟიას „შენაცვლებია ერთი ხარი მეორეს“

REZ1/DEP: ქალათირ-აფ-უ-ნ ართი ხოჯი მაჟიას „შენაცვლებია ერთი ხარი მეორეს“;

(3) PRS/PASS: არაგვუ მანქანა ზაბორს „ეჯახებამანქანა ლობეს“

PRS/DEP: არაგვუ მანქანა ზაბორს „ეჯახებამანქანა ლობეს“

REZ1/PASS: ქორაგვ-ელე მანქანა ზაბორს „დასჯახებია მანქანა ლობეს“

REZ1/DEP: ქორაგვ-აფ-უ-ნ მანქანა ზაბორს „დასჯახებია მანქანა ლობეს“.

ზოგადად, ქართული ე-R-ებ სტრუქტურის რელაციურ ფორმებს ზანურში შვიდი სხვადასხვა შინაარსისეკვსი ფორმა შეესატყვისება, (გ) და (დ) ემთხვევა ერთმანეთს:

(ა) ო-R-ATM მოქმედებითი გვარი (ო-ხვეწ-აფ-ს „ეხვეწება“, მი-ო-ტყობ-ან-ს „მიეპარება“)

(ბ) CV-R-უ-ATM მოქმედებითი გვარი (უ-ფერ-უ-ან-ს „ეფერება“)

(გ) ო-R-უსტატიკური ფორმა (ო-სახელ-უ“ესახელება/სასახელოდ მიიჩნევს“)

(დ) ო-R-უქართულიდან ნასესხები აქტიური ფორმა (ო-დავ-უ „ედავება“)

(ე) ა-R-უ-აფ-უ-ნ „გუნება-განწყობის“ ვნებითი (ა-ლერს-უ-აფ-უ-ნ „ელექსება“)

(ვ) ა-R-უნარევი სტრუქტურის აქტიური ფორმა (ა-ფორ-უ, გოწვათვ-ე-ნ“ეფარება“)

(ზ) ა-R-უ-უ სტრუქტურის პასიური ფორმა (ა-ფორ-უ-უ-ნ „ეფარება ვიდაცის მიერ“)

აქედან, გვარის სისტემაში განვიხილავთ: (ა), (ბ) კაუზაციური წარმოების მოქმედებით გვარის მოდელებს; ვნებითი გვარის კაუზაციურ (ე) ჯგუფსა და რელაციური ყალიბის (ზ) ჯგუფს; (გ) ყალიბის ზმნები სტატიკური ფორმებია; (დ) მოდელი ქართული მორფოლოგიის კუთვნილებაა, რაზედაც აორისტში გამოვლენილი -ე პრეფიქსი მიუთითებს (ე-ჩხუბ-უ „ეჩხუბა“); მას (ვ) ჯგუფის ფორმებთან ერთად დეპონენსთა კვალიფიკაციას ვანიჭებთ.

3. ლაბილური სემანტიკის ახსნის გზები

3.1. ანტიპასივი და ანტიკაუზატივი. ზანურში, როგორც წარმოჩნდა, შინაარსი და გრამატიკული ფორმა, უმრავლეს შემთხვევაში, სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. ანუ აქტიური შინაარსის სათანადო ფორმისა და კონსტრუქციის მოქმედებითი გვარი კონვერსიის გზით ყოველთვის იძლევა სათანადო ფორმისა და კონსტრუქციის ვნებით გვარს.

ქართულში კი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ასე არ არის. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ა. შანიძემ დეპონენსების ცნება შემოიტანა. ა. ჰარისი აღწერთი ვნებითებისათვის, რომლებიც უფრო ადეკვატურად გამოხატავს ვნებითობის ცნებას, გვთავაზობს ტერმინს – პასივი, ხოლო პასივის სინთეზური ფორმებისათვის, ტრადიციული გრამატიკის მიხედვით – ვნებითს (ჰარისი 1981).

უცხოურ ლიტერატურაში ამგვარი შინაარსის გასამიჯნად დამკვიდრებულია ანტიპასიური და ანტიკაუზატიური კონსტრუქციის ცნებები. კონსტრუქცია, სადაც პირდაპირი ობიექტი გაუჩინარებულია, ანტიპასივად (=APASS) არის მიჩნეული (იხ. დიქსონი 1994, ბონდარენკო 2020). ქართულის მაგილითებზე ეს შესაძლებელია ასე წარმოვადგინოთ:

- (1) ACT: ძალღიკბენს გოგონას
- PASS: გოგონა იკბინება (ძალღის მიერ)
- ANTIP: ძალღიკბინება

- (2) ACT: ანუკა ლანძღავს ვანოს

PASS: ვანო ილანძღება (ანუკას მიერ)

ANTIP: ანუკა ილანძღება

კონვენსის პრინციპზე ანტიკაუზატივის (=ANTIC) წარმოქმნა უფრო გამჭვირვალეა. ანტიკაუზატიურია კონსტრუქცია, როდესაც პირდაპირი ობიექტი თავისი ფუნქციით უტოლდება ქვემდებარეს, ეს უკანასკნელი კი საერთოდ გაუჩინარებულია. ანუ ანტიპასივთა კონსტრუქციიდან იკარგება პირდაპირი ობიექტი, ხოლო ანტიკაუზატივების კონსტრუქციიდან – რეალური სუბიექტი. წარმოვადგენთ პასივის, ანტიპასივისა და ანტიკაუზატივის ნიმუშებს ქართული და მეგრული ენების მაგალითზე:

(3) ACT:	დედა	ლოცავს	შვილს	დიდა ხვამანს სქუას
PASS:	შვილი	ილოცება	(დედის მიერ)	სქუა ი-ხვამ-უ-უ-ნ (დიდაშე)
ANTIP:	დედა	ილოცება		დიდა ი-ხვამ-აფ-უ-ნ
ANTIC:	შვილი	ილოცება		სქუა ი-ხვამ-აფ-უ-ნ

(4) ACT:	დედა	მალავს	შვილს	დიდა ოტყობინუანს სქუას
PASS:	შვილი	იმალება	(დედის მიერ)	სქუა ი-ტყობ-უ-უ-ნ (დიდაშე)
ANTIP:	დედა	იმალება		დიდა ი-ტყობ-უ-ნ
ANTIC:	შვილი	იმალება		სქუა ი-ტყობ-უ-ნ

პასივი და ანტიკაუზატივი მსგავსი კონსტრუქციითაა წარმოდგენილი, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება იმით, რომ პასივს აგენტი არ გააჩნია, რომელიც სიტუაციას წარმართავს (დედის მიერ), ხოლო ანტიკაუზატივი არის სიტუაცია, რომელიც სპონტანურად ჩნდება (იხ. კომრი 1985:326). უაგენტო პასივისა და ანტიკაუზატივის ერთმანეთისაგან გამოყოფა ლინგვისტიკის ერთ-ერთი რთულ პრობლემად არის მიჩნეული, რაც დამატებით, ზმნის სინტაქსურ კვლევას მოითხოვს; პასივი აშკარაა, ანტიკაუზატივი – ბუნდოვანი⁹⁰. აგლუტინაციურობის მაღალი ხარისხის ზანურში, სადაც

⁹⁰ გარდა აღნიშნულისა, ანტიკაუზატიური სიტუაცია შეიძლება შეიქმნას მხოლოდ მაშინ, თუ პირდაპირი ობიექტი სულიერია.

პასიურ ფორმათა სტრუქტურა და კონსტრუქცია გამოკვეთილია, ნაკლებ დგება მოცემული ცნება-ტერმინებით ოპერირების აუცილებლობა.

3.2. რეციპროკი. უცხოურ ლიტერატურაში ურთიერთობითობის გამომხატველი ზმნები რეციპროკის (reciprocal) სახელითაა ცნობილი. ეს არის ზმნათა კლასი, რომლებიც გულისხმობს საპასუხო მოქმედებას მეორე მხრიდან. ამიტომაც რეციპროკული მოქმედებისათვის აუცილებელია, მინიმუმ, ორი მონაწილის ჩართვა. პარტიციპანტები ერთსა და იმავე მოქმედებაში იმყოფებიან ერთმანეთის მიმართ (მაგ. ურტყამენ ერთმანეთს, ბანენ ერთმანეთს, ეხმარებიან ერთმანეთს, ეშინიათ ერთმანეთის და ა.შ.)... რეციპროკის ფორმა ყოველთვის მრავლობით რიცხვში დგას (იხ. იოსეფსი და სხვ. 1975).

ასეთი ტიპის ზმნებს ხშირად გვარის სისტემაში განიხილავენ. მაგ., თანამედროვე ინგლისურში იგი გამოყოფილია გვარის ერთ-ერთ სახედ (ილიში 1971).

ამგვარი ურთიერთობითი დამოკიდებულება ვნებითი გვარის კონსტრუქციის აქტანტებს შორის შემჩნეული იყო ძველ ავტორებთანაც. მაგ., თ. ჟორდანიას აზრით, ე-R-ებ სტრუქტურის ნიმუშები არ არიან ვნებითი გვარის ფორმები, ისინი ურთიერთობითობის, ანუ ორთა შორის მოქმედების გამომხატველი ზმნებია: ეჭიდება, ედავება...(იხ. ჟორდანია 1889:49).

თანამედროვე ქართულში ამგვარი წარმოების ზმნათა რეციპროკულ სემანტიკაზე მიუთითებენ ი. მელიქიშვილი, ე. სოსელია, რ. ასათიანი. „ე-პრეფიქსი სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთობას ასახავს გარდაუვალ ზმნაში – ამდენად უახლოვდება რეციპროკულ სემანტიკას. ის მას ეკამათება – ისინი კამათობენ ერთმანეთთან“ (მელიქიშვილი ი. 2014).

ე. სოსელიას აზრით, საურთიერთო მოქმედების გამომხატველი ე-პრეფიქსიანი ზმნები მხოლოდ ფორმის, მორფოლოგიური სტრუქტურის გამო მიიჩნევა ვნებითად (სოსელია 2010:111). თუმცა, როგორც რ. ასათიანი აღნიშნავს, პასიური და რეციპროკული მოდელების იდენტურობა ტიპოლოგიურად უცხო მოვლენა არ არის და მეტ-ნაკლებად გავრცელებულია მსოფლიო ენებში, რომლებშიც, ქართულის მსგავსად, პასიური წარმოების

ზმნები გამოხატავენ რეციპროკულ მიმართებებსაც. ხშირია რეციპროკისა და რეფლექსივის ერთგვაროვანი გაფორმებაც (ასათიანი 2010).

ზანურში რეციპროკული შინაარსის ზმნები, ძირითადად, თანაობის გამომხატველი ზმნისწინითა და აქტიური კონსტრუქციით არის წარმოდგენილი: ალასხაპანან „ეცეკვებიან ერთმანეთს“, ალაბირანან „ემდერებიან ერთმანეთს“, ალანჯირუნან „უწვებიან ერთმანეთს“, ალარაგადანან „ერთმანეთს ეტყვიან“⁹¹, გილაჯუდუნან „კოცნიან ერთმანეთს“, გილატურკუნან „სცემენ ერთმანეთს“, აკაბუნუნან „შეებმიან ერთმანეთს“ და სხვ.

ამრიგად, ურთიერთობითობის სემანტიკა ზანურში, განსხვავებით ქართულისაგან, ძირითადად, პრევერბით არის მარკირებული. ამგვარი ტიპის ნიმუშებს, აქტივთათვის დამახასიათებელი ფორმისა და კონსტრუქციის მიხედვით, მოქმედებით გვარში განვიხილავთ.

ზანურში შინაარსისა და ფორმათა ასეთი სიხშირის შესატყვისობა იმაზე მიუთითებს, რომ „მეგრულ-ლაზურში აგლუტინაციურობის ინდექსის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია: მეგრულში – 0.58, ლაზურში – 0.54. ანალოგიისა და უნიფიკაციის პროცესებმა ამ ენობრივ ერთეულებს აგლუტინაციური ხასიათი შესძინა. მეგრულ-ლაზური მორფოლოგია გაცილებით უფრო რეგულარულია, ვიდრე სვანური და ქართული“ (იხ. მელიქიშვილი ი. 2010:102).

5. IV თავის დასკვნა

ფსევდოპასივებში ვნებით გვართან ფორმალურად ყველაზე ახლოს მდგომ - რეფლექსივებსა და დეპონენსებს გამოვყოფთ.

რეფლექსივები მეგრულში პრეფიქსული ვნებითისაგან ოდენ -უ სუფიქსით განსხვავდება, რასაც განაპირობებს ამოსავალი ფუძე. კერძოდ, რეფლექსივი, ძირითადად, მიღებულია ამოსავალი R-უ-ნ სტატიკური ფორმისაგან ოდენ ი- პრეფიქსის დართვით (ჩოქ-უ-ნ „დაჩოქილია“ > ი-ჩოქ-უ-ნ „იჩოქება“, ტყობ-უ-ნ „დამალულია“ > ი-ტყობ-უ-ნ

⁹¹ ალა- ზმნისწინის ფუნქციისათვის იხ. რ. გერსამია, ნ. ახალაია – „ალა-, ელა-ზმნისწინთა სემანტიკური კომპონენტები მეგრულ-ლაზურში, იკე, XLV, თბილისი, 2017;

„იმალება“) ხოლო ვნებითი – სათანადო მოქმედებითის ფუძისაგან, შესაბამისად აქ ორი – მოქმედებითისა და ვნებითის თემატური ნიშნებია წარმოდგენილი -უ[*ვ]-უ.

აქტიური სემანტიკის ფსევდოპასივები ვნებითისაგან, აბსოლუტურ უმრავლესობაში, -აფ სუფიქსით განსხვავდება (შდრ. ი-ჭარ-აფ-უ-ნ და ი-ჭარ-უ-უ-ნ და „იწერება“), აფ-უ ფორმიანთა მცირე ნაწილში (20-მდე ნიმუში) წარმოჩენილია პასიური სემანტიკაც (ი-რჩ-აფ-უ-ნ „იგება“), ამის გამო ჩვენ მსგავს ერთეულებს დეპონენსებად განვიხილავთ. ასევე ამათ რიგში ვათავსებთ ა-R-უ სტრუქტურის არაკონვერსიულ ფსევდოპასივებს, რომლებიც გვარის ოპოზიციური სისტემის მიღმა დგას.

ქართულში დეპონენსებად კვალიფიცირებულ ი- და ე- პრეფიქსიან ფორმებს ზანურში მოცემული ფსევდოპასივები და აქტიური ფორმის ზმნები შეესატყვისება.

V თავი

ზმნურ ფორმათა გრამატიკული კლასიფიკაციისათვის

1. ლექსიკურ-გრამატიკული გვარი

ზმნური სისტემის საკლასიფიკაციო ერთეულად, ტრადიციული ქართული გრამატიკის მიხედვით, ზმნის გვარია მიჩნეული, რადგანიგი აერთიანებს ენაში რეალიზებულ ყველა მორფოლოგიურ ტიპს (იხ. შანიძე 1980).

კლასიფიკაცია ეყრდნობა ფორმათა განსხვავებულ უღლებას სერიებისა და მწკრივების მიხედვით. ა. შანიძის აზრით, კლასიფიკაციისას მთვარია, თუ როგორია ურთიერთობა სამივე სერიის ფორმებს შორის წარმოების თვალსაზრისით. ქართულში სერიებად დაყოფას მორფოლოგიური და სინტაქსური კრიტერიუმები უდევს საფუძვლად ანუ მთლიანი ზმნური სისტემა გრამატიკული ნიშნის მიხედვით არის კლასიფიცირებულ-კვალიფიცირებული. აღნიშნულის გათვალისწინებით, გამოყოფილია ოთხი განსხვავებული ტიპი⁹²:

I ტიპი: მოქმედებითი გვარის ზმნები (აკეთებს, ხატავს, თლის)

II ტიპი: ვნებითი გვარის ზმნები (იმალება, თბება, წითლდება, ენატრება)

III ტიპი: საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნები (ცხოვრობს, ცოცავს, ტირის, წუხს)

IV ტიპი: სტატიკური და საშუალ-ვნებითი გვარის ფორმები (აფენია, უყვარს)

(შანიძე 1980:488-489).

ა. შანიძის კლასიფიკაცია, ზმნის გვარეობრივი სისტემიდან ამოსვლითა და მცირედი მოდიფიკაციით, წარმოდგენილია სხვა ავტორებთანაც (არონსონი 2005:332, 340, 373-375; ჰარისი 2009:259-261; ჰილერი 1996-2006...) ⁹³.

ბ. ჯორბენაძე ყველა ზმნას, უღლების მიხედვით, ორ – მოქმედებითისა და ვნებითის – ყალიბად წარმოგვიდგენს: „ქართულში ყველა ზმნა იუღვლება ან მოქმედებითი, ან

⁹² აღნიშნულია, რომ თითოეულ ტიპში გამოიყოფა ქვეტიპები, რომლებშიც მრავალი თავისებურება დასტურდება(შანიძე 1980:488-489).

⁹³ ქართული ენის ზმნურ ფორმათა განსხვავებული კლასიფიკაციისათვის იხ. არნ. ჩიქობავა 1998:65-93; გ. გოგოლაშვილი 1988:145-149; ქ. დათუკიშვილი 1997:14-16; მ. კობაიძე 2011:98-119.

ვნებითი გვარის პრინციპით. ხდება შერევაც, მაგრამ შერევის დროსაც ან მოქმედებითი ყალიბია შენაცვლებული ისევ მოქმედებითის სხვა ყალიბთან, ან ვნებითისა – მოქმედებითთან. ყველაფერი ეს ნაირგვარი მოდიფიკაციებითაა წარმოდგენილი ქართულში, მაგრამ უღვლილების ორი პრინციპი თანმიმდევრულადაა გატარებული“ (ჯორბენაძე 1990:21).

2. მორფოსინტაქსური დიათეზა

დ. მელიქიშვილს საკლასიფიკაციო ერთეულად შემოაქვს გრამატიკული დიათეზა, რომელიც ეყრდნობა ზმნურ ფორმათა მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსურ კონსტრუქციათა ანალიზს. დიათეზის ფარგლებში კაუზატივი, გვარი, რეფლექსივი და ვერსია კერძოგამოვლინებებად არის მიჩნეული. მეცნიერის აზრით, დიათეზა ხსნის იმ შეუსაბამობებსა და აუხსნელ საკითხებს, რომლებიც გვარის მიხედვით კლასიფიკაციისას იჩენენ თავს. დიათეზის მორფოსინტაქსური კატეგორიის მიხედვით ქართული, და ასევე ქართველურ ენათა, ზმნის კლასიფიცირების აუცილებლობა განაპირობა სემანტიკასა და მორფოლოგიურ ელემენტებს შორის შესაბამისობის დარღვევამდა ამით განპირობებულმა ცვლილებამ პირის ნიშანთა ფუნქციური მიმართების თვალსაზრისით, რასაც ჩვენ ინვერსიას ვუწოდებთ (იხ. მელიქიშვილი 2014:68, 81,103).

დ. მელიქიშვილი აღნიშნულის გათვალისწინებით, ქართული ზმნის უღლებად ფორმებს მორფო-სინტაქსური თვალსაზრისით სამ დიათეზად წარმოგვიდგენს:

I დიათეზა (ერგატიული)

(სტრუქტურა - R-Ø: კონსტრუქცია – არასრული/სრული)

სტატიკური/გვარი -ავტოაქტივი: გორავს, ტირის, მეფობს, კანკალებს, წუხს
დინამიკური/გვარი -აქტივი: აგორებს, ატირებს, ამეფებს, აკანკალებს, ჭრის

II დიათეზა (ნომინატიური)

(სტრუქტურა - R-(ებ)-ი : კონსტრუქცია–არასრული/სრული)

სტატიკური/უგვარო: ანთ-ი-ა, წერ-ი-ა, აფენ-ი-ა, ვაფენ-ი-ვარ

დინამიკური/გვარი-ავტოაქტივი, აქტივი, პასივი: ი/ემალემა, თბება, წითლდება

III დიათეზა (დატიური)

(სტრუქტურა-R-Ø/R-ი და ა-R-ებ-Ø / R-ებ-ი : კონსტრუქცია –არასრული/ სრული)

სტატიკური: მიყვარს, მომწონს, მიჭირს, მშია, მეშინია, მწადია

სტატიკური/დინამიკური: მამთქნარებს, მაკანკალებს, ვენატრები, მეჩვენება

მოცემული სქემის მიხედვით, ქართულში ზმნის გვარი წარმოდგენილია, როგორც სემანტიკური კატეგორია დიათეზების შიგნით და ის მოიცავს პირველი დიათეზის ორივე და მეორე დიათეზის მეორე ქვეჯგუფს.

მეცნიერის აზრით, „დიათეზა წარმოადგენს საერთოქართველური ზმნის ძირითად მოდელს, რომელმაც სახე იცვალა მეგრულ-ჭანურში ერგატივის გამოყენების თვალსაზრისით“ (მელიქიშვილი 2014:94).

3. მორფოსინტაქსური გვარი

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომით გათვალისწინებულ კვლევაში, რომელიც ეყრდნობა ინდუქციური მეთოდით სასრული რაოდენობის ზმნურ ფუძეთა მორფოსინტაქსურ ანალიზს, წარმოჩნდა, რომ მეგრულ-ლაზურში ზმნის გვარი ფუნქციონირებს როგორც გრამატიკული კატეგორია. საერთო მორფოლოგიური ყალიბისა და მისი შესაბამისი ქვემდებარის კონსტრუქციის მიხედვით, მეგრულ-ლაზურში გამოიყოფა ზმნის ორი გვარი: მოქმედებითი და ვნებითი. ამგვარმა მორფოსინტაქსურმა კლასიფიკაციამ მკაცრად გამოიჯნა გვარი და გარდამავლობა ერთმანეთისაგან. შესაბამისად, ერგატიული კონსტრუქციის მოქმედებით გვარში გაერთიანდა საერთო სტრუქტურის როგორც პირდაპირგარდამავალი, ისე ირიბგარდამავალი და უკუგარდამავალი ნიმუშები. გვარგანვითარებული დინამიკური ზმნები გაემიჯნენ გვარგანუვითარებელი და არარეგულარული უღლების სიტემის მქონე სტატიკურ ფორმებს.

მოქმედებითსა და ვნებით გვარში მაწარმოებელი აფიქსების მიხედვით⁹⁴ გამოიყო ხუთ-ხუთი ქვესტრუქტურა. თითოეული ქვეჯგუფი შეესაბამება გრამატიკული გვარის ფორმათა ჩამოყალიბებისა და განვითარების საფეხურებს:

მოქმედებითი გვარი

(სტრუქტურა: (CV)-R-ATM;

კონსტრუქცია: ლაზ. ERG-ERG-ERG-ERG, მეგრ. NOM-ERG-DAT-NOM)

1. R-ATM-ს ჯგუფი

ა) პირველადი აქტივი (გარდაუვალი/ირიბგარდამავალი):

მეგრ. ლალ-უნ-ს „ყევს“ კარკალ-ან-ს „კაკანებს“ ლაფ-ენ-ს „თამაშობს“
ლაზ. ლალ-უმ/უნ-ს „ყევს“ კარკალ-აფ/ამ-ს „კაკანებს“ მელ-აფ-ს „ვარდება“

ბ) რელატიური აქტივი (პირდაპირგარდამავალი):

მეგრ. ჭა-ან-ს „კერავს“ ჭარ-უნ-ს „წერს“ დირიკ-უნ-ს „დრეკს“
ლაზ. ჭა-აფ/ამ-ს „კერავს“ ჭარ-უფ/უმ-ს „წერს“ დირკ-უფ/უმ-ს „დრეკს“

2. ო-R-(thm)-ATM ჯგუფი

ა) მარტივფუძიანი კაუზაქტივი (პირდაპირგარდამავალი/ირიბგარდამავალი):

მეგრ. ო-შქვ-ან-ს „ასობს“ ა-სქვამ-ენ-ს „ალამაზებს“ მი-ო-ტყობ-ან-ს „ეპარება“
ლაზ. ო-შქვ-აფ/ამ-ს „ასობს“ ო-მსქვამ-ეფ/ემ-ს „ალამაზებს“ ო-ხვეწ-აფ/ამ-ს „ეხვეწება“

ბ) რთულფუძიანი კაუზაქტივი (პირდაპირგარდამავალი/ირიბგარდამავალი):

მეგრ. ო-ნგარ-უ-ან-ს „ატირებს“ ო-ტიბ-უ-ან-ს „ათბობს“ უ-ლაყაფ-უ-ან-ს „ეთამაშება“

3. R-AUX - აღწერითი აქტივი (პირდაპირგარდამავალი):

ლაზ. ავჯობა იქიფს/იქუმს „ნადირობა აკეთებს (=ნადირობს)“

ჩობანობა იქიფს/იქუმს „მწემსობა აკეთებს (=მწყემსავს)“

ბალუქჩი იქიფს/იქუმს „თევზაობა აკეთებს (=თევზაობს)“

ვნებითი გვარის ფორმები წარმოების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: დამოუკიდებელი ვნებითები და კონვერსიული ვნებითები.

⁹⁴ მოქმედებითში ცალკე არ გამოვყოფთ აწმყოში ასპექტური სემანტიკისაგან დაცლილი ზმნისწინით წარმოდგენილ ფორმებს, რადგან ისინი არ იწვევს ფორმათა დესტრუქტურისაგან და კუთვნილ ადგილს იჭერენ საერთო აქტიურმოდელში. გვარში გამოყოფილ ქვესტრუქტურებს წარმოვადგენთ მესამე პირის ფორმით, რადგან მხ. რ-ის S3 პირის -ს და -ნ ნიშნები მოქმედებითისა და ვნებითის ერთ-ერთი საიდენტიფიკაციო ნიშანია.

ვნებითი გვარი

(სტრუქტურა: (ი)-R-უ/ე;

კონსტრუქცია: ლაზ. NOM-NOM-NOM-NOM, მეგრ. NOM-ERG-NOM-NOM)

1. R-(დ)-უ-ნ დამოუკიდებელი ჯგუფი (გარდაუვალი/ირიბგარდამავალი):

ა) პირველადი ვნებითი

მეგრ. ტიბ-(უ)-უ-ნ „თბება“ ღურ-(უ)-უ-ნ „კვდება“ სქირ-(უ)-უ-ნ „შრება“ სქიდ-უ-ნ „რჩება“
ლაზ. ტუბ-(უ)-უ-ნ „თბება“ ღურ-(უ)-უ-ნ „კვდება“ სქირ-(უ)-უ-ნ „შრება“ სქიდ-უ-ნ „რჩება“

ბ) ადიექტიური ვნებითი

მეგრ. ჭითონ-დ-უ-ნ „წითლდება“ ღვიჟონ-დ-უ-ნ „უფერულდება“ ჩენ-დ-უ-ნ „ჩერდება“
ლაზ. მო-ღორ-დ-უ-ნ „ტყუვდება“ მო-წონ-დ-უ-ნ „მოეწონება“ ჩჷინ-დ-უ-ნ „ჩნდება“

2. ი-R-(უ)-(atm)-უ/ე-ნ კონვერსიული ჯგუფი (გარდაუვალი/ირიბგარდამავალი):

ა) ვნებით-პოტენციალისი

ლაზ. ი-გიბ-ე-ნ „იხარშება/მოხარშვა შესაძლებელია“ ი-ჩით-ე-ნ „იპოზა/გაპოზა შესაძლებელია“
ი-ბად-ე-ნ „ბერდება/დაბერება შესაძლებელია“ ი-ბერგ-ე-ნ „ითოხნება/თოხნა შესაძლებელია“

ბ) პრეფიქსული ვნებითი

მეგრ. ი-ჭარ-უ-უ-ნ „იწერება“ ი-დგ-უმ-უ-ნ „იდგმება“ ი-შენ-ეზ-უ-ნ „შენდება“
ლაზ. ი-გუზ-აფ-უ-ნ „იხარშება“ ი-ჭარ-ე-ნ „იწერება“ ი-თას-ე-ნ „ითესება“

გ) კაუზაციური ვნებითი

მეგრ. ი-ბჷინ-უ-აფ-უ-ნ „მზეურდება“ ი-გვან-უ-აფ-უ-ნ „სუქდება“
ა-ნგარინ-უ-აფ-უ-ნ „ეტირება“, ა-ძიცინ-უ-აფ-უ-ნ „ეცინება“

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ კლასიფიცირებული გრამატიკული გვარი არ მოიცავს მეგრულ-ლაზურში რეალიზებულ ყველა ზმნურ ფორმას, ამ თვალსაზრისით, იგი განსხვავდება როგორც ტრადიციული მორფოლოგიური გვარის, ისე დიათეზისაგან, თუმცასაკლასიფიკაციო სისტემებით ახლოს დგას ამ უკანასკნელთან. ქართული დიათეზისა და ზანურის გვარის სქემებს თუ შევუდარებთ ერთმანეთს, მაშინ ასეთ სურათს მივიღებთ: პირველი დიათეზის მეორე ქვეჯგუფის აქტივები და მოქმედებითი გვარის ფორმები თანხვედრაშია ერთმანეთთან. სემანტიკურ განსხვავებას ქმნის დიათეზის პირველი ქვეჯგუფის ზმნები – ტრადიციული გრამატიკით, ე.წ. საშუალ-მოქმედებითები, რომლებიც სტატიკურებად არის კვალიფიცირებული, ჩვენ კი მათ დინამიკურებად მივიჩნევთ და მოქმედებით გვარში ვათავსებთ.

მესამე დიათეზის ფორმათა პირველ სტატიკურ ქვეჯგუფს მთლიანად და მეორე ქვეჯგუფის ნარევი სტრუქტურის ზმნათა ნაწილს გვარის სისტემაში არ განვიხილავთ, რადგან პირველ ქვეჯგუფს (ტრადიციული გრამატიკის მიხედვით – საშუალ-ვნებითებს) გვარგანუვითარებელ სტატიკურ ზმნებად მივიჩნევთ და ვმიჯნავთ გვარის მქონე რეგულარული უღლების დინამიკური ფორმებისაგან. მეორე ქვეჯგუფის ზმნათა ნაწილს, ე.წ. მიჩნევის ვნებითებს, შინაარსისა და შესაბამისი ო-R-უ სტრუქტურის მიხედვით, ასევე სტატიკურებად განვიხილავთ (ო-მტერ-უ „ემტერება, მტრად მიიჩნევს“ ტიპი). რაც შეეხება ქართულის „მაკანკალებს“, „მახველებს“ ტიპის ირიბგარდამავალი ინვერსიული ზმნების მეგრულ შესატყვისებს: მ(ო)-ო-კანკალ-აფ-უ-ან-ს, მ(ო)-ხვალ-აფ-უ-ან-ს, ამგვარი ერთეულები შინაარსითა და აღნაგობით კაუზატივებია (resp. კონტაქტი). მათი ზუსტი შესატყვისი ქართულში -ინ-იანი კონტაქტის ფორმებია: „მ-ა-კანკალ-ებ-ინ-ებ-ს“, მ-ა-ხველ-ებ-ინ-ებ-ს“⁹⁵...ცნობილია, რომ ქართულში მსგავსი წარმოების ზმნებში მაკაუზირებელი პირი/გრამატიკული ქვემდებარე დაკარგულია, რეალურად მოქმედი ირიბი დამატება კი ქვემდებარედ არის გააზრებული. მეგრულში გრამატიკული ქვემდებარე (ხშირად განუსაზღვრელი ნაცვალსახელია) და ირიბი დამატება (რეალურად მოქმედების შემსრულებელი) ყოველთვის ზედაპირზეა და ასევე, ხშირ შემთხვევაში, არ ჭირს ისტორიული პირდაპირი დამატების აღდგენაც: მოკანკალ-აფ-უ-ან-ს მა მუდგარენი [დუს] „მაკანკალებინებს მე რაღაცა [თავს]“. (შდრ. PASS: მ-ა-კანკალ-უ-აფ-უ-ან-ს მა (მუდგარენიში გამო) „მაკანკალებს მე (რაღაცის გამო)“.

რაც შეეხება ყველაზე აქტუალურ და წინააღმდეგობრივ მეორე დიათეზას, უფრო ზუსტად, მეორე დიათეზის დინამიკურ ქვეჯგუფს (1-ლი სტატიკური ჯგუფი, ქართული გრამატიკის მიხედვით საშუალ-ვნებითი), მას ფორმისა და კონსტრუქციის მიხედვით სტატიკურებთან ვაერთიანებთ: რმ-უ-ნ „ანთია“, რჩ-უ-ნ „ავია“ შდრ. დგ-უ-ნ „დგას“, ძ-უ-ნ „დევს“.

ქართულში ამგვარი, R-ებ-ი სტრუქტურის ზმნები, რომლებიც წარმოდგენილია სემანტიკური ტრიადის – აქტიური, ავტოაქტიური და პასიური – სახით, ძირითად

⁹⁵ ამგვარი სტრუქტურა განსხვავდება კაუზაციური წარმოების მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებისაგან, შდრ. ACT: ო-ნგარ-უ-ან-ს „ატირებს“ და CAUZ: ო-კანკალ-აფ-უ-ან-ს „აკანკალებინებს“.

არგუმენტს წარმოადგენს გვარის გრამატიკული კატეგორიის ფუნქციონირების საწინააღმდეგოდ.

განსხვავებული ვითარებაა მეგრულ-ლაზურში, სადაც თითოეული სემანტიკური კლასი შესაბამისი მორფოლოგიური ელემენტით არის მარკირებული (იწერება– იჭარ-უ-უ-ნ (სხვის მიერ), იჭარ-აფ-უ-ნ (თვითონ), იმალება – ი-ტყობ-უ-უ-ნ /ი-ტყობინ-უ-აფ-უ-ნ (სხვის მიერ) და იტყობ-უ-ნ(თვითონ).

ქართულის რელაციურ ე-R-ებ სტრუქტურას კი ზანურში ექვსი სხვადასხვა მორფოლოგიური ფორმა შეესატყვისება. თითოეული შესატყვისი, ფორმის მიხედვით, ნაწილდება სათანადო კატეგორიებში: მოქმედებითი გვარი, ვნებითი გვარი, „გუნება-განწყობის ვნებითი“, სტატიკა. ფორმათა ნაწილი პირდაპირ ქართული სტრუქტურითაა წარმოდგენილი და სემანტიკაც შესაბამისია ქართული მორფოლოგიისაა. ჩვენი აზრით, ზანურის ამგვარი მორფო-სემანტიკური დიფერენცირებაარა დამოუკიდებლად განვითარებისას წარმოქმნილი ინოვაციაა, არამედ საერთოქართველურის ისტორიული ვითარება, რომელიც ზეპირმეტყველების ენებში შემონახულია, ხოლო სალიტერატურო ქართულში – უნიფიცირებული.

დიათეზების მიხედვით, ავტოაქტივი ქართულში ორი განსხვავებული მოდელით არის წარმოდგენილი (გორ-ავ-ს, იმალ-ებ-ა). ჩვენ ვიზიარებთ არნ. ჩიქობავას თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „სადაც ორი აფიქსია გამოყენებული ერთი ფუნქციით, იქ ისტორიულად ორი ფუნქცია უნდა ვივარუდოთ“ (ჩიქობავა 1942:127). მეგრულ-ლაზურში, უმრავლეს შემთხვევაში, თითოეული ფუნქცია შესაბამისი მორფოლოგიური ელემენტით არის გამოხატული. ზანურის აგლუტინაციურობის მაღალი ხარისხი, სხვა ქართველური ენებისაგან განსხვავებით, სათანადოდაა აღნიშნული შესაბამის ლიტერატურაში (იხ. მელიქიშვილი ი. 2010).

როგორც ვნახეთ, ჩვენ მიერ კლასიფიცირებული ზანურის გრამატიკული გვარი არმოიცავს ყველა ტიპის ზმნათა ნიმუშებს, ამიტომაც აქ ზმნის მთავარ საკლასიფიკაციო ნიშნად გვარის მიჩნევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია.

ცნობილია, რომ არნ. ჩიქობავა ე.წ. მედიალურებს უგვარო სტატიკურ ზმნებად მიიჩნევდა და ზმნურ ფორმათა საკლასიფიკაციო ერთეულად სემანტიკურ ნიშნებს

დინამიკასა და სტატიკას იღებდა. ქართველური ზმნები ასევე დახარისხებულია სინტაქსური – გარდამავლობა / გარდაუვალობის მიხედვით.

ზოგადად, სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი ყველა ტიპის – სემანტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური თუ შუალედური – კლასიფიკაცია ზმნური ფორმის კონკრეტული დონის აღსაწერად უადრესად მნიშვნელოვანია, თუმცა, ამავე დროს, არანაკლებ მნიშვნელოვანია მთელი ზმნური სისტემის კლასიფიკაცია მისი სამივე დონის გათვალისწინებით.

4. V თავის დასკვნა

მეგრულ-ლაზურში ზმნურ ფორმათა მორფოსინტაქსურმა ანალიზმა წარმოაჩინა, რომ ამგვარი კლასიფიკაცია ვერ ფარავს ენაში რეალიზებულ ყველა ზმნურ ფორმას, ამიტომ ზმნის გრამატიკული გვარი ვერ იქნება მთავარი საკლასიფიკაციო ნიშანი. ვფიქრობთ, ზანურის ჯგუფის – მეგრულისა და ლაზურის ზეპირმეტყველების ენათა მთელი ზმნური ფონდის სემანტიკურ-გრამატიკული კლასიფიკაცია შესაძლებელია დიათეზის სქემის მიხედვით, ოღონდ მისი ვარიანტულობით, ზანურის სპეციფიკურობისა და კანონიკურ-ორგანული შესატყვისობების გათვალისწინებით. ქართული აფიქსაციით წარმოდგენილი მეგრულ-ლაზურის ზმნური სისტემის ანალიზი კი ისევ ქართულ მორფოლოგიამდე მიგვიყვანს, რაც არარელევანტურია ზანურის გრამატიკული გვარის წარმოსაჩენად.

ძირითადი დასკვნები:

მეგრულ-ლაზურის ზმნურ ფორმათა ტიპოლოგიურმა ანალიზმა დაადასტურა, რომ მეგრულ-ლაზური და ქართული სტრუქტურულად, ძირითადად, ერთსა და იმავე ტიპს განეკუთვნება. თუმცა გვარის კატეგორიის გრამატიკული ფორმირება ზანურში დამოუკიდებლად არის წარმართული, მოდიფიცირებულია ყალიბები თვით მეგრულსა და ლაზურს შორისაც კი.

რთულია მეგრულ-ლაზურში მე-20 საუკუნეზე ადრინდელი დოკუმენტირებული ტექსტების არქონის გამო ზმნურ ფუძეთა წარმოქმნისა და მისი განვითარების დინამიკის წარმოჩენა. მიუხედავად ამისა, ძველი ქართული ენისა და ქართულის აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და მესხურ-ჯავახური დიალექტების მონაცემებთან შეთანადებით შესაძლებელი ხდება სავარაუდო დიაქრონიული ვითარების აღდგენა და სინქრონიულად წარმოჩენილი რიგი გრამატიკული საკითხების ადეკვატური კვალიფიკაცია.

ჩვენი კვლევის შედეგები ეყრდნობა ისტორიულ-შედარებითი, შინაგანი რეკონსტრუქციისა და ინდუქციური მეთოდების გამოყენებით, დღემდე გამოცემული მეგრულისა და ლაზურის ლექსიკონებში ასახული ზმნური ფორმების მორფოსინტაქსურ ანალიზს. ემპირიული მასალა განთავსებულია ჩვენ მიერ შექმნილ მონაცემთა ბაზაში (10 000-მდე ერთეული), რამაც მოგვცა მონაცემთა რანჟირების საშუალება, კერძოდ, გამოგვეყო: ჰომოგენური ჯგუფები, რაოდენობრივი მონაცემები, ერთგვარი ელემენტები, განსხვავებული სტრუქტურები, ყალიბები, სახელური / ზმნური ძირები და ა.შ. მნიშვნელოვანად მიგვაჩნია, რომ ხშირად მეგრულ-ლაზური ემპირიული მასალიდან ამოსვლით მივედით შესაბამის ქართულ/ქართველურ სტრუქტურებამდე და რიგი თეორიების მართებულობამდე.

ვინაიდან ჩვენი ნაშრომის ფარგლებში სპეციალურად იქნა შესწავლილი გვარის გრამატიკული კატეგორია მეგრულ-ლაზურში, ამიტომაც ვეცადეთ წარმოგვედგინა სრულყოფილი სურათი მისი განვითარების არქაული პერიოდიდან თანამედროვე მდგომარეობამდე. შესაბამისად, გამოტანილი ძირითადი დასკვნები მიღებულია ზმნური ფორმების როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ ანალიზზე დაყრდნობით.

1. ზმნური მორფოლოგიის საწყის ეტაპზე დაპირისპირება უნდა ყოფილიყო არა გარდამავლობა/გარდაუვალობის კატეგორიის, არამედ აქტიურობა / ინაქტიურობის მიხედვით; შემდგომ ეტაპზე, რეფლექსივიზაციის პროცეში, ერგატიული კონსტრუქციის შინაგანად აქტიური და ნომინატიური კონსტრუქციის უპირო (პოტენციალისის) ფორმების საფუძველზე უნდა იყოს გვარის გრამატიკული კატეგორია ჩამოყალიბებული;

2. საწყისი ფუძე ზანურში დაკავშირებულია საერთოქართველურ -აჭ სუფიქსთან, რომელიც ამოსავალშივე დამოუკიდებელი გზით განვითარდა. -აჭ-საგან მომდინარე ბოლო საფეხურის ზანურ -უ/-ე სუფიქსებს, მორფოლოგიურად, ამავე საფეხურზე მდგომი ქართული -ი შეესატყვისება;

3. ზანურში ამოსავალი *-უჭ ფორმანტი, არქაული ნ-ს დართვით კარგავს თანხმოვნით კომპონენტს: *R-უვ-ნ > *R-უ-ნ. -ვნ თანხმოვანთა მიმდევრობა არაკანონიკურია ზანურში, შდრ. ქართ. უვნებელი და ზან. უნებელი (დროთა განმავლობაში -უ დამოუკიდებელ ფორმანტად ჩამოყალიბდა, განზოგადდა და გვარის სისტემაში ოდენ ინაქტიური ქვემდებარის გამოხატვის ფუნქცია შეიძინა).

4. მარტივი პრედიკატული კონსტრუქციის R-უ-ნ ყალიბის ფორმა, გამოხატავდა საგნის დროში შეუზღუდავ მუდმივ თვისებას, უნარს. მუდმივობა შესაძლებელია ყოფილიყო როგორც მდგომარეობითი (უმოდრაო: ცუდე დგ-უ-ნ „სახლი დგას“, მფლობელობითი: ულ-უ-ნ „აქვს“, უჩქ-უ-ნ „იცის“, ჯოგ-უ-ნ „სძულს“), ისე პროცესუალური (განმცდელობითი: ხონცინი ხონც-უ-ნ „ქუხილი ქუხს“, მჟორა ჩხატ-უ-ნ „მზე ბრწყინავს“, კვინჩი ფუთხუ-ნ „ჩიტი ფრინავს“, მეორე საფეხურზე გვხვდება: ხომუ-უ-ნ „ხმება“ ჭითონდ-უ-ნ „წითლდება“). R-უ-ნ ყალიბის კონსტრუქცია იყო ნომინატიური ან დატიური.

5. ზმნურ ფორმათა განვითარების შემდგომ საფეხურზე, რაც სუბიექტის აქტიურობასთან არის დაკავშირებული, ჩნდება S3 პირის -ს ნიშანი: *R-უვ-ს. -ს ფორმანტი ააქტიურებს ზმნის ფუძეს და ვ > ნ, ვ > ფ ფონეტიკური გადასვლებით ქმნის -უნ და -უფ მათქმეებელ ალომორფებს მეგრულსა და ლზაურში. იქმნება ოპოზიციური სისტემები საბაზისო ნომინატიური კონსტრუქციის R-უ-ნ ყალიბის სტატიკური ნიმუშებისა და ერგატიული კონსტრუქციის R-უნ/უფ-ს დინამიკური ფორმების სახით (შემდგომ ამათ უერთდება ფონემურად იდენტური -ავ > -ან/-ავ/-ამ < -ებ ჯგუფები).

6. სავარაუდოდ, ზმნურ ფორმათა განვითარების მომდევნო საფეხურზე, იწყება რეფლექსივიზაციის პროცესი, რაც, პირველ რიგში, R-უ-ნ სტრუქტურის ი-პრეფიქსით მარკირებასთან არის დაკავშირებული (ჩოქ-უ-ნ „დაჩოქილია“ > ი-ჩოქ-უ-ნ „იჩოქება, ტყობ-უ-ნ „დამალულია“ > ი-ტყობ-უ-ნ „იმალება“). ამგვარი აქტიური სემანტიკის არარეგულარული წარმოების ფორმებს ჩვენ ცალკე გამოვყოფთ და მათ რეფლექსივების დამოუკიდებელ კატეგორიაში განვიხილავთ.

7. პირველადი ერგატიული კონსტრუქციის მოქმედებითებისაგან იწარმოება ნომინატიური კონსტრუქციისა და ი-R-ე-ნ სტრუქტურის შესაძლებლობის ვნებითები, ანუ ერთპირიან აქტივი უპირისპირდება უპირო ფორმას. ამ პერიოდში ისახება მეგრულ-ლაზურში ზმნის გრამატიკული გვარის კონტურები.

8. შემდგომ საფეხურებზე, როდესაც სუბიექტის მოქმედების არეალი იზრდება, კერძოდ, იგი იძენს მიმართებით და დანიშნულებით ფუნქციებს, სუბიექტის რელაციურმა მოქმედებამ მარტივ პრედიკატულ კონსტრუქციაში საკორელაციო პირდაპირი ობიექტი გააჩინა, რაც გარდამავლობის წარმოქმნასთან არის დაკავშირებული. უნარ-ჩვევის გამომხატველ R-THM სტრუქტურის აქტივებსაც უჩნდებათ პირდაპირ ობიექტი: ჯგირო ხანტ-უნ-ს „კარგად ხატავს“ და ხანტ-უნ-ს სურთის „ხატავს სურათს“. კონსტრუქცია ხდება ლაბილური. ამგვარი ფორმების სათანადო ვნებითი ეყრდნობა რეფლექსიურობის ი-პრეფიქსსა და ინაქტიურობის -უ სუფიქსს. შემდგომ საფეხურზე დესტინაციურმა აქტივობამ კონსტრუქციაში ირიბი ობიექტი შემოიყვანა.

9. შეიქმნა ოპოზიციური სტრუქტურები კონსტრუქციისა და ფორმის მიხედვით, კერძოდ, ერგატიული კონსტრუქციის (ა)-R-THM-ს სტრუქტურის აქტივები დაუპირისპირდნენ ნომინატიური კონსტრუქციის ი-R-ე/უ-ნ სტრუქტურის პასივებს. ამ ურთიერთგანსხვავებული გრამატიკული ყალიბების საფუძველზე მეგრულ-ლაზურში გამოიყოფა ორი გვარი - მოქმედებითი და ვნებითი.

10. ლაზურში მოქმედებითი გვარის ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშია დრო-კილოთა ყველა ჯგუფში, ხოლო მეგრულში, მსგავსად ქართულისა, სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში. ჩვენი აზრით, ლაზურისებური მდგომარეობა უნდა ყოფილიყო ამოსავალი ყველა ტიპის აქტიურ ზმნათათვის მეგრულშიც.

11. მოქმედებითი გვარის გრამატიკული ყალიბი აერთიანებს როგორც პირდაპირგარდამავალ (ჭარ-უნ/უფ-ს „წერს“), ისე ირიბგარდამავალ (ლაზ. ო-ხვეწ-აფ-ს „ეხვეწება“, მეგრ. უ-ფერ-უ-ან-ს „ეფერება“, უ-ბირ-ს „უმღერის“) და გარდაუვალ ზმნათა ნიმუშებს. ამიტომაც ერთმანეთისაგან გავმიჯნეთ გვარი და გარდამავლობა.

12. მოქმედებითი გვარში ცალკე ქვეჯგუფად გამოვყოფთ ასევე აღწერითი სტრუქტურის მქონე მოდელებს, რომლებიც თურქული ენის გავლენით არის შექმნილი და დამახასიათებელია მხოლოდ ლაზურისათვის (ავჯობა იქიფს „ნადირობა აკეთებს“ (=ნადირობს)).

13. მოქმედებითი გვარი წარმოდგენილია 3 მთავარი ჯგუფით:

1. R-ATM-ს

- ა) პირველადი აქტივები
- ბ) რელატიური აქტივები

2. CV-R-(უ)-ATM-ს

- ა) მარტივფუძიანი კაუზაქტივები
- ბ) დიურატიული კაუზაქტივები

3. MSD+AUX -ს

- ა) აღწერითი აქტივები

14. ვნებითი გვარიც წარმოდგენილია ორი მთავარი ჯგუფითა და ამოსავალი ფუძეების მიხედვით ორ ნაწილად იყოფა - დამოუკიდებელი ვნებითი და კონვერსიული ვნებითი:

1. დამოუკიდებელი ვნებითი- R-(დ)-უ-ნ

- ა) R-უ-ნ სტრუქტურის პირველადი ვნებითი
- ბ) R-დ-უ-ნ სტრუქტურის ადიექტური ვნებითი

2. კონვერსიული ვნებითი - ი-R-(აფ)-უ/ე-ნ

- ა) ი-R-ე-ნ სტრუქტურის ვნებით-პოტენციალისი
- ბ) ი-R-atm-უ/ე-ნ სტრუქტურის პრეფიქსული ვნებითი
- გ) ი-R-atm-atm-უ-ნ სტრუქტურის კაუზაციური ვნებითი

15. ადიექტიური ვნებითების -დ სუფიქსს გენეტიკურად ვითარებით ბრუნვასთან ვაკავშირებთ და მის არაპროდუქტიულობასაც ზანურში მოცემული ბრუნვის სისტემის მოშლით ვხსნით. მან ვერ შეძლო დამოუკიდებლად განვითარება და ფორმამაწარმოებელ (resp. ვნებითი გვარის) ფორმანტად ჩამოყალიბება. იგი ზანურის არქაულ ფორმებს შემორჩა, როგორც სიტყვამაწარმოებელი ელემენტი. ზმნურ ფუძეებში სპორადულად გამოვლენილი -დ ელემენტი კი ქართულის გავლენაა.

16. მოქმედებითისა თუ ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნებთან გამოვლენილი -არ/-ორ და -ან/-ონელემენტები ხარისხის მაწარმოებელი არქაული ფორმანტებია. -ონ სუფიქსი დღესაც გამოიყენება ლაზურის ატრიბუტივებთან ხარისხის წარმოების ფუნქციით.

17. ზმნურ ფორმათა გრამატიკული ნიშნით კვალიფიკაციისას სისტემის მიღმა რჩება არარეგულარული წარმოების სტატიკური ზმნები, რეფლექსივები და დეპონენსები.

უმრავლეს შემთხვევაში, ზანურში შინაარსი და გრამატიკული ფორმა სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან. ასეთი ხარისხის შესატყვისობა განპირობებულია იმით, რომ „მეგრულ-ლაზურში აგლუტინაციურობის ინდექსის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია: მეგრულში - 0.58, ლაზურში - 0.54. ანალოგიისა და უნიფიკაციის პროცესებმა ამ ენობრივ ერთეულებს აგლუტინაციური ხასიათი შესძინა. მეგრულ-ლაზური მორფოლოგია გაცილებით უფრო რეგულარულია, ვიდრე სვანური და ქართული“ (იმელიძეშვილი ი. 2010:102).

მიუხედავად შესატყვისობათა მაღალი ხარისხისა, რადგან ზმნის გვარი არ მოიცავს ყველა რეალიზებულ ზმნურ ფორმას მეგრულ-ლაზურში, გრამატიკული გვარი ვერ იქნება ზმნური ფონდის ლექსიკურ-გრამატიკული ნიშანი. იგი ზმნების კლასიფიცირებას ახდენს და ორ ნაწილად ყოფს მხოლოდ გრამატიკული (resp. მორფოსინტაქსური) ნიშნის მიხედვით.

ძირითადი ლიტერატურა

1. აბულაძე 2010: ი. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-X სს-ის ძეგლების მიხედვით, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2010;
2. აზმაიფარაშვილი და სხვ. 2016: ლ. აზმაიფარაშვილი, ნ. არდოტელი, რ. ლოლუა, ლ. სანიკიძე, რ. ფარეულიძე, ნახურ და დალესტნურ ენათა შედარებითი გრამატიკა, IV ნაწილი, თბილისი, 2016;
3. ალექსიადი 2014: A. Alexiadou, Active, middle, and passive: the morpho-syntax of Voice, Catalan Journal of Linguistics 13, 2014;
4. ალექსიადი, დორონი 2012: A. Alexiadou, E. Doron, The syntactic construction of two nono-active Voices: Passive and Middle, Journal of Linguistics 48: 1-34, 2012;
5. ანდერსენი 1994: P. K. Andersen, Empirical Studies in Diathesis. Münster: Nodus, 1994;
6. ანდერსონი 1965: R. D. Anderson, A Grammar of Laz; Vgl. Linguistics 11, 1965;
7. ანტონ I 1885: ანტონ I კათალიკოსი, ქართული ღრამმატიკა შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885;
8. არაბული 2010: ა. არაბული, სპორადულად გამოვლენილ მესამე პირის -ნ/-დ, -ენ/-ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 2010;
9. არაბული 2001: ა. არაბული, ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბილისი, 2001;
10. არაბული 1984: ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვეთელთა წარმოება და მნიშვნელობა ქართულში, თბილისი, 1984;
11. არონსონი 2005: H. I. Aronson, Georgian. A Reading Grammar. Corrected Edition. University of Chicago, Slavica Publishers, Inc. 2005;
12. ასათიანი 2012: ი. ასათიანი, ლაზური (ჭანური) ტექსტები, თბილისი, 2012;
13. ასათიანი 1970: ი. ასათიანი, -ერე სუფიქსიანი თურმეობითი მეგრულში, იკე, ტ. XVII, თბილისი, 1970;
14. ასათიანი 2018: რ. ასათიანი, ლაზური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2018;
15. ასათიანი 2016: რ. ასათიანი, ზმნური ხმოვანპრეფიქსების ფუნქციები ქართველურში: ვერსია და კაუზაცია, ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრობლემები, თბილისი, 2016;
16. ასათიანი 2015: რ. ასათიანი, გვარის კატეგორია ქართველურ ენებში: რეინტერპრეტაცია და რეკონსტრუქციის მცდელობა, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2015;
17. ასათიანი 2010: რ. ასათიანი, წინადადების საინფორმაციო სტრუქტურა: ვნებითი გვარის კონსტრუქციათა პრაგმატიკული თავისებურება ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები - I-II, 2010;

18. ასათიანი 2009: რ. ასათიანი, ვნებითი გვარის კონსტრუქციათა პრაგმატული თავისებურება ქართველურ ენებში, ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში, თბილისი, 2009;
19. ასათიანი 1990: რ. ასათიანი, გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში, ტიპოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1990;
20. ასათიანი 1989: რ. ასათიანი, კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში, მაცნე, N1, თბილისი 1989.
21. აქსოილუ 2009: K. Aksoylu, Laz Kültürü. Tarih, Dil, Gelenek ve Toplumsal Yapı, İstanbul, 2009;
22. ახალაია 2019: ნ. ახალაია, -დ სუფიქსის ზმნური ფუნქციისათვის მეგრულ-ლაზურში, მერმისი X, თბილისი, 2019;
23. ახალაია 2018: N. Akhalaia, Form and Function Of Denominal Verb Constructions In Kartvelian Languages, ISTEK – Proceedings Book, ISSN: 2146-7382 (pp. 308-316), 2018;
24. ახალაია 2017: ნ. ახალაია, ნასახელარი ზმნები მეგრულსა და ლაზურში, თბილისი, 2017;
25. ახალაია 2016: N. Akhalaia, Some Aspects of the Medio-active Verbs in the Megrelian and Laz Languages, Online Journal of Humanities, EISSN 234-8146, Issue I, June, 2016;
26. ახალაია 2004: ნ. ახალაია, საშუალო გვარი მეგრულში, სამაგისტრო ნაშრომი, თბილისი, 2004;
27. ახალი ქართული ენა 2016: ახალი ქართული ენა, წიგნი II (გ. გოგოლაშვილისა და ა. არაბულის რედაქციით), თბილისი, 2016;
28. აჭარიანი 1899: H. Adjarian, Etude sur la langue Laze: Extrait des Mémoires de la Societe de linguistique de Paris, t. X, 1899;
29. ბარათაშვილი 2013: ზ. ბარათაშვილი, დიათეზა და გვარის კატეგორია ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2013;
30. ბარამიძე 1976: ლ. ბარამიძე, ვნებითი გვარის ზმნათა აწმყოს დაბოლოებისათვის ძველ ქართულში; თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 19, თბილისი, 1976;
31. ბენვენისტი 1974: მ. ბენვენისტი, Общая лингвистика, Москва, 1974;
32. ბოედერი 2009: ვ. ბოედერი, სინტაქსისა და მორფოლოგიის შეუსაბამობის თეორიული პრობლემები ქართველურ ენებში, კადმოსი 1, თბილისი, 2009;
33. ბოედერი 1979: W. Boeder, Ergative Syntax in Language Change: the South Caucasian languages, In: Frans Plank (ed.): Ergativity. Towards a theory of grammatical relations, Academic Press, London..., 1979;
34. გაიოზ რექტორი 1970: ქართული ღრამმატიკა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ე. ნიკოლაიშვილმა, თბილისი, 1970;
35. გამყრელიძე, მაჭავარიანი 1965: თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965;
36. გერდტსი, მარლეთი 2008: D. B. Gerdts, S. A. Marlett, Introduction: The form and function of denominal verb constructions, by the university of Chicago, 2008;
37. გაბუნია 2015: კ. გაბუნია, ერგატიული და ნომინატიური კონსტრუქციების ჩამოყალიბების ქრონოლოგიისათვის ქართველურ ენებში, წელიწდეული IV, თბილისი, 2015;

38. გერსამია, ახალაია 2017: რ. გერსამია, ნ. ახალაია, ალა-, ელა-ზმნისწინთა სემანტიკური კომპონენტები მეგრულ-ლაზურში, იკე, XLV, თბილისი, 2017;
39. გიგინეიშვილი 2016: ბ. გიგინეიშვილი, კაუზატივი და პოსიბილიტივი ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2016;
40. გიორგობიანი 2017: თ. გიორგობიანი, ბერძნული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბილისი, 2017;
41. გოგოლაშვილი, არაბული და სხვ. 2011: გ. გოგოლაშვილი, ა. არაბული, მ. სუხიშვილი, მ. მანჯგალაძე, ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბილისი, 2011;
42. გოგოლაშვილი 1988: გ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბილისი, 1988;
43. გოგოლაშვილი 1987: გ. გოგოლაშვილი, -ავ და -ამ თემისნიშნის ზმნათა ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში; მაცნე (ელს), N2; თბილისი, 1987;
44. გოგოლაშვილი 1977: გ. გოგოლაშვილი, ვნებითი გვარის ნასახელარ ზმნათა საყრდენი ფუძის შესახებ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ენათმეცნიერება, ტ. 187 (რეზიუმე რუსულ და გერმანულ ენებზე), თბილისი, 1977;
45. გუდავა, გამყრელიძე 2000: ტ. გუდავა, თ. გამყრელიძე, თანხმოვანთკომპლექსები მეგრულში, კრებ.: თ. გამყრელიძე, რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბილისი, 2000;
46. გუდავა 1984: ტ. გუდავა, -უნ დაბოლოების შესახებ მეგრულ კაუზატივებში, საენათმეცნ. კრებ., I, თბილისი, 1984;
47. გუდავა 1974: ტ. გუდავა, ფუძედრეკადი ზმნები მეგრულში, მაცნე N 4, თბ., 1974;
48. დადიანი 2014: ე. დადიანი, მეგრული ზმნის პარადიგმა, თბილისი, 2014;
49. დანელია 2006: კ. დანელია, კოლხური ენის გრამატიკული ანალიზი, წიგნში: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, თბილისი, 2006;
50. დანელია 1976: კ. დანელია, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბილისი, 1976;
51. დეეტერსი 1930: G. Deeters, Das Kartvelischen Verbum, Vergleichende Darstellung des Verbalbaus der südkaukasischen Sprachen, Leipzig, 1930;
52. დეისაძე 1963: ო. დეისაძე, გვარი ქართული ენის გრამატიკებში, ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XXV, ქუთაისი, 1963;
53. დიუმეზილი 2009: ჟ. დიუმეზილი, ლაზური ზდაპრები და გადმოცემები, თბილისი, 2009.
54. დიქსონი 1994: R. M. W. Dixon, Ergativity. Cambridge Studies in Linguistics 69. Cambridge: Cambridge University Press, 1994;
55. დოდაშვილი 1961: ს. დოდაშვილი, თხზულებანი, თბილისი, 1961;
56. დოდაშვილი 1830: ს. დოდაშვილი, შემოკლებული ქართული დრამატიკა, გამოცემული სოლომონ დოდაევის მიერ, ტფილისი, 1830;
57. დონდუა 1967: კ. დონდუა, ადიღური ტიპის მოთხრობითი ბრუნვა სვანურში, რჩეული ნაშრომები, თბილისი, 1967;

58. ეზუგბაია 2013: ლ. ეზუგბაია, გარდამავლობის საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XII, თბილისი, 2013;
59. ეზუგბაია 2010: ლ. ეზუგბაია, მეგრულ-ლაზურის გრამატიკის საკითხები, თბილისი, 2010;
60. ეზუგბაია 2010: ლ. ეზუგბაია, -ქ სუფიქსის ფუნქციისათვის მეგრულ ზმნაში, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, XXIII, 2003;
61. ემბიკი 1997: D. Embic, Voice Systems and the Syntax/morphology Interface, To Appear in H. Harley ed. The Proceedings of the Penn/MIT Workshop on Aspect, Argument Structure, and Events, MITWPL, 1997;
62. ერთელიშვილი 1960: ფ. ერთელიშვილი, დ-//ნ (-ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისის საკითხისათვის, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 93, ფილოლოგ. მეცნიერებათა სერია, თბილისი, 1960;
63. ვაშაკიძე 1993: თ. ვაშაკიძე, ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში, თბილისი, 1993;
64. ზურაბაშვილი 1957: თ. ზურაბაშვილი, ხარისხი ქართველურ ენებში, სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, თბილისი, 1957;
65. თანდილავა 2015: ი. თანდილავა, საერთოქართველური ლაზური ზმნების პარადიგმა, ჭოროხი, N 1, 2015;
66. თოფურია 1987: G. Topuria, Ergativ, Instrumentalis und die ergative Konstruktion, Proceedings of the Fourteenth International Congress of Linguistics, Berlin/DDR, August 10 - 15, 1987;
67. თოფურია 1954: ვ. თოფურია, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში, თბილისი, 1954;
68. თოფურია 1942: ვ. თოფურია, ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. 3, N 5, თბილისი, 1942;
69. თოფურია 1942: ვ. თოფურია, მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, N9, თბილისი, 1942;
70. თოფურია 1941: ვ. თოფურია, ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ 2, №1-2, 1941;
71. თოფურია 1940: ვ. თოფურია, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან, II. -ედ, -ურ, რ- აფიქსებისათვის, ენიმკის მოამბე, V-VI, თბილისი, 1940;
72. თოფურია 1936: ვ. თოფურია, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ.3, 1936;
73. თოფურია 1930: ვ. თოფურია 1930; ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში, II, ბგერით მოვლენათა თანმიმდევრობა, თსუ მოამბე, ტ. X, 1930;
74. იოსელიანი 1840: პ. იოსელიანი, პირსელ დაწყებითი კანონი ქართულისა ღრამმატიკისა, შედგენილი პლატონ ეგნატისა ძის იოსელიანისა მიერ, ტფილისი, 1840;
75. იოსეფსი და სხვ. 1975: L. S. Josephs, M. Emesiochel, M. Tmodrang and H. Wilson, Palauan Reference Grammar [10. Reciprocal Verbs], University of Hawai'i Press is collaborating with JSTOR to digitize, <https://www.jstor.org/stable/j.ctv9zcyjv.14>
76. იმნაიშვილები 1996: ივ. იმნაიშვილი, ვ. იმნაიშვილი, ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I-II, მაინის ფრანკფურტი, 1996;

77. იმნაიშვილი 1992: გ. იმნაიშვილი, ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან, II. მეოცე საუკუნის ათიანი წლებიდან ორმოცდაათიან წლებამდე; იკვ, XXXI; თბილისი 1992;
78. იმნაიშვილი 1990: გ. იმნაიშვილი, ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან. I. დასაწყისიდან მეოცე საუკუნის ათიან წლებამდე; იკვ, XXIX; თბილისი, 1990;
79. იმნაიშვილი 1979: გ. იმნაიშვილი, ვნებითი გვარის წარმოება და ფუნქციები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში; იკვ, XXI, თბილისი, 1979;
80. იმნაიშვილი 1970: ვ. იმნაიშვილი, კაუზატივი ძველ ქართულში. თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომები კრებული, N10, 1970;
81. იმნაიშვილი 1968: ივ. იმნაიშვილი, ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში; კრებ. „საიუბილეო“ (თსუ ძვ. ქართული ენის კათედრის შრომები, 11); თბილისი, 1968;
82. იმნაიშვილი 1957: ივ. იმნაიშვილი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბილისი, 1957;
83. კაკაჩია და სხვ. 2013: მ. კაკაჩია, ქ. მარგიანი, მ. ჯღარკავა, ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის საკითხები, თბილისი, 2013;
84. კარიჭაშვილი 1929: დ. კარიჭაშვილი, ქართული ენის გრამატიკა: ეტიმოლოგია 12 ტაბულით, ტფილისი, 1929;
85. კარტოზია და სხვ. 2010: გ. კარტოზია, რ. გერსამია, მ. ლომია, თ. ცხადაია, მეგრულის ლინგვისტური ანალიზი, თბილისი, 2010;
86. კარტოზია 2008: გ. კარტოზია, მეგრული და ლაზური ტექსტები (ქართული თარგმანით), თბილისი, 2008;
87. კარტოზია 2005: გ. კარტოზია, ლაზური ენა და მისი ადგილი ქართველურ ენათა სისტემაში, თბილისი, 2005;
88. კარტოზია 1993: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, თბილისი, 1993;
89. კარტოზია 1976: გ. კარტოზია, არაინვერსიულ თურმეობითა წარმოებისათვის ლაზურში, მაცნე, N 3, თბილისი; 1976;
90. კარტოზია 1972: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, თბილისი, 1972;
91. კარტოზია 1970: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები (ათინური კილოკავის ნიმუშები), მაცნე, N 4, 1970;
92. კემერი 1993: S. Kemmer, The middle voice, John Benjamins, 1993.
93. კეტფორდი 1974: J. C. Catford, Ergativity in Caucasian Languages, ERIC Collection [eric.ed.gov], 1974;
94. კვიციანიძე 1888: ქართული სწორმეტყველება (სასინჯი სახელმძღვანელო, პირველი წიგნი, შედგენილი პ. კვიციანიძის მიერ, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან), თბილისი, 1888;
95. კიზირია 1997: ა. კიზირია, ქვემდებარის ბრუნვათა მიმართება ქართველურ ენებში, კრებულში „არნოლდ ჩიქობავას“, თბილისი, 1979;
96. კიკნაძე 1946: ლ. კიკნაძე, ძირეული და ნასახელარი ზმნები ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ. XXVIII, თბილისი, 1946;
97. კიპარსკი 1997: P. Kiparsky, Remarks on Denominal Verbs, Complex Predicates, Stanford, 1997;

98. კლაიმანი 1991: M.H. Klaiman. Grammatical Voice, Cambridge Studies in Linguistics 59, Cambridge: Cambridge University Press, 1991;
99. კლიმოვი 1983: G. A. Klimov, Zur Geschichte der medioaktiven Verben in der Kartwelsprachen; Georgica, H.6, Jena/Tb., 1983;
100. კლიმოვი 1964: Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, Москва, 1964;
101. კლიმოვი 1976: Г. А. Климов, Аномалииэргативности в ласском языке, აღმოსავლური ფილოლოგია, IV, თბილისი, 1976;
102. კოლხური ენა 2006: კოლხური (მეგრულ-ლაზური) ენა, შემდგენლები: რ. ამირეჯიბი-მალენი, ნ. დანელია, ი. დუნდუა, თბილისი, 2006;
103. კომრი 1998: B. Comrie, Language Universals and Linguistic Typology: Syntax and Morphology, second edition. Oxford UK and Cambridge USA, 1989;
104. კომრი 1978: B. Comrie, Ergativity. Syntactic Typology: Studies in the Phenomenology of Language. Edited by Winfred P. Lehmann. Sussex: The Harvester Press Limited
105. კობაიძე 2011: მ. კობაიძე, ზმნის უღლების ტიპების შესახებ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები XI, თბილისი, 2011;
106. კულიკოვი 2011: L. Kulikov, Voice typology, the Oxford handbook of linguistic typology, Oxford, 2011;
107. კულიკოვი 2013: L. Kulikov, Middle and Reflexive. Bloomsbury Academic, London/Mew Delhi/New York/Sydney, 2013;
108. კუჩერი 2003: S. Kutscher Raumkonzeptualisierung im lasischen Verb: Das System der deiktischen und typologischen Präverbien; Kaukasische Sprachprobleme, Oldenburg; 2003;
109. კუჩერი, გენჯი 1998: S. Kutscher, N. S. Genç, Ardesen narretes - Ardeseni na isinapinenpe. A collection of Laz spoken texts with glosses and translations into English, German and Turkish. Munich : Lincom Europa, 1998;
110. ლოლაძე 1996: ნ. ლოლაძე, ზმნის გვარის სამწევრა სისტემის სტრუქტურული მოდელები ქართველურ ენებში, ქესს, VI, თბილისი, 1996;
111. ლაზარი 2009: Le géorgien : actance duale («active») ou ergative? Typologie des verbes anti-impersonnels, Études de linguistique générale. Typologie grammaticale, Leuven-Paris, 2001; ქართულად თარგმნა ე. გიუნაშვილმა: ქართული ენა: დუალური („აქტიური“) აქტანტი თუ ერგატიული? ანტი-იმპერსონალური ზმნების ტიპოლოგია, იკე, XXXVII, თბილისი, 2009;
112. ლაკროა 2007: R. Lacroix, Ditransitive Constructions in Laz. Communication à: Conference on Ditransitive Constructions, Max Plank Institute for Evolutionary Anthropology, Leipzig, Allemagne, 23-25 novembre, 2007;
113. ლომია, გერსამია 2012: მ. ლომია, რ. გერსამია, ხაზთაშორის მორფემული გლოსირება, თბილისი, 2012;
114. ლომია 2005: მ. ლომია, ჰიპოტაქსის საკითხები მეგრულში, თბილისი, 2005;
115. ლომთათიძე 1976: ქ. ლომთათიძე, ქცევის კატეგორია ქართველურსა და აფხაზურ-ადღეურ ენებში, იკეწ, III, თბილისი, 1976;
116. ლომთათიძე 1953: ქ. ლომთათიძე, თბება ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იკე, IV, თბილისი, 1953;

117. ლომთათიძე 1946: ქ. ლომთათიძე, -ქ სუფიქსისათვის მეგრულ ზმნებში, იკე, I, თბილისი, 1946;
118. ლუდერსი 1992: U. J. Lüders The Laz Verbal Complex: Principles of Organisation; Caucasian Perspectives, München, 1992;
119. ლუდერსი 1992: U. J. Lüders Ergativity and Variability: Actant Marking in Pazar-Laz (Kartvelian). Languages of the World 3, 1992;
120. მათისენი 2003: J. Mattissen, Aktionale Klassen in polypersonalen Aspekt sprachen – am Beispiel des Lasischen. In Boeder Winfried (éd.), 2003;□
121. მათისენი 2001: J. Mattissen, Aktions artklassen im Lasiscen von Artaseni. Georgica 23, 2001;
122. მარანცი 1984: A. Marantz, On the Nature of Grammatical Relations. Cambridge: MIT Press, 1984;
123. მარგიანი და სხვ. 2019: ქ. მარგიანი, რ. ქურდაძე, მ. ლომია, ევიდენციალობის კატეგორია ქართველურ ენებში, თბილისი, 2019;
124. მარგველაშვილი 2006: მ. მარგველაშვილი, III სერიის მწკრივთა წარმოება მეგრულში ა) მოქმედებითი გვარი. საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XXII, თბილისი, 2006;
125. მარგველაშვილი 2006: მ. მარგველაშვილი, ისევ ვნებითი გვარის წარმოებისათვის მეგრულში [ვნებითი გვარის მაწარმოებელი აფიქსების მსგავსება კოლხურსა და ქართულში], საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XXI, თბილისი, 2006;
126. მარგველაშვილი 1988: მ. მარგველაშვილი, აწმყოს ფუძის საკითხი მეგრულში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 27, თბილისი, 1988;
127. მარგველაშვილი 1984: მ. მარგველაშვილი, მოქმედებითი გვარის ზმნათა II სერიის მწკრივების წარმოება მეგრულში, თსუ ძვ. ქართ. ენის კათედრის შრომები, 25, თბილისი, 1984;
128. მარგველაშვილი 1982: მ. მარგველაშვილი, მწკრივთა წარმოება მეგრულში (საკანდიდატო დისერტაცია), თბილისი, 1982;
129. მარგველაშვილი 1980: მ. მარგველაშვილი, მყოფადის წარმოებისათვის მეგრულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 23, თბილისი, 1980;
130. მარი 1910: Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка, СПб., 1910;
131. მარი 1925: Н. Марр, Грамматика древнелитературного языка, Ленинград, 1925;
132. მაჭავარიანი 2002: გ. მაჭავარიანი, ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა (ლექციების კურსი), თბილისი, 2002;
133. მაჭავარიანი 1988: გ. მაჭავარიანი, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, იკე, XXVII, თბილისი, 1988;
134. მაჭავარიანი 1974: გ. მაჭავარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IV, თბილისი, 1974;
135. მაჭავარიანი 1973: გ. მაჭავარიანი, ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში, მაცნე N1, თბილისი, 1973;
136. მაჭავარიანი 1965: გ. მაჭავარიანი, საერთო ქართველური კონსონანტური სისტემა, თბილისი, 1965;
137. მაჭავარიანი 1965: გ. მაჭავარიანი, ზმნის ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიები ქართველურ ენებში (საკანდიდატო დისერტაცია, ელვერსია), თბილისი, 1965;

138. მაჭავარიანი 1958: გ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითი“ ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1958;
139. მაჭავარიანი 1952: გ. მაჭავარიანი, განგრძობითი ასპექტის წარმოებისათვის ქართველურ ენებში, თსუ ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია, VI (თეზისები), თბილისი, 1952;
140. მაჭავარიანი მ. 1996: მ. მაჭავარიანი, „უნიშნო ვნებითები“, „უგვარო ზმნები“, თუ სხვა რამ?; ბ. ჯორბენაძის საზოგ. III სამეცნ. კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1996;
141. მაჭავარიანი მ. 1980: მ. მაჭავარიანი, ქცევის კატეგორიის საკითხისათვის, იკე, XII, თბილისი, 1980;
142. მახარობლიძე 2012: თ. მახარობლიძე, ვერსიის კატეგორიის შესახებ ქართულში, კადმოსი N4, თბილისი, 2012;
143. მახარობლიძე 2009: თ. მახარობლიძე, ლინგვისტური წერილები, თბილისი, 2009;
144. მელიქიშვილი 2014: დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის სისტემური მორფოსინტაქსურიანალიზი (ელ. ვერსია), თბილისი, 2014;
145. მელიქიშვილი 2010: დ. მელიქიშვილი, არის თუ არა გვარის კატეგორია ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციის საფუძველი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნ. № 1-2, თბილისი, 2010;
146. მელიქიშვილი 2002: დ. მელიქიშვილი, დიათეზისა, გვარისა და ქცევის ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, კრებ. შოთა ძიძიგური, თბილისი, 2002;
147. მელიქიშვილი 2001: დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბილისი, 2001;
148. მელიქიშვილი 1979: დ. მელიქიშვილი, მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში, მაცნე, ფილოლოგიის სერია, 1979;
149. მელიქიშვილი ი. 2014: ი. მელიქიშვილი, სემანტიკური მარკირება მორფოლოგიაში და აქტიურობა-ინაქტიურობის კატეგორია ქართველურ ენებში, თბილისი, 2014;
150. მელიქიშვილი ი. 2013: ი. მელიქიშვილი, ერგატიული კონსტრუქციის მეორეულობის შესახებ ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2013;
151. მელიქიშვილი ი. 2010: ფლექსიურობის (ფუზიურობის) შესახებ ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბილისი, 2010;
152. მელიქიშვილი ი. 2005: ი. მელიქიშვილი, პირდაპირი სემანტიკური მარკირება როგორც ქართველურ ენათა მორფოლოგიის განმსაზღვრელი პრინციპი და პირის ნიშანთა ინვერსიის პრობლემა, ტიპოლოგიური ძიებანი, 5, თბილისი, 2005;
153. მელიქიშვილი ი. 2002: ი. მელიქიშვილი, ქცევა, როგორც ასპექტურ დაპირისპირებათა გამოხატვის საშუალება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, IV, თბილისი, 2002;
154. მელჩუკი 2006: I. Mel'čuk, Aspects of the Theory of Morphology. Trends in Linguistics: Studies and Monographs 146. Berlin/New York: Mouton de Gruyter, 2006;
155. მელჩუკი, ხოლოდოვიჩი 1970: Melchuk I. A., Kholodovich A. A. On the theory of grammar, Moscow, 1970;
156. მუზაშვილი 2016: ნ. მუზაშვილი, ნასახელარი ზმნები ძველ ქართულში, თბილისი, 2016;
157. ნათაძე 1959: ნ. ნათაძე, თემის ნიშნები ქართველურ ენებში, იკე, XI, თბილისი, 1959;

158. ნებიერიძე 1987: გ. ნებიერიძე, არსებობს თუ არა ერგატიული კონსტრუქცია ქართველურ ენებში, მაცნე, ელს, N3, თბილისი, 1987;
159. ნებიერიძე 1984: გ. ნებიერიძე, გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში, საენათმეცნიერო კრებული, I, თბილისი, 1984;
160. ნიკოლაიშვილი 2012: მ. ნიკოლაიშვილი, რა განსაზღვრავს ზმნის კონსტრუქციებს ქართულში? ელჟურნალი „სპეკალი“, N 5, 2012; [http://www.spekali.tsu.ge/index.php / ge/article/ viewArticle/5/49](http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/49);
161. ნოზაძე 2008: ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 2008;
162. ნოზაძე 2000: ლ. ნოზაძე, ვნებითისა და პოტენციალისის ფორმათა წარმოების ზოგი საკითხი კოლხურში, იკე, XXXIV, თბილისი, 2000;
163. ნოზაძე 1974: ლ. ნოზაძე, მედიაოქტივ ზმნათა წარმოების საკითხი ქართულში, იკე, XIX, თბილისი, 1974;
164. ნოზაძე 1961: პრეფიქსური და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობებისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, თბილისი, 1961;
165. ონიანი 1993: ა. ონიანი, გვარის მორფოლოგიური კატეგორია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ქართული ენის კათედრის პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიის თეზისები, 1993;
166. ონიანი 1978: ა. ონიანი, ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები, თბილისი, 1978;
167. პალმერი 1994: F. R. Palmer, Grammatical roles and Relations. Cambridge Textbooks in Linguistics. Cambridge: Cambridge University Press, 1994;
168. ჟერარდინი 2014: H. Gerardin, The Antipassive Uses of the Georgian Detransitive Voice, syntax of the world's languages VI, Pavia, 2014;
169. ჟორდანიას 1889 : თ. ჟორდანიას, ქართული გრამმატიკა: ეტიმოლოგია და სინტაქსი, ტფილისი, 1889;
170. ჟღენტა 1953: ს. ჟღენტა, ჭანურ-მეგრულის ფონეტიკა, თბილისი, 1953;
171. ჟღენტა 1938: ს. ჟღენტა, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოკავი, 1938;
172. როგავა 1975: გ. როგავა, ქართულ ე, ზანურ ი ხმოვანთა შესაბამისობის ახსნისათვის, ენათმეცნიერება, თსუ შრომები, 164, თბილისი, 1975;
173. როგავა 1954: გ. როგავა, ნამყო უსრულის -ოდ სუფიქსის შედგენილობისათვის ქართულში, იკე, ტ. VI, 1954;
174. როგავა 1953: გ. როგავა, დრო-კილოთა მეოთხე ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში, იკე, V, თბილისი, 1953;
175. როგავა 1945: გ. როგავა, აორისტისა და კავშირებით მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში, მოამბე, ტ. VI, თბილისი, 1945;
176. როგავა 1942: გ. როგავა, კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში), მოამბე III, N 2, თბილისი, 1942;
177. სარჯველაძე 1997: ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბილისი, 1997;
178. სარჯველაძე 1973: ზ. სარჯველაძე, სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაში ზოგ გარდაუვალ ზმნასთან, ქელს, თბილისი, 1973;

179. სახოკია 1989: თ. სახოკიას არქივიდან (დაბ. 120 წლისთავისათვის), II, მეგრული ანდაზები და გამოთქმები, იკე, ტ. XXVIII, თბილისი, 1989;
180. სახოკია 2013: მ. სახოკია, ქართული ერგატივის ტიპოლოგიისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2013;
181. სოსელია, ქარქაშაძე 2013: ე. სოსელია, მ. ქარქაშაძე, თავისებური ი- ხმოვანპრეფიქსიანი ზმნური ფორმები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2013;
182. სოსელია 2010: ე. სოსელია, საურთიერთო მოქმედების გამომხატველი კონსტრუქციები ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები - I-II, თბილისი, 2010;
183. სუხიშვილი 2011: მ. სუხიშვილი, პასიური და საურთიერთო სემანტიკა გარდაუვალი ზმნის ე-პრეფიქსიან მოდელში, იკე, XXXIX, თბილისი, 2011;
184. სუხიშვილი 1999: მ. სუხიშვილი, გარდამავლობა, ერგატიულობა და გვარი ქართულში, ავტორეფერატი, თბილისი, 1999;
185. სუხიშვილი 1988: მ. სუხიშვილი, უახლოესი ობიექტის გამოტოვება მეგრული გარდამავალი ზმნის შესიტყვებაში, მაცნე, 2, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი, 1988;
186. სუხიშვილი 1980ა: მ. სუხიშვილი, სუფიქსიან ვნებითა წარმოების ზოგი საკითხისათვის ქართულში, იკე, XXII, თბილისი, 1980;
187. სუხიშვილი 1980: მ. სუხიშვილი, მოქმედებითი და ვნებითი გვარის წარმოებისა და სემანტიკის ზოგიერთი საკითხი ქართულში; კრებ. „ნარკვევები იბ.-კავკ. ენათა მორფოლოგიიდან“, თბილისი, 1980;
188. სუხიშვილი 1976: მ. სუხიშვილი, სტატიკური ზმნები ქართულში, თბილისი, 1976;
189. ტენიერი 1988: Л. Теньер, Основы структурного синтаксиса. Серия „Языковеды мира“. Москва: издательство „прогресс“, 1988;
190. ტუიტი 2002: K. Tuite, Deponent verbs in Georgian. In: Wolfram Bublitz, Manfred von Roncador and Heinz Vater (eds) Philologie, Typologie und Sprachstruktur: Festschrift für Winfried Boeder zum 65, 2002;
191. ტუიტი 1998: K. Tuite, Kartvelian Morphosyntax. Number agreement and morphosyntactic orientation in the South Caucasian languages. München: LINCOM Europa, 1998;
192. ტუსკია 2014: მ. ტუსკია, ნასახელარ ზმნათა ჩამოყალიბების ისტორია და თანამედროვე ენობრივი სიტუაცია, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი 14, თბილისი, 2014;
193. უთურგაიძე 2002: თ. უთურგაიძე, გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთ-მიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბილისი, 2002;
194. უთურგაიძე 2001: თ. უთურგაიძე, მდგომარეობის ზმნები ქართულში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, თბილისი, 2001;
195. უთურგაიძე 1999: თ. უთურგაიძე, ქართული ენის შესწავლის ისტორია, თბილისი, 1999;
196. უთურგაიძე 1995: თ. უთურგაიძე, კაუზაციის კატეგორია ქართულ ენაში, იკე XXXIII, თბილისი, 1995;
197. უთურგაიძე 1976: თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფონემატიკური სტრუქტურა, თბილისი, 1976;
198. უთურგაიძე 1957: თ. უთურგაიძე, შინაარსისა და ფორმის ურთიერთობისათვის ენაში

- ქართული სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტების მიხედვით, გორის სახ. პედ. ინსტ. შრ. IV, გორი, 1957;
199. უცნობი ავტორი 1877: მოკლე ქართული დრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის, მონთობანი, 1877;
 200. ფაღავა, ცეცხლაძე 2017: მ. ფაღავა, ნ. ცეცხლაძე, სამხრული კილოები - ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმები, თბილისი, 2017;
 201. ფენრიხი 1965: H. Fänrich, Die Funktionen des Charaktervokalsim georgischen Verb; in: WZ der FSV Jena, 1965;
 202. ფენრიხი, სარჯველაძე 2000: ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტმოლოგიური ლექსიკონი, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2000;
 203. ფოცხიშვილი 1979: ალ. ფოცხიშვილი, ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბილისი, 1979;
 204. ფუტკარაძე 2016: ნ. ფუტკარაძე, მეგრული ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია (სტატისტიკური და მორფოსინტაქსური ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2016;
 205. ფუტკარაძე 2011: ე. ფუტკარაძე, გვარის გრამატიკული კატეგორია ქართულში, წიგნი I, თბილისი, 2011;
 206. ქავთარაძე 1954: ივ. ქავთარაძე, ზმნის ძირითადი კატეგორიებისათვის ქართულში, თბილისი, 1954;
 207. ქართველიშვილი 1809: ქართული დრამატიკა, 1809, სმა ხელნაწერთა ინსტიტუტი, S4432 ხელნაწერი;
 208. ქუთელია 2005: ნ. ქუთელია, ლაზურის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 2005;
 209. ქხს, I, 1975: ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები I. პოეზია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ტოგო გუდავამ, თბილისი, 1975;
 210. ქხს, II, 1991: – ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები II. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, შენიშვნები და გამოკვლევები დაურთეს კორნელი დანელიამ და აპოლონ ცანავამ, თბილისი, 1991;
 211. ქარქაშაძე 2007: მ. ქარქაშაძე, მედიაქტივებისა და გარდამავალი უკუქცევითი ზმნების ურთიერთიმარტება ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები, 1-2, თბილისი, 2007;
 212. ქირია და სხვ., 2015: ჰ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა, ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, მორფოლოგია, თბილისი, 2015;
 213. ქირია 2014: ჰ. ქირია, პირველი თურმეობითის წარმოება მეგრულში, ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები, II, თბილისი, 2014;
 214. ქირია 2004: ჰ. ქირია, ზმნურ ფორმათა კლასიფიკაციის პრინციპები და უღლების ტიპები, ენათმეცნიერების საკითხები 2, თბილისი, 2004;
 215. ქირია 2000: ჰ. ქირია, თემის ნიშანთა წარმომავლობის საკითხი მეგრულში, საენათმეცნიერო მიუზიკი, X, თბილისი, 2000;
 216. ქირია 1989: ჰ. ქირია, კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 1989;
 217. ქეგლი 1953: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, III ტ. ტომის რედაქტორი ვ. თოფურია, თბილისი, 1953;

218. ქობალავა 2001: ი. ქობალავა, ნამყო დროის ვნებითი გვარის მიმღობათა წარმოებისათვის მეგრულში, ენათმ. ინსტ. მე-40 სესიის თეზ., თბილისი, 1983;
219. ქუთათელაძე 1897: არ. ქუთათელაძე, ქართული ზმნების კლასიფიკაცია, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან, ტფილისი, 1897;
220. ქურდაძე 1995: რ. ქურდაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოება და ხმოვანთა ფუნქციური მონაცვლეობა; ბ. ჯორბენაძის საზოგ. II სამეცნ. კონფერენციის თეზისები, თბილისი, 1995;
221. ხალხური სიბრძნე 1994: რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე, მეგრული და ლაზური ანდაზები, თბილისი, 1994;
222. ხუნდაძე 1907: ს. ხუნდაძე, ქართული გრამატიკა, სილოვან ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1907;
223. ყიფიანი 1882: დ. ყიფიანი, ახალი ქართული გრამმატიკა (სხარტულად დაწერილი მამისაგან შვილებისათვის) სანკტ-პეტერბურლი, 1882;
224. ყიფშიძე 1994: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, თბილისი, 1994;
225. ყიფშიძე 1939: ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები [ხოფური, ვიწურ-არქაბული, ათინური კილოკავები], 1939;
226. ყიფშიძე 1920: ი. ყიფშიძე, მეგრული ზღაპრები, ნორჩი საქართველო, ტფილისი, 1920;
227. ყიფშიძე 1914: И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, с. Петербургъ, 1914;
228. ყიფშიძე 1911: Дополнительные сведения о чанском языке (из лингвистической экскурсии в русской лазистан), С.-Пб., 1911;
229. შანიძე 1981: ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბილისი, 1981;
230. შანიძე 1980: ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, თბილისი, 1980;
231. შანიძე 1973: ა. შანიძე, ქართულიენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1973;
232. შანიძე 1957: ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თხზულებანი, ტ. I, თბილისი, 1957;
233. შანიძე 1953: ა. შანიძე, ქართულიენის გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თბილისი, 1953;
234. შანიძე 1943: ა. შანიძე, აქტივი და პასივი ერთურთის მიმართ მრავალპირიანი ზმნის ჩვენებით, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. IV, N4, თბილისი, 1943;
235. შანიძე 1942: ა. შანიძე, ზმნათა გარდამავლობის საკითხისათვის ქართველურ ენებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. 3, N 2, თბილისი, 1942;
236. შანიძე 1934: ა. შანიძე, (ალ. ბარამიძე, ილ. აბულაძე), ძველი ქართული ენა და ლიტერატურა, ტფილისი, 1934;
237. შანიძე 1926: ა. შანიძე, ქართული ზმნის საქცევი, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, VI, თბილისი, 1926;
238. შანიძე 1919: ა. შანიძე, ნასახელარი ზმნები ქართულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. I, ნაკვეთი 1, ტფილისი, 1919;

239. შანშოვანი 1881: ზ. შანშოვანი, Краткая грузинская грамматика, составленная Зурабом Шаншовани в 1737 г. С. Петербург 1881;
240. შენგელია 2011: ე. შენგელია, ლაზური ხჩეონ-ი (ქჩეონ-ი, ქჩონ-ი, ჩონი) (ეტიმოლოგიური დაკვირვება), ეტიმოლოგიური ძიებანი, VIII, 2011;
241. შეროზია 2001: რ. შეროზია, სინტაქსური კონსტრუქციების ზოგი საკითხისათვის მეგრულ-ლაზურში, ქართველოლოგიური კრებული, I, თბილისი, 2002;
242. შეროზია 2001: რ. შეროზია, გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა კონსტრუქციისათვის ლაზურში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, მასალები, თბილისი, 2001;
243. შეროზია 1998: რ. შეროზია, სტატიკურ და დინამიკურ ზმნათა უღვლილების ზოგიერთი საკითხისათვის მეგრულში, ქუთაისური საუბრები, III, მასალები, თბილისი, 1998;
244. შეროზია 1996: რ. შეროზია, დრონაკლ ზმნათა საკითხისათვის კოლხურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის 55-ე სამეცნიერო სესია, თეზისები, თბილისი, 1996;
245. შეროზია 1985: რ. შეროზია, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში (ავტორეფერატი), თბილისი, 1985;
246. შეროზია 1981: პოტენციალისის კატეგორიისათვის ზანური ენის მეგრულ დიალექტში, მოამბე, 101/1, თბილისი, 1981;
247. შუხარდტი 1950: Г. Шухардт, О пассивном характере переходного глагола в кавказских языках, Эргативная конструкция предложения, Москва, 1950;
248. შუხარდტი 1895: H. Schuchardt, Über den passiven Charakter den kaukasischen Sprachen, Sitzungsberichte der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften in Wien, Philosophisch-historische Klasse, 133, 1, Wien, 1895;
249. შმიდტი 1977: K. H. Schmidt Probleme der Ergativkonstruktion, MSS 36, 1977;
250. ჩანტლაძე 1998: ი. ჩანტლაძე, ქართველოლოგიური ძიებანი, თბილისი, 1998;
251. ჩიქობავა 2014: არნ. ჩიქობავა, შრომები, IX, თბილისი, 2014;
252. ჩიქობავა 2010: არნ. ჩიქობავა, შრომები, X, თბილისი, 2010;
253. ჩიქობავა 2008: არნ. ჩიქობავა, შრომები, III, თბილისი, 2008;
254. ჩიქობავა 1981: არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობისა და გვარის კატეგორიის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართველურ ენებში, იკეწ, VIII, თბილისი, 1981;
255. ჩიქობავა 1979: არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1979;
256. ჩიქობავა 1977: არნ. ჩიქობავა, ზმნის გარდამავლობა, როგორც მორფოლოგიური კატეგორია ქართულში, იკეწ, IV, თბილისი, 1977;
257. ჩიქობავა 1970: არნ. ჩიქობავა, გარდამავალ ზმნათა წარმოების ორი ტიპი და მათი ისტორიული ურთიერთობა ძველ ქართულში. მოხსენების თეზისები, თსუ ფილოლოგიის ფაკ-ის მე-13 სამეცნ. სესია, 1970;
258. ჩიქობავა 1968: არნ. ჩიქობავა, ქართული ზმნის უღვლილების საკითხები, იკე, XVI, თბილისი, 1968;
259. ჩიქობავა 1968: არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, I, თბილისი, 1968;

260. ჩიქობავა 1964: არნ. ჩიქობავა, აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიიდან. I. -ავ, -ამ და -ევ, -ემ სუფიქსთა ისტორიული ურთიერთობა (წინასწარი მოხსენება) (რუს. რეზ.), იკე, ტ. XIV, თბილისი, 1964;
261. ჩიქობავა 1961: არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, II, თბილისი, 1961;
262. ჩიქობავა 1950: არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (წინასიტყვაობა), ტ. I, თბილისი, 1950;
263. ჩიქობავა 1948: არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948;
264. ჩიქობავა 1942: არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942;
265. ჩიქობავა 1940: არნ. ჩიქობავა, მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე, V-VI, 1940;
266. ჩიქობავა 1938: არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი, 1938;
267. ჩიქობავა 1937: არნ. ჩიქობავა, პოტენციალისის კატეგორია ქართველურ ენებში: ენიმკის მოამბე, ტ. I, თბილისი, 1937;
268. ჩიქობავა 1936: არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბილისი, 1936;
269. ჩიქობავა 1929: არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, ნაკვეთი პირველი, ხოფური კილოკავი, ტფილისი, 1929;
270. ჩიქობავა 1926: არნ. ჩიქობავა, ონ სუფიქსი მეგრულში, ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, ტფილისი, 1926;
271. ჩოხარაძე 2013: ვ. ჩოხარაძე, თურქიზმები ქართული ენის სამხრულ დიალექტებში (სადოქტორო დისერტაცია), ბათუმი, 2013;
272. ჩუბინაშვილი 1961: ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბილისი, 1961;
273. ჩუბინაშვილი 1855: დ. ჩუბინაშვილი, მოკლე ქართული გრამატიკა (რუსულ ენაზე), 1855;
274. ჩუბინაშვილი 1887: დ. ჩუბინაშვილი, ქართული ღრამმატიკა: საუნჯე ქართული ენისა. ქართულ-რუსული ლექსიკონი, ს. პეტერბურგი, 1887;
275. ჩუხუა 2015: მ. ჩუხუა, გვარის კატეგორია მეგრულ-ლაზურში; ლაზურისა და მეგრულის გრამატიკის საკითხები. III. თბილისი, 2015;
276. ჩუხუა 2014: მ. ჩუხუა, ვნებითობის -ან სუფიქსისათვის მეგრულ-ლაზურში, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXXIV, თბილისი, 2014;
277. ჩუხუა 2010: მ. ჩუხუა, ვნებითობის ს.-ქართვ. -ავ ნიშანი და მისი შესატყვისი ზანურში, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, XXX, თბილისი, 2010;
278. ჩუხუა 2009: მ. ჩუხუა, საერთოკავკასიური ერგატივი, საერთაშორისო საენათმეცნიერო კონფერენცია, ერგატივი და ერგატიული კონსტრუქცია მსოფლიოს ენებში, თბილისი, 2009.
279. ჩუხუა 2008: მ. ჩუხუა, ვნებითი გვარის სუფიქსაციის პრობლემისათვის ქართველურ ენებში, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სეს. მას., XXVIII, თბილისი, 2008.

280. ჩუხუა 2000-2003: მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი (დამატებითი მასალები ისტორიულ-ეტიმოლოგიური ლექსიკონისთვის), თბილისი, 2000-2003;
281. ცაგარელი 1872: А. Цагарели. Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, С.-Пб., 1872; 2 изд. Тбилиси 1957;
282. ციხელაშვილი 2017: ლ. ციხელაშვილი, ორხელმძღვანელიანი კაუზატივები ქართულში, ენა და კულტურა, N18, ქუთაისი, 2017;
283. ცხადაძე 1984: ბ. ცხადაძე, მასდარის წარმოება ძველ ქართულში (აწმყოს ფუძის ისტორიასთან დაკავშირებით); „მეცნიერება“; თბილისი, 1984;
284. ჭინჭარაული 1960: ა. ჭინჭარაული, „ხევსურულის თავისებურებანი“ ტექსტებითა და ინდექსით, თბილისი, 1960;
285. ჭუმბურიძე 1986: ზ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართველურ ენებში, თბილისი, 1986;
286. ჭკადუა 2015: რ. ჭკადუა, ი- პრეფიქსის ამოსავალი მნიშვნელობისათვის სვანური ენის ზმნებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XIII, თბილისი, 2015;
287. ჯანაშვილი 1906: მ. ჯანაშვილი, ქართული გრამატიკა, ტფილისი, 1906;
288. ჯორბენაძე 2013: ბ. ჯორბენაძე, ზმნური ფორმაწარმოების საკითხები ქართული ენის დიალექტებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, XII, თბილისი, 2013;
289. ჯორბენაძე 1995: ბ. ჯორბენაძე, ქართველურ ენათა დიალექტოლოგია, თბილისი, 1995;
290. ჯორბენაძე 1988: ბ. ჯორბენაძე, თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში; იკე, XXVII, თბილისი, 1988;
291. ჯორბენაძე და სხვ. 1988: ბ. ჯორბენაძე, მ. კობაიძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბილისი, 1988;
292. ჯორბენაძე 1984: Б. А Джорбенадзе, К вопросу о семантической характеристике форм страдательного залога в грузинском языке. Тб., 1984;
293. ჯორბენაძე 1983: ბ. ჯორბენაძე, მოქმედებითისა და ვნებითის დაპირისპირების პრინციპისათვის ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი, 1983;
294. ჯორბენაძე 1983: ბ. ჯორბენაძე, ზმნის ხმოვან პრეფიქსული წარმოება ქართულში, თბილისი, 1983;
295. ჯორბენაძე 1975: ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბილისი, 1975;
296. ჯორბენაძე 2009: ნ. ჯორბენაძე, სინტაქსურ-სემანტიკური დიფერენციაციის ფორმოზრივი გამოხატულების რამდენიმე შემთხვევისათვის თანამედროვე ქართულში, იკე, XXXVII, თბილისი, 2009;
297. ჯღარკავა 2002: მ. ჯღარკავა, ო- პრეფიქსიანი დეპონენსებისათვის მეგრულში, საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბილისი, 2002;
298. ჰალე, მარანტი 1993: M. Halle, A. Marantz, Distributed morphology and the pieces of inflection: The view from building 20, Cambridge, MA: MIT Press, 1993;
299. ჰარისი 1990: A. C. Harris, Georgian: A language with active case marking: A reply to B.G. Hewitt, *Lingua*, Volume 80, Issue 1, January 1990;

300. ჰარისი 2009: A. C. Harris, On The Order of Morphemes in Georgian Verbs and Substantives: სამეცნიერო სტატიების კრებული „გურამ კარტოზია 75“, თბილისი, 2009;
301. ჰარისი 1981: A. C. Harris, Georgian Syntax: A Study in Relational Grammar. Cambridge Studies in Linguistics. Cambridge: Cambridge University Press, 1981;
302. ჰარისი 1982: A. C. Harris, Georgian and the Unaccusative Hypothesis, Language 58, 1982.
303. ჰარისი 1981: ა. ჰარისი, ვნებითი ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 3, თბილისი, 1981;
304. ჰილერი 2009: P. J. Hillery, The Georgian Language, An outline grammatical summary <http://www.armazi.demon.co.uk/georgian/>
305. ჰიუიტი 1995: B. G. Hewitt, Georgian—ergative, active, or what? In Subject, Voice and Ergativity. Edited by David C. Bennett, Theodora Bynon, B. George Hewitt, University of London, 1995;
306. ჰოლისკი 2000: დ. ჰოლისკი, ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბილისი, 2000;

წყაროები

ა) ლექსიკონები:

1. ი. ასათიანი, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2012;
2. ი. ბუჯაკლიში, ჰ. უზუნჰასანოღლუ, ი. ალექსივა, დიდი ნენაფუნა, სტამბოლი, 2007;
3. ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი, 2013;
4. ნ. მარი, ჭანურ-რუსული ლექსიკონი, სანკტ-პეტერბურგი, 1910;
8. ო. ქაჯაია, მეგრული ლექსიკონი I- III, თბილისი 2001-2004 (ელვერსია, მაინის ფრანკფურტი, 6.10.2005);
5. ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.
6. ნ. ქუთელია, ლაზური პარამითეფე, თბილისი, 1982;
7. პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1997;

ბ) დიგიტალური წყაროები:

1. <http://armazi.uni-frankfurt.de/framee.htm> (კავკასიური ენები და კულტურები)
2. <http://www.corpora.co> (ქართული დიალექტური კორპუსი);
3. <http://gnc.gov.ge> (ქართული ენის ეროვნული კორპუსი);
4. <http://corpora.iliauni.edu.ge/> (ქართული ენის კორპუსი);
5. <https://www.megrulad.ge/> (მეგრულ-ქართული ლექსიკონი);

გ) ემპირიული მასალა:

1. მეგრული ტექსტები (სამეგრელო 2007-2018);
2. ლაზური ტექსტები (სარფი 2011-2018; თურქეთი 2012-2015; აშშ 2012; საბერძნეთი 2018).